


ნოდარ ხალუაძე



მაკროეკონომიკა

ლექციების კურსი
(მ. ნანიანი)

თბილისი 2007

1. მაკროეკონომიკური მეცნიერება	5
1-1 რა არის ეკონომიკა?	5
1-2 რა არის მაკროეკონომიკა?	8
1-3 მაკროეკონომიკური თეორიის ზოგიერთი გადაწყვეტი პრობლემა	10
1-4 მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება	11
1-5 დიდი დეპრესია	13
1-6 მაკროეკონომიკა და მაკროეკონომიკური პოლიტიკა	14
1-7 სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მიზნები და ფუნქციები	15
2. მაკროეკონომიკური მანვენებლები	22
2-1. ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაზომვა. მთლიანი შიდა პროდუქტი	22
2-2. ცხოვრების დონის გაზომვა	31
2-3. დაუსაქმებლობის გაზომვა: უმუშევრობის დონე	33
3. ეროვნული შემოსავალი: წარმოება,	34
3-1. წარმოების მოცულობა	35
3-2. ეროვნული შემოსავლის წარმოების ფაქტორებზე განაწილება	35
3-3. მოთხოვნა საქონელზე და მომსახურებაზე	39
3-4. წონასწორობა და პროცენტის განაკვეთი	42
4. ეკონომიკური ზრდა	46
4-1. კაპიტალის დაგროვება	46
4-2. კაპიტალშეიარაღების დონე და ოქროს წესი	50
4-3. მოსახლეობის ზრდა	53
4-4. ტექნოლოგიური პროგრესი	55
4-5. დანაზოგი, ზრდა და ეკონომიკური პოლიტიკა	58
4-6. დასკვნა: სოლოუს მოდელის მიღმა	59
5. უმუშევრობა	59
5-1. სამუშაოს დაკარგვა, სამუშაოს ძებნა და უმუშევრობის ბუნებრივი დონე.	59
5-2. სამუშაოს ძებნა და ფრიქციული უმუშევრობა.	60
5-3. ხისტი ხელფასი და მოლოდინის უმუშევრობა	62
5-4. უმუშევრობის მანვენებლები	64
6. ინფლაცია	66
6-1. ფული	66
6-2. ფულის ნაოდენობრივი თერია	68
6-3. "სენიორიაჟი" შემოსავალი ფულის გამოშვებიდან	70
6-4. ინფლაცია და პროცენტის განაკვეთი	70
6-5. პროცენტის ნომინალური განაკვეთი და ფულზე მოთხოვნა	71
6-6. ინფლაციის საზოგადოებრივი დანახარჯი	72
6-7. კლასიკური დიქტომია	73
7. ღია ეკონომიკა	74
7-1. ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება ღია ეკონომიკაში	74
7-2. კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო ნაკადები	76
7-3. გაცვლითი კურსები	79
8. ეკონომიკური რყევების თეორია	87

8-1. განსხვავება მოკლევადიან და გრძელვადიან რყევებს შორის	87
8-2. ერთობლივი მოთხოვნა	87
8-3. ერთობლივი მიწოდება	89
8-4. სტაბილიზაციის პოლიტიკა	93
9. ერთობლივი მოთხოვნა (1)	96
9-1. საქონლის ბაზარი და IS მრუდი	97
9-2. ფულის ბაზარი და LM მრუდი	105
9-3. დასკვნა: წინასწარობა მოკლევადიან პერიოდში	110
10. ერთობლივი მოთხოვნა (2)	111
10-1. IS – LM მოდელის მეშვეობით ეკონომიკური აქტივობის რყევების ახსნა	111
10-2. IS – LM როგორც ერთობლივი მოთხოვნის თეორია	114
10-3. კიდევ ერთხელ დიდი ღებრესიის შესახებ	118
11. ერთობლივი მიწოდება	121
11-1. ერთობლივი მიწოდების ოთხი მოდელი	121
11-2. ინფლაცია, უმუშევრობა და ფილიპსის მრუდი	127
11-3. სიახლეები: თანამედროვე კვინზიანელები	130
12. კამათი მაკროეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე	132
12-1. როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა: აქტიური თუ პასიური?	132
12-2. როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა: უნდა მისდიოს თუ არა წინასწარ დაგეგმილ გზებს, თუ იყოს თავისუფალი	134
13. ღია ეკონომიკის მოკლევადიანი მოდელი	137
13-1. მანდელ-ფლემინგის მოდელი	137
13-2. მცირე ღია ეკონომიკა. "მცურავი" გაცვლითი კურსის პირობებში	141
13-3. მცირე ღია ეკონომიკა ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში	143
13-4. როგორი უნდა იყოს გაცვლითი კურსი: მცურავი თუ ფიქსირებული	146

F15-023

1. მაკროეკონომიკური მეცნიერება



1-1 რა არის ეკონომიკა?

ტერმინი „ეკონომიკა“ ზღვრული წარმომობისა და საოჯახო მეურნეობის გაძღვლას ნიშნავს. რეალურად საზოგადოების ცხოვრება დიდად ვაჟს ოჯახის ცხოვრებას, ამიტომ ლოგიკურია, რომ სწორედ „ოჯახის გაძღვლასთანა“ გაიგივებული ეკონომიკის მართვა და ზოგადად ეკონომიკა.

საკუნიების განმავლობაში ეკონომიკურმა მეცნიერებამ ევოლუცია განიცადა. იგი დაიწყო მრავალ „ქვემეცნიერებად“, რომლებიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტს სწავლობენ, მაგრამ უცვლელი რჩება ეკონომიკის, როგორც მეცნიერების საგანი.

ოღობანევი ადამიანი და ზოგადად კაცობრიობა საჭიროებებითაა დამძიმებული. ადამიანებს უამრავი მატერიალური თუ სულიერი ფაქტორების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. ისინი განუწყვეტელიც ისწრაფვიან ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის. ადამიანებს სჭირდებათ საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ადგილი, უამრავი სახის საქონელი, რომლებიც განაზღვრავენ ცხოვრების დონეს. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე ეს მოთხოვნები უსაზღვროა, ადამიანი არასოდეს არ სჯერდება მიღწეულს და სულ უფრო მეტი და მეტი უნდა. ამასთან ყველა ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა რესურსები, რომლებიც ჩვენს ინგვლივია. სწორედ ამ რესურსებს, მათ შორის ადამიანთა უნარს გამოიყენოს ეს რესურსები, ვიყენებთ, რათა შევძლოთ თუნდაც ფიზიკური არსებობა. თუმცა არის ერთი შინაგნელოვანი პრობლემა - ეს რესურსები იშვიათია, ანუ ისინი არ არის გამოუღვევლი. თუ ერთი სახის რესურსი შედარებით უფრო მეტია ბუნებაში და მისი მარაგების ამოწურვა არ არის მოსალოდნელი, მეორე სახის რესურსები უკვე დღეისათვის ამოწურულია. ან ამოწურვის პირასაა. ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ რესურსები მზღვრულია.

სწორედ ადამიანთა ეს სწრაფვა - გაიუმჯობესოს ცხოვრების მატერიალური პირობები, მზღვრული რესურსული უზრუნველყოფის პირობებში არის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების საგანი და უმთავრესი ამოცანა, ანუ ეკონომიკა სწავლობს ადამიანის მზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მზღვრული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ან მათი მართვის პრობლემებს.

ეკონომიკის შესწავლის დროს ეკონომისტები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ეკონომისტები აგროვებენ ინფორმაციას - ანუ ეკონომიკა არის აღწერილობითი, ანუ ემპირიული მეცნიერება, შემდგომ ეტაპზე ხდება ამ მოპოვებული მასალის ანალიზი, ანუ ცალიზდება ეკონომიკური თეორია. ფაქტებიდან თეორიის ჩამოყალიბება მეცნიერებაში ცნობილია როგორც ინდუქცია, ამ დროს ფაქტების „ნაკრები“ იმგვარად სისტემატიზირდება და კეთდება მისი ანალიზი. რომ შესაძლებელი გახდეს გარკვეული პრინციპების გამოკრისტალიზება. დასკვნები შეიძლება გაკეთდეს დედუქციის დახმარებითაც. დედუქცია შემთხვევითი დაკვირვებების, ლოგიკის, ინტუიციის მეშვეობით, პირობებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ასეთი ტიპის დასკვნაა, მაგალითად, ის, რომ დაბალი ფასების შემთხვევაში მომხმარებლისათვის მიზანშეწონილია შეიძინოს მეტი საქონელი.


ეს ყველაფერი თავს იყრის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. სწორედ ეკონომიკური პოლიტიკა გვეხმარება არსებული პრობლემების გამოსწორებასა და გადაჭრაში (იხ. ნახატი 1.).

ეკონომიკური თეორია იყენებს გარკვეულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და ისეთ მეთოდებს, როგორიცაა განზოგადება, დაშვება „სხვა თანაბარ პირობებში“ და ამსტრაცირება. გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური მეცნიერება შეიძლება იყოს პოზიტიური და ნორმატიული. პოზიტიული ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც აღწერს ფაქტებს და თავისუფლად სუბიექტური მსჯელობებისა და შეხედულებებისაგან. პოზიტიური ეკონომიკური მეცნიერება აყალიბებს სამეცნიერო შეხედულებებს ეკონომიკური ქცევის შესახებ. ნორმატიული ეკონომიკური მეცნიერება კი პირიქით, შეუასებითაა და აღწერს მოსაზრებებს


თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა, ეკონომიკური პროცესები. ზოგადად პოზიტიურია ეკონომიკა, რომელიც აღწერს იმას თუ რა არის, ხოლო ნორმატიული თუ რა უნდა იყოს.

ეკონომისტები ხშირად იყენებენ მოდელებს და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეცნიერების სხვა დარგებისაგან განსხვავებით ეკონომისტებს არ შეუძლიათ ცდების, ექსპერიმენტების ჩატარება. თუ ზოლოვს შეუძლია თნი ბაჭია სხვადასხვა პირობებში ამყოფოს და შემდეგ დაასკვნას როგორმა პირობამ იმოქმედა უკეთ ბაჭიაზე, ეკონომისტებს არ შეუძლიათ ცდები მთელ საზოგადოებაზე ჩაატარონ (თუმცა ამისი მცდელობაც იყო, როდესაც დედამიწის ერთი მეექვსედი სწორედ ამგვარი იდეების მართებულობის შესამოწმებელ ლაბორატორიად იქცა, განსაკუთრებით კი ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც იდეოლოგიური მიზეზის გამო ორად აღმოჩნდა გაყოფილი, მაგალითად ორად გაყოფილი გერმანია ან კორეა, ამ ორი (ან ოთხი) ქვეყნის მაგალითიც კი ადასტურებს, რომ ექსპერიმენტი არ გამოვიდა და გაიმარჯვა განვითარების ბუნებრივმა გზამ, რომელიც თავისუფალი საბაზრო სისტემისა და კაპიტალისტური იდეოლოგიის საფუძველზე, ეკონომიკის განვითარების ღდემდე არსებული გზებიდან ყველაზე ეფექტიანი გზით განვითარებას გულისხმობს). ამდენად ეკონომისტებს სხვაგვარი მეთოდების გამოყენება უწევთ. ერთ-ერთი ასეთი გზაა ეკონომიკური მოდელების გამოყენება. მოდელებში სხვადასხვა ცვლადებს შორის დამოკიდებულება ხშირად მათემატიკური სახითაა გამოხატული.

მოდელებში ორი ტიპის ცვლადები გამოიყენება ეგზოგენური (ანუ თავდაპირველი ინფორმაცია) და ენდოგენური (მიღებული შედეგების ამსახველი ცვლადები). სხვაგვარად რომ ვთქვათ ეგზოგენური ცვლადები მოდელის აგებამდე უნდა ვიცოდეთ, ხოლო ენდოგენურს მხოლოდ მოდელის ამოხსნის შემდეგ მივიღებთ (იხ. ნახატი 2).



ნახატი 1. დამოკიდებულება ფაქტებს, ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის



ნახატი 2 მოდელი.

განვიხილოთ მაგალითად პურის ბაზარი. პურზე მოთხოვნა Q^d დამოკიდებულია მის ფასზე P_p და ერთობლივ შემოსავალზე Y . ამ დამოკიდებულებას ეკონომისტები ასე ჩაწერდნენ

$$Q^d = D(P_p, Y)$$

ანალოგიურად საცხოვრების მიერ გამოქმენილი პურის რაოდენობა Q^s დამოკიდებულია მის ფასზე P_p და გამოყენებული ფქვილის ფასზე P_f . ამ დამოკიდებულებას ასეთი სახე ექნებოდა

$$Q^s = S(P_p, P_f)$$

და ბოლოს, ეკონომისტები ასკვნიან, რომ პურის ფასი იცვლება ისე რომ პურზე მოთხოვნა და პურის მიწოდება ტოლი იყოს, ანუ

$$Q^d = Q^s$$

აღნიშნული მოდელი შესაძლებელია გრაფიკულად გადავიტანოთ და პურზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები განვიხილოთ. მოთხოვნის მრუდი, უცვლელი ერთობლივი შემოსავლის პირობებში პურზე მოთხოვნასა და პურის ფასს შორის დამოკიდებულებას გვიჩვენებს. მას დაღმავალი ფორმა აქვს, რაც იმას ადასტურებს, რომ რაც მეტია პურზე ფასი, მით ნაკლებია მასზე მოთხოვნა, რადგან მასზე ფასის ზრდის შემთხვევაში აღამიანები გადადიან მის შემცვლელელებზე და ამით ცდილობენ თავიდან აიცილონ გაზრდილი ხარჯები. მიწოდების მრუდი კი ფქვილის ფასის უცვლელობის პირობებში გვიჩვენებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც პურის ფასსა და მიწოდებას შორის ანსებობს. უსათვალისწინებელია, რომ მას აღმავალი ფორმა აქვს, ანუ ფასის ზრდა მიწოდების ზრდის საფუძველი ხდება. რაც გამოჩევილია იმით, რომ ფასის ზრდის შემთხვევაში მწარმოებელი ცდილობს რაც შეიძლება მეტი პური გაყიდოს, რათა მისაღები მოგება გაზარდოს. ამ ორი მრუდის გადაკვეთის წერტილი კი წონასწორობის წერტილია, ანუ ის სიტუაციაა როცა გარკვეული ფასის შემთხვევაში პურზე მოთხოვნა და პურის მიწოდება ტოლია. ასეთი ფასი წონასწორული ფასის სახელითაა ცნობილი.

მოდელში ნათლად ჩანს, თუ როგორ ცვლის ერთი ეკზოგენური ცვლადის შეცვლა ენდოგენურ ცვლადს. მაგალითად ერთობლივი შემოსავლის ზრდა ზრდის მოთხოვნას, ხოლო ფქვილის გაძვირება ამცირებს პურის მიწოდებას.

ფქვილის გაძვირება გამოიწვევს პურის წონასწორული ფასის ზრდას და წონასწორული რაოდენობის შემცირებას.

რასაკვირველია, როგორც ყველა მოდელში, ამ შემთხვევაშიც რამდენიმე გამარტივებული მიდგომაა გადმოცემული, კერძოდ ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ იმას რომ პურის საცხოვრებო სხვადასხვა ადგილზე მდებარეობს და ზოგიერთი პურის საცხოვრებო ჩვენთვის უფრო მეტად მოსახერხებელია, ვიდრე სხვა. ამასთან ზოგიერთი ხაზაზი უკეთეს პურს აცხოვს, ან შესაძლოა უფრო მიმზიდველი გამოიღველი ჰყავდეთ, არ არის გამორიცხული პურის რეალბაჟის ზრდის მიზნით ზოგიერთმა მათგანმა სხვადასხვა ღონისძიებას მიმართა, რის გამოც პურის საცხოვრებლ შეუძლიათ თავისი ფასი დააწესონ.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიული მოდელი პრაქტიკულისაგან განსხვავდება, უნდა ვაღიაროთ რომ მოდელირებას ძალიან ბევრი კარგი რამის გაკეთება შეუძლია და ჩვენ მისი გამოყენებით შესაძლოა შევისწავლოთ ფქვილის ფასის ან შემოსავლების ზეგავლენა პურის ბაზარზე, თუმცა შესაძლოა იყოს კითხვები, რომელსაც ასეთი მარტივი მოდელი ვასუხს ვერ გაცემს, მაგალითად რატომაა იმ ქალაქში პური უფრო ძვირი სადაც მხოლოდ ერთი საცხოვრებია, ვიდრე იმ ქალაქში, სადაც ათი საცხოვრებია.

აქედან გამომდინარე სწორედ იმის განსაზღვრაა მთავარი რომელი დაშვებაა მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი.

შეუძლებელია ზუსტი მოდელის შედგენა, და რომც შევადგინოთ იგი იმდენად რთული იქნება, რომ მისი გამოყენება ძალიან გაძნელებულა. მაგრამ ამასთან მოდელის ავების დროს არ უნდა გამოვინაცხოთ ვადამწვევტი ფაქტორები, თორემ შესაძლოა არასწორი დასკვნები გავაკეთოთ.

გასათვალისწინებელი რამდენიმე დაშვებაც, უპირველეს ყოვლისა ესაა ფასების (მათ შორის ხელფასების) მოქნილობის ხარისხი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფასები იცვლება იმის მიხედვით თუ როგორ იცვლება მოთხოვნა და/ან მიწოდება და სწორედ ფასები ახდენენ ბაზრის წონასწორობაში მოყვანას. ეკონომისტებს მიაჩნიათ რომ წონასწორული ფასის შემთხვევაში მყიდველებმა იყიდეს ყველაფერი, რისი ყიდვაც უნდოდათ, ხოლო გამყიდველებმა კი გაყიდეს ყველაფერი რისი გაყიდვაც სურდათ. ფასის ამ თვისებას ბაზრის გაწონასწორების თუნქცია ეწოდება.

თუმცა ცხადია, ფასს შეუძლია ბაზარი წონასწორობაში მოიყვანოს, როცა ფასები მუდმივად იცვლება. ეს ცვლილებები მოთხოვნისა და მიწოდების უმნიშვნელო ცვლილებამაც კი უნდა გამოიწვიოს. მაგრამ რეალურად ფასები ასეთი მოქნილობით არ ხსხიათდება. ხშირ შემთხვევაში ისინი ხისტიც კი არის. მაგალითად, ხელფასი განისაზღვრება წინასწარ ხელშეკრულებით და ძნელია მისი გადახედვა. მიუხედავად იმისა როგორ იცვლება შრომაზე მოთხოვნა ან შრომის მიწოდება. ანალოგიურად ზევნი სახის პროდუქციაზე ფასები დაფიქსირებულია და მათი შეცვლა მეწარმის მიერ არ ხდება. მაგალითად რესტორნის მეპატრონეები წინასწარ ზეგადევენ მენიუს და ამდენად გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფასები რესტორნებში ხისტია.

თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ ფასები აბსოლუტური ხისხიტით მაინც არ ხსხიათდებიან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ისინი აუცილებლად იცვლებიან. ფასების მოქნილობის ხარისხის მიხედვით განსხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებს (ამაზე ოდნავ ქვემოთ).

1-2 რა არის მაკროეკონომიკა?

მაკროეკონომიკა - ეს არის მეცნიერება ეკონომიკაში აგრეგირებული ქცევების შესახებ. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ფორმირება ეყრდნობა მილიონობით ინდივიდუალურ ქცევას, რომლებსაც ახორციელებენ ფირმები, მომხმარებლები, მშრომელები, სახელმწიფო მოხელეები. მაკროეკონომიკა კი კონცენტრირებულია მხოლოდ ამ ქცევების გლობალურ შედეგებზე. მაგალითისათვის, ნებისმიერი თვის განმავლობაში ათასობით ფირმა შეეცდება და გაზრდის ფასს, ათასობით კი პირიქით შეამცირებს მას. ფასის ერთობლივი ცვლილების ანალიზისას ჩვენ ათასობით ცალკეული ცვლილების *საშუალო* ცვლილებას უნდა დავეყრდნობოთ, რისთვისაც ფასების სპეციალური ინდექსის გაანგარიშებაა საჭირო, რაც ეკონომიკაში მათი ერთობლივი ცვლილების დინამიკის გაზომვის საშუალებას მოგვცემს.

ამრიგად მთავარი მაკროეკონომიკური მეთოდი არის ერთობლივი ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი და არა ცალკეული სუბიექტების ქმედებების ტენდენციის ანალიზი. ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული მახასიათებლები (GDP¹, დაგროვების ნორმა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და სხვ.) დინამიკისა და ტენდენციების გლობალურ სურათს ქმნიან. ისინი ქმნიან ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ყურადღება

¹ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ჩვენ აზრით, არაზუსტი ტერმინი „მალიანი შიდა პროდუქტი“ დამკვიდრდა, რომელიც სრულად ვერ ასახავს ამ ტერმინის არსს (აღნიშნულზე დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, ამდენად მსჯელობებისას ჩვენ ტერმინის ინგლისურენოვან აბრევიატურას GDP (Gross Domestic Product) გამოვიყენებთ. თუმცა არც ეს მიგვაჩნია ზოლომდე გამართლებულად. შესაბამისად ინგლისური აბრევიატური გამოვიყენებთ სხვა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსაც, რაც მათ გათვლებში, ინდექსებსა და ფორმულებში გამოიყენებასაც გავვიითლებს.

ეკონომიკაში დომინირებულ ტენდენციებზე გამახვილდეს და არა ცალკეულ ცვლილებებზე, რომლებიც ეკონომიკის ცალკეულ ელემენტებზე ზემოქმედებენ.

მაკროეკონომიკა შეეხება თითოეულ ჩვენთაგანს და ყველანი ნებსით თუ უნებლიედ მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ერთ დამოკიდებულნი და ვცდილობთ მივიღოთ ვარკვეული ტიპის ინფორმაცია. მეწარმეები დაინტერესებულნი არიან გაიგონ თუ როგორ შეიცვლება მოსახლეობის შემოსავლები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ პროგნოზირება მოახდინონ, თუ რა ტენდენციები შეიძლება იყოს ეკონომიკაში. ადამიანებს აინტერესებთ როგორ შეიცვლება ფასები. უმუშევრები იმედის თვალით უყურებენ ეკონომიკის ზრდას, რაც მათ დასაქმების საშუალებას მისცემს.

პოლიტიკოსებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მაკროეკონომიკას, განსაკუთრებით წინასახარებო შერჩედში. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა ავგებულა ეკონომიკის ზრდის, ფასების სტაბილურობის, დასაქმების ზრდის საკითხებზე.

სწორედ ეკონომიკური მდგომარეობა ხელისუფლების პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი. ეს ხეება არა მხოლოდ საქართველოს, რომელსაც დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის არსებობის ძალიან მცირე ისტორია აქვს, არამედ ყველა ქვეყანას. ხელისუფალი რომლის მმართველობის დროსაც GDP იზრდება, ფასები სტაბილურია, არ იზრდება უმუშევრობა უფრო პოპულარულია და შემდგომ არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ვიდრე ხელისუფლება, რომლის სახელსაც უკავშირდება ინფლაცია, უმუშევრობა, რეცესია.

ამერიკელმა ეკონომისტმა რეი ფეინმა შეიმუშავა ფორმულა. რომლითაც ის ახდენს საპროგნოზირებელ არჩევნების შედეგების პროგნოზირებას. მისი ფორმულა საკმაოდ ზუსტია და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს ეყრდნობა. ისტორია ამტკიცებს, რომ შემოსავლების ზრდა მმართველ პარტიას გამარჯვების წინაპირობაა, ხოლო ფასების ზრდა მისი პოპოლარობის შესუსტებას უწყობს ხელს.

ერთობლივი ეკონომიკური ტენდენციების მაკროეკონომიკური ანალიზი ფართო ინფორმაციას ეყრდნობა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გროვდება. თანამედროვე მაკროეკონომიკა, როგორც მეცნიერება მხოლოდ ვასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც ეკონომიკური სტატისტიკის სპეციალისტებმა აგროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და ამ მიზნით სტატისტიკური მონაცემების დიდი მასივების შეგროვება დაიწყეს. მათგან უმნიშვნელოვანესი *ეროვნული შემოსავლის ანგარიშები* (ან უზრალოდ, ეროვნული ანგარიშები) იყო, რომლებიც პროდუქციის გამოშვების, შემოსავლების, მოხმარებისა და ინვესტიციების ერთობლივ დონეს ათქვამდნენ. მათი სწორად გაგებაა მაკროეკონომიკური ანალიზის უმთავრესი ელემენტი.

მაკროეკონომიკა „ეკონომიკის ოლიმპიდან ჭვრეტას“ ცდილობს, როდესაც მიმდინარე პროცესების ცალკეული ფენების თუ სექტორების მიხედვით ზედმეტი დეტალიზაცია არ ხდება. მაკროეკონომიკა ეკონომიკური ცხოვრების გლობალური პრობლემებისაკენ მიისწრაფვის. მაკროეკონომიკის საგანს ისეთი ტიპის შეკითხვები წარმოადგენენ, როგორიცაა: დროის ვარკვეულ მონაკვეთში რა უზიძგებს ეროვნულ ეკონომიკას იქითკენ, რომ იგი იყოს უფრო მდიდარი ან უფრო ღარიბი, როგორია ქვეყნის მოქალაქეთა მიერ მოთვალში განსახორციელებელი დანაზოგების მოცულობა, რატომ იზრდება გაცილებით უფრო დიდი ტემპებით ფასები რუსეთში, ვიდრე შვეიცარიაში, რა განსაზღვრავს დოლარის ფასს ლართან მიმართებაში, რატომ აღემატება მსოფლიოს ზევრ ქვეყანაში იმპორტი ამ ქვეყნიდან ექსპორტს და ა.შ.

ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა. რომელიც მაკროეკონომიკის წინაშე დგას, შეეხება სახელმწიფოს შესაძლებლობას ზემოქმედება მოახდინოს საერთო ეკონომიკურ პროცესებზე, განსაკუთრებით ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების მეშვეობით. მკვლევართა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ როგორც მთავრობის ფისკალური (საფინანსო-საბიუჯეტო) პოლიტიკა, ისე ცენტრალური ბანკის (საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკის) მონეტარული (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკა, ვარკვეულწილად და საკმაოდ მნიშვნელოვნად, ზემოქმედებს წარმოებაზე, ფასებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და დასაქმებაზე. ამასთან მკვლევართა ნაწილი დარწმუნებულია სახელმწიფოს მიერ

ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედებადი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების გატარების აუცილებლობაში, რასაც ცხადია ან ეთანხმება მკვლევართა მეორე ნაწილი.

თანამედროვე მაკროეკონომიკა ფართოდ იყენებს მიკროეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს, რომელიც საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების არსებობისა და ზაზარზე ურთიერთობების შესახებ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს სწავლობს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგადეკონომიკური ტენდენციები მილიონობით საოჯახო მეურნეობისა და ფირმის ინდივიდუალურ გადაწყვეტილების შედეგია. ცხადია თითოეული გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა შეუძლებელია, რის გამოც *მაკროეკონომიკური თეორიები* მილიონობით საოჯახო მეურნეობისა და ფირმის ქცევის ძირითად პრინციპებს უნდა ეთანხმებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მაკროეკონომიკური ანალიზი სამი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე მკვლევარები თეორიულ დონეზე ცდილობენ ცალკეული ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების ქცევის შესწავლას. ამ დროს მკვლევარები ცდილობენ წარმოადგინონ ე.წ. *გასაშუალებელი*, რეპრეზენტაციული, ტიპური ფირმის (საოჯახო მეურნეობის) ქცევები.

მეორე ეტაპზე ხდება ინდივიდუალური გადაწყვეტილებების აგრეგირება, ანუ შეკრება. ამასთან ხდება ზოგადეკონომიკური პროცესების ანალიზი. ხდება ტიპური ფირმის ან ტიპური საოჯახო მეურნეობის ქცევის გავრცელება, „მულტიპლიცირება“ მთელ საზოგადოებაზე. მკვლევარები ცდილობენ იპოვიონ კავშირები, რომლებიც ძირითადი ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთკავშირის დადგენაში დაგვეხმარება.

მესამე ეტაპზე ფაქტობრივი მაკროეკონომიკური ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის დროს ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ხდება იმის შემოწმება, აქვს თუ არა თეორიას რეალური საფუძველი და შეიძლება თუ არა მისი გამოყენება. სწორედ ამგვარად ხდება ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და აგრეთვე გარკვეული ეკონომიკური პროგნოზების არგუმენტირება.

1-3 მაკროეკონომიკური თეორიის ზოგიერთი გადაწყვეტი პრობლემა

ზოგიერთი პრობლემის შესწავლისას მაკროეკონომიკური მეცნიერება ისეთი ცვალებითი ოპირირებს, როგორებიცაა წარმოების, უმუშევრობის, ფასების, საგარეო ვაჭრობის ერთობლივი მოცულობა. მათი ანალიზი კი თავის მხრივ იწვევს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, როგორიცაა, მაგალითად: რა განაპირობებს მათ მიმდინარე მოცულობას ეკონომიკაში, როგორები არიან ფაქტორები, რომლებიც იწვევენ მათ ცვალებას მოკლევადიან პერიოდში, რა განაპირობებს მათ გრძელვადიან დინამიკას. ანუ მაკროეკონომიკა ყველა ამ პრობლემას სხვადასხვა დროით განვიხილავთ სწავლობს. ეს დროითი განვიხილავთ: *მიმდინარე, სამუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდები*. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი მხოლოდ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებს გამოყოფს.

კითხვები, რომლებზეც ეკონომისტებს მოუწევთ პასუხის გაცემა, შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: *რა არის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის წყარო, ერთდროულად დროით შუალედებში რატომაც ეკონომიკის განვითარების ტემპები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირი, ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია თუ არა ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის ტემპებზე ზემოქმედება, რა არის ეკონომიკური ციკლის მიზეზები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა განაპირობებს ეკონომიკის დაცემის სიღრმეს, რომელი ეკონომიკური ძალები იწვევენ ეკონომიკის დაცემას და რომელი აღმავლობას, ეკონომიკური ციკლის მიზეზი ვარაუდობს ძალებია (შოკი, პოლიტიკური თუ სხვა სახის მოვლენები, და სხვა) თუ შინაგანი, რომელთა პროგნოზირებაც შეიძლება, როგორი ტიპის რყევებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკონომიკისათვის, რამდენად მსგავსია ციკლები ხანგრძლივობის, მასშტაბურობის, პერიოდულობის მიხედვით, შეუძლია თუ არა მთავრობას მოკლევადიანი რყევების შემცირება ან მოსპობა.*

უმუშევრობა - ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელსაც მაკროეკონომიკა სწავლობს. *უმუშევრობის დონე* არის იმ

ადამიანთა წილი სამუშაო ძალაში, რომლებსაც არ გააჩნიათ სამსახური და აქტიურად ეძებენ მას. ეკონომიკური ციკლების დროს უმუშევრობის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია.

შესამე, უმნიშვნელოვანესი ცვლადი, მაჩვენებელი, რომელიც მაკროეკონომისტებს შესწავლის საგანს წარმოადგენს, არის ინფლაციის ტემპები, რომელიც ფასების საერთო დონის ცვლილებას გვიჩვენებს. ინფლაცია შეიძლება იყოს როგორც დადებითი, როცა ხდება ფასების ზრდა, ასევე უარყოფითი, როცა ფასები მცირდება. კითხვები ინფლაციასთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: რა განაპირობებს გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის საშუალო დონეს, რატომ ვაიზარდა ინფლაციის ტემპები, რატომ განსხვავდება იგი სხვადასხვა ქვეყანაში, როგორ კავშირშია ინფლაცია ეკონომიკურ ციკლებთან.

მაკროეკონომისტების შესწავლის საგანია, ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორცაა **სავაჭრო ბალანსი**. რაც ქვეყნის წმინდა ექსპორტის ტოლია და მიიღება ექსპორტის იმპორტის მოცულობით შემცირებით. თუ ქვეყანა ახორციელებს ექსპორტს, რომელიც აღემატება იმპორტს, ჩვენ ვამბობთ, რომ ადგილი აქვს დადებით სaldოს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს **სავაჭრო ბალანსის დეფიციტს**. მაკროეკონომისტების მიერ სავაჭრო ბალანსის შესწავლის უმთავრესი მიზანი არის საქონლის ექსპორტსა და იმპორტს და ფინანსურ საკადებს შორის დამოკიდებულების ანალიზი. თუ ქვეყანა ახორციელებს უფრო მეტი საქონლის იმპორტს, ვიდრე ექსპორტს, ლოგიკურია, რომ ის ამას აკეთებს ვალის სანაცვლოდ, და პირიქით, თუ ქვეყანა ახორციელებს უფრო მეტ ექსპორტს, რეალურად ის აკრედიტებს სხვა ქვეყნებს. ამდენად, სავაჭრო ბალანსის შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ თუ რატომ სესხულობენ ამა თუ იმ ქვეყნის მაცხოვრებლები სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებსაგან. ვარდა საქართველოსი, რომელსაც უარყოფითი სავაჭრო სaldო აქვს, უარყოფითი სaldო აქვს აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებს, იმ დროს როცა იაპონიას დადებითი სავაჭრო სaldო აქვს. მთავარი კითხვაც სწორედ ამ ფაქტის გამო წარმოიშობა: რატომ? ამასთან საინტერესოა რა მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოვლენებს.

სწორედ ყველა ამ კითხვაზე, და არა მხოლოდ მათზე შევეცდებით გავცეთ პასუხი მაკროეკონომიკის დასმარებით.

1-4 მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დღევდ იუმი, სწავლობდა რა დამოკიდებულებას ფულის მასას, სავაჭრო ბალანსსა და ფასების დონეს შორის, მაკროეკონომიკაში ერთ-ერთი პირველი გარდღევის ავტორი გახდა. ეს „დიდი განღვევა“ დღეს ცნობილია, როგორც „სავადამბდელო ბალანსისადმი მონეტარისტული მიდგომა“, და დღემდე რჩება ამოსავალ წერტილად იმ თეორიისათვის, რომელიც ანალიზებს სავაჭრო კავშირებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და სავარეო ვაჭრობის მოდელს შორის. ფულის შესწავლას XVIII-XIX საუკუნეებში ფულის რთოდენობრივი თეორიის ჩამოყალიბება მოჰყვა, რაც დღემდე ფულადი სისტემის ანალიზის საფუძვლად რჩება.

მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამმა მოვლენამ. უპირველეს ყოვლისა **აგრეგირებული მანკენებლების** შეგროვება და ანალიზი დაიწყო. აღნიშნული განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომის დროს საზრდოლო მოქმედებებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების დაგვეგის აუცილებლობით. აღნიშნული პროცესები ომის შემდეგაც გავრცელდა.

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიურო (*NBER*), აშშ კერძო კვლევითი ორგანიზაცია, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდა საიმონ კუზნეცი, რომელიც შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. 30-იანი წლებიდან დაიწყო ეროვნულ ანგარიშების შემუშავება, შემდგომ კი მათი სისტემატიზაცია, ამ სამუშაოებს რიჩარდ სტოუნი ხელმძღვანელობდა, რომელიც ასევე ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაკროეკონომიკურ ანალიზს სწორედ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა უღვეს საფუძვლად.

მეორე მოვლენა, რომელიც ასევე მაკროეკონომიკურ მეცნიერებას დაედო საფუძვლად, იყო იმის დასაბუთება, რომ საქმიანი ციკლი განმეორებადი ეკონომიკური მოვლენაა. ამ დასკვნის დასაბუთებაზე მუშაობდა, როგორც NBER, ასევე კლერ მიტჩელი, რომელმაც დაასაბუთა, რომ საქმიანი ციკლის განმავლობაში მარაგების და წარმოების მოცულობას, აგრეთვე ფასების დონის სისტემატიზებული ცვლილებების ტენდენცია აქვთ.

მესამე მოვლენა ისეთი უმნიშვნელოვანესი, მსოფლიო მასშტაბის კატაკლიზმური მოვლენა იყო, როგორიცაა დიდი დეპრესიაა. სწორედ დიდი დეპრესიის დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დემოკრატიული მთავრობები ფაშისტურმა მთავრობებმა შეცვალეს. სწორედ მათ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

დიდი დეპრესია 1929 წელს დაიწყო და მთელი მსოფლიო წარმოების მოცულობების მნიშვნელოვან დაცემასა და უდღეს უშუშვერობას განიცდიდა.

პირველად სწორედ დიდმა დეპრესიამ ეჭვქვეშ დააყენა კლასიკოს-ეკონომისტთა შეხედულება იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადი სისტემაა. ჯონ მენანდ ქეინზმა დიდი დეპრესიის წარმოშობის თეორიულ სქემა შეისწავლა და მნიშვნელოვანი პოსტულატები ჩამოაყალიბა. ქეინზის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ XX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ნაშრომად იქცა, იგი ქეინზმა 1936 წელს გამოცა. ქეინზმა მაკროეკონომიკის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი შეიტანა იმ ნაშრომებით, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას შეეხებოდა. ქეინზის ღვაწლზე ისიც კი მეტყველებს, რომ ეკონომისტები დღემდე პრაქტიკულად თავს ან „ქეინზიანელებად“ ან „არაქეინზიანელებად“ აღიარებენ.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქეინზის თეორია და რუზეველტის ადმინისტრაციის პრაქტიკული ქმედებები უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, რადგან იმდროინდელი აშშ-ს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ქეინზის თეორიას ემყარებოდა და თავის მხრივ მექანიკურად შეხედულებების მართებულობის შესანიშნავი არგუმენტი იყო. ქეინზმა ახსნა, თუ რატომაა ბაზარი არათვითრეგულირებადი სისტემა. მან ვაკატიკა კლასიკური ეკონომიკური სკოლა და განსაკუთრებით სეის კანონი. მან ერთ ფაქტორს მიანიშნა, რომელსაც კლასიკოსების ნაშრომებში ყურადღება არ ეთმობოდა, მან ახსნა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთელი შემოსავალი არ იხარჯება პროდუქციის საწარმოებლად და იგი იზოგება, გარკვეული ოდენობის საქონელი არ ტოვებს მწარმოებლის ხაზებს. რაც წარმოების მასშტაბების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, ფასების დაცემას, ინვესტიციებზე მოთხოვნილების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას იწვევს.

ქეინზი საბაზრო მექანიზმს ეკონომიკური ზრდის წამახალისებელ საუკეთესო ფაქტორად მიიჩნევდა, მაგრამ იგი მაინც არ თვლიდა მას ისეთ სისტემად, რომელიც თავად შესძლებდა მუდმივი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ეკონომიკური კრიზისების და ციკლური რყევების მიზეზებს იგი მხოლოდ გარე ფაქტორებში (ომი, კატაკლიზმები) არ ეძებდა და უმუშევრობის და ინფლაციის მიზეზებს ფუნდამენტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღების შეუძლებლობაში ეძებდა. შიდა და გარე ფაქტორების სინერჯი ეკონომიკურ ციკლებს უფრო დიდ რეზონანსულობას ანიჭებენ, რაც გასული საუკუნის ეკონომიკურმა ისტორიამ არაერთხელ დაადასტურა.

ომისშემდგომ პირველი 25 წლის განმავლობაში მსოფლიოში გაბატონებული იყო ქეინზის პოლიტიკური რეკომენდაციები. განმტკიცდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ბერკეტების მეშვეობით შეუძლია თავიდან აიცილოს ეკონომიკის დაცემა. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა არნახულ აღმავლობას განიცდიდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში ახალი ტიპის პრობლემა გაჩნდა. რომელმაც გვერდზე გადაწია ქეინზის მოსაზრებები. მრავალი ქვეყანა სტაგფლაციის - ერთდროულად ინფლაციისა და სტაგნაციის (უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ან უარყოფითი ტემპების ერთობლიობა) პირისპირ აღმოჩნდა. ქეინზის მიმდევრებისათვის რთული აღმოჩნდა ისეთი მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოძებნა, რომელიც ეკონომიკის სტაბილურად განვითარებას უზრუნველყოფდა.



როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დემონსტრაცია მსოფლიო ეკონომიკისათვის უდიდესი კატასტროფა იყო. 1929-1932 წლების განმავლობაში წარმოების მოცულობა აშშ-ში, განახევრდა, გერმანიაში შემცირდა 40%-ით, საფრანგეთში - 30%-ით.

აღნიშნული ქვეყნები არნახულმა დეფლაციამ მოიცვა, ფასები დიდ ბრიტანეთში 23%-ით, გერმანიაში და აშშ-ში 30%-ით, საფრანგეთში 40%-ით შემცირდა. უდიდესი იყო უმუშევრობის მასშტაბები, ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/4 უმუშევარი იყო.

წილგულელო მოთხოვნის შემცირების გამო კრიზისმა მოიცვა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები იმპორტის მოცულობის შემცირების მიზნით ბევრმა სახელმწიფომ დააწესა ქვოტები, რასაც შესაბამისად სხვა ქვეყნების მხრიდან ანალოგიური მოქმედებები მოჰყვა. საგარეო ვაჭრობა კოლაფსში მოიცვა.

რამ გამოიწვია ეს კრიზისი? ქენზისის აზრით კრიზისის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ინვესტორთა მომავლისადმი რწმენის რყევა იყო. თავის ნაშრომში მან გაანალიზა მაკროეკონომიკური გარემო, რამაც საშუალება შექმნა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ანტიკრიზისული ზრდის იარაღად გადაქცეულიყო.

ქენზისისგან განსხვავებულად აღიქვამდა იმდროინდელ მოვლენებს, შემდგომში ნობელი პრემიის ლაურეატი, მილტონ ფრიდმენი და მისი თანაავტორი ანა შვარცი. მათი აზრით დემონსტრაციის უმთავრესი მიზეზი ამერიკის მთავრობის შემაჯავებელი ეკონომიკური პოლიტიკა იყო. ბანკების გაკოტრების წინააღმდეგ მიმართული მონეტარული ნაბიჯები, რომლებიც აშშ-ში გადაიდგა, ფრიდმენის აზრით, სრული კრაზით დასრულდა და საქმიანი ციკლის შიგნით ჩვეულებრივი დაცემა დიდ დემონსტრაციად გადააქცია.

ჩარლზ კინდლბერგერის (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) დაცემის წინააღმდეგ განვითარებული ქვეყნების ზრდის უმედეგო იყო მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დროისათვის მსოფლიო ეკონომიკას არ ჰყავდა ლიდერი, რომელიც შესძლებდა წინ აღდგომოდა საგარეო ვაჭრობაში შემოდებულ შეზღუდვებს და მსოფლიო ეკონომიკას კრედიტებს გამოუყოფდა. აღსანიშნავია, რომ აშშ თავად გადაიქცა საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული პოლიტიკის ინიციატორი, როდესაც 1930 წელს მიღებულ იქნა სმუთ-ჰოლის ტარიფი, რამაც ერთ-ერთი ყველაზე ცუდი როლი ითამაშა ეკონომიკური დაცემის შემდგომ ინსპირირებაში.

ის რომ ამ დროს მსოფლიო ეკონომიკას არ ჰყავდა ლიდერი, კინდლბერგერის აზრით შემთხვევითობა იყო ამ დროისათვის ბრიტანეთმა უკვე დაკარგა ეს როლი, ხოლო აშშ-ს ჯერ არ მიუღია იგი, ამასთან არ არსებობდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

პიტერ თემინის (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) აზრით დიდი დემონსტრაცია პირველი მსოფლიო ომისა და მისგან გამომდინარე კონფლიქტების დაგვიანებული გამოძახილი იყო. იმ დროს როდესაც გამარჯვებულები და დამარცხებულები რეპანაციების, საგარეო ვალდებისა და ფინანსური პრობლემების თაობაზე აგრძელებდნენ დისკუსიებს, ევროპის ქვეყნების უმეტესობა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც აძლიერებდა ურთიერთუნდობლობის მნიშვნელოვანი დონა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოჩნდა ჩართული მთელი მსოფლიო ამ პროცესებში, თემინის აზრით იგი გამოიწვია იმ დროისათვის გაბატონებულმა ოქროს სტანდარტმა². რამეთუ ოქროს სტანდარტი პრაქტიკულად გამოირიცხავდა დამოუკიდებელი ფულად-საყრდელი პოლიტიკის განხორციელებას. როგორც შემდგომში ჯეფრი ნაქსმა და ბარი ეიხენგრინმა დაადგინეს, ქვეყნებმა, რომლებმაც პირველებმა თქვეს უარი ოქროს სტანდარტზე, პირველებმა დასძლიეს დემონსტრაციის მარჩეხები.

² საერთაშორისო ოქროს სტანდარტი მოქმედებდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. მის შესაბამისად ძირითად საგადასმდელო საშუალებად აღიარებული იყო ოქრო, ხოლო ეროვნული ვალუტების ლინეებულება ოქროს გარკვეულ რაოდენობასთან იყო მიმხურული.

საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფო³ ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად განიხილებოდა და განიხილება. მიუხედავად სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესახებ ეკონომიკურ თეორიაში არსებულ აზრთა რადიკალური სხვადასხვაობისა, თანამედროვე სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში აქტიურად მონაწილეობს, რაც თავის მხრივ უცილობლად განაპირობებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობის ხარისხი განსხვავებულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ეკონომიკაში ყველგან გამოდის როგორც რეგულატორი (ანუ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებელი და განმახორციელებელი) და ასევე როგორც უშუალოდ ეკონომიკური სუბიექტი. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში თანდათანობით, მაგრამ განუხრელად იზრდება, რასაც თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ გაჩეულმა ხარჯებმა თუ 1913 წელს საშუალოდ GDP-ის 13% შეადგინეს, გასული საუკუნის ბოლოსათვის იგივე მაჩვენებელი უკვე 45% იყო.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია ის ინსტრუმენტები, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობების სხვა სუბიექტებს არ გააჩნიათ და როგორც ჩანს, მიუხედავად ეკონომიკურ თეორიაში არსებული ჯერ კიდევ იმეათი, მაგრამ თამამი გამონათქვამებისა, რომელიც შეეხება ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის (მაგალითად, ფულის) დენაციონალიზაციას, ისინი (ინსტრუმენტები) ალბათ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ისევ სახელმწიფოს ექსკლუზიურ მფლობელობაში დარჩებიან.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრულია როგორც ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სფეროში გატარებულ დონისძიებათა, ქმედებათა სისტემა და სახელმწიფოს მიზნებიდან, ამოცანებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პროცესებისათვის განსაზღვრული მიმართულებების მიცემა, ეკონომიკური ქცევების ან მათი შედეგების კაონტროლებაც და მათზე ზემოქმედება.

ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს სტრუქტურულ, საინვესტიციო, ფულად-საკრედიტო, სოციალურ, საგარეო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგადასახლო-საბიუჯეტო პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ არც ეს ჩამონათვალია სრულყოფილი და ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი სხვა „შემადგენელი პოლიტიკის“ მოძიება შეიძლება, კერძოდ ხელისუფლება ახორციელებს სამრეწველო, აგრარულ და ა.შ. ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ ჩვენი კვლევის სფერო, გაცილებით უფრო ვიწროა და ეკონომიკური პოლიტიკის მხოლოდ მაკროეკონომიკურ ასპექტებს შეეხება.

³ უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში გაგრცელებულია ტერმინი - არა „სახელმწიფო“, არამედ „მთავრობის“ ეკონომიკურ ფუნქციები, ეკონომიკური მიზნები და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენი აზრით, ალბათ მიზანშეწონილი იქნება მთავრობის ეკონომიკური ფუნქციების ზოგადად სახელმწიფოზე განგრცობა, რადგან ხელისუფლების დანაწილების კლასიკური პრინციპის თანახმად ძალიან ბევრ სახელმწიფოში (მათ შორის, ცხადია საქართველოშიც) მთავრობა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება და მთლიანად ვერ განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკას. შეიძლება გვეხმარა ტერმინი „ხელისუფლება“, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, როგორც ცენტრალურ (ზოგიერთ ქვეყანაში ფედერალურ), ისე ადგილობრივ დონეებზე, მაგრამ ტრადიციისადმი პატივისცემის ნიშნად და იმის ხაზგასასმელად, რომ ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილია რომელსაც სახელმწიფოს უფრო დიდი ნაწილის, მოსახლეობის წინაშე უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა გააჩნია და რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა ამოლოუტურ უმრავლესობაში არაპირდაპირი გზით (არჩვენები, რეფერენდუმები და ა.შ.) მოსახლეობაც მონაწილეობს პოლიტიკის, მშ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, ჩვენ, სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, ეკონომიკურ მიზნებზე და შესაბამისად ეკონომიკურ პოლიტიკაზე ვისაუბრებთ.



ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია და მიზნების მერჩევის, მიზნების მიღწევის შესაძლო ვარიანტების შემუშავებას და შეფასებას მოიცავს. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობაა.

სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მაკროეკონომიკური მიზნების, მათ შორის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და ფორმირებას უნდა დაეთმოს.

დია ეკონომიკაში (სწორედ ასეთი ტიპის ეკონომიკურ სისტემებზე ჩამოყალიბდა ან ყალიბდება მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის, და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური სისტემა) უმთავრეს მაკროეკონომიკურ მიზნებად შიდა და საგარეო წონასწორობათა მიღწევა შეგვიძლია დავასახელოთ.

შიდა წონასწორობა რესურსების სრულად გამოყენებასა და შიდა ფასების სტაბილურ დონეს გულისხმობს, ხოლო საგარეო წონასწორობა კი მიიღწევა, როცა სახელმწიფოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი არ არის იმდენად დეფიციტური, რომ იგი აღმოჩნდეს უძლური გადაიხადოს საგარეო ვალეები, ან ბალანსში არ არის ისეთი განდამეტი, რომელიც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდებს სხვა სახელმწიფოებს. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ შიდა ბაზარზე არსებული მდგომარეობა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს (თუმცა ანა გადაწყვეტი) როლს ასრულებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა წონასწორობა მიიღწევა როდესაც რესურსები (მათ შორის შრომითი) გამოიყენება სრულად, ხოლო ფასები შიდა ბაზარზე სტაბილურია.

სამუშაოსთვისა და ნორდჰაუსის მიხედვით 3 უმთავრესი მაკროეკონომიკური მიზანი არსებობს, ესაა

- 1) • პროდუქციის გამოშვების მაღალი დონე და სწრაფი ზრდა;
- 2) • დასაქმების მაღალი დონე, მცირე იძულებით უმუშევრობასთან ერთად;
- 3) • თავისუფალ ბაზრებზე ფასების სტაბილურობა.

შესაძლებელია ეს მიზნებიც "გაიშალოს", რაც პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომის უკეთეს საშუალებას მოგვცემს.

ამ მიზნით შესაძლოა მაკონფლისა და ზრიუს ფორმულირებით ვისარგებლოთ, რომელთა აზრით უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად უნდა მივიჩნიოთ:

- 1) • ეკონომიკური ზრდა;
- 2) • სრული დასაქმება;
- 3) • ეკონომიკური ეფექტიანობა;
- 4) • ფასების სტაბილური დონე;
- 5) • ეკონომიკური თავისუფლება;
- 6) • შემოსავლების სამართლიანი განაწილება;
- 7) • ეკონომიკური უზრუნველყოფა;
- 8) • სავაჭრო ბალანსი.

აღნიშნული მიზნებიდან ერთი შეხედვით, მხოლოდ ბოლო (სავაჭრო ბალანსი) განეკუთვნება უშუალოდ საგარეო მიზნებს, დანარჩენი შვიდი კი შიდა წონასწორობის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. თუმცა, დღეს, როცა მთელი მსოფლიო მისწრაფის გლობალიზაციისაკენ, რთულია რომელიმე კონკრეტულ მიზანს ეწოდოს შიდა ან საგარეო (ამ საკუთხზე უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი) და მისი მიღწევაც მხოლოდ შესაბამისად შიდა ან საგარეო ფაქტორებით იყოს შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას ეკონომიკური მყენიერებაში ერთიანი შეხედულება არ ჩამოყალიბებულა და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელს სხვადასხვა მიზნები მიაჩნია

პრობლემატულად, მაგრამ შემოთავაზებული მიზნების არსებობა თითქოსდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს

მის გამო, რომ კრედიტისა და ოსტეფელდის და სამუელსონისა და ნორდშაუსის მიერ ფორმულირებულ მიზნებს მკაონელობისა და ზრის მიერ ფორმულირებული მიზნების მოიცავს, და თანაც იგი უფრო დეტალურად აღწერს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელ მიზნებს, ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ უფრო დაწვრილებით

ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური მიზანი ეკონომიკური ზრდაა. იგი უფრო მტკი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას - ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთავად ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებულ რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდა გამოირიცხებოდა უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე

ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის გასათვალისწინებელია სავარყო ვაჭრობა (ექსპორტი და იმპორტი), რადგან ქვეყანაში შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ცვლილება გამოიწვევოს იყოს სხვა ქვეყნებში ამა-თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებით და შესაბამისად ექსპორტის წახალისებით ან შეზღუდვით და მისი მოცულობების შესაბამისი ცვლილებით, ან საპირისპირო პროცესები შეიძლება გამოიწვიოს სამამულო ზაზარზე გარკვეული სამამულო პროდუქციის უცხოურით ჩანაცვლების ხარისხის ცვლილებამ ადღენად, მხოლოდ პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდა სახელმწიფოს შიდა ეკონომიკური მიზანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები საკმაოდ მგრძობიარეა პარტნიორ (და არა მხოლოდ პარტნიორ) ქვეყნებში მიმდინარე პროცესების მიმართ, რაც ასევე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ამ თვის საუკეთესო დადასტურებაა რუსეთში 1998 წლის 18 აგვისტოს განვითარებული მოვლენები, რომლებმაც უდიდესი კვალი დაამჩნიეს საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს;

სრული დასაქმება - სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწეოს ყველას, რათა მათ ჰქონდეთ თავისი სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისი სამსახური. ერთი შეხედვით აღნიშნული მიზანიც თითქოს მხოლოდ სამიზნო მიზნების კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა დასაქმება გასცდა შიდა სახელმწიფოებრივ პრობლემას და გლობალური მასშტაბები მიიღო. ძალიან მეგრი აღამიანი საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს სამსახურს და მეგრიც სხვა ქვეყნიდან ჩამოდის სამუშაოს საძებნელად. ადღენად რთულია რაიმე მკვეთრი საზღვრის გაკლება ამ მიზნის მიღწევის სამიზნო და სავარყო ასპექტებს შორის;

ეკონომიკური ეფექტიანობა - შეზღუდული საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური უკუგების მიღება. ამ შემთხვევაშიც, სავარყო და სამიზნო ფაქტორების სინთეზთან გვაქვს საქმე, რადგან მხოლოდ კონკურენციის პირობებში მიიღწევა რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ამ შემთხვევაში, როცა საუბარი მაკროდონეზე გვაქვს, ხაზი უნდა გაესვას ქვეყნებს შორის კონკურენციას, ფარდობითი და აბსოლუტური უპირატესობის გამოყენებას, უცხოური ინვესტიციების დაზანდებას და ეროვნული ეკონომიკის დიფერენციალური სტრუქტურის სრულყოფას, რაც ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მიგვაჩნია;

ფასების სტაბილური დონე - ფასების საერთო დონის მკვეთრი ზრდისა და შემცირების, ანუ ინფლაციისა და დეფლაციისაგან თავის არიდება. აღსანიშნავია, რომ ფასების დონე ყველაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ვითარებაზე და ადღენად მისი განხილვაც აუცილებლად სავარყო ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გასათვალისწინებელია, რომ ფასების დონე ექსპორტ-იმპორტის განმსაზღვრელია და ადღენად მას განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც პირველი (ეკონომიკური ზრდა), ასევე მეორე (სავაჭრო ბალანსი) მიზნის მიღწევისათვის;

ეკონომიკური თავისუფლება - მწარმოებლები და მომხმარებლები თავის საქმიანობაში ატყუროილნი უნდა იყვნენ მაქსიმალური თავისუფლებით, რაც უნდა გამოიხატებოდეს ზაზარზე შესვლისა და გამოსვლის აბსოლუტური თავისუფლებით. ცხადია სიტყვა „აბსოლუტური“ ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს მართლაც აბსოლუტურს, მაგრამ

თავისუფლების ხანისიხი მაღალი უნდა იყოს. ეს კი გამორიცხულია მხოლოდ შიდა ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით, ან პირიქით შიდა ბაზრის სხვებისათვის ჩაკეტვით და პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკის გატარებით. ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა შეეძლოს თავისი შესაძლებლობების გამოყენება იქ, სადაც მათთვის ყველაზე კარგი პირობებია, რაც მომგებიანი იქნება როგორც მათთვის, ასევე სახელმწიფოსათვისაც;

შემოსავლების სამართლიანი განაწილება – მოქალაქეთა არცერთი ჯგუფი არ უნდა იმყოფებოდეს სიღატაკის მდგომარეობაში, მაშინ როცა სხვა ჯგუფები იმყოფებიან განცხრომაში. თუმცა თავისთავად ტერმინი „სამართლიანი“ ვერ ასახავს პრობლემის არსს. რა შეიძლება იწოდებოდეს „შემოსავლების სამართლიანი განაწილებად“, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს შეიძლება იყოს „კომუნისტების დიადი პრინციპის – ყველას მოთხოვნილებების მიხედვით“ ინტერპრეტაცია, სხვების აზრით კი „სოციალიზმის პრინციპის – ყველას შრომის მიხედვით“ განხორციელება. შესაძლოა ეს არც ერთია და არც მეორე (უფრო სწორედ, ეს არც ერთია და არც მეორე). როგორც წესი, საუბარი შეეხება „შედევების თანასწორობას“. ფიქრობთ, ამ მიზნის ქვეშ თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სოციალური და სხვა ტიპის გართულებების თავიდან აცილებაზე უნდა იყოს საუბარი და არა შემოსავლების მართლაც სამართლიანი განაწილებაზე, რადგან თვით „სამართლიანობის“ დადგენის არანაირი ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს. ვასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გარკვეული სუბიექტური, თუ ობიექტური მოვლენების ზეგავლენით აღმამანთა ნაწილი ტოვებს თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილს, როგორც დევნილები, ლტოლვილები ეძებენ პოლიტიკურ თუ სხვა სახის თავშესაფარს სხვა ქვეყნებში, რაც პრაქტიკულად კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის მათ მიმართ „შემოსავლების სამართლიანი განაწილების“ პრინციპის განხორციელებას და სახელმწიფოს ამ მიზნის არსს;

ეკონომიკური უზრუნველყოფა – სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ავადმყოფთა, შრომისუნარიანთა, მოხუცებულთა და იმ პირთა ღირსეული არსებობა, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არა აქვთ მინიმალური შემოსავალიც კი. განსაკუთრებით აქტუალური ხდება აღნიშნული მიზანი ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის ნაწილი იქცა დევნილად, ლტოლვილად. მათ თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილას დატოვეს მათი არსებობისათვის აუცილებელი ყველა ნივთი და ღვთის ანაზნაად არიან დარჩენილი. ამდენად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნა. სხიანი და აღმამანთა ნაწილი პოლიტიკური და სხვა მოსაზრებების გამო ტოვებს სამშობლოს და სხვა ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს. მიმდები ქვეყანა ვალდებულია მათ მიმართაც განახორციელოს ანალოგიური საქმიანობა და უზრუნველყოს ისინი საარსებო საშუალებებით, მანამდე მაინც, ვიდრე ისინი არ შეძლებენ საკუთარი არსებობისათვის საჭირო სახსრების თავად მოპოვებას;

სავაჭრო ბალანსი – სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს სწერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების დროს დაიცვას გონივრული ბალანსი. იმის მტკიცება, რომ სავაჭრო ბალანსის დაცვა მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო მიზანია, საკმარისი რთულია, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა იგი დიდადა დამოკიდებული ეკონომიკურ ზრდაზე, ფასების საერთო დონეზე; როგორც ცნობილია სავაჭრო ბალანსი სხვა არაფერია, თუ არა ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა⁴; მათი მოცულობები დამოკიდებულია როგორც წარმოების მოცულობასა და დარგთნაზე სტრუქტურაზე, ასევე მოხმარების მოცულობასა და სტრუქტურაზე, ამდენად აღნიშნული მიზნის მისაღწევად არ კმარა სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება და ხელოვნური ბარიერებით იმპორტის შეზღუდვა, საუბარი ალბათ უფრო მეტად ექსპორტის ხელშეწყობით პოლიტიკის განხორციელებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას უნდა შეეხებოდეს, რადგან თავად იმპორტი, თავისუფალი ბაზრის პირობებში, ძირითადად მაინც ადგილობრივ ბაზარზე დიფუციტის დათარვის საუკეთესო წყაროა. ამდენად იმპორტის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს და ბაზარს მიაწოდოს

⁴ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საუბარია „სავაჭრო ბალანსზე“ და არა „სავადამხდლო ბალანსზე“.

ანალოგიური პროდუქცია, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ ჩამოუვარდება მაინც იმ პროტულ ანალოგებს და ფასი კი არ აღემატება იმპორტული ანალოგების ფასს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთაღნიშნული მიზნების ინტერპრეტაცია კი საკმაოდ რთული და სანისკო საქმეა, რადგან თავად ამ მიზნების ამგვარი რედაქციის ავტორიც კი არ განმარტავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „მკვეთრ ზრდად“, „სამართლიან განაწილებად“, „გონივრულ ბალანსად“ და ა.შ. რაც იწვევს საკმაოდ დიდ დისკუსიას და ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობასაც კი, არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ მსჯელობებშიც⁵.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიზნები შეიძლება იყოს როგორც ურთიერთშემავსებელი, ასევე, ურთიერთგამომრიცხავი.

მაგალითად, ეკონომიკური ზრდა წარმოუდგენელია ეფექტიანობისა და სრული დასაქმების განრეგ. თავის მხრივ ეკონომიკური ზრდა ფასების სტაბილურ ღონესა და ეკონომიკურ უზრუნველყოფას განაპირობებს. ამასთან ინფლაციისა და დასაქმების ერთის მხრივ, და დასაქმებისა და ეკონომიკური უზრუნველყოფის ეკონომიკური მიზნები, მეორეს მხრივ, ასეთივე ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაციის ტემპების ზრდას, როგორც წესი, უმუშევრობის შემცირება (დასაქმების ზრდა) მოჰყვება და პირიქით, ხოლო დასაქმების ზრდა ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარებების (ეკონომიკური უზრუნველყოფის) აუცილებლობასა და მის ოდენობას.

სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური მიზანი – ეკონომიკური ზრდა, რომელზეც ზემოთ უკვე ვგვინდა საუბარი, ხშირ შემთხვევაში განემოზგე უარყოფითი ზემოქმედების ფასად მიიღწევა. ამდენად უკანასკნელ ხანს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება ეკოლოგიურ პრობლემებს ეთმობა.

აღნიშნული ეკონომიკური მიზნების განხორციელებაში ვლინდება სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციები, რომლებიც ჩვენ შევცხადოთ სახელმწიფოს ვლინდება სახელმწიფოს აღნიშნული მიზნების განხორციელების პრაქტიკული საფუძველი.

მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებითაც განსხვავდება, თუმცა გარკვეული კომპრომისების შემდეგ შესაძლოა აქვს მაკონფლისა და ზრიუს კლასიფიკაციით ვიხილმძღვანელოთ და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- *სამაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა;*
- *კონკურენციის დაცვა;*
- *შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;*
- *ერთგული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით რესურსების განაწილების კორექტირება;*
- *ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება;*

შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ფუნქცია (მაგალითად, ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება და შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება) პრაქტიკულად კონკრეტული ეკონომიკური მიზნიდან (ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, სრული დასაქმება და ფასების სტაბილური დონე და ეკონომიკური უზრუნველყოფა და შემოსავლების სამართლიანი განაწილება) უშუალოდ გამომდინარეობს, ამდენად მიზნები ასახავს ფუნქციების არსს. ამასთან ფუნქციების თანმიმდევრობას შევცვლით და მაკონფლისა და ზრიუს მიერ დასახელებულ პირველ ფუნქციას ფუნქციების ბოლოს განვიხილავთ, რადგან აღნიშნული ფუნქცია, ჩვენი აზრით ერთგვარ რეზიუმირებას უკეთებს დანარჩენ ფუნქციებს და ქმნის მათი შესრულების ბაზას.

⁵ აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბერნარდ მოუს ცნობილი გამოხატულებაში, რომელიც თავის წიგნში მოყვანილი აქვს თანამედროვეობის ერთ-ერთ ცნობილ ეკონომისტს ნ. გრეგორი მენკიუს – „ეკონომისტებს თუნდაც ერთი საქმის ბოლომდე მიყვანაც რომ დაევალონ, ისინი ვერასოდეს ვერ შეთანხმდებიან“. სწორედ აღნიშნული თემა უდევს საფუძვლად ჩვენს მსჯელობებსაც, რადგან საკმაოდ ერთიანი პოზიციის მოძიება.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები „ბაზრის ფიასკოს“ დაძლევის საშუალებად. თუ განვიხილავთ მაკონელოსა და ზრიუს რედაქციით ჩამოყალიბებული ფუნქციებს (გარდა პირველისა) დაეინახავთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები „ბაზრის ფიასკოს“ სამი შემადგენელი ნაწილის საზოგადოებრივი დოვლათის, საზოგადოებრივი საქონლის⁶ (მ.შ. კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის) წარმოებას, გაერე (ექსტერნალური) ეფექტებისა და არასაკმარისი კონკურენციის დაძლევის „ემსახურებიან“.

კონკურენციის დაცვა – იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენცია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დროს განვითარების უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორია და ამასთან მწარმოებლების ინტენესების მომხმარებლის ინტენესებისადმი დამორჩილება სწორედ კონკურენციის წყალობით ხდება და ბაზარი მომხმარებლის ინტენესების დაცვის ფუნქციას იძენს, როდესაც მას (მომხმარებელს) საშუალება აქვს მისთვის სასურველი ფასისა და თვისებების პროდუქცია შეიძინოს, გასაგებია ხდება, თუ რატომაა მისი შენარჩუნება აუცილებელი, მაგრამ ბაზარი, რომელიც არ არის თვითრეგულირებადი სისტემა, კონკურენციის მეშვეობით ებრძვის კონკურენციას, ანუ ძლიერისა და სუსტის ბრძოლა, რომელიც განვითარების სტიმულია, შესაძლოა ბაზარზე მხოლოდ ერთი მათგანის, ძლიერის დარჩენის საფუძველი გახდეს. „ჯუნგლების კანონი“, რომელიც შესაძლებელი ხდება ეკონომიკურ ურთიერთობებში გადმოვიდეს, საბოლოო ჯამში მომხმარებლის ინტენესებს შელახავს, რადგან შეზღუდული კონკურენციის პრობებში მონოპოლისტს შესაძლებლობა ეძლევა ბაზარზე მომხმარებელს საუბრითი ფასი და სხვა პირობები უკანახოს. თუ გავთვალისწინებთ აქსიომატურ გამონათქვამს, რომ ყველა მწარმოებელი მომხმარებელია, მაგრამ ყველა მომხმარებელი – მწარმოებელი არაა, ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცავს უმრავლესობის ინტერესი და შეზღუდოს მონოპოლისტური გაერთიანებების წარმოქმნა, ხოლო თუ გარკვეული პირობების გამო, შეზღუდვა შეუძლებელია, მაშინ პირობები (მ.შ. ფასი, ხარისხი და ა.შ.) უკანახოს მეწარმე სუბიექტებს, ან თავად სახელმწიფო იყოს მონოპოლისტი და ამით აღმოეზინოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი და „ბაზრის ფიასკო“.

რესურსების გადანაწილება – ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების საჭირო რაოდენობით წარმოებას ვერ უზრუნველყოფს, ან საერთოდ არ გამოყოფს რესურსებს იმ საქონლის საწარმოებლად, რომლის წარმოებაც ეკონომიკურად მეწარმისათვის გაუმართლებელია, მაგრამ საზოგადოებისათვის აუცილებელია. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება „გარეგან ეფექტებს“, ხოლო მეორე შემთხვევაში ე.წ. „საზოგადოებრივ საქონელს“.

„გარეგან ეფექტებად“ უნდა მივიჩნიოთ ის ეფექტები, რომელსაც წარმოება ახდენს პირზე (მ.შ. ბუნებაზე) და ამ ეფექტების დაძლევისათვის ხარჯები უნდა გაიღოს მესამე პირმა, ანუ მან ვისაც არც წარმოების და არც მოხმარების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია⁷, ხოლო „საზოგადოებრივ დოვლათს“ განეკუთვნება ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის გამორიცხვადი (დამატებით მომხმარებელს შეუძლია მისი უსასყიდლოდ მიღება და შეუძლებელია რაიმე ბარიერის დაწესება, რათა მომხმარებლისათვის მისი გამოყენება მიუწვდომელი გახდეს და, შეუძლებელია მომხმარებლების გამორიცხვა ამ საქონლის მოხმარების პროცესიდან) და კონკურენტული (წარმოების ნებისმიერი მოცემული დონისას ზღვრული დანახარჯები დამატებითი მომხმარებლისათვის ნულის ტოლია), ხოლო კვაზისა-

⁶ დოლანისა და ლინდსის ნაშრომის რუსულენოვან ვერსიაში, ისევე როგორც სხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „общественные блага“, ამ ბოლო დროს კი ქართულ ლიტერატურაში შეიმჩნევა ტერმინი „საზოგადოებრივის“ ტერმინი „საჯაროთა“ ჩანაცვლების ტენდენცია.

გარე ეფექტის საუკეთესო მაგალითია ქიმიური ან მეტალურგიული წარმოება, რომელიც გამოწვევით ზიანს აყენებს გარემოს. აღნიშნული ზიანის დაფარვა უწყებს არა თავად წარმოებას, არამედ მოსახლეობას, რომელსაც შესაძლოა არანაირი შეხება არც წარმოებასთან და არც მომხმარებასთან არ ჰქონდეს. წარმოება კი ერთგვარ ეკონომიას აკეთებს და მის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს (მათ შორის დამატებითი მოწყობილობების შექმნაზე ან მყვებელი ზარალის კომპენსაციაზე) არ ფარავს.

ზოგადოებრივია საქონელი, რომელიც შეიძლება იყოს ან კონკრეტული ან გამოირიცხება, ან ორივე ერთად. ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაშიც მასშტაბის ეფექტს აქვს მნიშვნელობა.

გარეგანი ეფექტების წყალობით, იმის გამო, რომ კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტი ახდენს მის მიერ გასაჩევი ხარჯების შესაბამის პირზე გადატანას, მისაღები მოგების ოდენობა იზრდება და ფინანს რესურსების გადაღების წყალობით წარმოების გაფართოებას ახდენს.

სახელმწიფო ვალდებულია დააჩქაროს გარკვეული ნორმები და/ან გადასახადები, რომლებიც შეზღუდავს ასეთი ტიპის საწარმოთა გაფართოებას ან მიღებულ სახსრებს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიზანთავს.

გარეგანი ეფექტები შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითიც. მაგალითად, განათლება, ვაქცინაცია და სხვ. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება წაახალისოს ან მოთხოვან (ტრანსპორტის სახით), ან მიწოდება (სუბსიდირების სახით), ან თავად გამოვიდეს მეწარმის როლში.

სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე „საზოგადოებრივი დოვლათის“ შემთხვევაში. საზოგადოებრივი დოვლათის კლასიკური მაგალითია შუქურა, რომლის მომსახურების მიღება და შესაბამისად ღირებულების გადახდაც ე.წ. „გამორიცხვის მეთოდით“ შეუძლებელია. ამდენად ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს კერძო კომპანია, რომელიც დააფინანსებს მას, არადა ბევრ ადგილას ნავიგაცია შუქურას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად სახელმწიფო თავად იღებს ვალდებულებას დააფინანსოს ანალოგიური დოვლათი.

საბაზრო სისტემის ნაკლოვანებების („ბაზრის ფისაკოს“ შემადგენელი ნაწილების) დაძლევის მიზნით სახელმწიფო თავად იწყებს გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც აუცილებლად უნდა შესასრულოს სახელმწიფომ, არის შემოსავლების და სიმდიდრის გადანაწილება, რათა მიღწეული იყოს სოციალურად დაუცველი ფენების დაცვა და ე.წ. „შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება“. მაგრამ რეალურად აღნიშნული ფუნქციის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფა და არა სიმდიდრის თანაბარი გადანაწილება.

აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო საკვდასახადო სისტემას იყენებს და ბევრჯერ რა მაღალშემოსავლიან ფენებს, ამონაგები თანხებით ცდილობს ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების „კული მოიგოს“.

ეკონომიკის სტაბილიზაციას და ეკონომიკური ზრდის წახალისების ფუნქცია – შეიძლება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მკაროეკონომიკურ ფუნქციად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მაკროდონეზე მიკროეკონომიკის წარმატებულად ფუნქციონირების წახალისებასთან, რაც შესაბამისი მაკროეკონომიკური ინდიკატორების წყალობით მიიღწევა. კერძოდ, ფასების სტაბილური დონის, დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფით სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი გარემო შექმნას, რომელშიც მეწარმე მხოლოდ წარმოებაზე იფიქრებს და არა იმ რისკზე, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან „სიურპრიზად“ მოველინოს.

ამგვარად, ჩვენ მივადექით სახელმწიფოს უმთავრეს ეკონომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივ) ფუნქციას, საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნას. აღნიშნული ფუნქცია გარკვეულად აერთიანებს ყველა დანარჩენ ფუნქციას, რადგანაც ზემოთაღნიშნული ფუნქციების შესრულების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, „თამაშის წესები“ და სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტებია. ვასათვალისწინებელია, რომ საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად დიდადა დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე და სოციალურ ფაქტორებზე. არავისთვის საიდუმლო არაა წარმოადგენს, რომ რუსეთში 1917 წლის თებერვალში და ოქტომბერში განხორციელებული გადატრიალებები, რომელსაც ჩვენ „თებერვლის რევოლუციისა“ და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ სახელებით ვიცნობთ, სოციალური უკმა-

ყოფილებების ბაზაზე მოხდა. ამდენად სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ფუნქციების შესრულება, ზოგადად საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისათვის საფუძველს ქმნის განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური რისკი მაღალია.

სახელმწიფოს მხრიდან სწორედ აღნიშნულ ეკონომიკური მიზნებსა და ეკონომიკურ ფუნქციებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში და მათ ჯეროდენადაც შესრულების პროცესში, თანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და აღსრულებაში გამოიხატება პოლიტიკის, და უპირველეს ყოვლისა მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკაზე ზემოქმედების ბერკეტების თავლ-საზრისით სახელმწიფო საკმაოდ შეზღუდულია, ამდენად ეკონომიკური მიზნების სწორად შერჩევას, მათი მიღწევის შესაძლო ვარიანტების გათვალისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

იმის და მიხედვით, თუ რომელი მიზნების პრიორიტეტულობას ირჩევს სახელმწიფო, შესაძლებელია მისი (უფრო სწორი იქნებოდა აღბათ ხელისუფლების) "ხასიათის", კერძოდ კი მისი სოციალური ორიენტაციის დადგენა.

თუ, სახელმწიფო ძირითად პრიორიტეტად აღიარებს ეკონომიკურ ზრდას, იგი ვერ მიიღწევა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდის გარეშე, რაც ისედაც ეფემერულ „შემოსავლების სამართლიან განაწილებას“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და პირველ ეტაპზე სოციალური პროგრამების დაფინანსებასაც ამცირებს. შემდგომში, როცა ეკონომიკურ ზრდას უკვე ხელშეახები შედეგები ექნება, სოციალური უზრუნველყოფის საკითხების მნიშვნე-ლოვნად წამოწევაც გახდება შესაძლებელი.

2. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ისე, როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, მაკროეკონომიკაც თეორიისა და დაკვირვების ურთიერთობაზეა დამყარებული. მაკროეკონომიკური მეცნიერების მიზანი ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის შესწავლაა. თეორიის საფუძველს ეკონომიკური დაკვირვებები წარმოადგენს. ამა თუ იმ თეორიის შემუშავების შემდეგ კი კვლავ დაკვირვებების მეშვეობით თეორიის ჭეშმარიტების დადგენა ხდება.

ეკონომიკაში მონაცემთა ერთ-ერთ წყაროს შემთხვევითი დაკვირვებები წარმოადგენს. მალაჩივში საბარულისას თქვენ ამჩნევთ, თუ როგორც იცვლება ფასები, ასევე თუ ყიშბთ სამსახურს თქვენ გეზულობთ არის თუ არა თავისუფალი სამუშაო ადგილები.

სახელმწიფო გაცილებით სისტემურად აგროვებს ინფორმაციას. იგი აწყობს სპეციალურ გამოკვლევებს იმისათვის, რათა დაადგინოს მოქალაქეთა და ფერმების შემოსავლების მოცულობა, მოთხოვნის სტრუქტურა, ფასები. მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც ერთობლივად ეკონომიკის მდგომარეობას ასახავენ. მაკროეკონომისტები ამ მაჩვენებლებს ანალიზისათვის იყენებენ. სწორედ ეს მაჩვენებლები და მათი ანალიზი უდევს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას.

2-1. ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაზომვა. მთლიანი შიდა პროდუქტი

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის რეალური შესწავლის გარეშე, რომელიც თავის მხრივ ზუსტი ინფორმაციის არსებობას ეყარება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტ ანალიზს, ასევე ეკონომიკური მიზნების შესაძლო მიღწევის შემთხვევაში მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს. ამდენად ინდიკატორებს, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის აუცილებელ ეკონომიკურ (მ.შ. სტატისტიკურ) ინფორმაციას მოგვაწვდიან, და რომელსაც მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს ვუწოდებთ, სწორი, ოპტიმალური და ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მხოლოდ მაკროეკონომიკური ინდიკატორების შემფეობითაა შესაძლებელი ეკონომიკისათვის "ზუსტი დიაგნოზის დასმა" და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შერჩევისა და გატარების შემთხვევაში შესაძლო შედეგების განჭვრეტა.

უმთავრესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე უფრო ნათელ და სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე არის GDP. რომელის შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ყველა ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავალი და/ან საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის გაწეული ერთობლივი დანახარჯები.

საყოველთაოდ მიღებული განმარტების შესაბამისად GDP არის წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებათა ჯამი.

GDP-ის მეშვეობით ეკონომიკის მდგომარეობის დახასიათებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაღალი შემოსავლები უკეთესია, ვიდრე დაბალი, ამასთან რაც მაღალია წარმოების მოცულობა, მით მაღალია ცხოვრების დონე.

GDP ერთდროულად ზომავს როგორც შემოსავლებს, ისევე ხარჯებს, ვინაიდან საბოლოო ჯამში ეკონომიკაში შემოსავლები და ხარჯები ერთმანეთის ტოლია⁸, ანუ შემოსავალი და ხარჯი ერთი და იგივე ეკონომიკური ტრანზაქციის ორი სხვადასხვა მხარეა. თუ შეიძლების მიერ გადახდილი თანხა მისთვის ხარჯია, გამყიდველისათვის იგივე თანხა შემოსავალია და ა.შ.


⁸ დაახლოებით იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც დედამიწაზე აღმართებისა და დაღმართების ჩაოთენობა ტოლია.

გამოიყენოთ მოდელირების პრინციპი და წარმოვიდგინოთ უმარტივესი ეკონომიკური მოდელი, რომელშიც მხოლოდ ერთი პროდუქტი - პური, მხოლოდ ერთი რესურსით - შრომით იწარმოება. აღნიშნული მოდელი 2.1 ნახატზეა წარმოდგენილი.

2.1 ნახატი ყველა ეკონომიკურ ვარიანტს აღწერს. შიდა წრე პურისა და შრომის მიწოდებას ასახავს. საოჯახო მეურნეობები ყოფიან შრომას, რომელსაც ყიდულობენ ფირმები. ამრიგად შრომა საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ მიემართება, ხოლო პური კი პირიქით, ფირმიდან საოჯახო მეურნეობისაკენ.

გარეთა წრე კი ფულის შესაბამის ნაკადებს აღწერს. საოჯახო მეურნეობები ფირმებს პურის სანაცვლოდ ფულს უხდიან. ფირმები კი სანაცვლოდ შემოსავლების ნაწილს ხელფასის სახით უკან უბრუნებს საოჯახო მეურნეობებს, ხოლო მეორე ნაწილი კი მათი დამფუძნებლების მოგებაა, ცხადია მესაკუთრეც საოჯახო მეურნეობების ნაწილია. ამგვარად შემოსავლები პურიდან მიემართება ფირმებისაკენ, ხოლო ხელფასებისა და მოგების სახით კი ფირმიდან საოჯახო მეურნეობებისაკენ.


GDP ეკონომიკაში ფულის ნაკადებს ასახავს. იგი ორი მეთოდით შეგვიძლია გავიანგარიშოთ. უპირველეს ყოვლისა ესაა პურის წარმოებისაგან მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიღებული ხელფასისა და მოგების ტოლია (ნახატზე წრებრუნვის ზედა ნაწილი). ამავე დროს GDP ეს არის პურის შექმნაზე გაწეული ერთობლივი დანახარჯი (წრებრუნვის ქვედა ნაწილი). ამგვარად GDP-ის დანახარჯებისათვის ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ან ზედა - შემოსავლების, ან ქვედა - დანახარჯების ნაწილი.



როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შემოსავლებისა და დანახარჯების ტოლობა აღრიცხვის წესიდან გამომდინარეობს: საქონლის შექმნაზე გაწეული ნებისმიერი დანახარჯი აუცილებლად ამ საქონლის მწარმოებლის შემოსავალია. ამდენად ნებისმიერ ვარიანტს, რომელიც იწვევს დანახარჯების გაზრდას აუცილებლად შემოსავლების გაზრდაც მოყვება. თუ წარმოვიდგინოთ, რომ მწარმოებელმა ერთი პურით მეტი შემოსავლების გაზრდაც მოყვება. დანახარჯები გაიზრდება (უფრო მეტი ხელფასის გადახდა მოუწევს მწარმოებელს, თუ მან მეტი მუშახელი დაიქირავა) სანაცვლოდ უფრო მეტ შემოსავალსაც მიიღებს საოჯახო მეურნეობა (თუ მწარმოებელი არ გაზრდის ხელფასს, მაშინ გაიზრდება მისი მოგება, რაც ასევე საოჯახო მეურნეობის შემოსავალია).

ეკონომისტების მიერ შესწავლილი მაჩვენებლები ორი ტიპისაა, ისინი შესაძლოა განვიხილოთ როგორც ნაკადები ან მარაგები. მარაგი არის რაოდენობა დროის გარკვეული მომენტისათვის, ხოლო ნაკადი დროის გარკვეული ერთეულისათვის.

აგზი, რომელიც 2.2 ნახატზეა გამოსახული, ნაკადისა და მარავის განმარტების კლასიკური მაგალითია. წყლის მოცულობა აგზში - მარავია, ხოლო ონკანიდან დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული წყლის მოცულობა კი ნაკადი. აღნიშნულია, გამომდინარე ნაკადისა და მარავის გასაზომად სხვადასხვა ერთეული გამოიყენება: ჩვეულებრივად, რომ აგზში 500 ლიტრი წყალია, მაგრამ ამვე დროს მასში ჩაედინება 2 ლიტრი წყალი.



ზოგჯერ ნათელია, გავერკვეთ იმაში ესა თუ ის ცვლადი მარავია თუ ნაკადი, აგზთან მიმართებაში ყველაფერი ნათელია, წყალი, რომელიც აგზშია, მარავია, ხოლო წყალი რომელიც ჩაედინება აგზში - ნაკადი, ანალოგიურად ეკონომიკაშიც - ადამიანთა ქონება მარავია, შემოსავალი და ხარჯი კი ნაკადი, უმუშევართა რაოდენობა მარავია, ადამიანები რომლებიც კარგავენ ან შოულობენ სამუშაოს - ნაკადი, ეკონომიკაში დაგროვილი კაპიტალი მარავია, ინვესტიციები - ნაკადი, სახელმწიფო ვალი მარავია, ბიუჯეტის დეფიციტი კი ნაკადი.

GDP-ის გაანგარიშების ზოგიერთი პრინციპი

ჰიპოტეტურ ეკონომიკაში, რომელსაც ჩვენ ზემოთ ვიხილავდით, GDP-ის გაანგარიშება ძალიან მარტივია, უზნალოდ პურის შექმნაზე გაწეულ დანახარჯებს შევკრიბავთ და GDP-იც მზადაა, გაცილებით რთულია თუნდაც საქართველოს GDP-ის გაანგარიშება, საუბარი აღარაა სხვა, ტენიტორიულად და მოსახლეობით, ან თუნდაც ეკონომიკური სიძლიერის თვალსაზრისით უფრო დიდ ქვეყნებზე. ასეთ შემთხვევაში ასე მარტივად, ყველა საქონლისა და მომსახურების ფასების ჩრფედად შეკრებით GDP-ის გაანგარიშება არა თუ გართულებდა, არამედ წარმოუდგენელიც კი ხდება. ამდენად სხვა მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული.

გავაგრძელოთ ჩვენს ჰიპოტეტურ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც მხოლოდ პური იწარმოება. დავუშვათ მეწარმემ გადაწყვიტა დამატებითი მუშა ხელის დაქირავებით დამატებითი ერთეული პური გამოაყოს, უხდის მათ ხელფასს, ხოლო დამატებითი პურის გაყიდვა არ შეუძლია, რა მოუვა ასეთ შემთხვევაში GDP-ის?

ამ შემთხვევაში GDP-ის ზედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოუვა იმ პურს, რომელიც ვერ გაიყიდა. თუ პური გადავადებელია, მაშინ ფირმის მოგება მცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობით ხელფასიც დამატებით იქნა გადახდილი ხელფასის სახით, რადგან ფირმამ გადაიხადა ხელფასი, მაგრამ სანაცვლოდ არანაირი სარგებელი არ მიუღია. ამდენად GDP არ შეიცვლება, მიუხედავად იმისა, რომ შეიცვლება მისი სტრუქტურა, ანუ გაიზარდა ხელფასი და შემცირდება ფირმის მოგება. მაგრამ შესაძლოა პური შენახულ იქნეს მარაგში და რელიაზებულ იქნეს მოგვიანებით, ამ შემთხვევაში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესაბამისად ეს ოპერაცია სხვაგვარად აღიწერება, კერძოდ კი ითვლება რომ მწარმოებელმა თავად შეიძინა პური "მარავისათვის", რათა მომავალში გაყიდოს და მიიღოს მოგება, ამდენად



GDP ვიზრდება, ვიზრდება როგორც შემოსავალი (გაზრდილი ხელფასის სახით), ასევე დანახარჯი (გაზრდილი მარაგის სახით), ითვლება რომ ამგვარად ფინანს ახორციელებს ინვესტიციებს მარაგებში. ამგვარად, მარაგების ზრდა GDP-ის ისევე ზრდის როგორც გაყიდვებისათვის წარმოებული პროდუქცია.

ესლა ჩვენი ეკონომიკა ოდნავ "გაერთულოთ" და დავეუვათ, რომ პურის გარდა ეკონომიკა კარაქსაც აწარმოებს. ცხადია არც ასეთი "მინი" ეკონომიკაა რეალობასთან ახლოს, რადგან რეალობაში ეკონომიკა ათასობით და ათეულობით ათასი დასახელების პროდუქციასა და მიმსახურებებს ქმნის, მაგრამ ჩვენს შიპოტეტურ მოდელს გაამდიდრებს. რეალობაში GDP ყველა სახის საქონლისა და მომსახურების შეჯამებული მაჩვენებელია. ეკონომიკაში წარმოებული საქონლის მრავალსახეობა GDP-ის გაანგარიშებაში პრობლემებს ქმნის.

დავეუვათ წლის განმავლობაში ეკონომიკა აწარმოებს 4 პურსა და 5 კილოგრამ კარაქს. როგორ უნდა გავიანგარიშოთ GDP? ჩვენ შეგვიძლია უბრალოთ შევკრიბოთ პურისა და კარაქის რაოდენობა და ვთქვათ რომ 4 პური და კარაქი ერთად არის 9, მაგრამ ასეთ მიმატებას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ პური ზუსტად 1 კილოგრამს იწონის, ან თუ 1 პური და 1 კილოგრამი კარაქი ერთი ფასი ღირს, რაც რასაკვირველია ასე არ არის. კიდევ უფრო რთულია ღვინისა და ქვანახშირის შეკრება.

იმისათვის, რათა უფრო მარტივი გახდეს ეს პროცესი, ჩვენ შესაძლოა წარმოებული საქონლის საბაზრო ფასი გამოვიყენოთ. საბაზრო ფასი ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია, რადგან ის გვიჩვენებს იმ თანხას, რომლის გადახდასაც ადამიანები აპირებენ ამა თუ იმ საქონელში. თუ ერთი პური ღირს 50 თეთრი, ხოლო 1 კილოგრამი კარაქი ღირს 6 ლარი, მივიღებთ, რომ

$$GDP = (\text{პურის ფასი} \times \text{პურის რაოდენობა}) + (\text{კარაქის ფასი} \times \text{კარაქის რაოდენობა}) = (0,5 \times 4) + (6 \times 5) = 32$$

ამგვარად GDP = 32 ლარს, რაც ყველა პურისა (2 ლარი) და ყველა კარაქის (30 ლარი) ღირებულებათა ჯამია.

სხვაგვარად რომ ჩავეწერთ $GDP = \sum pq = p_1q_1 + p_2q_2 + \dots + p_nq_n$, სადაც p არის n-ური საქონლის ფასი, ხოლო q - კი n-ური საქონლის რაოდენობა.

ცნობილია, რომ ზვენი საქონლის წარმოებისათვის რამდენიმე ეტაპია საჭირო. ერთი ფინანს ნედლეულისაგან ქმნის პროდუქციას, რომელიც მეორე ფინანსისათვის ნედლეულია. ამ შემთხვევაში აღნიშნული ტიპის პროდუქციის GDP-ში გაანგარიშებას თავისებურება გააჩნია. განვიხილოთ ერთი მაგალითი, დავეუვათ გლეხმა მოიყვანა 2000 ლარის ხორბალი, რომელიც წისქვილკომბინატს მიყიდა. წისქვილკომბინატმა გადაამუშავა ხორბალი და მიღებული ფქვილი პურის საცხობს 4000 ლარად მიყიდა. მესამე ეტაპზე პურის საცხობმა გამოაცხო პური და 5000 ლარად გაყიდა. თუ ჩვენ GDP-ის გაანგარიშებისას გავითვალისწინებთ ყველა ეტაპზე შექმნილი პროდუქციის ღირებულებას, გამოვა, რომ GDP 11 ათასი ლარს უდრის (2000+4000+5000), რეალურად კი იგი მხოლოდ 5000 ლარის ტოლია, რადგან მხოლოდ გამოცხვარი პურის ღირებულებას მოიცავს, ხოლო ხორბლისა და ფქვილის ღირებულებას კი არა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გაყიდული ფქვილის ფასი მოიცავს ხორბლის ფასს, ხოლო პურის ფასი კი მოიცავს ფქვილის ფასს, ანუ პურის ფასი მოიცავს როგორც ფქვილის, ისე ხორბლის ფასს. თუ ჩვენ შევკრიბავთ ყველა ამ კომპონენტს, მაშინ ორმაგ აღრიცხვასთან გვექნება საქმე და ამჟამად დამახინჯებულ და გაბერილ მაჩვენებლებს მივიღებთ. რეალურად ხორბლის ფასი 3-ჯერ იქნება გათვალისწინებული.

GDP-ის გაანგარიშების ერთ-ერთი მეთოდი წარმოების ყოველ ეტაპზე დამატებული ღირებულებების შეკრებას გულისხმობს. თუ ჩვენს მაგალითს მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ გლეხის მიერ შექმნილია 2000 ლარის დამატებული ღირებულება, ასევე 2000 ლარია (4000 - 2000) წისქვილკომბინატის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, ხოლო პურის საცხობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება კი 1000 ლარია (5000 - 4000), GDP კი დამატებული ღირებულებების ჯამია და იგი 5000 ლარს უდრის. როგორც ვხედავთ ორივე მეთოდით გაანგარიშებული GDP ერთმანეთის ტოლია. სხვაგვარად რომ ჩავეწერთ

$$GDP = \sum VA \text{ სადაც } VA \text{ დამატებული ღირებულება.}$$

როდესაც საქონელთა საბაზრო ფასი ცნობილია, GDP-ის გაანგარიშება შედარებით მარტივია, მაგრამ ზოგჯერ გარკვეული საქონლის ან მომსახურების ფასი უცნობია, რადგან ისინი ბაზარზე არ იყიდება. მაგრამ ისინიც შეიტანება GDP-ის მოცულობაში. ამდენად საჭირო ხდება პირობითად დარიცხული ღირებულებების შემეფოთით მათი გაანგარიშება.

პირობით დარიცხული ღირებულება გამოიყენება მაგალითად საცხოვრებელი მიწების სფეროში გაწეული მომსახურების გასაანგარიშებლად. ადამიანი, რომელიც ქირაობს ბინას იხდის ბინის ქირას, რაც დამქირავებლისათვის ხარჯია, ბინის მესაკუთრისათვის შემოსავალია. ამ შემთხვევაში გასაგებია, თუ GDP როგორ გაანგარიშდება. მაგრამ თუ ადამიანი საკუთარ ბინაში ცხოვრობს, მაშინ სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია.

რადგან GDP ითვალისწინებს "ბინის ქირას", მაშინ მასში უნდა შევიდეს არა მხოლოდ ის თანხა, რომელსაც მდგმურები უხდიან მესაკუთრეებს, არამედ ისიც, რომელსაც მესაკუთრეები საკუთარ თავს უხდიან". მიუხედავად იმისა, რომ ბინის მესაკუთრეები თავის თავს რეალურად, ცხადია, არაფერსაც არ უხდიან, მაგრამ ითვლება, რომ GDP-ის მოცულობაში შედის ის თანხა, რომელსაც მესაკუთრეები გადაუხდიდნენ ბინის სხვა მესაკუთრეს ან სხვა დამქირავებელი გადაუხდიდა მათ, იმ შემთხვევაში, რომ თავად ქირაობდნენ ან აქირავებდნენ ბინას. ბინის ეს ქირა გაითვალისწინება როგორც მესაკუთრეთა როგორც შემოსავალი, ისე ხარჯი.

ასევე ხდება იმ მომსახურების შეფასება, რომელსაც სახელმწიფო უწყებს მოქალაქეებს. მაგალითად გაურკვეველია თუ რა ღირს მინისტრის, დეპუტატის, რომელიმე კლერკის, პატრულის, სახანძროს, ჯარისკაცის მომსახურება. თუ ბინის ქირასთან დაკავშირებით არსებობს რაღაც კრიტერიუმი, ამ შემთხვევაში ეს კრიტერიუმიც აღარ არსებობს. რადგან მსგავსი მომსახურება ბაზარზე არ იყიდება. ამდენად ითვლება, რომ ამ ადამიანთა მიერ გაწეული მომსახურების საფასური მათ მიერ მიღებული ხელფასია.

კიდევ ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ბინის ქირის მსგავსად GDP უნდა მოიცავდეს ავტომობილების, ძვინფავიულობების ქირას, ან ოჯახში მოშადღებუი კვრძმების ღირებულებას. მწვადი, რომელსაც რესტორანში მიირთმევენ, შედის GDP-ში, ხოლო მწვადი რომელიც სახლში, საკუთარი ღირის დაკვლის შემდეგ მიირთვით - არა. ასევე არ შედის GDP-ის შემადგენლობაში არაღვეალურად წარმოებული საქონლის, მაგალითად ნარკოტიკების, ღირებულება.

გასაგები მიზეზების გამო (თუნდაც პირობით დარიცხული ღირებულების გაანგარიშებაში არსებული პრობლემები) GDP არ არის იდეალური მაჩვენებელი. თუმცა იგი სხვადასხვა დროის მაჩვენებლების შედარების კარგ საშუალებას იძლევა.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ GDP-ზე საუბრის დროს არის ფასები. დავუბრუნდეთ ჩვენი პურისა და კარაქის მწარმოებელ სახელმწიფოს და გავიხსენოთ GDP-ს ფორმულა:

$GDP = (\text{პურის ფასი } X \text{ პურის რაოდენობაზე}) + (\text{კარაქის ფასი } X \text{ კარაქის რაოდენობაზე})$
ამ ფორმულიდან ჩანს, რომ GDP-ის ზრდა შესაძლოა გამოიწვიოს როგორც წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, ასევე ფასების ზრდამაც. ამრიგად ამგვარად გათვლილი GDP ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტ ბარომეტრად ვერ გამოდგება. იგი მთლად ზუსტი არაა მომხმარებლების, ფირმების, სახელმწიფოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აღწერაში. ფასების სამჯერ გაზრდის შემთხვევაში, წარმოების იმავე მოცულობის პირობებში GDP-იც სამჯერ გაიზრდება. ცხადია, არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მოსახლეობამ, ფირმებმა, ან თუნდაც სახელმწიფომ სამჯერ მეტი მოიხმარეს, რადგან წარმოებული პროდუქციის მოცულობა არ შეცვლილა. GDP-ის, რომელიც მიმდინარე ფასებშია აღზომება ნომინალური GDP ეწოდება.

იმისათვის რათა ეკონომიკის მდგომარეობა ზუსტად აისახოს, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ოდენობა არ უნდა იყოს ფასების ცვლილების ზეგავლენის ქვეშ. ამ ამოცანას პასუხობს რეალური GDP, რომელიც მუდმივ ფასებში გაანგარიშდება. მისი გაანგარიშებისათვის ირჩევენ საბაზისო წელს, მაგალითად 1995 წელს, შემდეგ კი ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება გადაიანგარიშება საბაზისო წლის ფასებში. 2005 წლის ჩვენი "კარაქიანი პურის" ეკონომიკის რეალური GDP-ის გაანგარიშება შესაძლებელი იქნება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:



რეალური GDP=(1995 წლის პურის ფასი X 2005 წლის პურის რაოდენობაზე) + (1995 წლის კარაქის ფასი X 2005 წლის კარაქის რაოდენობაზე);

ანალოგიურად 2006 წლის რეალური GDP=(1995 წლის პურის ფასი X 2006 წლის პურის რაოდენობაზე) + (1995 წლის კარაქის ფასი X 2006 წლის კარაქის რაოდენობაზე);

რადგან ფასები მუდმივია, რეალური GDP მხოლოდ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ცვლილების გამო იცვლება. ადამიანთა, ფირმების და სახელმწიფოს მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ საქონელსა და მომსახურებას შეუძლია და არა ფასებს. ამრიგად, რეალური GDP გაცილებით უფრო კარგი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია და იგი უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს.

ნომინალური და რეალური GDP-ის ბაზაზე ჩვენ შეგვიძლია არანაკლებ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, GDP-ის დეფლატორი გავიანგარიშოთ

$$GDP\text{-ის დეფლატორი} = \frac{\text{ნომინალური GDP}}{\text{რეალური GDP}}$$

ამრიგად GDP-ის დეფლატორი ესაა ნომინალური და რეალური GDP-ის შეფარდება. ამ საკითხის უკეთ გაგებისათვის კვლავ იმ ეკონომიკას დავუბრუნდეთ, სადაც მხოლოდ პური იწარმოება. ნებისმიერი წლისათვის ნომინალური GDP არის ფულის ის რაოდენობა, რომელიც პურის საყიდლად იხარჯება, თავის მხრივ რეალური GDP არის მიმდინარე წელს წარმოებული პურის რაოდენობა გამრავლებული საბაზისო წლის პურის ფასზე. GDP-ის დეფლატორი კი მიმდინარე წლის პურის ფასის საბაზისო წლის პურის ფასთან თანაფარდობაა. ამავე დროს, გავისხენით, რომ რეალურ ეკონომიკაში გაცილებით მეტი დასახელების პროდუქცია იწარმოება, ვიდრე მხოლოდ პურია. ამრიგად როგორც ნომინალურ, ისე რეალურ-GDP-სა და GDP-ს დეფლატორში უამრავი დასახელების ფასი მონაწილეობს. დავუბრუნდეთ კარაქსა და პურის ეკონომიკას და გამოვიყენოთ ზემოთ გამოყენებული აღნიშვნები

$$GDP\text{-ის დეფლატორი} = \frac{P_{\text{პური}} \times Q_{\text{პური}} + P_{\text{კარაქი}} \times Q_{\text{კარაქი}}}{P'_{\text{პური}} \times Q_{\text{პური}} + P'_{\text{კარაქი}} \times Q_{\text{კარაქი}}}$$

ამ ფორმულაში მრიცხველი არის ნომინალური GDP, ხოლო მნიშვნელი კი რეალური. GDP-ის დეფლატორი ჩვენ გვაძლევს საშუალებას ნომინალური GDP-ის შემადგენლობაში გამოვყოთ ორი ნაწილი, პირველი წარმოებული პროდუქციის მოცულობას ახასიათებს, მეორე კი ფასებს.

$$\text{ნომინალური GDP} = \text{რეალური GDP} \times \text{დეფლატორი.}$$

ნომინალური GDP წარმოებული საქონლის ფულად შეფასებას გვაძლევს, რეალური წარმოებული პროდუქციის მოცულობას, ხოლო GDP-ის დეფლატორი კი საანგარიშო წელიშო პროდუქციის ერთეულის ფასს საბაზო წელთან შედარებით ცვლილებას ვიჩვენებს.

განასხვავებენ GDP-ს გაანგარიშების დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდებს, თუმცა პრაქტიკაში მიღებულია წარმოების მეთოდიც. ჩვენ დაწვრილებით ვანვიხილავთ თითოეულ მათგანს. მანამდე კი კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, რომ GDP-ს გაანგარიშებისას შეფასება ხდება ფულად ერთეულში და გამოირიცხულია ორმავე აღნიშვნა (ანუ აღნიშვნა მხოლოდ საბოლოო პროდუქცია, ხოლო შუალედური მოხმარება გამოირიცხება, რათა არ მოხდეს GDP-ს მოცულობის ხელოვნური, დაუსაბუთებელი ზრდა).

GDP-ს მოცულობაში არ შედის ნახმარი საქონლით ვაჭრობა და ფინანსური ოპერაციები, რომლის შემადგენლობაშიც ვანიხილება სახელმწიფო ტრანსფერტული გადახდები (პენსიები, დახმარებები და ა.შ.), წმინდა ტრანსფერტული გადახდები (ერთი კერძო პირიდან მეორესათვის საჩუქრის გადაცემა ან სტიპენდია) და ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციები.

GDP-ს გაანგარიშების ყველაზე გავრცელებული ფორმაა დანახარჯების მეთოდი მისი გაანგარიშება, რომლის თანახმადც

$$GDP=C+I+G+X_n$$

(1)



- სადაც, C - არის პირადი სამომხმარებლო ხარჯები;
 I - ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციები;
 G - სახელმწიფო შესყიდვები;
 X_n - წმინდა ექსპორტი.

დაწერილებით განვიხილოთ (1)-ის ელემენტები

C - პირადი სამომხმარებლო ხარჯები, სხვა არაფერია თუ არა დროის პერიოდში ქვეყანაში პირადი მოხმარებისათვის გამოყენებული ხანგრძლივი (ავტომანქანა, სახლი და ა.შ.) და ხანმოკლე (სუნსათი, ტანსაცმელი) მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების (იურისტის, ექიმის, ხელოვანის და ა.შ.) ღირებულება;

I - ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციები. აღნიშნული ტერმინი აერთიანებს ქვეყნის შიგნით ადგილობრივი სახსრებით ყველა მანქანა-დანადგარის შექმნას მერობის ამენებასა და მარაგების შეცვლას⁹. გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციებს განეკუთვნება მხოლოდ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა, შენობების ამენება და არა ფასიანი ქაღალდების შექმნა ან გასხვისება დასაზუსტებელია ტერმინში სიტყვა "ერთობლივი", რომელიც ასახავს წლის განმავლობაში წარმოების პროცესში მოხმარებული მანქანა-დანადგარების შესაცვლელად განხორციელებულ ინვესტიციებსაც და ნებისმიერ ახლად განხორციელებულ ინვესტიციასაც, მაშინ როცა წმინდა კერძო სამამულო ინვესტიციები წლის განმავლობაში მხოლოდ კაპიტალის ნამატს აღნიშნავს.

G - სახელმწიფო შესყიდვები ასახავს წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ყველა ხარჯს, ვარდა ტრანსფერტული გადახდებსა. ცხადი ხდება, რომ შესაძლებელია სახელმწიფო და პირადი მოხმარების გაერთიანება თუმცა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისათვის ფრიად საჭირო ინფორმაციის მიღება შეიძლება თუ მათ ცალკე-ცალკე განვიხილავთ. სწორედ GDP-ში სახელმწიფო შესყიდვების წილის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის ხარისხი.

X_n - წმინდა ექსპორტი ასახავს იმ ოდენობას, რომლითაც უცხო სახელმწიფოთა დანახარჯები ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე (ექსპორტი - X) აღემატება ადგილობრივ დანახარჯებს უცხოური საქონლისა და მომსახურების შექმნაზე (იმპორტი - M), ანუ $X_n = X - M$, აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრ სახელმწიფოში¹⁰ X_n -ის სიდიდე უარყოფითია და იგი ამცირებს GDP-ს მოცულობას.

შემოსავლების მეთოდით GDP-ს გაანგარიშების დროს გარკვეულ სირთულეებთან გვაქვს საქმე, თუმცა მისი ფორმულირებაც შესაძლებელია კერძოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დოკუმენტებში მოყვანილია ასეთი ფორმულა

$$GDP_{(საბაზრო ფასებით)} = GDP_{(ფაქტორული ღირებულებებით)} + TSP = W + OS + TSP \quad (2)$$

- სადაც, W - მუშებისათვის გადახდილი ხელფასი და სხვა წახალისებებია;
 OS - საწარმოების საოპერაციო მოგება (მ.შ. საიჯარო გადასახადი, პროცენტი, ამორტიზაცია და მოგება);
 TSP - გადასახადებს გამოკლებული პროდუქციის სუბსიდირებაზე ხელისუფლებისაგან მიღებული თანხები;

აღნიშნული მეთოდით გაანგარიშებისას ყურადღება უნდა მიექცეს ხელფასს, რენტა პროცენტს, საკუთრებიდან შემოსავალს, კორპორაციითა მოგებასა და ირიბ გადასახადებს.

⁹ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომელზეც ზემოთ გვეყონდა საუბარი და რომლის თანახმადაც, შესაძლოა წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ნაწილის რეალიზება ვერ მოხდეს და მან ნაცვლად მოხმარებისა, მწარმოებლის ან რეალიზატორის საწყობში დაიდოს ზინ და სხვა რომელიმე წელს იქნეს გაყიდული, ამდენად, მარაგების აღრიცხვა GDP-ის გაანგარიშებას ასევე უზნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

¹⁰ მათ შორის ცხადია საქართველოშიც.

ხელფასი – მოიცავს როგორც შრომის ნებისმიერ ანაზღაურებას (ხელფასი, ჯამაჯირი, პრემია, დანამატი), ასევე დამქირავებლის შენატანებს სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ფონდებში;

რენტა – არის ფინანსებისა და საოჯახო მეურნეობების შემოსავალი, რომლებიც ახორციელებენ მატერიალური რესურსების მიწოდებას (მაგალითად მიწის ან ოფისის მიქირავება). წმინდა რენტა არის რენტისა და მიქირავებული ობიექტის ამორტიზაციის სხვაობა;

პროცენტი – თანხაა, რომელსაც ფინანსები უხდიან ფულადი კაპიტალის მიმწოდებლებს (მაგალითად, პროცენტი ანაბარზე, კორპორაციების ანაბარზე), აქ არ გაითვალისწინება სახელმწიფოს მიერ გადახდილი პროცენტები;

შემოსავალი საკუთრებიდან – მოიცავს შემოსავალს ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობიდან;

კორპორაციის მოგება – გამოიყენება 3 მიმართულებით: მოგების გადასახადის გადასახდელად, დივიდენდების დასარიცხვლად და გაუნაწილებელ მოგებად (ანუ მოგების ნაწილი მიიმართება ინვესტიციების სახით).

ირიზი გადასახადები – განიხილება როგორც წარმოების ხარჯები და შეიტანება პროდუქციის ფასში. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იგი არაფაქტორული შემოსავალია და ამდენად არ უნდა შეიტანებოდეს ერთობლივ შემოსავალში, თუმცა ირიზი გადასახადებს იხდიან წარმოების მე-5 ფაქტორის (სახელმწიფოს უნარის) გამოყენებისათვის, ამდენად იგი ასევე ფაქტორულ შემოსავლებს განეკუთვნება.

ამორტიზაცია – ძირითადი კაპიტალის გამოყენებისათვის გაწეული ხარჯია.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც გამოიყენება GDP-ს გაანგარიშების დროს არის წარმოების მეთოდი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სახელმწიფოში ეროვნულ ანგარიშთა სისტემები გამოიყენება. ამ მეთოდის შესაბამისად GDP უდრის ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ დამატებელ ღირებულებას ანუ ეს არის წარმოების მოცულობის ღირებულებასა და წარმოების პროცესში გამოყენებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულებას (ანუ შუალედურ მოხმარებას) შორის სხვაობა.

$$GDP = \sum VA \quad (3)$$

სადაც VA – დამატებული ღირებულება¹¹.

GDP-ს მოცულობა და მისი გაანგარიშების მეთოდიკა საფუძვლად უდევს სხვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია GNP¹² – ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, რომელიც განიზარტება, როგორც ქვეყნის მოქალაქეების მიერ დროის განკვეულ პერიოდში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამი. ანუ GNP – არის რეზიდენტების მიერ, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემების მიხედვით, რომელიც პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ანგარიშგებას უდევს საფუძვლად, ეკონომიკური ანალიზის დროს პრაქტიკულად აღარ გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, როგორცაა GNP – ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, მის ნაცვლად დღეისათვის გამოიყენება ერთობლივი ეროვნული შემოსავალი GNI¹³. აღნიშნული ინდიკატორის გაანგარიშებას GDP-ისაგან განსხვავებით, საფუძვლად უდევს არა ტერიტორიული და საქონ-

¹¹ ინგლისურად "Value Added".
¹² ინგლისურად "Gross National Product".
¹³ "Gross National Income".

ლისა და მომსახურების წარმოების, არამედ *ეროვნული*¹⁴ და მიღებული შემოსავლის პრინციპები. რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთობლივ მოთხოვნას, როგორც ბაზარზე სტაბილურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, ამ შემთხვევაში, ცხადი ხდება, რომ მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული დამატებული ღირებულება და შესაბამისად აქედან მიღებული შემოსავლები, მაშინ როცა ღია ეკონომიკის პრინციპები მოქმედებენ, სრულად ვერ აყალიბებენ ერთობლივ მოთხოვნას და მის ფორმირებაში ქვეყნის ფარგლებს ვარდნიან მიღებული შემოსავლები, ხშირ შემთხვევაში ლომის წილს ასრულებენ¹⁵.

GNI-ის გაანგარიშებისათვის GDP-ის აკლებენ არარეზიდენტების მიერ ქვეყნის შიგნით მიღებულ შემოსავლებს და უმატებენ არარეზიდენტი საწარმოების მიერ რეზიდენტებისათვის გადახდილ თანხას. GNI-სა და GDP-ს შორის სხვაობას "საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორულ"¹⁶ შემოსავლებს" - Y_f -ს უწოდებენ.

$$GNI = GDP + Y_f$$

(4)

Y_f შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორებიც, კერძოდ NDP - წმინდა საბაშლო პროდუქტი¹⁷ არის GDP-ის გამოკლებული წარმოებული პროდუქტის ის მოცულობა, რომელიც წარმოების პროცესში გამოყენებული ძირითადი საშუალებების აღსადგენად მიიღიანთა.

NI - ეროვნული შემოსავალი¹⁸ არის ის შემოსავალი, რომელსაც იღებენ რესურსების მიმწოდებლები GNP-ის წარმოებაში შეტანილი წვლილისათვის. იგი უდრის GNP-ს, იმ გადახდების გარეშე, რომელიც დაკავშირებულია არარეზიდენტების მიერ ქვეყანაში მიღებულ შემოსავლებთან და წმინდა შემოსავლებთან.

PI - პირადი შემოსავალი¹⁹ არის მოქალაქეების ხელთ არსებული შემოსავლები, საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე და განსხვავდება ეროვნული შემოსავლისაგან გადახდილი სოციალური და სხვა სახის ანარიცხებით, გადასახადებით და დამატებული წმინდა ტრანსფერული გადასახადებით.

DI - ხელთარსებული (წმინდა) პირადი შემოსავალი²⁰ საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ საოჯახო მეურნეობებში დარჩენილი შემოსავალი.

¹⁴ ამ შემთხვევაში ინგლისური "National", რუსული "Национальный" და შესაბამისად ქართული "ეროვნული" ნამდვილად არ მოიცავს თავის თავში ეთნიკურ წარმომავლობას და გულისხმობს მოქალაქეობას და რეზიდენტობას.

¹⁵ ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც მაღალი უმუშევრობა და სამუშაო ძალის მიგრაციას აქვს ადგილი. ასეთ სახელმწიფოებში (და მათ შორის საქართველოშიც) საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლები ათეულობით ათასი ოჯახის არსებობის ერთადერთი წყარო და შესაბამისად მათი მოთხოვნის განმსაზღვრელია.

¹⁶ ამ შემთხვევაში საუბარია "წარმოების ფაქტორებზე" (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი), რომლის ექსპორტიც სხელმწიფო დეზულოზს ე.წ. "ფაქტორულ შემოსავლებს". როგორც წესი "ფაქტორულ შემოსავლებში" დიდი ადგილი უკავია შემოსავლებს ინვესტიციებიდან (დივიდენდებისა და პროცენტების სახით), რაც შეეხება ხელფასიდან შემოსავლებს, ოფიციალურ სტატისტიკაში იგი ნაკლებად ხვდება, რადგან ამა თუ იმ ქვეყანაში სხვა ქვეყნის მოქალაქე გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ (როგორც წესი, ნახევარ წელს დამატებული ერთი დღე) ხდება ქვეყნის რეზიდენტი, ამიტომ მის მიერ ამის შემდეგ მიღებული ის შემოსავალიც კი, რომელსაც იგი ოჯახს უგზავნის, შემოსავლის მიღების ადგილის სახელმწიფოს GDP-ში და GNI-ში ითვლება.

¹⁷ ინგლისურად "Net Domestic Product".

¹⁸ ინგლისურად "National Income".

¹⁹ ინგლისურად "Personal Income".

²⁰ ინგლისურად "Disposable Income".

2-2. ცხოვრების დონის გაზომვა

არათუ ლარზე, არამედ დოლარზეც კი ღდეს გაცილებით ნაკლები პროდუქციის შექმნა შესაძლებელი, ვიდრე თუნდაც ათი წლის წინ. პრაქტიკულად ყველა ფასი იზრდება. ფასების საერთო დონის ზრდამ ინფლაციის სახელი მიიღო. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ეკონომისტთა შესწავლის საგანია.

ფასების დონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამომხმარებლო ფასების ინდექსი CPI. ამ ინდექსს, ისევე როგორც ზემოთდასახელებულ ყველა მაჩვენებელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი ანგარიშობდა. უპირველეს ყოვლისა ასეულობით საქონლისა და მომსახურების ფასები გროვდება. როგორც GDP, ასევე, სამომხმარებლო ფასების ინდექსიც ძალიან ზევნი საქონლისა და მომსახურების ფასს ითვალისწინებს. ეს არის ფასების საერთო დონის მაჩვენებელი.

ცხადია, სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებასაც თავისი მეთოდები აქვს, შესაძლებელია ადებული ყოფილიყო ყველა ფასი და მათი საშუალო არითმეტიკული გაანგარიშებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ფასების ღონეზე არასწორი წარმოდგენა შევქმენებოდა. ამისი მიზეზი კი გაცილებით მარტივია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ადამიანები ნაკლებ შავ ხიზილალას მოიხმარენ, ვიდრე მაკარონს, ამდენად მათი ფასების საშუალო არითმეტიკულის ცოდნა არანაირ სარგებელს არ მოგვცემს, მაშინ როდესაც შეიძლება ფასები გაცილებით მეტ ინფორმაციას იძლევა. სტატისტიკის დეპარტამენტი ადებს ე.წ. სამომხმარებლო კალათას, რომლის შემდგენლობაშიც ასეულობით საქონელი შედის. სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის სამომხმარებლო კალათის ღირებულების შეფარდება იგივე კალათის ფასთან საბაზისო წელს.

თუ დავუშვებთ, რომ საშუალო მომხმარებელი წელიწადში 10 კილო პურსა და 3 კილოგრამ კარაქს მოიხმარს. მაშასადამე სამომხმარებლო კალათა სწორედ 10 კილო პურსა და 3 კილო კარაქს მოიცავს. შესაბამისად სამომხმარებლო ფასების ინდექსი იქნება

$$\text{სამომხმარებლო ფასების ინდექსი} = \frac{10X \text{ პურის ფაქტ ფასი} + 3X \text{ კარაქის ფაქტ. ფასი}}{10X \text{ პურის საბაზ ფასი} + 3X \text{ კარაქის საბაზ. ფასი}}$$

ასეთი ტიპის ინდექსის გაანგარიშება გვიჩვენებს იმ კალათის მიმდინარე და საბაზო წლის ფასების შეფარდებას.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენით უნდა გაიზარდოს ჩვენი შემოსავალი, რომ ჩვენი ცხოვრების ღონე არ შეიცვალოს.

გარდა სამომხმარებლო ფასების ინდექსისა, სტატისტიკის დეპარტამენტი სწავლობს მწარმოებელთა ფასების ინდექსს, აგრეთვე ზოგიერთი ტიპის საქონელთა ჯგუფების ფასების ინდექსს.

ინფლაციაზე დაკვირვების ორი ინდექსი განვიხილეთ. GDP-ის დეფლატორი, რომელიც ნომინალური და რეალური GDP-ის თანაფარდობას გვიჩვენებს და სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც ფიქსირებული კალათის ფასების თანაფარდობა მიმდინარე და საბაზო წელს.

ამ ორ მაჩვენებელს შორის სამი მნიშვნელოვანი განსხვავებაა და შესაბამისად ისინი ეკონომიკაში ფასების დონის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას გვაძლევენ.

უპირველეს ყოვლისა GDP-ის დეფლატორი ასახავს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებას, მაშინ როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს მხოლოდ მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებას. ამდენად ფორმების ან სახელმწიფოს მიერ შეძენილი საქონლის ფასების ცვლილება აისახება მხოლოდ GDP-ის დეფლატორში და არა სამომხმარებლო ფასების ინდექსში.

მეორე განსხვავების შესაბამისად GDP-ის დეფლატორში გაითვალისწინება მხოლოდ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ფასების ცვლილება, მაშინ როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსში ყველა იმ საქონლის ფასების ცვლილებაა გათვალისწინებული, რომელიც საოჯახო შეურუნებების მიერ მოიხმარება, მიუხედავდ

წარმოშობის ადგილისა. ამდენად, საქართველოში სამომხმარებლო ფასის ინდექსი განაგრძობს მასში გაითვალისწინება ბენზინის, გაზის, ნავთის, იმპორტირებული კვლევი პროდუქტების ფასები, მაგრამ იგივე ფასების ცვლილებას არ ითვალისწინებენ GDP-ის დეფლატორის გაანგარიშებისას. სანაცვლოდ GDP-ის დეფლატორში გაითვალისწინებულა მაგალითად ექსპორტირებული ბორჯომის, ღვინის, მანდარინის ფასი, მაშინ როდესაც იგი ფასების ცვლილება სამომხმარებლო ფასების ინდექსში არ აისახება.

და ბოლო, მესამე განსხვავება ყველაზე მნიშვნელოვანია, და იგი გაანგარიშებული მეთოდს შეეხება. კერძოდ, კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, GDP-ის დეფლატორი გამოიყენება განსხვავებული მოცულობა და ფიქსირებული ფასი, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას კი მოცულობა შედარებულია, ხოლო ფასები კი იცვლება სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლოა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მოხდეს ისეთი საქონელი, რომლის მოხმარებაც ქვეყანაში მინიმუმამდე დაყვანილი მაგალითად, თუ გაძვირდება სიმინდი, მოხმარებელთა დიდი ნაწილი მის ნაცვლად გამოიყენებს ხორბალს, მაგრამ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას ჩვენ დაუშვებთ, რომ სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა უცვლელია და იცვლება მხოლოდ ფასები. მაშინ როდესაც GDP-ის დეფლატორი ადექვატურად ასახავს GDP-ის სტრუქტურის მოხმარებულ ცვლილებებს. ანუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი ზუსტ ინფორმაციას მოგვანიჭებს.

ჩვენი იპოთეტური ეკონომიკის განხილვას დაგვზრუნდეთ, რომელიც მხოლოდ ორ ტიპის პროდუქტს, პურსა და კარაქს აწარმოებს. და გავიხსენოთ ის ორი ფორმულა რომელიც სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და GDP-ის დეფლატორის გაანგარიშების გამოიყენება.

$$GDP\text{-ის დეფლატორი} = \frac{P_{\text{პური}} \times Q_{\text{პური}} + P_{\text{კარაქი}} \times Q_{\text{კარაქი}}}{P_{\text{პური}}^0 \times Q_{\text{პური}}^0 + P_{\text{კარაქი}}^0 \times Q_{\text{კარაქი}}^0}$$

ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსი

$$\text{სამომხმარებლო ფასების ინდექსი} = \frac{P_{\text{პური}} \times Q_{\text{პური}}^0 + P_{\text{კარაქი}} \times Q_{\text{კარაქი}}^0}{P_{\text{პური}}^0 \times Q_{\text{პური}}^0 + P_{\text{კარაქი}}^0 \times Q_{\text{კარაქი}}^0}$$

ეს განტოლებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ორივე შემთხვევაში მიმდინარე ფასი საბაზო წელს არსებულ ფასებთან დარღდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთ შემთხვევაში საქონლის რაოდენობა და შემადგენლობა იცვლება, მეორეში კი არა.

ინდექსები რომელიც უცვლელი ნაკრებისათვის გაანგარიშდება ლასპეირის ინდექსს სახელითაა ცნობილი, ხოლო ცვლადი ნაკრებისათვის კი პააშეს ინდექსის სახელით. ორივე ინდექსი ცხოვრების ღირებულების გაზომვას ემსახურება. როდესაც სხვადასხვა საქონლის ფასები სხვადასხვა სიდიდით იცვლება, ლასპეირის ინდექსი ცხოვრების ღირებულებას ზრდას რეალურთან შედარებით უფრო გაზრდილად წარმოადგენს, ხოლო პააშეს ინდექსი კი უფრო შემცირებულად. რაც გამოწვეულია იმით, რომ ვინაიდან ლასპეირის ინდექსი ნაკრები (კალათა) არ იცვლება, იგი არ ითვალისწინებს გაძვირებული საქონლის უფრო იაფით ჩანაცვლების საშუალებას, ამ მხრივ პააშეს ინდექსი შედარებით უფრო მოქონლია, თუმცა მასაც აქვს უარყოფითი მხარეები, კერძოდ კი კეთილდღეობის შემცირება არ აისახება გავიხსენოთ მაგალითი სიმინდთან დაკავშირებით, თუ სიმინდი გაძვირდება, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოსახლეობა მჭადის მაგივრად გადავა პურის მოხმარებაზე, მაგრამ ლასპეირის ინდექსი (სამომხმარებლო ფასების ინდექსი) ამას არ გაითვალისწინებს და დაუშვებს, რომ სიმინდის მოხმარება არ შემცირებულა და მოსახლეობის ცხოვრების ღირებულება გაუარესდა, არადა ეს მაჩვენებელი აშკარად გაუარესებულია. სამაგიეროდ, პააშეს ინდექსი (GDP-ის დეფლატორი) იმის გამო, რომ არ ითვალისწინებს ფასების ზრდას, ვერ გვაძლევს ინფორმაციას მოხმარებელთა მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

რასაკვირველია, რეალურად ამ ორ სიდიდეს შორის განსხვავება არც თუ ისე დიდია, პრაქტიკა ამტკიცებს რომ ამ ორი სიდიდის დინამიკა დაახლოებით თანაბარია და ისინი ფასების დაახლოებით თანაბარ ზრდას ასახავენ.

2-3. დაუსაქმებლობის გაზომვა: უმუშევრობის დონე

ეკონომიკის მდგომარეობის დახასიათებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია აგრეთვე რესურსების გამოყენების ხარისხის დადგენა. იმის გათვალისწინებით, რომ რესურსებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი შრომაა, დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნება ან უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. უმუშევრობის დონე - ეს არის უმუშევართა პროცენტული წილი მუშაობის მსურველთა რაოდენობაში.

სტატისტიკის დეპარტამენტი ანგარიშობს უმუშევრობას. სამუშაო ძალა მოიცავს უმუშევრებს, დასაქმებულებს. გარდა ამისა არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც არ განეკუთვნება სამუშაო ძალას (მაგალითად, სტუდენტები, დიასახლისები). ამასთან უმუშევრად ითვლება მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არ აქვს სამსახური, სურს მუშაობა და ეძებს სამსახურს.

უმუშევრობის დონის გაანგარიშებისათვის უმუშევართა რაოდენობის პროცენტულ წილს ითვლიან სამუშაო ძალაში, ამასთან საინტერესო მაჩვენებელია აგრეთვე სამუშაო ძალის პროცენტული წილი მოზრდილი მოსახლეობის რაოდენობაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შრომა, სამუშაო ძალა ერთ-ერთი მთავარი რესურსია. რომლის ანასრულად გამოყენება ზემოქმედებს GDP-ის პოტენციურ მოცულობაზე. არტურ ოუკენმა პირველმა ჩაატარა ასეთი კავშირის გამოსავლენად და დაადგინა რომ უმუშევრობის უცვლელი დონის პირობებში მოსახლეობის ზრდის, კაპიტალის დაგროვების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით ეკონომიკური ზრდა 3%-ს შეადგენს, ხოლო უმუშევრობის ერთი პროცენტული მუხლით შემცირება GDP-ის რეალური ზრდა 2 %-ით შემცირდება. ამგვარად თუ ეკონომიკაში უმუშევრობა 6-დან 8%-მდე გაიზრდება ეს გამოიწვევს $3 - 2 \times (8 - 6) = -1\%$. ამგვარად ეკონომიკაში უმუშევრობის 2 პროცენტული მუხლით ზრდა რეალური GDP-ის 1 პროცენტით შემცირებას იწვევს.

აღნიშნული ცვლადები (GDP, ინფლაცია, უმუშევრობა) ეკონომიკის ძირითადი ცვლადებია და შეიძლება ითქვას, რომ მაკროეკონომიკა რეალურად მათ განუმეორ ტრიალებს.


3. ეროვნული შემოსავალი: წარმოება, განაწილება და მოხმარება

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები სხვადასხვა წლებსა და სახელმწიფოებში ეკონომიკის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტების შედარების საშუალებას იძლევა. ჩვენ ვამოცანა არა მხოლოდ შედარებაში, არამედ ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების ახსნა-მდგომარეობს. ჩვენ უნდა შევძლოთ ისეთი მოდელების აგება, რომლებიც სხვადასხვა ცვლადების ერთმანეთზე ზემოქმედების საშუალებას მოგვცემს, ამასთან ეკონომიკურ პოლიტიკის ეკონომიკის მდგომარეობაზე ზემოქმედების ხარისხის დადგენაში დავეხმარება.

ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი GDP-ზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე, რომელიც არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების წარმოებას განსაზღვრავს, არამედ ქვეყნის შემოსავალსაც. მაკროეკონომიკურ თეორიაში ძირითადი კითხვა ჩნდება, რომელიც GDP-ის ეგება:

- რამდენ პროდუქციას უშვებენ ფირმები და რა განსაზღვრავს ერის შემოსავალს?
- ვის ხვდება წარმოებისაგან მიღებული შემოსავალი, რამდენი მზღის მუშებთან და რამდენი - მესაკუთრეებთან?
- ვინ ყიდულობს წარმოებულ პროდუქციას, წარმოების რა ნაწილი მიდის საოჯახო მეურნეობების მოხმარებაზე, ხოლო რა ნაწილი მიდის საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების ინვესტირებაზე, აგრეთვე რა ნაწილს ყიდულობს სახელმწიფო საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად?
- რა უზრუნველყოფს მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობას, აგრეთვე წარმოებისა და მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების ტოლობას?

განვიხილოთ კაპიტალის წრებრუნვის მოდელი, რომელიც უფრო დაწვრილებით აღწერს ეკონომიკურ აგენტებს (საოჯახო მეურნეობა, ფირმა და სახელმწიფო) შორის ურთიერთობას, აგრეთვე სხვადასხვა სახის ბაზრებს შორის ფულადი სახსრების ცირკულაცია: საოჯახო მეურნეობები რესურსების ბაზარზე რესურსების მიწოდების სანაცვლოდ იღებენ შემოსავალს, რომლის მეშვეობითაც იხდიან გადასახადებს, შეიძენენ საქონელსა და მომსახურებას, ხოლო ნაწილს, ფინანსური ბაზრების მეშვეობით დაზოგავენ.



ფირმები ყიდიან რა წარმოებულ პროდუქციას უხდიან გასამრჯელოს ფაქტორთ მოსაკუთრებებს.

სახელმწიფო, კრეფს გადასახადებს და მიღებული სახსრებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს, იმ შემთხვევაში თუ მისი შემოსავლები არ ჰყოფნის ხარჯების დაფარვას, ფინანსურ ბაზარზე სესხულობს ფულს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად.

3-1. წარმოების მოცულობა

ნებისმიერ ეკონომიკაში წარმოებული GDP-ის მოცულობა ორ რამეზეა დამოკიდებული: წარმოების ფაქტორებზე და საწარმოო ფუნქციაზე.

წარმოების ფაქტორები - ეს არის რესურსები, რომელიც საქონლსა და მომსახურების წარმოებისათვის, თანამედროვე ეტაპზე განიხილება წარმოების 5 ფაქტორი: მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეცნიერო უნარი და სახელმწიფო.

სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ მათგან უმნიშვნელოვანესია შრომა (L) და კაპიტალი (K). კაპიტალი არის წარმოების საშუალებები, რომლებიც წარმოების პროცესში გამოიყენება, ხოლო შრომა არის დრო, რომელსაც ადამიანები სამუშაოს უძღვნიან.

სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ეს მაჩვენებლები არ იცვლება, $L = \bar{L}$ და $K = \bar{K}$, სადა \bar{L} და \bar{K} ცვლადების თავზე ნიშნავს რომ ეს მაჩვენებლები ფიქსირებულია. დავუშვათ აგრეთვე, რომ წარმოების ფაქტორები სრულადაა ათვისებული, ანუ არ არის უმუშევრობა. თუმცა, რეალურად ცხადია ეს ასე არ არის.

საწარმოო ფუნქცია

შრომისა და კაპიტალის არსებული რაოდენობის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დამოკიდებულია ტექნოლოგიის დონეზე. ეკონომისტები მათემატიკურად ტექნოლოგიების არსებულ დონეს საწარმოო ფუნქციის მეშვეობით ასახავენ. თუ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას Y-ით ავსახავთ, საწარმოო ფუნქცია ასეთ სახეს მიიღებს $Y = F(K, L)$, ანუ წარმოებული პროდუქციის მოცულობა კაპიტალისა და შრომის რაოდენობის ფუნქციაა. თუ კი ვინმე მოიფიქრებს ახალ ტექნოლოგიას, მაშინ არსებული კაპიტალისა და შრომის რაოდენობის პირობებში უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოება შეიძლება. ანუ ტექნოლოგიის ცვლილება საწარმოო ფუნქციის ცვლას იწვევს.

შევჩვენოთ საწარმოო ფუნქციას აქვს თვისება, რომელსაც მასშტაბის მუდმივი უკუკლება ეწოდება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ წარმოების ფაქტორების მატება ერთნაირია, მაშინ წარმოებული პროდუქციის რაოდენობაც იგივე პროპორციით გაიზრდება. მაგალითად, თუ შრომისა და კაპიტალის მოცულობა 15%-ით გაიზრდება, მაშინ წარმოებული პროდუქციის რაოდენობაც ანალოგიურად, 15%-ით გაიზრდება. ნებისმიერი დადებითი Z-ისათვის $ZY = F(ZK, ZL)$. მაგალითად, განვიხილოთ პურის ცხობა, ამ შემთხვევაში თონი იქნება კაპიტალი, ხოლო შრომა - დაქირავებული ხაზაზის დრო, რომელსაც სამუშაოზე ატარებს. ნათელია, რომ გამომცხვარი პურის რაოდენობა თონივსა და ხაზაზეების რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ თონების რაოდენობასაც და დაქირავებული ხაზაზეების რაოდენობასაც გავაორმაგებთ, მაშინ გაორმაგდება გამომცხვარი პურის რაოდენობაც.

იმის გათვალისწინებით, რომ დროის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის შრომა და კაპიტალი ფიქსირებულია, აგრეთვე უცვლელია ტექნოლოგიები მივიღებთ $Y = F(\bar{K}, \bar{L}) = \bar{Y}$, ანუ წარმოებული პროდუქციის მოცულობაც უცვლელია. თუმცა დროთა განმავლობაში, წარმოების ფაქტორთა მიწოდებაში, ან ტექნოლოგიებში მომხდარი ცვლილებების მეშვეობით იცვლება აგრეთვე წარმოებული პროდუქციის რაოდენობაც.


3-2. ეროვნული შემოსავლის წარმოების ფაქტორებზე განაწილება

ეკონომიკაში ერთობლივი შემოსავალი ერთობლივ დანახარჯს უდრის. იმის გამო, რომ წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია წარმოებული პროდუქციის მოცულობას განსაზღვრავენ, ისინი იმავე დროს ერთობლივ შემოსავალსაც განსაზღვრავენ.

წარმოების ფაქტორთა ფასები

ეროვნული შემოსავალი ფაქტორების მიხედვით სწორედ წარმოების ფაქტორთა ფასების მიხედვით ნაწილდება. წარმოების ფაქტორის ფასი არის ფულის ის რაოდენობა, რომელიც წარმოების ფაქტორის ერთეულში გადაიხდება (მაგალითად, ხელფასი).

თითოეული ფაქტორის ფასი კი მასზე მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრება. გაეისხნოთ, რომ ფაქტორთა რაოდენობა ეკონომიკაში ფიქსირებულია, ამდენად ფაქტორის მოთხოვნა-მიწოდების მრუდი მიიღებს შემდეგ სახეს:



ფაქტორის რაოდენობა

ფაქტორზე მოთხოვნას განაპირობებს ათასობით ფირმის მოთხოვნა. დავეუვათ, რომ ფირმა კონკურენტულ გარემოში მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფირმა იმდენად პატარაა ბაზართან მიმართებაში, რომ ბაზრისათვის საკუთარი პირობების კანონები არ შეუძლია. ამ შემთხვევაში ფირმა არაა დანტერენსებული, რომ საბაზრო ფასზე მეტი გადაიხადოს ფაქტორში, მაგრამ ვერც საბაზრო ფასზე ნაკლებს გადაიხდის, რადგან ამ შემთხვევაში ის რესურსს ელემენტარულად ვერ იყიდის. მაგალითისათვის განვიხილოთ შრომა. თუ ფირმა საბაზრო მაღალ ხელფასს გადაიხდის, ის ვერ გაუძლებს კონკურენციას, ხოლო თუ ნაკლებს, მაშინ მუშები ამ ფირმიდან წავლენ. ამდენად საბაზრო ფასს მოთხოვნა მიწოდება განსაზღვრავს.

საწარმოო ფუნქციის საშუალებით ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა იქნება $Y = F(K, L)$.

თუ დავეუვათ, რომ ფირმა მის მიერ წარმოებულ პროდუქციას ყიდის P ფასად, ხელფასში ხდის W , ხოლო კაპიტალში R (ამ შემთხვევაში ორივე რესურსის მფლობელი საოჯახო მეურნეობაა).

ფირმის მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა. მოგება არის შემოსავალს მინუს დანახარჯი. ლოგიკურია, რომ შემოსავალი გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და ფასის ნამრავლია $P \times Y$, რაც შეეხება დანახარჯებს, შრომაში გადახდილი თანხა ხელფასისა და შრომის რაოდენობის ($W \times L$) ნამრავლი, ხოლო კაპიტალში კი ($R \times K$) იქნება, საბოლოო ჯამში ფირმის მოგება უდრის ფირმის შემოსავალს მინუს დანახარჯი, ანუ ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და ფასის ნამრავლისა და შრომისა და კაპიტალში გადახდილი სახსრების სხვაობა იქნება. ანუ მოგება $= PY - WL - RK$, ჩვენ ვიცით, რომ $Y = F(K, L)$, ამდენად

$$\text{მოგება} = PF(K, L) - WL - RK$$


ამდენად ფირმის მოგება დამოკიდებულია პროდუქციის ფასსა და რესურსების ფასზე. წარმოების ფაქტორებზე ფირმის მოთხოვნა

შთავარია თუ როგორ ღებულობს გადაწყვეტილებას თუ წარმოების ფაქტორების რა რაოდენობა უნდა გამოიყენოს წარმოების პროცესში.

შრომის ზღვრული პროდუქტი. უკვე აღვნიშნეთ, რომ რაც უფრო მეტ შრომას იყენებს ფირმა, მით მეტ საქონელს აწარმოებს. შრომის ზღვრული პროდუქტი (MPL) საქონლის ის დამატებითი ერთეულია, რომელსაც ფირმა დამატებითი ერთეული შრომის გამოყენებით იღებს. ანუ თუ ფირმა ერთი საათით მეტ შრომას იყენებს, მაშინ იგი MPL-ით მეტ საქონელს

ქმნის ალგებრულად $MPL = F(K, L+1) - F(K, L)$, აქედან გამომდინარე შრომის ზღვრული პროდუქტი არის $L+1$ და L შრომის გამოყენებით მიღებული პროდუქციების რაოდენობის სხვაობა.

ზევრ სწარმოო ფუნქციას ახასიათებს კლებადი ზღვრული პროდუქტი, გამოყენებული კაპიტალის მუდმივი ოდენობის პირობებში რაც უფრო მეტი შრომა გამოიყენება, ყოველი დამატებითი ერთეული შრომისაგან უფრო ნაკლები პროდუქტი მიიღება. თუ პურის საცხობის მაგალითს დავუბრუნდებით, სადაც ერთი თონეა მხოლოდ, რაც უფრო მეტი ხაზაზი იქნება დაქირავებული, მათ მიერ გამომცხვარი პურის რაოდენობა შემცირდება.



აღნიშნული გრაფიკი გვიჩვენებს, რომ სწარმოო ფუნქციას კლებადი ზღვრული პროდუქტი ახასიათებს. რაც უფრო იზრდება შრომის რაოდენობა, გრაფიკის დახრილობა იზრდება, რაც სწორედ კლებად ზღვრულ პროდუქტს ახასიათებს.

კონკურენტული ფირმა დაინტერესებულია მოგების მაქსიმიზაციით. რაც მიიღწევა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისა და მასზე გაწეული დანახარჯების სხვაობით. ფირმა ადარებს ერთმანეთს დამატებითი ერთეული შრომით სწარმოებულ პროდუქტიაზე გასაწევ ხარჯს და მისგან მისაღებ შემოსავალს. იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი ერთეული შრომა აწარმოებს MPL პროდუქციას, მისგან მისღები შემოსავალი იქნება $MPL \times P$, ხოლო გაწეული დანახარჯი, გადახდილი ხელფასი - W , სიკვების ნაზრდი იქნება შემოსავლის ნაზრდისა და დანახარჯის ნაზრდის სხვაობის ტოლი


$$\Delta \text{ მოგება} = \Delta \text{ შემოსავალს} - \Delta \text{ დანახარჯი} = MPL \times P - W$$

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამდენ შრომას გამოიყენებს ფირმა. რასაკვირველია ფირმა დაიქირავებს დამატებით მუშახელს მანამდე, ვიდრე დამატებითი ერთეულით მიღებული შემოსავალი გადასახდელ ხელფასს გაუტოლდება. ფირმის მოთხოვნა შრომაზე გაიხსნება ფორმულით

$$P \times MPL = W$$

ან, $MPL = W/P$, სადაც W/P რეალური ხელფასია. რეალური ხელფასი გამოხატულია არა უკულის ერთეულით, არამედ წარმოებული პროდუქციის რაოდენობით. აღნიშნულიდან ვაიმდინარე ფირმა ქირაობს დამატებით მუშახელს მანამდე, ვიდრე შრომის ზღვრული პროდუქტი რეალური ხელფასის ტოლი არ გახდება.

დავუბრუნდეთ პურის ცხობას. თუ დავუშვებთ, რომ პურის ფასი 1 ლარია, ხოლო ხელფასი დღეში 10 ლარია, გამოდის რომ რეალური ხელფასი 10 პურია დღეში. ამ შტოხვევაში პურის საცხობი დაიქირავებს დამატებით ერთეულ მუშახელს, ვიდრე ყოველი დამატებული მუშახელის მიერ დამატებით წარმოებული პურის რაოდენობა დღეში 10 პურზე მეტი იქნება.



გრაფიკზე MPL კლებადია. შრომის რაოდენობის ზრდასთან ერთად წარმოებულ ზღვრული პროდუქტის რაოდენობა კლებადია. შრომის ზღვრული პროდუქტის გრაფიკი ფირმის შრომაზე მოთხოვნის გრაფიკია.

კაპიტალის ზღვრული პროდუქტი და კაპიტალზე მოთხოვნა. ისევე როგორც შრომ შემთხვევაში, ფირმა ანალოგიურად ღებულობს გადაწყვეტილებას კაპიტალის დამატებით გამოყენების თაობაზე. კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (MPK) - არის წარმოებულ პროდუქტის ნაზრდი, რომელი კაპიტალის დამატებითი ერთეულის გამოყენებით მიიღება.

$$MPK = F(K + 1, L) - F(K, L)$$

ისევე როგორც შრომის შემთხვევაში კაპიტალის ზღვრული პროდუქტი კლებადია.

დამატებითი ერთეული დანადგარის მიერ მოტანილი მოგება მის მიერ მოტანილ შემოსავლისა და მასზე გაწეული დანახარჯის სხვაობის ტოლია

$$\Delta \text{მოგება} = \Delta \text{შემოსავალი} - \Delta \text{დანახარჯი} = MPK \times P - R$$

და ფირმა გაარჩევს დამატებითი ერთეული დანადგარების დამონტაჟებას, ვიდრე MPK კაპიტალის რეალურ ღირებულებამდე (R/P) არ შემცირდება:

$$MPK = R / P$$

კაპიტალის რეალური ღირებულება არის კაპიტალის ერთი ერთეულის გამოყენება დანახარჯი გამოსახული საქონლის ერთეულებით და არა ფულით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რე კონკურენტულ ვაჭარში ფირმა, რომელიც იზრდება მოგების მაქსიმიზაციისათვის გადაწყვეტილებას ამა-თუ იმ ფაქტორის გამოყენების რაოდენობის შესახებ ღებულობს ფაქტორის ზღვრული პროდუქტის ანალიზის მეშვეობით, და ზრდის მის რაოდენობას ვიდრე ფაქტორის ზღვრული პროდუქტი მის რეალურ ფასს არ გაუტოლდება.

ერთეული შემოსავლის განაწილება

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ უკვე გავანალიზეთ კონკურენტული ფირმა მოთხოვნა შრომაზე და კაპიტალზე, ჩვენ შეგვიძლია ეს დასკვნა მთელ ეკონომიკაზე გადავიტანოთ. თუ კი ეკონომიკაში ყველა ფირმა არის კონკურენტული და ყველა მოგება მაქსიმიზაციისაკენ ისწრაფის, მაშინ წარმოების ფაქტორებზე მოდის ზუსტად იმდენი მოგება, რამდენ ზღვრულ პროდუქტსაც ის ამიტებს გამოშვებული პროდუქტის რაოდენობას. მომუშავეს რეალური ხელფასი უდრის MPL-ს და ყოველ დანადგარზე გაწეული დანახარჯის MPK-ს. ეკონომიკაში ერთობლივი დანახარჯები ხელფასზე უდრის $MPL \times L$ კაპიტალის მფლობელთა რეალური შემოსავალი კი $MPK \times K$.

შემოსავალი რომელიც ფირმებს წარმოების ყველა ფაქტორის ღირებულებს გადახდის შემდეგ რჩებათ ფირმის მესაკუთრეთა ეკონომიკური მოგების სახელითაა ცნობილი. რეალური ეკონომიკური მოგება კი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{ეკონომიკური მოგება} = Y - (MPL \times L) - (MPK \times K)$$

ვინაიდან ჩვენი ამოცანა ეროვნული შემოსავლის შესწავლაა, ეს ფორმულა შეგვიძლია შევცვალოთ და მივიღებთ

$$Y = (MPL \times L) + (MPK \times K) + \text{ეკონომიკური მოგება}$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნული შემოსავალი ნაწილდება მომუშავეთა შემოსავლად $MPL \times L$, მესაკუთრეთა შემოსავლად $MPK \times K$ და ეკონომიკურ მოგებად.

ვილერის თეორემის შესაბამისად მას შემდეგ რაც გადახდილი იქნება ყველა ფაქტორის ღირებულება, ეკონომიკური მოგება ნულის ტოლი უნდა გახდეს. თუ საწარმოო ფუნქციას აქვს მასშტაბის მუდმივი უკუგება, მაშინ

$$F(K, L) = (MPK \times K) + (MPL \times L)$$

თუ კი წარმოების ყველა ფაქტორის წილად მოდის შესაბამისი-ზღვრული პროდუქტი, მაშინ წარმოების ყველა ფაქტორში გადახდილი დანახარჯების ჯამი წარმოებული პროდუქციის საერთო ჯამს უდრის. შეიძლება დავასკვნათ, რომ მასშტაბის მუდმივი უკუგება, კონკურენცია და ფერმების მოგების მაქსიმიზაციისადაც მხარს უჭერს ეკონომიკურ მოგებას ნულამდე დაიყვანს.

თუ კი ეკონომიკაში ეკონომიკური მოგება ნულის ტოლია, მაშინ როგორ აიხსნება "მოგების" არსებობა? ვასათვალისწინებელია, რომ ტერმინი "მოგება" და ტერმინი "ეკონომიკური მოგება" ერთი და იგივე მოვლენას არ აღწერს.

ეკონომიკურ ურთიერთობებში სამი ტიპის მონაწილეები გამოდიან: ესაა მშრომელები, კაპიტალის მფლობელები და ფერმების მესაკუთრეები. ამდენად მთელი შემოსავალი სწორედ ამ სამ ჯგუფზე ნაწილდება როგორც ხელფასი, შემოსავალი კაპიტალიდან და ეკონომიკური მოგება. რეალურად კი დღეისათვის ზევნი ფერმის მესაკუთრე თავადაა იმ კაპიტალის მესაკუთრე, რომელსაც თავად იყენებს. ამდენად ჩვენ ტერმინს "მოგება" ვიყენებთ როგორც ეკონომიკური მოგების, ასევე კაპიტალიდან შემოსავლის აღსანიშნავად. ამგვარი მოგება "ზუღალტრული მოგების" სახელითაა ცნობილი.

$$\text{ზუღალტრული მოგება} = \text{ეკონომიკურ მოგებას} + (MPK \times K)$$

თუ გავიხსენებთ, რომ ეკონომიკური მოგება ნულის ტოლია, მივიღებთ, რომ მოგება კაპიტალიდან შემოსავლებს უდრის.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოსავალი ნაწილდება შრომაზე და კაპიტალზე დანახარჯებზე, მათი ზღვრული შემოსავლიანობის შესაბამისად.

3-3. მოთხოვნა საქონელზე და მომსახურებაზე

როგორც ცნობილია $GDP = Y = C + I + G + X_n$, თუმცა ამ თავის დასაწყისში მოტანილ კრატეში მხოლოდ სამი კომპონენტი განხილული. დროებით დავუშვათ, რომ ჩაკეტილ ეკონომიკაში ვცხოვრობთ, და შესაბამისად წმინდა ექსპორტი არ არსებობს. ამდენად ჩაკეტილ ეკონომიკაში, სადაც ექსპორტი და იმპორტი არ არსებობს $Y = C + I + G$. ეკონომიკაში წარმოებული საქონლის ნაწილს მოიხმარენ საოჯახო მეურნეობები, ნაწილს საოჯახო მეურნეობები და ფერმები მიმართავენ ინვესტირებაზე, ხოლო ნაწილს კი სახელმწიფო საზოგადოებრივი მიზნებისათვის შეიძენს.

მოხმარება

ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი მიიმართება მოხმარებაზე. ჩვენს მიერ საკვების, ტანსაცმლის შექმნა და მოხმარება, კინოში, მუზეუმში ან კონცერტზე წასვლა, განათლების მიღება მოხმარების ნაწილია. მოხმარება GDP-ის 2/3-ს აღემატება, ამდენად გასაგებია, რომ მის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

საოჯახო მეურნეობები იღებენ შემოსავალს შრომიდან და კაპიტალიდან, იხდიან გადასახადებს, ხოლო დარჩენილი სახსრების განკარგვაზე ღებულობენ გადაწყვეტილებას, თუ მისი რა ნაწილი უნდა მიიმართოს მოხმარებაზე, ხოლო რა ნაწილი დაზოგავს.


შემოსავალი, რომელსაც საოჯახო მეურნეობები მიიღებენ Y -ის ტოლია. სახელმწიფო გადასახადების სახით ამ სახსრებიდან T თანხებს მიმართავს ზიუკეტში (მიუხედავად იმისა, რომ წამდენიმე სახის გადასახადი არსებობს, სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ საქმე ერთ გადასახადთან გვაქვს), ამდენად საოჯახო მეურნეობებს განკარგავადი შემოსავლის სახით

მხოლოდ $Y - T$ რჩებათ. სწორედ განკარგად შემოსავლის ყოფენ ადამიანი მოხმარებად დაზოგვად.

დაუშვათ ადამიანების მოხმარება დამოკიდებულია მათ შემოსავალზე, რაც მეტად მათი განკარგვადი შემოსავალი, მით მაღალია მოხმარება. მოხმარების ფუნქცია შესაბამისად მოხმარება განკარგვადი შემოსავლის ფუნქციაა

$$C = C(Y - T).$$

მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC) - ეს არის ის სიდიდე, რომლითა იზრდება მოხმარება შემოსავლის ერთი ლარით ზრდის შემთხვევაში. ცხადია MPC 0-სა და 1-ს შორის მდებარეობს (თუ ადამიანი დამატებით მიღებულ ლარს მთლიანად დახარჯავს იგი 1-ტოლია, ხოლო თუ მთლიანად დაზოგავს 0-ის). თუ $MPC=0,8$ ეს ნიშნავს, რომ ადამიან მიღებული დამატებითი ლარიდან მოიხმარს 80 თეთრს, ხოლო 20 თეთრს დაზოგავს.



აღნიშნულ გრაფიკზე მოხმარების ფუნქციის დახრილობაა ზუსტად MPC. გარდა მაჩვენებლისა ეკონომიკურ ანალიზში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ზღვრული მიდრეკილება დაზოგვისადმი MPS. ცხადია რომ $MPC + MPS = 1$.

ინვესტიციები

როგორც ფირმები, ასევე საოჯახო მეურნეობები შეიძენენ საინვესტიციო საქონელს. ფირმები ამას აკეთებენ იმისათვის, რათა გაზარდონ კაპიტალის მარაგი, ან შეცვალონ გაცვეთილი წარმოების საშუალებანი. საოჯახო მეურნეობები კი ყიდულობენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, რაც ასევე ინვესტიციად ითვლება.

საინვესტიციო საქონლის რაოდენობა, რომელზეც არის მოთხოვნა საპროცენტ განაკვეთით (ზოგჯერ მას 'სარგებლის განაკვეთსაც უწოდებენ) განისაზღვრება. იმისათვის რათა საინვესტიციო პროექტი იყოს მომგებიანი, საჭიროა რომ დაგეგმილი შემოსავალი აღემატებოდეს მასზე დანახარჯებს. იმის გამო, რომ საპროცენტო განაკვეთი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ღირებულებას ასახავს, მისი ზრდა მომგებიანი საინვესტიციო პროექტების რაოდენობას და შესაბამისად საინვესტიციო კაპიტალზე მოთხოვნას ამცირებს.


დაუშვათ ფირმას სურს შეიძინოს 1 მილიონ დოლარად ღირებული ქარხანა რომელიც წელიწადში 80 ათას დოლარს, ანუ 8%-ს, თუ ფირმამ ეს თანხა საფინანსო ბაზარზე იუნდა ისესხოს, იგი ისესხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთი 8%-ს ნაკლებია.

ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას ადამიანი, რომელიც ბინის ყიდვას აპირებს. იპოთეკური კრედიტი თუ არის 15%-ად, 100 ათას დოლარზე საჭიროა წელიწადში 15 000 დოლარი, მაგრამ თუ საპროცენტო განაკვეთი აიწევს 18%-მდე, თანხა შესაბამისად 18 000 დოლარამდე გაიზრდება. ამდენად მოთხოვნა შემცირდება.

გასათვალისწინებელია, რომ ეკონომისტები ერთმანეთისაგან ნომინალურ და რეალურ საპროცენტო განაკვეთებს განასხვავებენ. ეს განსხვავება ინფლაციისა და რეალური ინფლაციის დროსაა. როცა საუბარია საპროცენტო განაკვეთზე - იგულისხმება ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ფულის იმ რაოდენობას, რომელსაც ვისდით ფულის სესხებისათვის, ხოლო რეალური განაკვეთი კი ნომინალური განაკვეთის ინფლაციის (რეალური ინფლაციის) შემდეგობით კორექტირებით მიიღება.

თუ დავუბრუნდებით იმ მაგალითს, რომელშიც ფინმა 8%-ად აპირებდა ფულის სესხებას და გავითვალისწინებთ, რომ ინფლაცია წელიწადში 3%-ია, რეალური საპროცენტო განაკვეთი 5% იქნება. ამდენად რეალური საპროცენტო განაკვეთი განაზღვრავს სესხის მიანახარჯს. ინვესტიციის მოცულობაც დამოკიდებულია ანა ნომინალურ, პრაქტიკულად რეალურ საპროცენტო განაკვეთზე.

დამოკიდებულება რეალურ საპროცენტო განაკვეთსა r და ინვესტიციებს I შორის იწინებს ფორმულით $I = I(r)$, და გვიჩვენებს, რომ ინვესტიციები პროცენტის განაკვეთზეა დამოკიდებული. იგი კლებადია, რადგან საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს ინვესტიციების მოცულობას, როგორც ეს ამ გრაფიკზე ჩანს



გასათვალისწინებელია, რომ მაკროეკონომისტისათვის ძველი შენობების, ფინანსური ინვესტიციების (აქციები, ობლიგაციები) შეძენა ინვესტიციებს არ განეკუთვნება.

სახელმწიფო შესყიდვები

საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები GDP-ის მესამე კომპონენტია. საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების ზრდასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მოხელეთა შრომას, ამენებს გზებს, სკოლებს, მადრენებს, ღებავს სახლებს. სახელმწიფო შესყიდვებიც ეს სახელმწიფო შესყიდვებია.

გარდა ზემოთდასახელებული დანახარჯებისა, სახელმწიფო საოჯახო მეურნეობებს დასაცემს ტრანსფერტებს (სოციალური დახმარება ინვალიდებს, მოხუცებს, რავალშილიანებს და სხვა), თუმცა ეს სახსრები არ შედის G-ში.

აღნიშნული ტრანსფერტები ზრდიან საოჯახო მეურნეობის შემოსავალს და ის შემოსავალი უარყოფით გავლენას ახდენს მთლიან GDP-ზე, რადგან თავად გადასახადი ამცირებს საოჯახო მეურნეობის განაკვეთს შემოსავალს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად T ანგაზღვრით როგორც გადასახადებს მიწის ტრანსფერტები. Y-T ასახავს როგორც შემოსავალზე გადასახადების უარყოფით ზეგავლენას, ასევე ტრანსფერტების დადებით ზეგავლენას.

თუ კი სახელმწიფო შესყიდვები უდრის გადასახადებისა და ტრანსფერტების სხვაობას $G = T$, ამბობენ რომ მიუჯები დამბალანსებულია. თუ სახელმწიფო შესყიდვები აღემატება

გადასახადებს მინუს ტრანსფერტები, მაშინ *ბიუჯეტი დეფიციტურია*, ხოლო თუ გადასახადები მინუს ტრანსფერტები მეტია სახელმწიფო შესყიდვებზე, ასეთი ბიუჯეტი *პროფიციტია*.

დეფიციტის დასაფინანსებლად სახელმწიფო სესხს იღებს ანუ დეფიციტის დაფინანსება სახელმწიფო ვალის ზრდას ზრდის. პროფიციტი კი დაუფარავი ვალების გასასტუმრებლად და სახელმწიფო ვალის მოცულობის შესამცირებლად გამოიყენება.

ბიუჯეტის დეფიციტის (პროფიციტის) ოდენობა პოლიტიკური პროცესების შედეგია და მას საგადასახადო-საბიუჯეტო (ან ფისკალური) პოლიტიკა განსაზღვრავს, მაგრამ ჩვენ დავუშვით რომ სახელმწიფო შესყიდვების ოდენობა და საგადასახადო შემოსავლები ეგზოგენური ცვლადებია

$$G = \bar{G}$$

$$T = \bar{T}$$

ენდოგენური ცვლადები კი მოხმარება, ინვესტიციების მოცულობა და პროცენტის განაკვეთია.

3-4. წონასწორობა და პროცენტის განაკვეთი

წონასწორობა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე: მოთხოვნა-მიწოდება გაეხისენოთ რომ:

$$Y = C + I + G,$$

$$C = C(Y - T),$$

$$I = I(r),$$

$$G = \bar{G},$$

$$T = \bar{T}.$$

ეკონომიკაში წარმოებულ საქონელზე მოთხოვნა მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების სახით ვლინდება. მოხმარება განკარგვად შემოსავალზე, ხოლო ინვესტიციები რეალურ საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული, სახელმწიფო შესყიდვები და გადასახადები კი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენური მაჩვენებლებია.

ამასთან საწარმოო ფუნქციის შესაბამისად $Y = F(\bar{K}, \bar{L}) = \bar{Y}$.

თუ ვაუაერთიანებთ ამ ტოლობებს მივიღებთ, რომ

$$Y = C(Y - \bar{T}) + I(r) + G$$

სადაც G და T ეკონომიკური პოლიტიკითაა განსაზღვრული, ხოლო Y კი მუდმივი საწარმოო ფუნქციის და წარმოების ფაქტორების არსებული მარაგების პირობებში ასეთ სახე მიიღებს

$$\bar{Y} = C(\bar{Y} - \bar{T}) + I(r) + \bar{G}$$

აქედან ნათლად ჩანს, რომ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მოთხოვნის ტოლია, ეს უკანასკნელი კი მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების ჯამის ტოლია.

ამდენად ნათელია, რომ რეალურად ამ წონასწორობის მიღწევასათვის ვადამწყვეტი პროცენტის რეალური განაკვეთი r, რაც მაღალია იგი, მით უფრო დაბალია როგორც ინვესტიციები, ასევე C+I+G. წონასწორი საპროცენტო განაკვეთის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მათ მიწოდებას.

წონასწორობა ფინანსურ ბაზარებზე: სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა და მიწოდება იმის გამო, რომ საპროცენტო განაკვეთი ფინანსურ ბაზარებზე სასესხო საშუალებები გამოყენების ფასია და ამავე დროს მათი სასესხო საშუალებების მფლობელთა შემოსავალი: განვიხილოთ ფინანსური ბაზრები.

ამ მიზნით მართები ალგებრული მოქმედებები ჩავატაროთ: $Y = C + I + G$ გარდაქმნათ $Y - C - G = I$, ამდენად მივიღეთ, რომ თუ ეროვნულ შემოსავალ-გამოაკვლებთ მოხმარებასა და სახელმწიფო შესყიდვებს მივიღებთ მაჩვენებელს, რომელიც ეროვნული დანაზოგის ან უზრალოდ დანაზოგის (S) სახითაა ცნობილი და ინვესტიციები ტოლია $I = S$.

ეროვნული დანაზოგი შესაძლოა ორ ნაწილად: კერძო და სახელმწიფო დანაზოგებად დავყოთ

$$(Y - T - C) + (T - G) = I$$

ამ ტოლობიდან $Y - T - C$ განკარგვად შემოსავალი მინუს მოხმარება და კერძო დანაზოგს წარმოადგენს, ხოლო $T - G$ სახელმწიფო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯების სხვაობა ანუ სახელმწიფო დანაზოგია. თუ ბიუჯეტი დეფიციტურია, სახელმწიფო დანაზოგი მინუს ნიშნით იქნება. თინანსურ ბაზრებზე შემავალი და იქიდან გამომავალი სასესხო საშუალებები ტოლი უნდა იყოს და უნდა აწონასწორებდნენ ერთმანეთს.


დავუბრუნდეთ ჩვენს ტოლობას და უკვე ცნობილი ვარდაქმნებით მივიღებთ

$$Y - C(Y - T) - G = I(r), \text{ ანუ}$$

$$\bar{Y} - C(\bar{Y} - \bar{T}) - \bar{G} = I(r),$$

$$\bar{S} = I(r)$$

ამ ტოლობებიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნული დანაზოგი დამოკიდებულია შემოსავალზე Y , აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის ცვლადებზე G და T . უცვლელი Y , G და T -ს პირობებში დანაზოგი S -იც უცვლელია, ხოლო ინვესტიციები კი საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული.



როგორც ვნახეთ, ჩანს დაზოგვის ფუნქცია ვერტიკალურია (თუმცა შემდეგში ვნახავთ, რომ ეს მთლად ასე არ არის, რადგან დანაზოგიც დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე) და ჩვენ მოდელში არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე. საინვესტიციო ფუნქციის გრაფიკი კი ქვემოთაა დახსილი, ანუ კლებადია, რაც ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი მით უფრო ნაკლებია მომგებიან საინვესტიციო პროექტთა რიცხვი.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ ვიდრე საპროცენტო განაკვეთი დაბალია ინვესტიციები ზრდიან მოთხოვნას საინვესტიციო საქონელზე (სასესხო საშუალებებზე). წონასწორული პროცენტის შემთხვევაში კი დანაზოგებისა და ინვესტიციების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია.

ცვლილება დანაზოგებში: საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგები

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა ზემოქმედებს როგორც მოთხოვნაზე, ასევე დანაზოგებზე და შესაბამისად ინვესტიციებზე. ზემოქმედება შესაძლებელია მოხდეს ან სახელმწიფო შესყიდვების ან გადასახადების შეცვლით.


სახელმწიფო შესყიდვების ზრდა. დავეშვათ სახელმწიფომ გაზარდა შესყიდვები ΔG სიდიდით, შესაბამისად მყისიერად საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მოთხოვნა ანალოგიური, ΔG სიდიდით გაიზარდება. მაგრამ იმის გათვალისწინებით, წარმოების არსებული ფაქტორების პირობებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეზღუდულია, სახელმწიფო შესყიდვების ზრდა მხოლოდ სხვა ელემენტების შეზღუდვის ხარჯზე შეიძლება მოხდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ განკარგავდი შემოსავალი $Y-T$ და შესაბამისად C უცვლელია, მაშინ ლოგიკურია, რომ შემცირება ინვესტიციების ხარჯზე მოხდება.

ჩვენ ვიცით, რომ ინვესტიციების მოცულობის შესამცირებლად საპროცენტო განაკვეთი უნდა გაიზარდოს. ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების ზრდა საპროცენტო განაკვეთის ზრდას იწვევს. ამ დროს ადგილი აქვს გამოდევნის (შევიწროების) ეფექტს, ანუ ხდება ინვესტიციების გამოდევნა.

გავიხსენოთ, რომ $\bar{Y} = \text{კერძო დანაზოგი} + \text{სახელმწიფო დანაზოგი} =$

$$= (\bar{Y} - \bar{T} - C(\bar{Y} - \bar{T})) + (\bar{T} - \bar{G}) = \bar{Y} - C(\bar{Y} - \bar{T}) - \bar{G}$$

რადგან G -ს ზრდა პარალელურად ან იწვევს T -ს ზრდას, სახელმწიფოს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება საფინანსო ბაზარზე მოუწევს, რაც გამოიწვევს ეროვნული დანაზოგის შემცირებას და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ზრდას. როგორც ეს ამ გრაფიკზე ჩანს




გადასახადების შემცირება. ესაა განვიხილოთ გადასახადების ΔT სიდიდით შემცირება, რაც უშუალოდ გამოიწვევს განკარგავდი შემოსავლის ΔT სიდიდით და მოხმარების შესაბამისად $\Delta T \times MPC$ სიდიდით ზრდას.

ცნობილი მიზეზების გამო, მოხმარების ზრდა გამოიწვევს ინვესტიციების შემცირებას, რადგან წარმოების მოცულობა ფიქსირებულია. წინა გრაფიკზე კარგად ჩანს რა შედეგი მოყვება გადასახადების შემცირებას.



საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილება

რასაკვირველია, შესაძლოა შეიცვალოს არა მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვები და მოხმარება, რაც გამოიწვევს ინვესტიციების ცვლილებას, არამედ თავად ინვესტიციებიც შეიცვალოს, რაც შეიძლება გამოიწვევს ტექნოლოგიური სახსრების გამოყენებით. ეს დაახლოებით იმგვარი საქონლის გამოგონებას ეხება, როგორიცაა ორთქლის მანქანა, ან კომპიუტერი. იმისათვის, რომ საოჯახო მეურნეობამ ან ფირმამ გამოიყენოს ესა თუ ის საინვესტიციო საქონელი, იგი უნდა შეიძინოს.

იგივე შეიძლება მოხდეს თუ სახელმწიფო გადასახადებით შეეცდება წაახალისოს ინვესტიციები. ქვედა გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ ასეთ შემთხვევაში ინვესტიციების გრაფიკი გადაინაცვლებს მარჯვნივ. იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარზე სასესხო საშუალებების მიწოდება ფიქსირებულია, ეს გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას.



მაგრამ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დანახორი არ არის ფიქსირებული, რადგან შესაძლოა მაღალმა საპროცენტო განაკვეთმა წახალისოს დაზოგვა, ხოლო დაბალმა კი მოხმარება. ამდენად დაზოგვის გრაფიკს შემდეგი სახე ექნება



თუმცა ამ შეთხვევაში ინვესტიციებზე მოთხოვნის ზრდა გამოიწვევდა როგორც საპროცენტო განაკვეთის, ასევე ინვესტიციების მოცულობის ზრდას, რადგან მაღალი საპროცენტო განაკვეთი წახალისებდა მოთხოვნის შემცირებასა და დაზოგვის ზრდას.

4. ეკონომიკური ზრდა

საქართველოს ეკონომიკის უახლესი ისტორია მეტად რთული, და ამავდროულად მკვლევართათვის ძალიან საინტერესოა, რადგან ამ მოკლე პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ძვრები განვითარდა. მიზანი, რომელიც ამოძრავებს დღეს საქართველოს არის ის, რომ მომავალმა თაობებმა იცხოვრონ უკეთ, ვიდრე წინა თაობები ცხოვრობდნენ. ანუ მომავალ თაობებს უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების მოხმარება უნდა შეეძლოთ, ვიდრე წინა თაობებს. სწორედ ეს არის ეკონომიკური ზრდა.

ეკონომიკური ზრდის გაანგარიშებისათვის ისევ და ისევ GDP-ის იყენებენ. ცხადია ეკონომიკური ზრდის გაანგარიშებისათვის მეტი მნიშვნელობა რეალური GDP-ის ზრდის ენიჭება და არა ნომინალურს.

ნობელის პრემიის ლაურეატის რობერტ სოლოუს მიერ 1950-60 წლებში შემუშავებული იქნა ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელსაც მის საპატივსაცემოდ სოლოუს მოდელს უწოდებენ, იგი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, თუ როგორ ზემოქმედებს დანაზოგები, მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი წარმოების მოცულობის ზრდაზე. მოდელი განმარტავს თუ რატომ განსხვავდებიან ცხოვრების დონით სახელმწიფოები და ამასთანავე იძლევა ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების საშუალებას.

4-1. კაპიტალის დაგროვება.

სოლოუს მოდელში მნიშვნელოვანია წარმოებულ პროდუქტიაზე მოთხოვნა და მიწოდება. ვასათვალისწინებელია, რომ მიწოდება განსაზღვრავს დროის ყოველი მომენტისათვის წარმოების მოცულობას, ხოლო მოთხოვნა კი წარმოებული საქონლის სხვასხვა მიმართულებას შორის განაწილებას.

მიწოდება და საწარმოო ფუნქცია. სოლოუს მოდელში საქონლის მიწოდება ჩვენთვის ცნობილი საწარმოო ფუნქციით აღიწერება:

$$Y = F(K, L).$$

წარმოების მოცულობა კაპიტალის მარაგებსა და გამოყენებულ შრომაზე დამოკიდებული, ამასთან სოლოუს მოდელის თანახმად საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის მუდმივი უკუგება, ანუ $zY = F(zK, zL)$.


გამარტივებისათვის ყველა მაჩვენებელი ერთ მუშახელზე გადავიანგარიშოთ. დავუშვათ $z = 1/L$, თუ ფუნქციის ყველა წევრს გავყოფთ მუშახელის რაოდენობაზე (L), მივიღებთ, რომ $Y/L = F(K/L, 1)$.

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ერთ მუშახელზე გადაანგარიშებული წარმოების მოცულობა (Y/L) ერთ მუშახელზე კაპიტალის (K/L) ფუნქციაა. ამ შეფარდებების აღსანიშნავად შესაბამისად პატარა y და k ასოები გამოვიყენოთ, $y = Y/L$ - შრომის მწარმოებლურობაა, ხოლო $k = K/L$ - შრომის კაპიტალშიანაზღაურება. ამის გათვალისწინებით, საწარმოო ფუნქცია შეიძლება ჩავეწეროთ როგორც

$$y = f(k)$$

სადაც $f(k) = F(k, 1)$.

განვიხილოთ ნახაზი



ამ საწარმოო ფუნქციის დახრილობის კუთხის ტანგენსი გვიჩვენებს, თუ რამდენი დამატებითი ერთეული საქონლის მიღება შეიძლება ერთ მუშახელზე, თუ კაპიტალშიანაღლებას ერთი ერთეულით ვაგზარდით. ეს არის კაპიტალის ზღვრული პროდუქტი MPK, ჩვენ მიახლოებით შეგვიძლია ჩავწეროთ $MPK = f(k+1) - f(k)$. როგორც გრაფიკიდან ჩანს საწარმოო ფუნქციის მრუდი კაპიტალშიანაღლების ზრდასთან ერთად უფრო გლუვი ხდება, რაც კაპიტალის ზღვრული პროდუქტის კლებადობით აიხსნება. როდესაც ერთ მუშახელზე კაპიტალშიანაღება დაბალია, კაპიტალის ერთი ერთეულით ზრდა მაღალ ეფექტს იძლევა, ხოლო კაპიტალის დაგროვების ზრდის კვალობაზე მისი ეფექტიანობა მცირდება და კაპიტალის ზღვრული პროდუქტი მცირდება.

მოთხოვნა წარმოებულ პროდუქტიაზე და მოხმარების ფუნქცია. სოლოუს მოდელში წარმოებულ პროდუქტიაზე მოთხოვნა მოხმარებლებისა და ინვესტორების მხრიდან არის. სხვა სიტყვებით, პროდუქტია, რომელსაც თითოეული მუშა აწარმოებს იყიდა ერთ მუშახელზე გადაანგარიშებულ მოხმარებაზე და ერთ მუშახელზე გადაანგარიშებულ ინვესტიციაზე $y = c + i$.

ეს ტოლობა გავს GDP-ის განმარტებას, თუმცა არ მოიცავს სახელმწიფო შესყიდვებს და თანაც ერთ მუშახელზეა გადაანგარიშებული.

სოლოუს მოდელის შესაბამისად მოხმარების ფუნქციას აქვს შემდეგი სახე $c = (1-s)y$. ყოველწლიურად ადამიანები ინახავენ შემოსავლის s ნაწილს, ხოლო მოიხარენ $(1-s)$ ნაწილს. დაზოგვის ნორმა 0 -სა და 1 -ს შორისაა.

ჩვენ თუ $y = c + i$ -ში c -ს შევცვლით $(1-s)y$ -ით, მივიღებთ

$$y = (1-s)y + i,$$

თუ გავსხნით ფრჩხილებს მივიღებთ, რომ $y = y - sy + i$, ანუ

$$i = sy,$$


ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ინვესტიციები (ისევე როგორც მოხმარება) შემოსავლის პროპორციულია. დაზოგვის ნორმა - s გვიჩვენებს შემოსავლის რა ნაწილი მიემართება კაპიტალშიანაღების გასაზრდელად.

კაპიტალშიანაღების მდგრადი დონე კაპიტალის მანაგის ცვლა ორმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს: ინვესტიციები ზრდის კაპიტალის მანაგს, ხოლო ამორტიზაცია, ანუ კაპიტალის ცვეთა იწვევს მისი მოცულობის შემცირებას. იმისათვის, რათა კაპიტალის მოცულობის ცვლილება შევადგინოთ, უნდა გავიგოთ ის ფაქტორები, რომლებიც ინვესტიციებისა და ამორტიზაციის მოცულობას განსაზღვრავენ.


ჩვენ ვიცით, რომ ერთ მუშახელზე გადაანგარიშებით ინვესტიცია არის $i = sy$, ხოლო $y = f(k)$, ამდენად ინვესტიცია ერთ მუშახელზე შეიძლება გამოვსახოთ როგორც კაპიტალშიანაღების ფუნქცია

$$i = sf(k);$$

რაც უფრო მაღალია კაპიტალშეიარაღების დონე k , მით მაღალია წარმოების მოცულობა $f(k)$ და ინვესტიციები i . ეს ტოლობები ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოო და მოხმარების ფუნქციებს და კაპიტალის არსებულ მარაგებსა k და ინვესტიციებს i . გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს დაზოგვის ნორმა ყოველი k -თვის წარმოებული პროდუქტის მოხმარებად და ინვესტიციებად დაყოფას.



მოდელში ამორტიზაციის გასათვალისწინებლად დავუშვათ, რომ ყოველწლიურად კაპიტალის δ დონე ცვდება და აკლდება კაპიტალის მარაგს, მას ცვეთის ნორმა ვუროდოთ. მაგალითად, თუ კაპიტალის ფუნქციონირების ვადა 50 წელია, მაშინ ცვეთის ნორმა 2% ($\delta = 0,02$) იქნება. ამდენად კაპიტალის მოცულობა, რომელიც ყოველწლიურად გადის მარაგიდან იქნება δk



როგორც გრაფიკიდან ჩანს ყოველწლიურად ცვდება და კაპიტალის მარაგებს აკლდება გარკვეული ფიქსირებული ნაწილი, ამდენად ცვეთა კაპიტალის მარაგების პროპორციულია.

ინვესტიციებისა და ცვეთის ზემოქმედება კაპიტალის მარაგებზე შეიძლება ასე გამოვითვალოთ:

კაპიტალის მარაგების ცვლილება = ინვესტიციებს - ცვეთა, ანუ


$$\Delta k = i - \delta k,$$

სადაც Δk ერთ მუშახელზე გათვლით კაპიტალის მარაგის ცვლილებაა. რამდენადაც ინვესტიციები და დანაზოგები ტოლია $i = sf(k)$, ჩვენ შეიძლება დავწეროთ, რომ

$$\Delta k = sf(k) - \delta k$$

ეს ტოლობა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ კაპიტალის მარაგის ცვლილება ინვესტიციებისა და ცვეთის სხვაობის ტოლია.

გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო მაღალია კაპიტალშეიარაღების მაჩვენებელი, მით მაღალია ერთ მუშახელზე გაანგარიშებით წარმოების მოცულობა და ინვესტიციები. თუმცა რაც მაღალია კაპიტალის მარაგი, მით მაღალია ცვეთაც.



გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ არის ერთადერთი წერტილი, სადაც ინვესტიცია და ცვეთა ერთმანეთის ტოლია. ამ წერტილში არსებობის დროს კაპიტალის მარაგი დროში არ ცვლდება ვინაიდან მასზე მოქმედი ფაქტორები (ცვეთა და ინვესტიცია) ერთმანეთის ტოლია. ამ შემთხვევაში $\Delta k = 0$, ამ მდგომარეობას კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე ვუწოდოთ და k^* -ით აღვნიშნოთ.

მიახლოება მდგრად დონემდე.


კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე ეკონომიკის გრძელვადიან პერიოდში წონასწორულ წერტილს შეესაბამება. მიუხედავად კაპიტალის თავდაპირველი დონისა, ეკონომიკაში კაპიტალის მარაგები იზრდება და აღწევს მდგრად დონეს.

დავუშვათ კაპიტალის მარაგები მდგრად დონეზე დაბალია (წერტილი k_1), იმის გამო, რომ ინვესტიციები აღემატება ცვეთას, კაპიტალის მარაგები გაიზრდება, ვიდრე იგი k^* წერტილს არ მიაღწევს, სადაც იგი მდგრად მდგომარეობაშია.

ბოლო თუ ესლა დავუშვებთ, რომ კაპიტალის მარაგები k_2 წერტილშია, მაშინ ხდება მარაგების შემცირება, რადგან ინვესტიციების მოცულობა ცვეთის მოცულობაზე ნაკლებია. ამდენად კაპიტალშეიარაღების დონე შემცირდება, ვიდრე მდგრად მდგომარეობას არ მიაღწევს. მდგრად მდგომარეობაში, სადაც ინვესტიციები და ცვეთა ერთმანეთს ვაუტოლდება, კაპიტალის მარაგები არც გაიზრდება და არც შემცირდება.

დაზოგვის ნორმის ცვლილება.

დავუშვათ ეკონომიკაში იზრდება დაზოგვის ნორმა. გრაფიკზე ასეთი შემთხვევაა განხილული.



დავუშვათ ეკონომიკა იწყებს განვითარებას, როდესაც დაზოგვის ნორმა შეადგენს S_1 ხოლო კაპიტალის მარაგები k_1^* , შემდგომში დაზოგვის ნორმა S_1 -დან S_2 -მდე იზრდება. თავდაპირველ მდგომარეობაში ინვესტიციები აბალანსებდნენ ცვეთის გამო კაპიტალის მარაგების ცვლილებას და კაპიტალშეიარაღება მდგრად მდგომარეობაში იყო. მას შემდეგ რაც დანაზოგის ნორმა გაიზარდა. გაიზარდა ინვესტიციებიც. ჯერ-ჯერობით უცვლელი ცვეთის მოცულობა, შესაბამისად კაპიტალის მარაგი იზრდება. ზრდა გავრძელდება, ვიდრე ეკონომიკა ახალ, მდგრად მდგომარეობაში k_2^* -ში არ აღმოჩნდება. ამ ახალ წერტილში ეკონომიკას როგორც შრომის უფრო მაღალი მწარმოებლურობა ახასიათებს, ასევე მაღალ კაპიტალშეიარაღება.

სოლოუს მოდელის შესაბამისად დაზოგვის ნორმა მდგრადი კაპიტალშეიარაღების დონის მიღწევის მთავარი ფაქტორია. მაღალი დაზოგვის ნორმის პირობებში, სხვა თანაბარ პირობებში, კაპიტალის დიდი მარაგები იქმნება და შრომის მწარმოებლურობაც მაღალია მაგრამ ეკონომიკური ზრდის მუდმივად მაღალი ტემპების შენარჩუნება შეუძლებელია.

4-2. კაპიტალშეიარაღების დონე და ოქროს წესი


საინტერესოა, კაპიტალის დაგროვების რა მოცულობაა ოპტიმალური, რაც ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა დაედოს საფუძვლად, რადგან სწორედ ეკონომიკურ პოლიტიკაა ის მექანიზმი, რითაც სახელმწიფო ზემოქმედებს დაზოგვის ნორმაზე და შესაბამისად ყველა იმ ცვლადზე, რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

მდგრადი მდგომარეობების შედარება.

პოლიტიკოსები, როდესაც ადარებენ კაპიტალშეიარაღების მდგრად დონეებს, საზოგადოების ცხოვრების დონის ზრდას ისახევენ მიზნად. საზოგადოების წევრებს არ აინტერესებთ არც დაზოგვის ნორმა, არც კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე, არც წარმოების მოცულობა, მათთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელთა შექმნაც მათ შეუძლიათ. ამდენად პოლიტიკოსი შეეცდება ამოიწიოს კაპიტალშეიარაღების ისეთი დონე, რომელიც მოხმარების მაქსიმალურ მოცულობას უზრუნველყოფს. კაპიტალის დაგროვების ის დონე, რომელიც მოხმარების მაქსიმუმის პირობებში მიიღწევა კაპიტალის დაგროვების ოქროს წესის სახელითაა ცნობილი და k^* არის აღნიშნული.

იმისათვის, რათა მდგრადი მდგომარეობის პირობებში მოხმარება გავიგოთ გავისწინოთ, რომ $y = c + i$, ანუ $c = y - i$, ამრიგად მოხმარება უდრის წარმოებას მინუს ინვესტიციები.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკის მდგრად მდგომარეობაში ერთ მუშახელზე წარმოება $y = f(k^*)$, სადაც k^* კაპიტალშეიარაღების შესაბამისი მდგრადი დონეა. შესაბამისად ინვესტიციები და ცვეთა ტოლია, ანუ $i = \delta k^*$, შესაბამისად მდგრად მდგომარეობაში ერთ მუშახელზე გაანგარიშებით მოხმარება შეიძლება გამოვსახოთ, როგორც $c^* = f(k^*) - \delta k^*$, რასაკვირველია მდგრად მდგომარეობაში მოხმარება ამავე მდგომარეობაში წარმოების მოცულობისა და ცვეთის სხვაობის ტოლია (რადგან ამ წერტილში ცვეთა და ინვესტიცია ტოლია). ამდენად გაზრდილი კაპიტალშეიარაღება ღონიერად ზემოქმედებს მოხმარების მოცულობაზე. იგი ზრდის წარმოების მოცულობას და ამავე დროს უფრო მეტი პროდუქცია საჭირო გაცვეთილი კაპიტალის აღსადგენად.



გრაფიკი გვიჩვენებს, რომ მდგრად მდგომარეობაში მოხმარება წარმოების მოცულობისა და ცვეთის სხვაობის ტოლია, და რომ არსებობს მხოლოდ ერთი k^* წერტილი, რომელშიც მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარება მაქსიმუმს აღწევს. სწორედ ამ წერტილს ეწოდება ოქროს წესის დონე.

მდგრადი მდგომარეობის ანალიზისას ყურადღება როგორც წარმოების მოცულობაზე კაპიტალშეიარაღების ზრდის ზეგავლენაზე, ასევე ცვეთაზე უნდა გამახვილდეს. თუ ქვეყანაში კაპიტალშეიარაღების დონე ოქროს წესით განსაზღვრულ დონეზე ნაკლებია, მისი (კაპიტალშეიარაღების) ზრდა გამოიწვევს წარმოების მოცულობის ზრდას, რომელიც აღემატება ცვეთას. ამ დროს მოხმარება იზრდება და საწარმოო ფუნქციის მრუდი უფრო მეტადაა დახრილი, ვიდრე δk^* ამდენად მოხმარება (მანძილი მათ შორის) k^* -ის ზრდასთან ერთად იზრდება, მაგრამ თუ კი კაპიტალის მარაგი ოქროს წესით განსაზღვრულ კაპიტალის მარაგს აღემატება, კაპიტალშეიარაღების შემდგომი ზრდა იწვევს მოხმარების შემცირებას, რადგან საწარმოო ფუნქციის მრუდი უფრო ბლაგვი ხდება და მანძილი ამ ორ წინს შორის ამცირდება.

იმისათვის, რომ სხვა ხერხითაც დავამტკიცოთ იგივე, დავუშვათ, რომ კაპიტალშეიარაღების თავდაპირველი დონე არის k^* და განვიხილოთ მისი $(k^* + 1)$ -მდე გაზრდის შესაძლებლობა. დამატებით წარმოებულ პროდუქციის მოცულობა იქნება $f(k^* + 1) - f(k^*)$, რაც კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს MPK -ს წარმოადგენს.

ცვეთის ნაზრდი კაპიტალის ერთი ერთეულით ზრდის შემთხვევაში არის ცვეთის ნორმა δ . კაპიტალის დამატებითი ერთეულით მიღებული წმინდა ეფექტი იქნება $MPK - \delta$. თუ მდგრად მდგომარეობაში კაპიტალის მოცულობა ნაკლებია ოქროს წესით განსაზღვრულ

ნორმაზე, იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში კაპიტალის ზღვრული პროდუქტი მაღალია ვიდრე ცვეთის ნორმა, მოხმარება ვიზრდება და პირიქით, თუ კაპიტალის მარაგი ოქროს წესით განსაზღვრულ მოცულობაზე მაღალია კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ცვეთის ნორმაზე დაბალია და შესაბამისად მოხმარებაც შემცირდება.


ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თავად ოქროს წესი შეიძლება ჩავწერთ ასე $MPK = \delta$, ანუ ოქროს წესით განსაზღვრული კაპიტალშეიარაღების დონე დროს კაპიტალის ზღვრული პროდუქტი და ცვეთის ნორმა ტოლია, ანუ თუ სხრულდებ ოქროს წესი, მაშინ $MPK - \delta = 0$.

ოქროს წესთან შესაბამის მდგომარეობაზე გადასვლა

აქამდე ჩვენ ვამართავდით სიტუაციას და ვამბობდით, რომ პოლიტიკოსებმ მართივად შეიძლოთ აერჩიათ მდგომარეობა. ცხადია, რეალობაში ეს ასე არ არის, თუ პოლიტიკოსები უბრალოდ ირჩევენ მდგომარეობას, ცხადია ისინი აირჩევენ საუკეთესო მდგომარეობას, რომელიც შეესაბამება ოქროს წესს.

ახლა კი დავუშვათ, ეკონომიკამ უკვე მიაღწია მდგომარეობა, რომელიც ამ შეესაბამება ოქროს წესს. ამდენად განვიხილოთ რამდენიმე ვარიანტი.


ვარიანტი 1. ეკონომიკა იწყებს განვითარებას კაპიტალის ისეთი მოცულობით რომელიც აღემატება იმ მოცულობას, რომელიც ოქროს წესითაა განსაზღვრული. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს დაზოგვის ნორმის შემცირება, რათა კაპიტალის მდგრადი მოცულობა შემცირდეს (ინვესტიციები უფრო ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ცვეთა). დავუშვათ სახელმწიფომ შესძლო დასახული მიზნის მიღწევა და დრომ გარკვეულ t_0 მომენტში დაზოგვის ნორმა მცირდება იმ დონემდე, რომ მდგრად მდგომარეობა შეესაბამებოდეს ოქროს წესს.



გრატუკზე ნათლად ჩანს თუ რა მოხდის წარმოებას, მოხმარებას და ინვესტიციებს დაზოგვით ნორმის შემცირების შედეგად მკვეთრად იზრდება მოხმარება, მცირდება ინვესტიციები ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობა უფრო მცირეა ვიდრე ცვეთა, ამიტომ ეკონომიკა გამოდის მდგრადი მდგომარეობიდან. კაპიტალის მარაგების შემცირების კვალობაზე ახლად წონასწორულ მდგომარეობამდე თანდათანობით მცირდება წარმოების მოცულობა მოხმარება და ინვესტიციები. მიუხედავად ამისა, ოქროს წესით განსაზღვრულ წერტილზე, მოხმარება უფრო მაღალია ვიდრე თავიდან იყო, მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციები დამ წარმოების მოცულობა შემცირდა. გასათვალისწინებელია, რომ მოხმარება ანა მხოლოდ ოქროს წესით განსაზღვრულ წერტილშია მაღალი თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ანამედ ამ წერტილამდე არსებულ მთელ გზაზე. როდესაც კაპიტალის მარაგი ოქროს წესის განსაზღვრულ მოცულობას აღემატება, დაზოგვის ნორმის შემცირება მართლაც კარგე ვარიანტია.

ვარიანტი 2. ეკონომიკა იწყებს განვითარებას კაპიტალის ისეთი მოცულობით რომელიც ნაკლებია ოქროს წესითაა განსაზღვრულ მოცულობაზე, ასეთ შემთხვევაში

საქონლო დანაზოვის ნორმა გაიზარდოს, იმისათვის რათა ინვესტიციებმა გადააჭარბოს ცვეთას და მოხდეს კაპიტალშეიარაღების ზრდა. დანაზოვის ზრდა მომენტალურად იწვევს მოხმარების შემცირებას, ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და შესაბამისად კაპიტალშეიარაღების ზრდას, რაც დროთა განმავლობაში წარმოების მოცულობის ზრდას იწვევს. შესაბამისად გაიზრდება მოხმარებაც.



გარკვეული დროის შემდეგ წარმოების მოცულობა, მოხმარება და ინვესტიციები ახალ მდგნად მდგომარეობაში გადადიან. იმის გამო, რომ მოდელის დასაწყისში მოხმარება ოქროს წესით განსაზღვრულზე დაბალია იყო, დანაზოგების ზრდა საბოლოოდ მოხმარების უფრო მაწარლ დონეს უზრუნველყოფს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ვარიანტის შემთხვევაში დანაზოვის ზრდა კეთილდღეობის ზრდას იწვევს. თუმცა თავიდან მოხმარების შეზღუდვა აუცილებელი ხდება.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც კაპიტალშეიარაღების დონე მაღალია ვიდრე მას ოქროს წესი ითვალისწინებს, მდგნადი მდგომარეობის მიღწევა, სადაც მოხმარების მაქსიმუმი მიიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მოხმარების მოცულობის ზრდით, ხოლო როდესაც კაპიტალშეიარაღების მოცულობა არასაკმარისია, მაშინ იმისათვის, რომ მომავალში გაიზარდოს მოხმარება, გარკვეული პერიოდით ქვეყანას მოუწევს მოხმარების შემცირება და დაზოგვის ზრდა.

ეს მომენტი ყველაზე უფრო რთულია, რადგან საზოგადოების შემადგენლობა გამუდმებით იცვლება. ამდენად საზოგადოების დღევანდელ წევრებს უწევთ უარის თქმა მოხმარებაზე, იმისათვის რათა მომავალმა თაობებმა უკეთ იცხოვრონ. ამდენად პოლიტიკოსებმა და უზნალო მოკვდავებმა უნდა გააკეთონ არჩევანი "დღევანდელ კვინცხსა და ხვალინდელ ქათამს" შორის. ამდენად კაპიტალის დაგროვების ოპტიმალური ტემპები დამოკიდებულია დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესთა თავსებადობაზე.

აღ4-3 მოსახლეობის ზრდა

სოლოუს მოდელის შესაბამისად ნათელია, რომ თავისთავად კაპიტალის დაგროვება ლეკონომიკურ ზრდას ვერ ახსნის. რადგან ჩვენ ვნახეთ, რომ ადრე თუ გვიან ეკონომიკა დამდგნად მდგომარეობაში აღმოჩნდება და ზრდა შეწყდება. არადა ისტორია იცნობს ისეთ ობიტუაციას, როდესაც ეკონომიკური ზრდა უწყვეტია. იმისათვის, რომ გავგრკვეთ თუ რა არის ითუკონომიკური ზრდის ის ფაქტორი, რომელიც მის უწყვეტობას განაპირობებს, სოლოუს ამოდელი უნდა გავათართოვით. სოლოუს მოდელი კიდევ ორ ფაქტორს ითვალისწინებს, რგესა მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი.


კაპიტალაღჭურვის მდგრადი დონე მოსახლეობის ზრდის პირობებში. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ინვესტიციები ზრდის ერთ მუშახელზე კაპიტალაღჭურვის დონეს. ხოლო ცვეთა კ ამცირებს მას. ამასთანავე მოსახლეობის ზრდაც ამცირებს ამ მაჩვენებელს.

ჩვენ ისევ პატარა ლათინურ ასოებს გამოვიყენებთ ამ ხიდიდეთა აღსანიშნავად. რომლებზე საუბარიც უკვე გვქონდა. კაპიტალი ერთ მუშახელზე აღვნიშნეთ $k = K/L$ და $y = Y/L$ -ით კი პროდუქციის გამოშვება ერთ მუშახელზე. გავითვლისწინოთ, რომ მოსახლეობის ზრდა გარკვეული დროის ვასელის შემდეგ დასაქმებულთა ზრდასაც გამოიწვევს.

კაპიტალის მარაგის ცვლილება ერთ მუშახელზე შეადგენს $\Delta k = i - \delta k - nk$. ანუ კაპიტალის ცვლილებაზე ზემოქმედებს ინვესტიციები, ცვეთა და მოსახლეობის ზრდა. ინვესტიციები ზრდის მას, ხოლო დანარჩენი ორი ფაქტორი კი ამცირებს. n მოსახლეობის ზრდის ტემპია.

გავიხსენოთ, რომ $i = sf(k)$, ამრიგად $\Delta k = sf(k) - \delta k - nk = sf(k) - k(\delta + n)$, ამრიგად ცვეთისა და მოსახლეობის ზრდის ზემოქმედება გაერთიანებულია. ცვეთა ამცირებს კაპიტალის მარაგს, იმის გამო, რომ ფიზიკურად ცვეთის მას და ვაშყავს ექსპლუატაციიდან, ხოლო მოსახლეობის ზრდა კი იმ მიზეზით, რომ კაპიტალის გარკვეულ მოცულობას მოსახლეობის უფრო დიდ რაოდენობაზე ანაწილებს.

$(\delta + n)k$ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიციების კრიტიკული მოცულობა. ეს არის ინვესტიციების ის მოცულობა, რომელიც აუცილებელია, რათა ერთ მუშახელზე გადაანგარიშებით კაპიტალის მარაგი არ შემცირდეს. იგი კაპიტალის მოცულობის δk კლების ანაზღაურებას უზრუნველყოფს. იგი აგრეთვე ახალი მუშახელის შესაბამისი nk რაოდენობით კაპიტალით უზრუნველყოფასაც მოიცავს, რადგან ყოველ მომუშავეზე n ახალი მომუშავე და შესაბამისად კაპიტალშეიარაღების k დონე მოდის.



როგორც გრაფიკიდან ჩანს ეკონომიკა მდგრად მდგომარეობაშია, თუ კაპიტალის მოცულობა k ერთ მომუშავეზე უცვლელია, რომელიც k^* წერტილითაა აღნიშნული. თუ k უფრო ნაკლებია, ვიდრე k^* , მაშინ ფაქტიური ინვესტიციები კრიტიკულ მოცულობაზე ნაკლებია და k იზრდება, და პირიქით, თუ k უფრო მეტია, ვიდრე k^* , მაშინ ფაქტიური ინვესტიციები კრიტიკულ მოცულობაზე მეტია და k მცირდება.


მდგრად მდგომარეობაში, ინვესტიციების კაპიტალის მოცულობაზე დადებითი ზეგავლენა მთლიანად ანეიტრალურს ამავე წერტილში კაპიტალის ცვეთისა და მოსახლეობის ზრდის უარყოფით ზეგავლენას. ამგვარად k^* წერტილში $\Delta k = 0$ და $i = \delta k + nk$. თუ კი ეკონომიკამ მიაღწია მდგრად მდგომარეობას, ინვესტიციებს აქვს ორი მიზანი და ორი შეზღუდვანი ნაწილი, პირველი მან უნდა უზრუნველყოს ცვეთით მწყობრიდან გამოსული ძირითადი კაპიტალის აღდგენა, ხოლო მეორე, ახალი მომუშავეები კაპიტალით მდგრად მდგომარეობის დონეზე უნდა უზრუნველყოს.

მოსახლეობის ზრდის შედეგები.

მოსახლეობის ზრდა სოლოუს თავდაპირველ მოდელს სამი მიმართულებით ამდიდრებს. უპირველეს ყოვლისა იგი საშუალებას იძლევა მივუახლოვდეთ ეკონომიკური ზრდის მიზეზების დადგენას. ეკონომიკის მდგრად მდგომარეობაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა n ტემპით იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთ მიუხედავად კაპიტალისა და წარმოების მოცულობა არ იცვლება, იმის გამო რომ თავად მოსახლეობის რაოდენობა იცვლება n ტემპით, ამავე ტემპით იცვლება წარმოების მოცულობა. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით წარმოების მოცულობა უცვლელი რჩება, მოსახლეობის ზრდის ტემპი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ამალღების ხანგრძლივ უზრუნველყოფას.

მეორე მომენტი, მოსახლეობის ზრდა დამატებით არგუმენტაციას გვაძლევს იმის ასახსნელად, თუ რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა მდიდარი, ხოლო ზოგიერთი ღარიბი. განვიხილოთ მოსახლეობის ზრდის დაჩქარება. ცხადია, მოსახლეობის ზრდის ტემპის n_1 -დან n_2 -მდე გაზრდა კაპიტალაღჭურვის მდგრად მდგომარეობას k_1^* -დან k_2^* -მდე შეამცირებს.

რადგან k^* მცირდება, ხოლო $y^* = f(k^*)$, მცირდება მწარმოებლურობა y^* -იც.



ამგვარად, სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, რომ ქვეყნები, სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპები მაღალია, GDP მოსახლეობის ერთ სულზე შედარებით დაბალია

შესაშვს, მოსახლეობის ზრდა ზემოქმედებს ზემოქმედებს კაპიტალის დაგროვებაზე, თქონის წესით. გავიხსენოთ, რომ მოხმარება ერთ მომუშავეზე უდრის $c = y - i$. ვინაიდან წარმოების მდგრადი მოცულობა არის $f(k^*)$, ხოლო მდგრადი მდგომარეობის

ინვესტიციები კი უდრის $(\delta + n)k^*$, მოხმარების მდგრადი დონე შეიძლება ჩავწერთ, როგორც $c^* = f(k^*) - (\delta + n)k^*$. ხოლო k^* რომლის დროსაც მოხმარება მაქსიმუმს აღწევს, ისეთია რომ $MPK = \delta + n$, ან $MPK - \delta = n$. მდგრად მდგომარეობაში კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს მინუს ცვეთის ნორმა უდრის მოსახლეობის ზრდის ტემპს.

4.4. ტექნოლოგიური პროგრესი

სოლოუს მოდელი კიდევ უფრო გავართულოთ და მასში ტექნოლოგიური პროგრესი ჩავართოთ აქამდე ვთვლიდით, რომ შრომისა და კაპიტალის დანახარჯებსა და საქონლისა და მომსახურების წარმოებას შორის მუდმივი დამოკიდებულებაა. ცხადია, რეალობაში გვერმა გარე ფაქტორმა ეს დამოკიდებულება შესაძლოა შეცვალოს, ანუ მწარმოებლურობა იცვლება.

შრომის ეფექტიანობა

ამისათვის, რათა მოდელში ტექნოლოგიური პროგრესი ჩაერთოთ დაგუბრუნდეთ საწარმოო ფუნქციას სადაც წარმოების ერთობლივი მოცულობა Y დამოკიდებულია კაპიტალისა K და შრომის L დანახარჯებზე და მას ჰქონდა $Y = F(K, L)$ სახე. თუმცა შევცვალოთ ჩვენი წარმოდგენა საწარმოო ფუნქციაზე და იგი ჩავეწერთ შემდეგი სახით $Y = F(K, L \times E)$, სადაც E ერთი მომუშავეს შრომის ეფექტიანობაა. იგი დამოკიდებულია მომუშავეს ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, კვალიფიკაციაზე.

$L \times E$ არის სამუშაო ძალა, რომელიც იზომება შრომის ერთეულში, უცვლელი ეფექტიანობით. გაითვალისწინება შრომის რაოდენობა L და თითოეული მათგანის ეფექტიანობა E . ამრიგად ახალი საწარმოო ფუნქციის შესაბამისად წარმოების ერთობლივი მოცულობა Y დამოკიდებულია კაპიტალის K მოცულობაზე და ეფექტიან სამუშაო ძალის რაოდენობაზე ($L \times E$), ხოლო საბოლოოდ საწარმოო ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს $Y = F(K, L \times E)$.


ტექნოლოგიური პროგრესის ყველაზე მარტივ წარმოდგენად შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც იგი (ტექნოლოგიური პროგრესი) იწვევს E შრომის ეფექტიანობის მუდმივი g ტემპებით ზრდას, მაგალითად თუ $g = 0,02$, მაშინ თითოეული ერთეული მუშის უკუგება იზრდება წელიწადში 2%-ით. ანუ ზრდა დაახლოებით იგივე იქნებოდა, მომუშავეთა რიცხვი რომ 2%-ით გაზრდილიყო. ტექნოლოგიური პროგრესის ეს ფორმა შრომადამზოგის სახელითაა ცნობილი, ხოლო g კი შრომადამზოგი ტექნოლოგიური პროგრესის ტემპებია. რადგან შრომის რაოდენობა L იზრდება n -ით, ხოლო ეფექტიანობა E იზრდება g -ით, ($L \times E$) გაიზრდება $(n + g)$ ტემპებით.

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში კაპიტალაღწურვის მდგრადი დონე

ტექნოლოგიური პროგრესის აღწერა შრომის ეფექტიანობის გამოყენების მეშვეობით, მას მოსახლეობის ზრდის ანალოგიურს ხდის. ჩვენ ეკონომიკურ პროცესებს ვაანალიზებთ რაოდენობრივ ერთეულებში, რომლებიც საწყისი ეფექტიანობის დროს წრთეულ შრომაზე მოდის და ვუშვით $k = K / (L \times E)$ არის კაპიტალი ერთეულ შრომაზე (მუდმივი საწყისი ეფექტიანობით), ხოლო $y = Y / (L \times E)$ წარმოების მოცულობაა ერთეულ შრომაზე (მუდმივი საწყისი ეფექტიანობით). ჩვენ გვახსოვს, რომ $y = f(k)$.

ეკონომიკის ანალიზი ხდება ზუსტად იმ სქემით, რა სქემითაც ჩვენ მოსახლეობის ზრდის ზეგავლენას ვსწავლობდით. ამდენად დროთა განმავლობაში k შეიცვლება და მიიღებს შემდეგ სახეს $\Delta k = sf(k) - (\delta + n + g)k$. ამ ფორმულაში ახალი ელემენტი g ტექნოლოგიური პროგრესია. თუ კი g მაღალია, მაშინ შრომის რაოდენობა მუდმივი ეფექტიანობით იზრდება სწრაფად, ხოლო ასეთ ერთეულ შრომაზე k -ს ნაზრდი მცირეა და შეიძლება უარყოფითიც კი იყოს.

ტექნოლოგიური პროგრესის ჩართვა ანალიზში უმნიშვნელოდ ცვლის მდგრადობის ანალიზს. გვაქვს k -ს ერთი k^* დონე, სადაც კაპიტალი და წარმოებული პროდუქციის მოცულობა ერთეულ შრომაზე უცვლელია. ეს წერტილი ეკონომიკის ხანგრძლივადიან წონასწორობას აღნიშნავს.



ტექნოლოგიური პროგრესის შედეგები

განვიხილოთ ცხრილი, რომელიც ტექნოლოგიური პროგრესის მეშვეობით ეკონომიკური ზრდის მოდელის ზოგიერთი ცვლადის ცვლილებას აღწერს. როგორც უკვე ვიცით, კაპიტალი k ერთეულ შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით - უცვლელია. ვინაიდან $y = f(k)$, წარმოების მოცულობაც ერთეულ შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით, ასევე უცვლელია. გავიხსენოთ, რომ შრომის რაოდენობა მუდმივი ეფექტიანობით იცვლება g ტემპით, შესაბამისად წარმოების მოცულობა ერთ მომუშავეზე $Y/L = y \cdot E$ ასევე g ტემპით იცვლება.

ცვლადები	აღნიშვნა	ზრდის ტემპი
კაპიტალი ერთეულ შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით	$k = K/(EL)$	0
წარმოების მოცულობა ერთეულ შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით	$y = Y/(EL) = f(k)$	0
წარმოების მოცულობა ერთ მომუშავეზე	$Y/L = yE$	g
წარმოების ერთობლივი მოცულობა	$Y = y(EL)$	$n + g$

ამ ცხრილის გააზრების შემდეგ ჩვენი მოდელი უკვე მზადაა დასაბუთოს, თუ რატომ იზრდება ეკონომიკა და შესაბამისად ცხოვრების დონე წლიდან წლამდე. მაშინ როდესაც დანაზოგის მაღალი მოცულობა ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ გარკვეულ დრომდე (მდგრადობის მიღწევამდე) უზრუნველყოფს, ტექნოლოგიური პროგრესის შეუძლიათ წარმოებული პროდუქციის მოცულობის მუდმივი ზრდა გამოიწვიოს. მას შემდეგ რაც ეკონომიკა მდგრად მდგომარეობას მიაღწევს, ერთ მომუშავეზე წარმოების ზრდა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარეზე დამოკიდებული. სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ზრდას.

ოქროს წესზე ჩვენს წარმოდგენას ტექნოლოგიური პროგრესი ცვლის. გავიხსენოთ, რომ კაპიტალის დაზოგვის ოქროს წესი არის ისეთი მოცულობა, რომლის დროსაც ერთეულ შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით, მოხმარების მაქსიმუმი მიიღწევა. ჩვენი წინა მტკიცებუების ანალოგიურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოხმარების მდგრადი დონე უცვლელი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე შეადგენს $c^* = f(k^*) - (\delta + n + g)k^*$

მოხმარების მაქსიმუმი მიიღწევა, როცა $MPK = \delta + n + g$, ან $MPK - \delta = n + g$ ამრიგად ოქროს წესის შესაბამის კაპიტალის მარაგის დროს კაპიტალის წმინდა ზღვრული პროდუქტი უდრის წარმოებული პროდუქციის მოცულობის ნამატს $MPK - \delta = n + g$. ვინაიდან რეალურ

ეკონომიკაში ეკონომიკა განიცდის როგორც მოსახლეობის ზრდას, ასევე ტექნოლოგიურ პროგრესს, აუცილებელია ეს პირობა კაპიტალის მარაგის ოქროს წესით განსაზღვრულ მოცულობიდან გადახრის გამოვლენისათვის გამოვიყენოთ.

4-5. დანაზოგი, ზრდა და ეკონომიკური პოლიტიკა

დაზოგვის ნორმის შეფასება

ეკონომიკური ზრდის სლოტუს მოდელი გვიჩვენებს, თუ დაზოგვის ნორმა როგორ განსაზღვრავს კაპიტალში ინვესტიციებისა და მწარმოებლურობის მდგრად ღონეს. ოქროს წესს შესაბამისად მდგრად ღონეს შეესაბამება დაზოგვის ნორმა, რომელიც ერთ მომუშავე მოხმარების მაქსიმუმს და შესაბამისად ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმუმს უზრუნველყოფს.

თუ კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს გამოვაკლებთ ცვეთას და მიღებული შედეგ უფრო მაღალია, ვიდრე წარმოების მოცულობის ნაზრდი, ეკონომიკა ფუნქციონირებს ოქროს წესით განსაზღვრულ მოცულობაზე ნაკლები მოცულობით. ამ შემთხვევაში დანაზოგი ნორმის ზრდა საბოლოოდ მიგვიყვანს მდგრად მდგომარეობამდე, მოხმარების მაღალ ღონით. საჩინადად დევთ ვითარებაა, როცა ეკონომიკა კაპიტალის უფრო დიდი მარაგში პირობებში ფუნქციონირებს, ვიდრე ამას ოქროს წესი ითვალისწინებს, ამ შემთხვევაში მოხმარება დანაზოგის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს. იმისათვის, რათა კაპიტალში დაგროვების ეროვნული ღონე შევადგათ, საჭიროა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპზე შევადაროთ კაპიტალის წმინდა უკუგების მოცულობას. რაც ზრდის ტემპების $(n+g)$ -ს კაპიტალის წმინდა უკუგების $(MPK - \delta)$ შედარებას ითხოვს. აშშ-ში ეკონომიკა საშუალოდ წელიწადში 3%-ით იზრდება, ამიტომ $n+g = 0,03$. წმინდა ზღვრული პროდუქტი განაგარნიშებისათვის სამი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ:

1. კაპიტალის მარაგი 2,5-ჯერ მეტი მაინცაა წლიურ GDP-ზე;
2. კაპიტალის ცვეთა GDP-ს 10%-ია;
3. კაპიტალის წილად ეროვნული შემოსავლის 30% მოდის.

პირველი ნიშნავს, რომ $k = 2,5y$, მეორე $\delta k = 0,1y$, ამდენად $\delta = (\delta k) / k = (0,1y) / (2,5y) = 0,04$, ესე იგი კაპიტალის მარაგის მხოლოდ 4% აკლდება მის მოცულობას ყოველწლიურად იმისათვის, რათა კაპიტალის ზღვრული პროდუქტი გამოვთვალოთ, გავისხნოთ, რის შემოსავალი კაპიტალზე მისი ზღვრული პროდუქტის ტოლია. ამიტომ კაპიტალის წილი $= (MPK \times K) / Y = MPK \times (K/Y)$, თუ ამ ტოლობაში ჩვენს ცნობილ მაჩვენებლებს ჩავსვავთ მივიღებთ, რომ $0,30 = MPK \times 2,5$, ანუ $MPK = 0,30 / 2,5 = 0,12$.

ამდენად კაპიტალის ზღვრული პროდუქტი დაახლოებით 12%-ია. კაპიტალის წმინდა ზღვრული პროდუქტი $(MPK - \delta)$ უდრის 8%-ს, და საკმაოდ მეტია, ვიდრე ეკონომიკის ზრდის საშუალო ტემპი, რომელიც 3%-ის ტოლია.

ეს ნიშნავს, რომ აშშ-ს ეკონომიკაში კაპიტალის მარაგები გაცილებით დაბალია, ვიდრე ოქროს წესით განსაზღვრული მაჩვენებელი. ამდენად აშშ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს დანაზოგების და ინვესტიციების ზრდისაკენ.

დაზოგვის ნორმის ცვლილება

სახელმწიფო პოლიტიკამ შესაძლოა დაზოგვის ეროვნულ ნორმაზე ორი მეთოდით იმოქმედოს: პირველი, უშუალოდ სახელმწიფო დანაზოგების ზრდით, და მეორე, ირიბი გზით, კერძო ინვესტიციების წახალისებით.

სახელმწიფო დანაზოგები არის სახელმწიფო შემოსავლებისა და სახელმწიფო დანახარჯების სხვაობა. თუ ეკონომიკაში სახელმწიფო შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს, ანუ დანაზოგებს აქვს მინუს ნიშანი. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, ანუ ფულის სესხებით ფარავს. აღნიშნულთ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობით ავიწროებს და გამოდევნის ინვესტიციებს. მეორეს მხრივ, თუ სახელმწიფო შემოსავლები აღემატება დანახარჯებს, სახელმწიფო ხელს უწყობს დანაზოგს (რადგან იწყებს ვალეების გასტუმრებას) და შესაბამისად ინვესტირებას.



რაც შეეხება კერძო დანაზოგებს, იგი შეიძლება მთავრობის მხრიდან სხვადასხვა სახის ზემოქმედებას განიცდიდეს. დანაზოგების შესახებ ოჯახების გადაწყვეტილებები სოლოუს მოდელში არ განიხილება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დაეუშვათ, რომ იგი კაპიტალის შემოსავლიანობაზე დამოკიდებულია. რაც უფრო მაღალია შემოსავალი კაპიტალზე, მით უფრო მაღალია დაზოგვის ალბათობა. სავადასახადო სტიმულები, მათ შორის პირადი საპენსიო ანგარიშების და ინვესტიციების შეღავათიანი დაბეგვრა ზრდის კაპიტალიდან შემოსავალს და ამდენად ზრდის კერძო დაზოგვის სტიმულებს.

ტექნოლოგიური პროგრესის წახალისება

სოლოუს მოდელის შესაბამისად შემოსავლის მუდმივი ზრდა ტექნოლოგიური პროგრესითაა განპირობებული. ამასთან სოლოუს მოდელი ტექნოლოგიურ პროგრესს აღწერს როგორც ეგზოგენურ ფაქტორს და იგი არ ხსნის მას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებანი მიმართული უნდა იყოს ტექნოლოგიური პროგრესის წახალისებაზე. სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს და ახალისებდეს მეცნიერულ კვლევებს (დაფინანსებით, პატენტებით, სავადასახადო შეღავათებით).

4-6. დასკვნა: სოლოუს მოდელის მიღმა

მიუხედავად იმისა, რომ სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელი ეკონომიკური ზრდის ანალიზის კარგ თეორიულ ბაზას ქმნის, ის მაინც ანალიზის მხოლოდ პირველი საფეხურია. სოლოუს მოდელი მნიშვნელოვნად ამარტივებს ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს და საერთოდ არ ხილავს ზევრ ასპექტს. ამიტომ მეცნიერები ცდილობენ რაც შეიძლება რთული მოდულები ააკონ.

უფრო სრულყოფილი მოდულები სოლოუს მოდელში გათვალისწინებულ ეგზოგენურ ცვლადებს ენდოგენურად მიიჩნევენ (მაგალითად, დანაზოგების ნორმა, მოსახლეობის ზრდის ტემპი). ამასთან განიხილება ისეთი ფაქტორები, როგორცაა ადამიანური კაპიტალი, გარეგანი ფიქტები და სხვა.

5. უმუშევრობა

უმუშევრობა ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემების რიგს განეკუთვნება, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს თითოეულ ადამიანზე. ზევრი ადამიანისათვის სამუშაოს დაკარგვა ცხოვრების ღონის დაცემასთან და უშიშმეს ფსიქოლოგიურ ტრამვასთან გაიგივდება. სწორედ ამიტომ უმუშევრობა პოლიტიკური დისკუსიების მთავარი თემაა. პოლიტიკოსები ხშირად ეკონომიკაში მდგომარეობის დასახატავად ე.წ. "სილატაკის ინდექსს" იყენებენ, რაც უმუშევრობისა და ინფლაციის დონეების ჯამს წარმოადგენს.

ეკონომისტები უმუშევრობას სწავლობენ იმისათვის, რათა დაადგინონ მისი მიზეზები, ასევე ურთულენ სახელმწიფოს მხრიდან იმ ღონისძიებების განხორციელების პროცესი, რომლებიც დასაქმებაზე ზემოქმედებს. ასეთი ღონისძიებები სხვადასხვა ტიპისაა და სხვადასხვა რამეს ისახევენ მიზნად, კერძოდ ზოგიერთის მიზანი შესაძლოა უმუშევართა პროფესიული გადამზადება და ამ გზით მათი დასაქმებისათვის ხელშეწყობა იყოს, ზოგიერთი ღონისძიება უმუშევრობისაგან დაზღვევას გულისხმობს, რათა შეამციროს ის უარყოფითი შედეგები, რაც უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში შეიძლება გვექონდეს. ზოგიერთი ღონისძიება არაპირდაპირ ზემოქმედებს უმუშევრობაზე, მაგალითად მინიმალური ხელფასის შესახებ კანონი ზრდის უმუშევრობას და ა.შ.


5-1. სამუშაოს დაკარგვა, სამუშაოს ძებნა და უმუშევრობის ბუნებრივი დონე.

შრომის ბაზარზე ყოველდღიურად ხდება ცვლილება, დასაქმებულთა ნაწილი ტოვებს სამსახურს ან მათ ათავისუფლებენ სამსახურიდან, ზოგიერთი უმუშევარი კი პირიქით, პოულობს სამსახურს. უმუშევართა რიცხვის ასეთი ცვლილების შესწავლა სამუშაოს გვაძლევს გავარკვიოთ სამუშაო ძალაში უმუშევართა წილი, ასევე გავარკვიოთ რა ზემოქმედებს უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე.

დავეუბნოთ L სამუშაო ძალაა, E -მომუშავეთა ნიცხოვნებაა, ხოლო U კი უმუშევართა ნაოღენობაა. იმის გამო, რომ ნებისმიერი შრომისუნარიანი ადამიანი ან დასაქმებული ან უმუშევარი, მივიღებთ, რომ $L = E + U$.

ამრიგად სამუშაო ძალა დასაქმებულთა და უმუშევართა ერთობლიობაა. ხოლო უმუშევრობის დონე კი U/L .

დავეუბნოთ, სამუშაო ძალის ნაოღენობა უცვლელია. ადამიანთა გადასვლა დასაქმებულთა კატეგორიიდან უმუშევრების კატეგორიაში ნაჩვენებია ნახატზე.



s -ით აღენიშნოთ დასაქმებულთა ის ნაოღენობა, რომელიც ყოველთვიურად კარგავს სამსახურს, f კი დონეა, რომელიც ახახავს უმუშევართა იმ ნაოღენობას, რომლებიც პოულობენ სამსახურს და გადადიან დასაქმებულთა კატეგორიაში. დავეუბნოთ ეს მაჩვენებლებიც მუდმივია და ისინი უმუშევრობის დონეს ახახავენ.

თუ უმუშევრობის დონე ან იცვლება ესე იგი სამუშაო დაკარგულთა და სამუშაო ნაპოვნთა ნაოღენობა ტოლია. ვინაიდან fU არის ადამიანთა ნაოღენობა, რომლებმაც იმოვეს სამსახური, ხოლო sE კი ადამიანთა ის ნაოღენობა, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, ეს ორი მაჩვენებელი ტოლი უნდა იყოს: $fU = sE$. თუ გავიხსენებთ, რომ $E = L - U$, მივიღებთ, რომ

$$fU = s(L - U).$$

გავყოთ ორივე მხარე L -ზე და მივიღებთ $f \frac{U}{L} = s \left(1 - \frac{U}{L} \right)$, ამ განტოლებას თუ გარდაქმნით,

მივიღებთ, რომ
$$\frac{U}{L} = \frac{s}{s + f}.$$

აქედან ჩანს, რომ უმუშევრობის დონე დამოკიდებულია დასაქმებისა და განთავისუფლების დონეთა მაჩვენებლებზე. რაც მაღალია სამუშაოზე აყვანის მაჩვენებელი, მით მაღალია დასაქმების დონე ეკონომიკაში და დაბალია უმუშევრობის დონე და პირიქით, რაც მაღალია სამუშაოდან განთავისუფლების მაჩვენებელი, მით მაღალია უმუშევრობის დონე.

ეს უმარტივესი ლოგიკური თეზისი საინტერესო და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჭირო დასკვნის გაცემების საშუალებას იძლევა - ნებისმიერ ეკონომიკურ პოლიტიკა, რომელიც უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებისკენა მიმართული უნდა ამცირებდეს სამუშაოდან განთავისუფლების დონეს ან ზრდიდეს სამუშაოზე აყვანის დონეს.

5-2. სამუშაოს ძებნა და ფრთხილი უმუშევრობა.

უმუშევრობის არსებობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ დროის გარკვეული პერიოდი საჭირო სამუშაო ძალის სტრუქტურასა და თავისუფალ სამუშაო ადგილებს შორის თანათუარდობის დასამყარებლად. თუ დავეუბნებთ, რომ ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ სამუშაოს ერთნაირად კარგად შეასრულებს, მაშინ ვასაგებია, რომ უმუშევრობა არ იარსებებს

რადგან სამუშაო დაკარგული ადამიანი მარტივად მოძებნის მის სანაცვლოს, თანაც საბაზრო ფასად (ხელფასად).

რეალობა განსხვავებულია. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მისწრაფებებით, ნიჭით. ამასთან სხვადასხვა სამუშაო ადგილი მომუშავეს სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას მოითხოვს. გარდა ამისა ინფორმაცია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და უმუშევართა კვალიფიკაციის შეახებ არ ვრცელდება უბალოდ ზუსტად და დროში სწრაფად. განათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანები გეოგრაფიულ სივრცეში მცისიერად ვერ გადაადგილდებიან. სამუშაო ადგილებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს შრომის ანაზღაურების მოცულობით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი განაპირობებს იმას, რომ მომუშავეთა და სამუშაო ადგილებს შორის თანათედრობის დამყარებას დრო სჭირდება, სწორედ ამ პერიოდს და შესაბამის უმუშევრობას ეწოდება ფრიქციული უმუშევრობა.

ფრიქციული უმუშევრობის არსებობა გარდაუვალია ეკონომიკაში. მოთხოვნა გარკვეული ტიპის საქონელზე მუდმივად იცვლება, შესაბამისად იცვლება მოთხოვნა შრომაზე იმ საწარმოებში, რომლებიც ამ საქონელს უშვებს. კომპიუტერების გამოგონებამ შეამცირა მოთხოვნა საბჭედ მანქანებზე, შესაბამისად შემცირდა საბჭედ მანქანების წარმოებულ კომპანიებში დასაქმებულთა რიცხვი. ამასთან მკვეთრად გაიზარდა შრომაზე მოთხოვნა და ელექტრონულ მწიწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა. დასაქმება შესაძლოა რეგიონულ დონეზეც განსხვავდებოდეს. შავ ღვინოზე მოთხოვნის ზრდამ შესაძლოა დასაქმებულთა რაოდენობა ვაზარდოს რაჭასა და კახეთში, ხოლო ქართული წარმოების მძიმე მწიწველობის პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებამ უმუშევრად დატოვა ქუთაისის, რუსთაველის და თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ასეთ ცვლილებებს ეკონომისტები სტრუქტურულ ცვლილებებად მოიხსენიებენ. ასეთი ცვლილებები კი მუდმივადაა. ამდენად ფრიქციული უმუშევრობა სტაბილურად არსებობს.

სტრუქტურული ცვლილებები მომუშავეთა განთავისუფლებისა და ფრიქციული უმუშევრობის ერთადერთი მიზეზი არაა. საბაზრო ეკონომიკა არაა დაცული ისეთი მოვლენებისაგან, როგორცაა ფინანსი გაკოტრება, რაც ასევე უმუშევრობის მიზეზი ხდება, ან შესაძლოა მათი შრომის მიმართ გაჩნდეს პრეტენზიები. ადამიანები თავადაც ხშირად ტოვებენ სამსახურს სხვადასხვა მიზეზის გამო.

სახელმწიფო პოლიტიკა და ფრიქციული უმუშევრობა

სახელმწიფო პროგრამების დიდი ნაწილის მიზანი ფრიქციული უმუშევრობის შემცირების გზით უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირების მიღწევაა. დასაქმების სახელმწიფო სამსახურები ავრცილებენ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, აქვთ დაბაზმად შროგრაფების პროგრამები, რათა იმ დარგების მუშაკებმა, რომლებიც იხურებიან მარტივად მოახერხონ ახალი სამსახურების მოძებნა. ასეთი საქმიანობით სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას.

მაგრამ ზოგიერთი დონისძიებით სახელმწიფომ შესაძლოა უმუშევრობა წაახალისოს კიდევ. ასეთ დონისძიებებს მიეკუთვნება უმუშევრობისაგან დაზღვევა. ამ პროგრამის შესაბამისად უმუშევრები ხელფასის ნაწილს იღებენ. რაც ცხადია უმუშევრებს უკარგავს სურვილს აქტიურად ეძებონ სამსახური. აღნიშნული ზრდის ფრიქციულ უმუშევრობას, ვინაიდან სამუშაოს დაკარგვით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალს ანეიტრალებს.

თავისთავად ცხადია, ის რომ უმუშევრობისაგან დაზღვევა ზრდის უმუშევრობას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა უკუღია. მისი დადებითი მხარე ისაა, რომ მშრომელები გარკვეულ გარანტიებს ღებულობენ, რომ ამგვარი პოლიტიკის გატარების მეშვეობით შემოსავლების გარეშე არ დარჩებიან. გარდა ამისა, ამ დაზღვევის იმედით, მუშები უარს ამბობენ ისეთ სამსახურზე, რომელიც მათ კვალიფიკაციას არ შეესაბამება, რითაც ეს პროგრამა ხელს უწყობს ბაზარზე სამუშაო ძალისა და სამუშაოთა სტრუქტურის შესაბამისობას.


ეკონომისტთა ნაწილი მოითხოვს რომ უმუშევრობისაგან დაზღვევის სისტემა შეიცვალოს. ერთ-ერთ გზათ მიაჩნიათ *ასპროცენტრიანი კომპენსირება*, ანუ ფინანსი რომელიც ათავისუფლებს ადამიანს დაკავებული სამსახურიდან, ვალდებული უნდა იყოს მთლიანად აუნაზღაუროს განთავისუფლებულს დანაკარგი, მაშინ როდესაც დღეს მოქმედი წესი

ნაწილობრივ კომპენსაციას იცნობს, რაც ფინმას განთავისუფლებულთა დანაკლისი ნაწილის კომპენსირებას ავალდებულებს.

ცხადია, პირველი შემთხვევა შეამცირებს ფინმის სწრაფვას, რაც შეიძლება მეტად ადამიანი დატოვოს უმუშევრად და უფრო მეტად სტაბილურს გახდის დასაქმებას.

5-3. ხისტი ხელფასი და მოლოდინის უმუშევრობა

უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი ხელფასის სიხისტეა. სიხისტე ეს არის ხელფასის უუნარობა შრომაზე მოთხოვნა და მისი მიწოდება ადეკვატურად დაარეგულიროს. თეორიამ აღიარებულაია, რომ ხელფასი მოქნილი უნდა იყოს, ანუ თუ შრომაზე მოთხოვნა შემცირდება, უნდა მოხდეს ხელფასის იმგვარად შემცირება, რომ უმუშევრობა არ მოხდეს.



გრაფიკი გვიჩვენებს, რატომ მიყვავართ ხისტი ხელფასის უმუშევრობამდე. როდესაც რეალური ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე წონასწორული ხელფასი, იზრდება მასზე მოთხოვნა (ანუ იზრდება ბაზარზე შრომის მიწოდება), ხოლო შრომაზე მოთხოვნა უცვლელია.

უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია ხისტი ხელფასით ეკონომიკურ მეცნიერებაში მოლოდინის უმუშევრობადაა ცნობილი. ადამიანები უმუშევრები ხდებიან ანა იმიტომ, რომ მათ არ მოსწონთ ეს ხელფასი, არამედ იმიტომ, რომ ამ ხელფასის პირობებში შრომაზე მოთხოვნა ბევრად ჩამორჩება შრომის მიწოდებას.

ლოგიკურია, რომ თუ ხელფასი მეტია წონასწორულზე, დამქირებლებს დაინტერესებულნი არიან შეამცირონ ხელფასი. მაგრამ სამი სხვადასხვა მიზეზის გამო ისინი ამას ვერ აკეთებენ. ხისტი ხელფასის მიზეზებია: კანონები მინიმალური ხელფასის შესახებ, პროფკავშირები და ფინანსების მიერ მასტიმულირებული სახელფასო პოლიტიკის გატარება.

მინიმალური ხელფასის შესახებ კანონმდებლობა

მთავრობა ხელს უწყობს ხელფასის სიხისტეს, რადგან ხელს უშლის მის დაცვამ გარკვეული მაჩვენებლის ქვემოთ. კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასის ავალდებულება ანა მხოლოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებაზე იმყოფება, არამედ ყველასათვის.

აშშ-ში ასეთია 7 დოლარი საათში, საქართველოში კი 20 ლარი თვეში (საბიუჯეტო დაწესებულებებში 115 ლარი). ცხადია დასაქმებულთა უმეტესობისათვის არც აშშ-ში და არც საქართველოში ამ მაჩვენებლებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან ისინი გაცილებით მაღალ ხელფასს იღებენ, მაგრამ ზოგისთვის (განსაკუთრებით აშშ-ში დაბალკვალიფიციური მუშახელისათვის, ახალგაზრდებისათვის) ეს არის წონასწორულზე მაღალი ხელფასი, რაც ამ კატეგორიის ადამიანთა შორის უმუშევრობის შედარებით მაღალ დონეს იწვევს.

პროფკავშირები და კოლექტიური ხელშეკრულებები

ხისტი ხელფასის მეორე, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პროფკავშირების მონოპოლიური როლია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პროფკავშირების როლი მინიმალურია და პროფკავშირული მოძრაობა არც თუ ისე განვითარებულია, ამ თემისათვის გვერდის ავლა არ იქნებოდა სწორი, რადგან სწორედ პროფკავშირული მოძრაობაა მთელ მსოფლიოში ის ძალა, რომელიც იცავს დასაქმებულთა ინტერესებს, განსა ამისა მათი უფლებების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში მკვეთრი ღონისძიებებით რეაგირებს, მონაწილეობს კონტრაქტების დადებაში, ცხადია, თუ თითოეულ დასაქმებულს გაუჭირდება მისთვის სასურველი გადაწყვეტილებების გატანა, პროფკავშირები, რომლის უკანაც საკმაოდ დიდ რაოდენობით აღამაინა, ამას უფრო მარტივად აკეთებს. ამდენად, თუ პროფკავშირები მიაღწევენ იმას, რომ კონკრეტულ საწარმოში, დარგსა თუ მთელი ქვეყნის ეკონომიკაში ხელფასი წონასწორულზე მაღალი იქნება, ეს შესაბამისად გაზრდის უმუშევრობას. თუმცა ზოგჯერ ფერმას უნჩევნია გადაუხადოს მეტი ხელფასი მუშებს, ვიდრე ისინი პროფკავშირებში იხილობს.

სამუშაო ძალა შეიძლება ორ ჯგუფად ინსაიდერებად და აუტსაიდერებად დაეყოთ. ინსაიდერები ისინი არიან, ვინც ფერმებში მუშაობენ და წონასწორულზე მეტ ხელფასს იღებენ და მის შენარჩუნებას ცდილობენ, ხოლო აუტსაიდერები უმუშევრები არიან და ინსაიდერების მაღალი ხელფასით გამოურწვეულ შედეგებს თავის თავზე იწუნებენ. ცხადია, ამ ორ ჯგუფს შორის ინტერესთა კონფლიქტია.

სხვადასხვა სახელმწიფოში ეს კონფლიქტი სხვადასხვანაირად გვარდება. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში მოლაპარაკებები ხელფასის თაობაზე ფერმის დონეზე მიმდინარეობს, შევცაიში კი ეს თემა საერთო ეროვნულ ხასიათს ატარებს და ამ პროცესში დიდი მთავრობის როლი. მიუხედავად იმისა, რომ შევცაიში დასაქმებულთა უმრავლესობა პროფკავშირების წევრია, უმუშევრობა დაბალ დონეზეა, რაც როგორც ჩანს ამ პროცესში მთავრობის ჩარევის მაღალი დონითაა განპირობებული. მეცნიერთა აზრით, მთავრობა აუტსაიდერთა პოზიციებს იცავს და ხელფასი წონასწორულს არ აღემატება.

მასტიმულირებელი ხელფასი

რეალური ხელფასის სისხისტის მესამე მიზეზი, როგორც კვლევებმა დაადასტურეს, უფექტიანი შრომის მასტიმულირებელი შრომის ანაზღაურების სისტემაა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი ხელფასი წახალისებს დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობას. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ფერმები, მიუხედავად შრომის ჭარბი მიწოდებისა ვერ ახერხებენ ხელფასების შემცირებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ხელფასის შემცირებამ შესაძლოა დასაქმებულთა მწარმოებლურობა და შესაბამისად ფერმის მოგება შეამციროს.

ხელფასსა და მწარმოებლურობას შორის კავშირის რამდენიმე თეორია არსებობს. მათგან ერთ-ერთი შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შეეხება და ამტკიცებს, რომ მაღალი ხელფასის მქონე პირები კარგად იკვებებიან, ხოლო ეს უკანასკნელნი უფრო ჯანმრთელი, და შესაბამისად უფრო მაღალ მწარმოებულნი არიან. ასეთ ქვეყნებში, ფერმა თავიდან დაინტერესებულია წონასწორულ ხელფასზე მაღალი ხელფასი გადაუხადოს მუშებს, რათა ამ გზით დასაქმებულთა ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. ცხადია ასეთი თეორია ვერანაირად ვერ განსაზღვრავს ფექტიანს. ხელფასის რაოდენობას განვითარებულ ქვეყნებში, აშშ-ში, ევროკავშირში, იაპონიაში, სადაც საშუალო ხელფასი წონასწორულზე გაცილებით მაღალია.

განვითარებულ ქვეყნებში არსებულ სიტუაციას უფრო კარგად ასახავს თეორია, რომლის თანახმადაც წონასწორულზე მაღალი ხელფასით ფერმები ცდილობენ შეამცირონ კადრების დენადობა. დასაქმებულთა ბევრი მიზეზით ტოვებენ სამსახურს - მათ შესაძლოა სხვა ფერმებში უკეთესი თანამდებობების დაკავების იმედი აქვთ, ან პროფესიულ ორიენტაციას იცვლიან. შესაძლოა შეავალიონ საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. კომპანია, აწესებს რა მაღალ ხელფასს ამცირებს კადრების დენადობას და ამით ამცირებს ახალი მუშების აყვანისა და გადამზადების დროს.

მესამე თეორიის შესაბამისად, პერსონალის საშუალო ხარისხი ფერმაში სწორედ ხელფასზეა დამოკიდებული. ფერმის მიერ ხელფასის შემცირების პირობებში, კარგი

პროფესიონალები ადვილად იპოვიან სამსახურს სხვა ფერმებში, და დარჩებიან მხოლოდ ცუდები, რომლებსაც ალტერნატივა არ აქვთ. ეკონომისტები ასეთ შერჩევას უარყოფენ, ხელეჭიას უწოდებენ. წინასწორულზე მაღალი ხელფასით ფერმა ამცინებს უარყოფის სელექციას, ამაღლებს მწარმოებელურობას და ფერმის მოვლას.

მეოთხე თეორიის შესაბამისად, მაღალი ხელფასი ზრდის დასაქმებულთა მონდობებს. ამ თეორიას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ფერმები კონტროლ ეფექტიანი მექანიზმების დეფიციტს განიცდიან. რაც ხელს უშლის მათ გააკონტროლო რამდენად მონდომებით მუშაობენ ადამიანები და მუშები თავად წვევებენ, როგორც ეფექტიანობით იმუშაონ. მაღალი ხელფასი კი თვითკონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა რაც აიძულებს ადამიანებს უფრო მონდომებით იმუშაონ მაღალი ხელფასის შესანარჩუნებლად, რათა არ დაკარგონ მაღალანაზღაურებადი სამსახური. ეკონომისტები ასეთ, არასწორ ქმედებებს მორალურ რისკს უწოდებენ. მაღალი ხელფასი მორალურ რისკის საპირწინაა და ამით ფერმა ცდილობს დასაქმებულებს "კარგად მუშაობა" აიძულოს.

ეს ოთხევე თეორია ერთიანი იმაში, რომ მაღალი ხელფასის პირობებში ფერმა უფრო ეფექტიანად მუშაობს, თუმცა ხელფასის ასეთი სიხისტის შედეგი მოლოდინის უმუშევრობაა.

5-4. უმუშევრობის მაჩვენებლები

უმუშევრობის ხანგრძლივობა

უმუშევრად ყოფნის ხანგრძლივობა გვიჩვენებს უმუშევრობის მიზეზებს და აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკის შესაძლო მიმართულებებსაც. თუ უმუშევრობა ხანმოკლეა, ალბათ ფრიქციული უმუშევრობაა, რომელიც ვარდაუებაა და ადამიანებს არ სჭირდება დიდი დრო, რათა მათი კვალიფიკაციის და მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო იპოვონ. მაშინ როდესაც ხანგრძლივი უმუშევრობა რთული პროცესია რადგან ფრიქციული უმუშევრობა ჩანჩოებს სცილდება და შესაძლოა მოლოდინის უმუშევრობად ჩამოყალიბდეს.

ამენაკული გამოკვლევები (სამწუხაროდ ქართული გამოკვლევები ამ მიმართულებაში ძალიან მწირია) გვიჩვენებს, რომ უმუშევართა უდიდესი ნაწილისათვის უმუშევრობა დროს განვიდობს არ არის, თუმცა უმუშევრობის დონის შექმნაში "ლომის წვლილი" სწორედ ისე უმუშევრებს შეეჭვს, რომლებიც დროს უფრო დიდხანს განმავლობაში არიან უმუშევრები.

იმის და შესაძლოა, შესაძლოაა, შევინჯოთ წინასწარად გვებს უმუშევრად ყოფნის ცალკეულ პერიოდებს, თუ უმუშევრობის ერთობლივი ხანგრძლივობა, უმუშევრობა შესაძლოა იყო მოკლევადიანი ან გრძელვადიანი.

უმუშევრობის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას ძალზე მნიშვნელოვანია თუ ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს უმუშევრობის საერთო დონის შემცირებას, მაშინ პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს უმუშევრობის საერთო ხანგრძლივობაზე, თუმცა უმუშევართა შორის ასეთი ადამიანები აქ შეადგენენ დიდ ნაწილს.

უმუშევრობის დონეები სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებში და უმუშევრობის ზრდა გლობალური ტენდენციები

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში უმუშევრობის სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებული დონეებია. ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა ტრადიციულად უფრო მაღალია. აღნიშნულის ასახსნელად გამოდგება ორი მომენტი, პირველი შრომითი მოწყობის დაბალი, ან სამუშაოს დაკარგვის მაღალი მაჩვენებელია. იმის გამო, რომ ახალგაზრდებში პირველად უწევთ სამსახურის ძებნა, მათში უმუშევრობის დონე მაღალია. ასევე მაღალი უმუშევართა წილი ქალებში.

საქართველოს ეს არ ემუქრება, მაგრამ სხვა ქვეყნებში თეთრკანიანთა შორის უმუშევრობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე შავკანიანებში. ეს ფენომენი სრულყოფილია ანაა შესწავლილი. მათ შორის არც აშშ-ში, სადაც ეს პრობლემა ყველაზე მეტად დგას.

გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში უმუშევართა ზრდის ტენდენციები ისახება ეს შესაძლოა ეკონომიკაში მიმდინარე სისტემურმა ცვლილებებმა გამოიწვიოს. ამასთან იცვლება სამუშაო ძალის სტრუქტურაც, რაც წმინდად დემოგრაფიული პრობლემაა.

შრომის ზაზარზე შესვლა და გამოსვლა

ცხადია შრომითი რესურსების სტრუქტურა იცვლება. იცვლება მისი შემადგენლობაც, საინტენესოა თავად შრომითი რესურსების ზაზარაც.



გასაგებია, რომ ყველა ადამიანი, რომელიც ეძებს სამსახურს ვერ პოულობს მას და
გაღის სამუშაო ძალიდან.

შრომითი სტატისტიკაც ყოველთვის ზუსტი არ არის. შესაძლოა ადამიანი საკუთარ
თავს უმუშევარს უწოდებდეს, მაგრამ იგი იმდენად პასიურია სამუშაოს ძებნის პროცესში, რომ
მისი უმუშევართა რიგებისათვის მიკუთვნება არც თუ მთლად დასაბუთებულია.
ანალოგიურად, უმუშევართა გარკვეული რაოდენობა იმედდაკარგულია და წყვეტს სამუშაოს
ძებნას, რითაც ამოვარდნილია უმუშევართა რეალური რაოდენობიდან და ამახინჯებს
სურათს.

6. ინფლაცია

1970 წელს ამერიკაში "New York Times"-ი 15 ცენტი, ზინა 23 000 დოლარი ღირდა ხოლო საშუალო ხელფასი საათში 3,35 დოლარი იყო. 20 წლის შემდეგ "New York Times"-ი 4 ცენტი, ხოლო ზინა 100 000 დოლარი ღირდა, საშუალო ხელფასი საათში კი 10,83 დოლარს გახდა. ფასების მსგავსმა საყოველთაო აწევამ ინფლაციის სახელი მიიღო. ცხადია ინფლაცი მხოლოდ ამერიკული მოვლენა არ არის, სულ რამოდენიმე წლის წინ საქართველოში ზენზინი 30-40 თეთრი ღირდა, დღეს კი ფასებმა 1,50 ლარს გადააჭარბეს, ანალოგიურად გაიზარდა სხვა ფასები.

ინფლაციის ტემპი - ფასების საერთო დონის ცვლილება პროცენტებში განსხვავებულია როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნის რეგიონებს შორის, და რაც მთავარია, იგი დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაა. ქვეყნები, მათ შორის საქართველო სხვადასხვა ტემპების ინფლაციას, მათ შორის შიშვენიერულად (როცა ინფლაციის ტემპზე მაღალია) განიცდიდნენ.

შენი ფორდი ინფლაციას "საზოგადოების ნომერ პირველ მტერს", ხოლო რონალდ რეიგანი კი "ყველაზე მკაცრ გადასახადს" უწოდებდა.

6-1. ფული

ეკონომისტები ტერმინ ფულის ქვეშ განსაზღვრულ შინაარსს დებენ, კერძოდ ფული ე არის აქტივების ერთობლიობა, რომელიც ვარიეტეტების დროს გამოიყენება. ვარკვეულ მიახლოებით უნდა ითქვას, რომ ფულის ნიშნები (ლარები), რომლებიც მოსახლეობაში ქვეყნის ეკონომიკაში ფულის საერთო რაოდენობას ქმნის.

ფულის ფუნქციები

ფული სამ ფუნქციას²¹ ასრულებს: ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება და დაგროვების საშუალება.

როგორ ღირებულების საზომი, ფული გამოდის ერთეულის, მასშტაბის სახით. სწორედ ფულის მეშვეობით გამოისახება ყველა ფასი და მიმდინარეობს აღრიცხვა. საქონლის ფასებ გამოისახება ლარებში (დოლარებში) და არა სხვა საქონლის რაოდენობაში.

მიმოქცევის საშუალება - ეს ფულის ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ჩვე ყვიდულობთ საქონელსა და მომსახურებას.

დაგროვების საშუალება არის დღევანდელი შენაძენების მომავალში გადატანა საშუალება. თუ მე გამოვიმუშავე 100 ლარი, მე შემიძლია ეს თანხა შევინახო (დავავრო) და მომავალში განვახორციელო შენაძენი. მიუხედავად ამისა, რომ ფული დაგროვების არც თუ მთლად ოპტიმალური საშუალებაა, რადგან ფასების აწევა (ინფლაცია) მათ რეალურ მსყიდველობითუნარიანობას ამცირებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანებს აქვთ თვისება - დაავროვონ ფული.

ფულის გარეშე ეკონომიკის განხილვა ფულის ფუნქციებს უფრო ნათლად დაგვანახებს. ასეთ დროს უნდა მოხდეს მოთხოვნილებათა დამთხვევა, ანუ ორი ადამიანი ძალიან იშვიათი შემთხვევა, როდესაც მათ სურთ შეიძინონ ზუსტად ის საქონელი, რომელიც აქვს მეორეს. ასეთ გაცვლას ბანკტონი ქვია

ფულის სახეები

ფული სხვადასხვა ფორმით არსებობს. უმეტეს შემთხვევაში ესაა ფულის ნიშანი ბანკოტი, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა ფულის როლის შესრულება. ფულის ნიშნებს (ლარს, დოლარს) ანაბიონი ღირებულება, ფასულობა არ ექნებოდა, რომ არა მათ გამოყენება ფულის სახით. ქაღალდის ფულს არ აქვს ანაბიონი ღირებულება, რადგან მათ ფულის ფუნქციების შესრულება მთავრობის დადგენილებით მიენიჭათ. ასეთ ფულს სხვაგვარად დეკრეტულ ფულს უწოდებენ.

²¹ მარქსისტული ეკონომიკური თეორიის მიმდევრები ფულის 5 ფუნქციას განიხილავდნენ (ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება და მსოფლიო ფული).



მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქაღალდის ფული ასრულებს ფულის ფუნქციებს, ეს ყოველთვის ასე არ იყო. ფულის ფუნქციებს ასრულებდა საქონელი, რომელსაც თავად ქონდა გარკვეული ღირებულება. ასეთი ტიპის ფულს სასაქონლო ფული ეწოდება.

ყველაზე გავრცელებული სასაქონლო ფული ოქროა. სახელმწიფოები, სადაც ოქრო გამოიყენება როგორც ფული, ამობენ, რომ არის ოქროს სტანდარტი. ოქრო სასაქონლო ფულის ნაირსახეობა იმიტომია, რომ იგი შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო როგორც ფული, არამედ სხვა დანიშნულებითაც (საიუველიერო საქმეში, ტექნიკაში და ა.შ.)

როგორ რეგულირდება ეკონომიკაში ფულის რაოდენობა

ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა მოცემული დროისათვის არის ფულის მიწოდება. ეკონომიკაში სადაც სასაქონლო ფულია, ფულის რაოდენობა საქონლის მარაგით განისაზღვრება, ხოლო სადაც ქაღალდის ფულია, ფულის რაოდენობას სახელმწიფო არეგულირებს. სწორედ სახელმწიფოს აქვს მონოპოლიური უფლება გამოუშვას ქაღალდის ბანკნოტები.

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში ფულის მიწოდების კონტროლს ცენტრალური ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს. ზოგადად ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკას სამი ძირითადი ინსტრუმენტით ახორციელებს, ესაა ოპერაციები და ბაზარზე, როდესაც ეროვნული ბანკი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით არეგულირებს მიმოქცევაში არსებულ ფულის რაოდენობას, გარდა ამისა ეროვნული ბანკი იყენებს დისკონტის განაკვეთსა და სავალდებულო რეზერვის ნორმას.

მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის მაჩვენებლები

ეკონომიკაზე ფულის რაოდენობის ზემოქმედების ანალიზის უმნიშვნელოვანესი ეტაპი მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის განსაზღვრაა.

ვინაიდან ფული არის ვარიეტებში გამოყენებული აქტივები, ცხადია ფულის რაოდენობაც ამ აქტივების ჯამია. მართვ ეკონომიკურ სისტემაში ამ რაოდენობის გაანგარიშება ადვილია (მაგალითად, ტყვეთა ბანაკში "ფულის რაოდენობა" იზომებოდა ბანაკში არსებული სივარტების რაოდენობით, ვინაიდან ბანაკში ფულის ფუნქციებს სწორედ სივარტები ასრულებდნენ), რასაც ვერ ვიტყვით რთულ ეკონომიკურ სისტემებზე, რადგან თუნდაც საქართველოს ეკონომიკაში ვარიეტებში არა მხოლოდ ერთი სახის აქტივები მონაწილეობენ. ზოგიერთი აქტივის გამოყენება შესაძლოა უფრო მოსახერხებელი იყოს ვარიეტებში, ვიდრე სხვა აქტივებისა.

აქტივების პირველი სახე ნაღდი ფულია, იგი ქაღალდისა და ხურდა ფულს მოიცავს. ლოველდღიურ ოპერაციებში სწორედ ნაღდი ფული გამოიყენება. ნაღდი ფულის გარდა შესაძლოა აქტივად მოთხოვნამდე ანაზრები განვიხილოთ. თუ გამყიდველები მიიღებენ ამ ანაზრებიდან გამოჩერილ ჩეკებს, მაშინ ანაზრები ისეთივე მოსახერხებელია, როგორც ნაღდი ფული, ამიტომ ფულის რაოდენობის დათვლისას ამ ორი სახის აქტივს ერთმანეთს უმატებენ.

გარდა მოთხოვნამდე ანაზრებისა ფულადი სახსრები შესაძლოა შემნახველ ანგარიშებზე იყოს განლაგებული, ამ ანგარიშებზე განლაგებული თანხებიც თითქმის ისევე მოსახერხებელია ვარიეტების დაღების დროს, როგორც ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანაზრებზე განლაგებული სახსრები.

აქტივების სახეები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს ვარიეტებში ზედუდული არ არის, თუმცა აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის რაოდენობის გაანგარიშებისათვის ცხრილში მოცემულ მაჩვენებლებს იყენებს, რომლებიც გარკვეულწილად უნივერსალური აღნიშვნებია.

აღნიშვნა	ჩართული აქტივები
C	ნაღდი ფული
M1	ნაღდი ფული, მოთხოვნამდე ანაზრები და სხვა ანგარიშები, რომლებიდანაც შესაძლებელია ჩეკის გამოწერა.
M2	M1 + უცხოური ვალუტა, დემოზიტები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, ვადიანი ანაზრები, შემნახველი ანაზრები, მცირე მოცულობის ვადიანი დეპოზიტები.
M3	M2 + დიდი მოცულობის ვადიანი დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები.
L	M3 + შემნახველი ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები და სხვა ლიკვიდური აქტივები.

ფულის მასის გაანგარიშებისათვის ყველაზე ხშირად M1 და M2 გამოიყენება, თუმცა დღემდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება, თუ რომელი მაჩვენებელია უკეთესი, რადგან თითოეულ ელემენტს სხვადასხვა დინამიკა ახასიათებს.

6-2. ფულის რაოდენობრივი თეორია განივებები და ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობა

ფული აღამიანებს გარიგებებისათვის სჭირდებათ. ცხადია ამიტომ ფულის რაოდენობა და გარიგებები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ეს კავშირი ფულის რაოდენობრივი თეორიის სახელითაა ცნობილი, რომლის თანახმადაც

$$\text{ფული } \times \text{ მიმოქცევის სიჩქარე} = \text{ფასები } \times \text{ გარიგებები}$$

$$M \times V = P \times T$$

ამ იგივეობის მარჯვენა ნაწილში განლაგებული მაჩვენებლები გარიგებების თაობაზე გვაძლევს ინფორმაციას. T გვიჩვენებს, თუ დროის გარკვეულ პერიოდში, მაგალითად წელიწადში, რამდენი გარიგება დაიდო, P კი ტიპური გარიგების ფასია, ამდენად PT ფულის რაოდენობაა, რომელიც გარიგებებს მოხმარდა.

მარჯვენა ნაწილი ფულს აღწერს. M ფულის რაოდენობაა, ხოლო V კი ფულის მიმოქცევის სიჩქარე, ანუ დროის (წლის) განმავლობაში ბანკნოტი რამდენჯერ გადადის ხელიდან ხელში.

თუ დავუშვებთ, რომ მარტივ ეკონომიკაში წლის განმავლობაში 60 პური იყიდებოდა, რომელთა ფასი 50 თეთრია, მივიღებთ, რომ გარიგებებში მონაწილე ფულის რაოდენობა 3 ლარია ($PT = 0,5 \times 60 = 30$), თუ ვიცით რომ ეკონომიკაში სულ 10 ლარია, მარტივად გამოვითვლით ფულის მიმოქცევის სიჩქარეს $V = PT/M = 30/10 = 3$, ანუ ფულის მიმოქცევა სიჩქარე უდრის 3-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ბანკნოტი სამჯერ გადადის ხელიდან ხელში.

ფულის რაოდენობრივი თეორია იგივეობაზე დამყარებული, ამიტომ მიმოქცევაზე არსებული ფულის რაოდენობის ზრდამ, მუდმივი სიჩქარის პირობებში უნდა გამოიწვიოს ფასების, ან გარიგებების რაოდენობის ზრდა.

ეკონომისტები ამ იგივეობის ნაცვლად, როგორც წესი ოდნავ განსხვავებულ მოდელირებას იყენებენ, რადგან ეკონომიკაში ძნელია ზუსტად დაეთვალათ დადებულ გარიგებების რაოდენობა, ამიტომ დადებული გარიგებების რაოდენობას (T) ცვლით წარმოების ერთობლივი მოცულობით (Y). ცხადია ეს ორი მაჩვენებელი მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ რაც მაღალია წარმოებულ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, მით მაღალია გარიგებების რაოდენობაც, თუმცა ეს ორი მაჩვენებელი ერთი და იგივე არაა, მაგალითად ძველი ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვით წარმოების ერთობლივი მოცულობაში არ შედის, მაგრამ გარიგებაა. მიუხედავად ამისა, მაშინ როდესაც გარიგებები პროპორციულად არსებობს.

თუ Y წარმოებული პროდუქციის რაოდენობას აღნიშნავს, ხოლო P წარმოებულ პროდუქციის ფასს, მაშინ PY წარმოების მოცულობაა ფულად გამოსახულებაში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ Y რეალური მთლიანი შიდა პროდუქტია, P მთლიანი შიდა პროდუქტი

დეფლატორია, ხოლო PY კი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტია. ფულის რაოდენობრივი თეორია მეტყველებს ოდნავ განსხვავებულად ჩავეწერთ, კერძოდ ფული X მამოქცევის სიჩქარეზე = ფასი X წარმოების მოცულობაზე

$$M \times V = P \times Y$$

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია და რაოდენობრივი თეორიის იგივეობა ეკონომიკურ პროცესებზე ფულის ზეგავლენის ანალიზის დროს ხშირად საჭიროა ფულის რაოდენობა საქონლისა და მომსახურების რაოდენობით გამოვსახოთ, რომელთა შექმნაც ამ ფულითაა შესაძლებელი. ეს რაოდენობა გამოსახულია ფორმულით M/P და ფულადი სამუალეგების რეალური მარაგების²² სახელითაა ცნობილი.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია წარმოდგენილია ფორმულით $(M/P)^d = kY$, სადაც k კონსტანტაა და ასახავს ფულზე მოთხოვნის შემოსავალზე პროპორციულ დამოკიდებულებას.

თუ დაეუშვებთ, რომ ფულადი სახსრების რეალურ მარაგებზე მოთხოვნა $(M/P)^d$ მათი მიწოდების M/P ტოლია, მაშინ მივიღებთ რომ $M/P = kY$, მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ, რომ $M(1/k) = PY$, ანუ $MV = PY$, სადაც $V = 1/k$. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულადი სახსრების რეალურ მარაგებზე მოთხოვნა და მათი მიწოდება ტოლია და მოთხოვნა შემოსავლის პროპორციულია.

დაშვება ფულის მამოქცევის მუდმივი სიჩქარის შესახებ ეკონომიკაში ბევრი სხვა დაშვების მსგავსად, დაშვება იმის შესახებ, რომ ფულის მამოქცევის სიჩქარე მუდმივია, ცხადია მთლად ზუსტი არაა, ფულზე მოთხოვნის ზრდამ შესაძლოა ფულის მამოქცევის სიჩქარეც გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ფულის მოძრაობის სიჩქარის მუდმივობის შესახებ დაშვება საკმაოდ ზუსტი მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა

თუ მამოქცევის სიჩქარე მუდმივია, მაშინ ფულის რაოდენობრივი თეორია შესაძლოა განვმარტოთ როგორც GDP -ის ნომინალური მოცულობის ფორმირების თეორია. ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად

$$M\bar{V} = PY$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულის მასის ცვლილება იწვევს ნომინალური GDP -ის მოცულობის ცვლილებას ამდენად წარმოების მოცულობა ფულად გამოსახულებაში ფულის რაოდენობით განისაზღვრება.

ფული, ფასები და ინფლაცია
გავიხსენოთ, რომ

1. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა Y წარმოების ფაქტორთა დანახარჯებითა და საწარმოო ფუნქციით განისაზღვრება;
2. წარმოების ღირებულებითი მოცულობა ნომინალურ გამოსახულებაში PY ფულის მიწოდებით განისაზღვრება;
3. ამ შემთხვევაში ფასების დონე P არის წარმოების ღირებულებითი მოცულობა ნომინალურ გამოსახულებაში PY -ის და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის თანაფარდობის ტოლია.

აღნიშნული თეორიის შესაბამისად ნათელი ხდება, რომ ეროვნული ზანკის მიერ ფულის მიწოდების ნებისმიერი შეცვლა, იმის გამო, რომ ფულის ზრუნვის სიჩქარე მუდმივია, იწვევს ნომინალური GDP -ის შეცვლას. იმის გამო, რომ რეალური GDP განისაზღვრება ეკონომიკაში არსებული ფაქტორების მარაგებითა და საწარმოო ფუნქციით, ნომინალური GDP -ის შეცვლა მთლიანად ფასების დონის შეცვლითაა განპირობებული. ამდენად ფასების დონე ფულის მიწოდების პროპორციულია.

რადგან ინფლაციის ტემპები ფასების დონის ცვლილებაა, რომელიც გამოსახულია პროცენტებში, ფასების დონის თეორია ინფლაციის ტემპების თეორიაა. ფულის

²² Real money balances.

რაოდენობრივი თეორიის განტოლება, რომელიც ჩაწერილია პროცენტულ გამოსახულებაში, შემდეგი სახისაა

$$\Delta M(\%) + \Delta V(\%) = \Delta P(\%) + \Delta Y(\%), \text{ სადაც } \Delta - \text{ ცვლილებას ასახავს.}$$

განვიხილოთ ამ ტოლობის ყველა წევრი, პირველი წევრი ფულის რაოდენობის ცვლილება (პროცენტებით) ერთოვნული ბანკის მიერ რეგულირდება. ხოლო მეორე წევრი, იმის გამო, რომ დაევშვით, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე არ იცვლება, ნულის ტოლია. მესამე წევრი - ინფლაციის ტემპია, მეოთხე წევრი კი წარმოებულის მოცულობის ცვლილებაა, რომელიც ასევე მუდმივ სიდიდედ შეგვიძლია ვიღიაროთ. ამდენად ეს ტოლობაც ადასტურებს, რომ ფულის მიწოდების ზრდა განსაზღვრავს ინფლაციის ტემპებს. ამდენად ერთოვნული ბანკი, აკონტროლებს რა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, სრულად აკონტროლებს ინფლაციას. თუ ერთოვნული ბანკი ფულის სტაბილურ მოცულობას ინარჩუნებს, ფასების დონეც სტაბილური იქნება, ხოლო მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ზრდა ფასების დონის ზრდას ანუ ინფლაციას გამოიწვევს.

6-3. "სენიორაჟი" შემოსავალი ფულის გამოშვებიდან

სახელმწიფოს საკუთარი ხარჯების დაფინანსება სამი გზით შეუძლია, პირველი, მან შეიძლება ვაზარდოს სავადასახალო შემოსავლები, მეორე - აიღოს ვალი და ბოლოს, მას უზარლოდ ფულის დაბეჭდა შეუძლია.

შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო ფულის დაბეჭდვიდან იღებს "სენიორაჟის" სახითაა ცნობილი, რაც ფრანგული SEIGNIORAGE-საგან წარმოსდგება, რაც ფულის ბეჭდვაზე ნებართვისათვის მოსაკრებელს ნიშნავს.

სახელმწიფო, საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ფულის დაბეჭდვით ზრდის ფულის მიწოდებას, ანუ იწვევს ინფლაციას. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ქმდება ინფლაციური გადასახადის შემოღების ტოლფასია.

ამ გადასახადს იღიან ისინი, ვინც ინახავს ნაღდ ფულს, შენახვამდე ფულის მსყიდველობითუნარიანობა და ინფლაციის წყალობით მისი მსყიდველობითუნარიანობა განსხვავდება. სწორედ ეს სხვაობაა სასელმწიფოს შემოსავალი. ამდენად ინფლაცია არის ნაღდი ფულის ფლობაზე გადასახადი.

6-4. ინფლაცია და პროცენტის განაკვეთი

პროცენტის ნომინალური და რეალური განაკვეთი

დავუშვათ, თქვენ დანაოგს ინახავთ ბანკში, რომელიც ანაბარზე 11 პროცენტს არიცხავს. ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ წლის ბოლოს თუ აქვენი ანაბარი 11 პროცენტით გაიზარდა, თქვენი 11 პროცენტიც გამდიდრდით. ცხადია თქვენი ფულის რაოდენობა სწორედ 11 პროცენტით გაიზარდება, მაგრამ მისი მსყიდველობით უნარიანობა სულაც არ გაზარდილა 11 პროცენტით. თუ ინფლაციის ტემპებია 6%-ია, მაშინ თქვენი ფულის რეალური მსყიდველობითუნარიანობა მხოლოდ 5%-ით გაიზარდა. მაგრამ თუ ინფლაციის ტემპებია 15% შეადგინა, მაშინ თქვენი ანაბარი რეალურ მაჩვენებლებში 4%-ით შემცირდება.

საბანკო პროცენტს ეკონომისტები პროცენტის ნომინალურ განაკვეთს, ხოლო მსყიდველობითუნარიანობის ზრდას რეალურ განაკვეთს უწოდებენ. თუ პროცენტის ნომინალურ განაკვეთს i , რეალურ განაკვეთს r , ხოლო ინფლაციას π -თი აღვნიშნავთ

$$r = i - \pi$$

პროცენტის რეალური განაკვეთი ნომინალური განაკვეთის და ინფლაციის სხვაობაა²³.

ფიშერის ეფექტი

თუ გადავანაცვლებთ ტოლობის ნაწილებს, მივიღებთ, რომ პროცენტის ნომინალური განაკვეთი რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ჯამის ტოლია

$$i = r + \pi$$

²³ უფრო ზუსტად $r = \frac{i - \pi}{1 + \pi}$, თუმცა შეგნ უკნო ნაწიტივ ფორმულას ავირჩევთ.



ეს განტოლება იწინვან ფიშკრის საპატრვისაცემოდ ფიშერის ტოლობის სახელითაა ცნობილი. ამ ტოლობის თანახმად პროცენტის ნომინალური განაკვეთი შესაძლოა რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპების ცვლილებების ზეგავლენით შეიცვალოს.

ფიშერის ტოლობა და ფულის რაოდენობრივი თეორია გვიჩვენებს, რომ ფულის მასის ცვლილება ზემოქმედებს პროცენტის ნომინალურ განაკვეთზე. ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად ფულის მასის 1%-ით ზრდა იწვევს ინფლაციის ტემპების ასევე 1%-ით ზრდას, რაც თავის მხრივ პროცენტის ნომინალური განაკვეთის 1%-ით ზრდას იწვევს. ეს დამოკიდებულება ფიშერის ეფექტის სახელითაა ცნობილი.

რეალური საპროცენტო განაკვეთის ორი სახე *ex ante* და *ex post*
 რეალური მსესხებელი და კრედიტორი თანხმდებიან ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე, მათ არ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება ინფლაცია, ამიტომ განახსებავებენ ორი ტიპის რეალურ განაკვეთს მოსალოდნელს (*ex ante*) და ფაქტიურს (*ex post*)

კრედიტორებს და მსესხებლებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია მოსალოდნელი ინფლაციის შესახებ, მაგრამ მათ აქვთ გარკვეული მოლოდინები. π -თ აღვნიშნოთ მომავალში ფაქტიური ინფლაცია, ხოლო π^e -თი მოსალოდნელი ინფლაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex ante* იქნება $i - \pi^e$, ხოლო რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex post* კი $i - \pi$.

ეს ორი რეალური საპროცენტო განაკვეთი განსხვავებული იქნება თუ ფაქტიური მომავალი ინფლაციის ტემპი π გადაიხრება მოსალოდნელი π^e -საკენ.

აქედან გამომდინარე ფიშერის ეფექტი უფრო ზუსტად შეგვიძლია შემდეგნაირად აესახოთ

$$i = r + \pi^e$$

6-5. პროცენტის ნომინალური განაკვეთი და ფულზე მოთხოვნა

მიუხედავად იმისა, რომ ფულის რაოდენობრივი თეორია ბევრ რამეს ხსნის, მხოლოდ მასზე დაწვრილობით ბევრი ფაქტორის გაანალიზება წარმოუდგენელია.

ნაღდი ფულის შენახვის დანახარჯე.

ფულზე, რომელიც საფულეში, მუთაქაში და ა.შ. ინახება, პროცენტი არ ერიცხება. ამის ნაცვლად თუ ამ ფულით მოხდება სახაზინო ვალდებულებების შექმნა ან მათი ზანკში დეპოზიტზე განთავსება, ფულის მესაკუთრე ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს მიიღებს. აქედან დასკვნა, თუ ჩვენ ფულს ვინახავთ ჯიბეში, მაშინ ჩვენ უარს ვამბობთ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მიღებაზე.

დავუშვათ ჩვენ განვითავებთ ჩვენი სახსრები ფასიან ქალაქებში, საიდანაც მივიღებთ r რეალურ შემოსავალს. ინფლაციის ტემპებთან ერთად შემცირდება ფულის მსყიდველობითუნარიანობა და მოსალოდნელი რეალური შემოსავალი მათზე $-\pi^e$ -ს შეადგენს ფულის სახლში შენახვით ჩვენ მასზე უარს ვამბობთ, ანუ $r - (-\pi^e)$ არის ფულის ხელზე შენახვის ხარჯი, რაც ფიშერის ეფექტის შესაბამისად პროცენტის ნომინალურ განაკვეთს i -ს შეადგენს.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია შესაძლოა ჩვენ სხვა სახით ჩამოვყალიბოთ

$$(M/P)^d = L(i, Y)$$

ფულზე მოთხოვნა L ასოთი აღვნიშნოთ, რადგან ფული *ლიკვიდური* აქტივია, აქედან გამომდინარეობს, რომ ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნა შემოსავლის Y და პროცენტის ნომინალური განაკვეთის i ფუნქციაა და რაც უფრო მაღალია ეს უკანასკნელი, მით უფრო დაბალია ფულზე მოთხოვნა.

მომავალი ფული და დღევანდელი ფასები

ფულის რეალური მარაგების მიწოდება და მოთხოვნა გავუტოლოთ ერთმანეთს

$$M/P = L(i, Y),$$

ფიშერის განტოლების შესაბამისად შევცვალოთ პროცენტის ნომინალური განაკვეთი, მივიღებთ

$$M/P = L(r + \pi^e, Y)$$

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ფულის რეალური მანაკები დამოკიდებულია ინფლაციის მოსალოდნელ ტემპებზე.

ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად ფულის მიწოდების მოცულობა განსაზღვრავს ფასების მიმდინარე დონეს. ნაწილობრივ ეს მტკიცებულება ძალაში რჩება ამასთან პროცენტის ნომინალური განაკვეთი მუდმივი არაა, იგი ფულის მიწოდების ცვლილების კვალობაზე იცვლება.


ფულზე მოთხოვნის საერთო განტოლება გვიჩვენებს, რომ ფასების დონე არა მარტო ფულის მიწოდების დღევანდელ დონეზეა დამოკიდებული, არამედ მოსალოდნელზეც. ასე რომ საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი, დავუშვათ ერთენული ბანკმა განაცხადი გააკეთა რომ აპირებს ფულის მიწოდების ზრდას, მაგრამ რეალურად არ გაზრდის მას. მიუხედავად ამისა შეიცვლება ადამიანთა ქცევა, ისინი ჩათვლიან, რომ მომავალში ნომინალურ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რაც რეალურად გამოიწვევს კიდევ მის ზრდას.

როგორ ვაგაჩნროთ შიპერინფლაცია

იმის გამო, რომ ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია პროცენტის ნომინალური განაკვეთზე, მხოლოდ ფულის რაოდენობაზე შემოქმედებით, შიპერინფლაციის მოთხოვნა წარმოუდგენელია. ინფლაციის ტემპების შემცირება გამოიწვევს ნაღდი ფულის ფლობის ხარჯების შემცირებას და რეალური მანაკების ზრდას. თუ ერთენული ბანკი უბრალოდ შეამცირებს ფულის ბეჭდვას, რასაც საბოლოო ჯამში ფასების შემცირება მოჰყვება.

გასათვალისწინებელია, რომ ინფლაციასთან ზრდილი ვარდა წმინდად ეკონომიკურ ფაქტორებისა, ღიდადა დამოკიდებული აგრეთვე ნდობაზე. როგორც წესი ინფლაციით პროცენტები ამცირებს საზოგადოებაში ფულისადმი და ერთენული ბანკისადმი ნდობას.

ერთენული ბანკი, ცდილობს სენიორიაფის აუცილებლობა გამოიციხოს, რადგან როგორც წესი შიპერინფლაციას სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ფულის ბეჭდვა იწვევს. ვიდრე სენიორიაფის აუცილებლობა არსებობს, მოსახლეობა, როგორც წესი არ ენდობა სახელმწიფოს. როგორც ვხედავთ, ინფლაცია ფულად-საკრედიტული პოლიტიკის სფეროა, მაგრამ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საბიუჯეტო სფეროსთანაც.



6-6. ინფლაციის საზოგადოებრივი დანახარჯი

ინფლაცია ვარდა ეკონომიკური პრობლემებისა, სოციალურ პრობლემებსაც ქმნის იგი ადამიანების მსყიდველობითუნარიანობას ამცირებს და ამით აღარბეებს მათ.

მოსალოდნელი ინფლაცია

მოსალოდნელი ინფლაციის დანახარჯები შესაძლოა რამდენიმე ტიპის იყო უპირველეს ყოვლისა, ესაა მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის შემცირება ინფლაციურ გადასახადის გზით. რადგან მოსახლეობის უმცირდება ხელთ არსებული სახსრები, ისინი იძულებული არიან, უფრო ხშირად იაზრონ ბანკში, ამ მოვლინას "ვაკეთილი ფეხსაცმელი დანახარჯს" უწოდებენ.

ინფლაციის მეორე დანახარჯი ფასების ხშირ ცვლილებასთანაა დაკავშირებული, მისი "მერიუს დანახარჯები" ქვია. ამ პრობლემას შესაძლოა კარტოგების შეცვლა, და უზარმაზარ ხარჯები მოჰყვეს.



დანახარჯების ტიპი, ისე "მენიუს დანახარჯებს" უკავშირდება, იმის გამო, რომ თავიდან აიცილონ მენიუს დანახარჯი ფინანსები ცდილობენ არ გააძვირონ საქონელი და მომსახურება და ამის გამო განიცდიან ზარალს.

მეოთხე ტიპი, საგადასახადო სფეროს ეხება, რადგან დაბეგვრა არ ითვალისწინებს ინფლაციას და შესაძლოა ინფლაციის გამო რადიკალურად შეიცვალოს დაბეგვრის რეჟიმი, მაგალითად თუ ადამიანმა იყიდა სახლი 30000 ლარად და შემდეგ ინფლაციის გამო გაყიდა იგი 60000 ლარად, იგი დაიბეგვრება სხვაობის (30000 ლარი) 12%-ით.

და ბოლოს, მეხუთე ტიპის დანახარჯი - ძნელია ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ფასები ხშირად იცვლება.

ანაპროგნოზირებადი ინფლაცია
 ანაპროგნოზირებადი ინფლაცია კი თავის მხრივ სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებას იწვევს. ამის მაგალითად სესხი გამოდგება. სასესხო ხელშეკრულებაში დათქმნიებულია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი. დავუშვათ 10 პროცენტი, თუ ინფლაცია 10 პროცენტს გადააჭარბებს, მოგებული ხდება მსესხებელი. ხოლო დაბალი ინფლაციის შემთხვევაში კრედიტორი.

ანაპროგნოზირებადი ინფლაცია ამცინებს ფიქსირებული შემოსავლის მქონე ადამიანების შემოსავალსაც. ხოლო დაბალი ინფლაცია კი ამცინებს ფინანსების მოგებას

6-7. კლასიკური დიქტომია

ეკონომიკაში განასხვავებენ რეალურ და ნომინალურ ცვლადებს. რაოდენობა და ფარდობითი ფასები (რეალური ხელფასი არის მოხმარებისა და დასვენების ფარდობითი ფასი. პროცენტის რეალური განაკვეთი კი არის დღეს მიღებული მომსახურებისა და საქონლის მომავალი ფასების მიმართ ღირებულება).

ნომინალურ მაჩვენებლებს განეკუთვნება ფასების დონე, ინფლაციის ტემპები, ხელფასი. მათ ფულადი გამოსახულება აქვთ.

რეალური და ნომინალური ცვლადების გასამიჯნად მაკროეკონომისტები იყენებენ ტერმინს - კლასიკური დიქტომია. ხდება აბსტრაგირება და ვუშვებთ, რომ თითქოს ნომინალურ და რეალურ მაჩვენებლებს კავშირი არ აქვს. ფულის თვისებას, ზემოქმედება არ მოახდინოს ეკონომიკურ პროცესებზე ფულის ნეიტრალურობა ეწოდება.

7. ღია ეკონომიკა

ჩვენს მიერ მოხმარებული ზევნი საქონელი და მომსახურება საზღვარგარეთაც წარმოებული. თავისუფალი ვაჭრობა (იმპორტი და ექსპორტი) ყველა ქვეყნის მოქალაქეთათვის სასარგებლოა. იგი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს სპეციალიზაციის მეშვეობით ის საქონელი და მომსახურება აწარმოოს, რომლის წარმოებაშიც უკეთესა შედეგები აქვს. ამასთანავე მოქალაქეებს საქონლისა და მომსახურების უფრო დიდ არჩევანს სთავაზობს.

უკანსკელი ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და ქვეყნები უფრო ურთიერთდამოკიდებულნი გახდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის სწორი ფორმირება უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში.

ჩინა თავებში, ჩვენ დავეუბნეთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა არ არსებობს, ამჟამად გავართულოთ ჩვენი მსჯელობა, რადგან რეალური ეკონომიკა ექსპორტისა და იმპორტის გარეშე წარმოუდგენელია.

7-1. ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება ღია ეკონომიკაში

წმინდა ექსპორტი

განვიხილოთ ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები. დახუნულ ეკონომიკაში წარმოებულ საქონელი ქვეყნის შიგნით მოიხმარება და ამიტომ იგი სამ ნაწილად, მოხმარებად, სახელმწიფო შესყიდვად და ინვესტიციად, იყოფა. ღია ეკონომიკაში პროდუქციის ნაწილი ქვეყნის შიგნით მოიხმარება, ხოლო მერონე ნაწილი ექსპორტის სახით საზღვარგარეთ ვადას.

ჩვენ შეგვიძლია ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე Y -ზე გასაწევი ხარჯები 4 ნაწილად გავყოთ:

- C^r - სამამულო პროდუქციის მოხმარება;
- I^r - სამამულო პროდუქციაზე გაწეული საინვესტიციო ხარჯები;
- G^r - სამამულო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა;
- EX - ექსპორტი.

ანუ $Y = C^r + I^r + G^r + EX$

საიდანაც შესაკრების პირველი სამი ჩვენი $C^r + I^r + G^r$ სამამულო წარმოების საქონლისა და მომსახურებაზე ქვეყნის შიგნით გაწეული დანახარჯებია, ხოლო მეოთხე ჩვენი EX კი ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციაზე უცხოელთა მიერ გაწეული დანახარჯია.

ღია ეკონომიკა ცხადია არ გულისხმობს მხოლოდ საქონლისა და მომსახურების საზღვარგარეთ გატანას. ჩვენ მოვიხმართ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ საქონელს, ანალოგიურად ინვესტიციებზე და სახელმწიფო შესყიდვებზეც ადგილობრივთან ერთად უცხოური პროდუქცია გამოიყენება. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$C = C^r + C^f;$$

$$I = I^r + I^f;$$

$$G = G^r + G^f.$$

ანუ $Y = (C - C^f) + (I - I^f) + (G - G^f) + EX$, მარტივი გარდაქმნით მივიღებთ, რომ $Y = C + I + G + EX - (C^f + I^f + G^f)$, სადაც $C^f + I^f + G^f$ იმპორტზე გაწეული დანახარჯია (IM), ამდენად

$$Y = C + I + G + EX - IM$$

იმის გამო, რომ ჩვენ მოვიხმართ უცხოეთში წარმოებულ პროდუქციას, რომელიც ცხადია ჩვენში არ არის წარმოებული, ამ იგივეობაში იმპორტი მინუს ნიშნით შედის, რათა

გაბათილოს მოხმარებაში, ინვესტიციებსა და სახელმწიფო შესყიდვებში უცხოურ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები.

ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა წმინდა ექსპორტის სახითაა ცნობილი და აღინიშნება $NX = EX - IM$. ყველა ამ აღნიშვნით მივიღებთ, რომ $Y = C + I + G + NX$.

აღნიშნული იგივეობიდან ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ წმინდა ექსპორტი, როგორც $NX = Y - (C + I + G)$, თუ წარმოების მოცულობა აღემატება მოხმარებას მაშინ წმინდა ექსპორტი დადებითი სიდიდეა, ხოლო თუ მოხმარება აღემატება წარმოების მოცულობას, მაშინ წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდეა.

ერთობლივი ეროვნული შემოსავალი და მთლიანი შიდა პროდუქტი

დია ეკონომიკისათვის ერთობლივი შემოსავლის ორი მანვენიშვნელი არსებობს,

მთლიანი შიდა პროდუქტი GDP და ერთობლივი ეროვნული შემოსავალი GNI ²⁴.

ერთობლივი ეროვნული შემოსავალი (GNI) არის ქვეყნის მოქალაქეების მიერ მიღებული შემოსავალი, მათ შორის საზღვარგარეთ მიღებული შემოსავალი, მაგრამ არ შედის ქვეყნის შიგნით სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ მიღებული შემოსავალი.

მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) - მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალს. მასში შედის უცხოელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი, მაგრამ არ შედის ამ ქვეყნის მოქალაქეთა მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი.

მაგალითისათვის დავეუბნოთ, რომ სომხეთის მოქალაქე ჩამოდის საქართველოში და მუშაობს. მის მიერ მიღებული შემოსავალი შედის საქართველოს GDP -ში, მაგრამ არ შედის საქართველოს GNI -ში, რადგან შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე იქნა მიღებული, მაგრამ არა საქართველოს მოქალაქის მიერ. სანაცვლოდ, თუ საქართველოს მოქალაქე რუსეთში მუშაობს და იღებს შემოსავალს, ეს რუსეთის GDP და საქართველოს GNI -ია.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში და მიმდინარე ოპერაციების ანგარიში

როგორც ჩაკეტილ, ასევე დია ეკონომიკაში ფინანსური ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბაზრებთან.

განვიხილოთ $Y = C + I + G + XN$ იგივეობა, თუ ორივე მხარეს გამოვაკლებთ მოხმარებასა და სახელმწიფო შესყიდვებს მივიღებთ, რომ $Y - C - G = I + XN$.

გავიხსენოთ, რომ $Y - C - G = S$, ანუ ეროვნული დანაზოგი შიდა კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამის ტოლია. აქედან გამომდინარეობს, რომ $S = I - NX$ ანუ $(I - S) + NX = 0$.

ამ იგივეობაში $I - S$ საგადამხდელ ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშია, ხოლო NX კი საგადამხდელ ბალანსის მიმდინარე ანგარიშია (მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში).

იგივეობა $(I - S) + NX = 0$ ვიკვივნებს, რომ თუ საგადამხდელ ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიში დადებითია, მაშინ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში უარყოფითია, ანუ უფრო ზევნი საქონლისა და მომსახურების იმპორტს ვახორციელებთ, ვიდრე იმპორტს და მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე ვესესულობთ ფულს. თუ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში დადებითია, მაშინ კაპიტალის მოძრაობის ანგარიში უარყოფითია, ანუ უფრო მეტი საქონელი გავაქვს, ვიდრე შემოგვაქვს და შესაბამისად მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე კრედიტორის როლში გამოვდივართ. ანუ თუ ცვენი დანაზოგი აღემატება ჩვენს ინვესტიციებს, მაშინ დანაზოგების საზღვარგარეთ გასესხების სამუალება გვაქვს.

²⁴ 1993 წლამდე ნაცვლად ერთობლივი ეროვნული შემოსავლისა, გაიანგარიშებოდა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი GMP .

კაპიტალის ნაკადებს სხვადასხვაგვარი ფორმა აქვს, შესაძლოა უცხოელებმა შეიძინონ ან სახაზინო ვალდებულებები, ან კაპიტალით მოახდინონ უძრავი ქონების შექმნა. თრეივე შემთხვევაში უცხოელები ქვეყნის შიგნით კაპიტალის წილის მესაკუთრეები ხდებიან.

7-2. კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო ნაკადები

მცირე ღია ეკონომიკის მოდელი

იმის გამო, რომ კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობაა, მოდელში წინორედ ამ ორი ავრეგაეტის ანალიზი გამოვიყენოთ.

მოდელის ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვიხილათ მცირე ღია ეკონომიკას, რომელსაც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე აქვს მიღწევალობა. ტერმინი "მცირე ღია" ნიშნავს, რომ აღნიშნული ეკონომიკა მცირე ზომისაა, მსოფლიო ეკონომიკის შედარებით პატარა ნაწილია და თავისთავად ვერ ზემოქმედებს ან უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს საპროცენტო განაკვეთზე. ამასთან ქვეყნის მთავრობა ხელს არ უშლის საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე გასვლას და სახსრების სესხებას. შესაბამისად, მცირე რია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს - r^* -ს უდრის. ანუ

$$r = r^*$$

მცირე ღია ეკონომიკისათვის საპროცენტო განაკვეთი არის მოცემულობა, ანუ მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული ქვეყანაზე. ჩაკეტილ ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის წონასწორობით განისაზღვრება. ცხადია მსოფლიო ეკონომიკა თავისი არსით ასევე ჩაკეტილი ეკონომიკაა, ანუ მსოფლიოს მასშტაბით დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორობა განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთს.

გავიხსენოთ, რომ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა განისაზღვრება საწარმოო ფუნქციით, აგრეთვე ამ მომენტისათვის არსებული წარმოების ფაქტორებით და იგი ფიქსირებულია, ანუ $Y = \bar{Y} = F(\bar{K}, \bar{L})$.


აგრეთვე რაც მეტია განკარგავდი შემოსავალი $Y - T$, მით უფრო მაღალია მოხმარება, მოხმარების ფუნქციას აქვს $C = C(Y - T)$ სახე.

და ბოლოს, ინვესტიციების მოცულობა საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული $I = I(r)$.

დავუბრუნდეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მთავარ იგივეობას

$$\frac{NX = S - I}{NX = (Y - C - G) - I}$$

თუ ჩვენს ყველა დაშვებას გავითვალისწინებთ, მივიღებთ, რომ $NX = [\bar{Y} - C(\bar{Y} - T) - G] - I(r^*) = \bar{S} - I(r^*)$, ამდენად მიმდინარე ოპერაციების ანგარიში და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში საბუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკისა (T, G) და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული.



ბუჯეტისა და სავადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგად

I, S

თუ ჩაკვეტილ ეკონომიკაში რეალური საპროცენტო განაკვეთი იცვლება დანაზოგებისა და ინვესტიციების წონაწილად მდგომარეობაში მოსაყვანად, მცირე ღია ეკონომიკაში შიდა რეალური საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო რეალური საპროცენტო განაკვეთის ტოლია, ხოლო კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის პირობებში შიდა დანაზოგებისა და ინვესტიციების სხვაობით განისაზღვრება.

მართალია, რომ თუ შიდა დანაზოგები საკმარისი არაა ინვესტიციებისათვის, ფინანსურ ბაზრებზე ხდება სესხება და პირიქით, თუ დანაზოგების მოცულობა აღემატება ინვესტიციებს, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ხდება გასესხება.


როგორ ზემოქმედებს ეკონომიკური პოლიტიკა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე

დავეუშვათ ეკონომიკა ფუნქციონირებას იწყებს დაბალანსებული საგარეო ვაჭრობით, როცა ექსპორტი და იმპორტი ტოლია, ანუ მიმდინარე ანგარიში NX და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში $I - S$ დასაწყისში ნულის ტოლია.

შიდა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. განვიხილოთ მცირე ღია ეკონომიკაში სახელმწიფოს მიერ შიდა დანახარჯების სახელმწიფო შესყიდვების ზრდით გამოწვეული სტიმულირების ზემოქმედება.

იმის გამო, რომ $S = Y - C - G$, სახელმწიფო შესყიდვების (G) ზრდა იწვევს ეროვნული დანაზოგის შემცირებას. ამდენად ეკონომიკაში ინვესტიციების რაოდენობა ატარებებს დანაზოგების მოცულობას, რადგან მსოფლიოში საპროცენტო განაკვეთი არ იცვლება და ინვესტიციების მოცულობაც უცვლელია. იმის გამო, რომ ინვესტიციათა ნაწილი უნდა დაფინანსდეს უცხოური კაპიტალით, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს დადებითი სალდო უზღდება იმის გამო, რომ ეს დადებითი სალდო უნდა დაბალანსდეს, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში (NX) უარყოფითი ხდება.

ანალოგიურად ხდება გადასახადების (T) შემცირების კვალობაზე. იზრდება განკარგავად შემოსავალი ($Y - T$), რასაც აქვს მოხმარების მასტიმულირებელი ეფექტი და შესაბამისად ეროვნული დანაზოგების შემცირება ხდება. ეროვნული დანაზოგის შემცირება თავის მხრივ ზრდის ($I - S$) და ამცირებს NX -ს.




საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში ცვლილება, რომელიც მოხმარების (C) და სახელმწიფო შესყიდვების (G) ზრდას იწვევს. ეროვნული დანაზოგების ($Y - C - G$) შემცირებას გამოიწვევს და დანაზოგების ვენტრიკულურ წირს მარცხნივ გადაადგილებს, რადგან NX არის დანაზოგებსა და ინვესტიციებს და მათ გამოსახველ წირებს შორის მანძილი, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ამ გადაადგილებას NX -ის შემცირება მოჰყვება.

ამდენად საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შეცვლას, რაც გამოიწვევს მოხმარების ზრდას, შედეგად მოჰყვება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სალდო და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის უარყოფითი სალდო.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა საზღვარგარეთ. განვიხილოთ, სხვა ქვეყანათა მთავრობების მიერ საკუთარი დანახარჯების ზრდის ზემოქმედება ჩვენს მცირე და ეკონომიკაზე. თუ ეს ქვეყნები, ჩვენი ქვეყნის მსგავსად მცირე ქვეყანათა რიგს განეკუთვნებიან ცხადია, მათთან შეცვლილი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უმნიშვნელო ზემოქმედებას მოახდენს ქვეყანაზე. მაგრამ თუ ეს ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკის სერიოზულ ნაწილს წარმოადგენენ, მაშინ ზემოქმედება საკმაოდ სოლიდური იქნება.

კერძოდ, ამ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების ზრდა გამოიწვევს საინვესტიციო რესურსზე მოთხოვნის ზრდას, რასაც რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა მოჰყვება შესაბამისად გაიზრდება მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი.




მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა, თავის მხრივ მცირე ეკონომიკაში ინვესტიციებზე შემცირებას გამოიწვევს, დანაზოგების მოცულობა უცვლელი რჩება, ანუ ($I - S$) მცირდება სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, შიდა დანაზოგების ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება სანაცვლოდ გაიზრდება NX .

ამგვარად, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რაც გამოიწვევს საზღვარგარეთის ქვეყანაში მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა მეშვეობით, იწვევს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტსა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სალდოს.

საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილება. თუ სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობაში შეიტანს ცვლილებებს, რომელიც წაახალისებს შიდა ინვესტიციებზე მაგალითად ინვესტირებათა საგადასახადო შეღავათების დაწესებით, მსოფლიო რეალურ საპროცენტო განაკვეთის უცვლელობის პირობებში, ინვესტიციების მოცულობა იზრდება.

რადგან დანაზოგების მოცულობა არ იცვლება, ინვესტიციები საზღვარგარეთიდან უნდა დაფინანსდეს, წარმოიქმნება კაპიტალის



მოძრაობის ანგარიშის ($I - S$) დადებითი და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ($NX = S - I$) უარყოფითი სალდო.

ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება
 მოდელი, რომელსაც ზემოთ ვიხილავდით აღწერს, რომ საქონლისა და მომსახურების მოძრაობა და კაპიტალის ნაკადები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. იმის გამო, რომ კაპიტალის ნაკადი რეალურად ინვესტიციებისა და დანაზოგების სხვაობაა, ეკონომიკური პოლიტიკის რომელიმე მათგანზე ზემოქმედება საქონლისა და მომსახურების ნაკადებზე ზემოქმედებს ტოლფასადა. პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს ინვესტიციებს, იწვევს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სალდოს და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის უარყოფით სალდოს. დანაზოგების მასტიმულირებელი პოლიტიკა კი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტსა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სალდოს იწვევს.

გასათვალისწინებელია, რომ ეს ანალიზი პოზიტიურია და არა ნორმატიული. და რასაკვირველია, მასზე ერთიანი შეხედულება არ არსებობს.

თუ ჩაკეტილ ეკონომიკაში დანაზოგების დაბალი დონე ინვესტირების დაბალ დონეს და მომავალში კაპიტალის მცირე მარაგს იწვევს, ღია ეკონომიკაში იგივე პროცესი სახელმწიფო ვალს ზრდის, რომელიც მომავალში გადახდილ უნდა იქნეს. ორივე შემთხვევაში აწმყოში მოხმარების მაღალი მაჩვენებელი მომავალში მის დაბალ დონეს გამოიწვევს.

არ უნდა ჩავთვალოთ, რომ მიმდინარე ოპერაციათა დეფიციტი ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ნაკლოვანებებზე მეტყველებს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად მხოლოდ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში არ გამოდგება.

7-3. გაცვლითი კურსები

მოდელი, რომელსაც ჩვენ ვიხილავდით შეეფასეთ ფასებით, რომლითაც ქვეყნებს შორის ვაჭრობა ხდება. ორი ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსი - არის ფასი, რომლითაც მათ შორის გაცვლა ხდება.

ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსი
ეკონომისტები ნომინალურ და რეალურ გაცვლით კურსებს განასხვავებენ.

ნომინალური გაცვლითი კურსი. ნომინალური გაცვლითი კურსი ორი ქვეყნის ვალუტის თანდობითი თასია. მაგალითად თუ ამერიკულ დოლარსა და ქართულ ლარს შორის კურსია 1,66 ლარი დოლარში, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე 100 დოლარი შეგიძლიათ 166 ლარში გადაცვალოთ. ქართველი, რომელსაც დოლარი სურს, 100 დოლარში 166 ლარს გადაიხდის, ხოლო ამერიკელი კი 100 დოლარში 166 ლარს მიიღებს. როდესაც საუბარი გაცვლით კურსზეა. ადამიანები როგორც წესი ნომინალურ გაცვლით კურსს ეკლასხმობენ.

გასათვალისწინებელია, რომ გაცვლითი კურსების გაანგარიშება ორგვარად ხდება, თუ 1 აშშ დოლარში იხდიან 1,66ლარს, ეს ნიშნავს რომ 1 ლარი 0,6 დოლარი ეღირება.

რეალური გაცვლითი კურსი. რეალური გაცვლითი კურსი ეს ორ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის თანდობითი თასია. სხვაგვარად ესაა ის შეფარდება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ორ ქვეყანაში წარმოებული საქონელი გავცვალოთ. რეალურ გაცვლით კურსს ზოგჯერ ვაჭრობის პირობებსაც უწოდებენ.

იმისათვის, რათა რეალური და ნომინალური გაცვლითი კურსების კავშირი დაეინახოთ, განვიხილოთ ერთი შიპოტეტური მაგალითი. დავუშვათ, საქართველოში ერთი ლიტრი ღვინო 2 ლარი ღირს, ხოლო ამერიკაში ერთი ლიტრი 3 დოლარი, ამასთან ერთი აშშ დოლარის გაცვლითი კურსი 1,8 ლარია მაშინ გამოდის, რომ ამერიკაში ამერიკული ღვინის თასი $3 \times 1,66 = 4,98$ ლარია, ანუ ამერიკული ღვინო ამერიკაში 2,5-ჯერ ძვირია ვიდრე საქართველოში, ანუ ერთი ლიტრი ამერიკული ღვინო 2,5 ლიტრი ქართული ღვინის თასი ღირს აღნიშნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსია.

$$\begin{array}{l} \text{რეალური} \\ \text{გაცვლითი} \\ \text{კურსი} \end{array} = \frac{(1,66 \text{ ლარი/დოლარი}) \times (2 \text{ ლარი ქართულ} \\ \text{ღვინოში})}{3 \text{ დოლარი ამერიკულ ღვინოში}} = \frac{2,5 \times \text{ქართული} \\ \text{ღვინო/აშშ} \\ \text{ღვინო}}$$

აქედან გამომდინარე, რეალური გაცვლითი კურსი (ε) ნომინალური გაცვლითი კურსისა (e) და თვსებას აღნიშნავს შეფარდების (P/P^*) ნაშროავლის ტოლია, ანუ

$$\varepsilon = e \times (P/P^*)$$

ორ ვალუტას შორის რეალური გაცვლითი კურსი ნომინალური გაცვლითი კურსისა და ამ ორ ქვეყანაში თვსების დონეების სათუქვევლზე გაიანგარიშება. თუ რეალური გაცვლითი კურსი მაღალია, მაშინ უცხოური საქონელი შედარებით იაფია, ხოლო ადგილობრივი ძვირი და პირიქით.


რეალური გაცვლითი კურსი და წმინდა ექსპორტი

თუ რეალური გაცვლითი კურსი მაღალია, როგორც აღინიშნა უცხოური საქონელი უფრო იაფია, ვიდრე სამამულო და მომხმარებელიც უცხოურს უფრო შეიძენს, ანუ ქვეყანაში წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდე იქნება. ხოლო თუ რეალური გაცვლითი კურსი დაბალია, მაშინ მომხმარებელი უფრო მეტად ადგილობრივ პროდუქციას შეიძენს და წმინდა ექსპორტი დადებითი სიდიდე იქნება.

რეალური გაცვლითი კურსისა და წმინდა ექსპორტს შორის დამოკიდებულება ჩაწერთო შემდეგ სახით:


$$NX = NX(\varepsilon)$$

საიდანაც ჩანს, რომ წმინდა ექსპორტი რეალური გაცვლითი კურსის ფუნქციაა. გრაფიკზე ეს დამოკიდებულება ასახული, გასათვალისწინებელია, რომ წმინდა ექსპორტი შესაძლოა უარყოფითი სიდიდე იყოს, ამიტომ გრაფიკზე ასახულია უარყოფითი რიცხვებიც.



რეალური გაცვლითი კურსის განმსაზღვრელი ფაქტორები

რეალური გაცვლითი კურსი ორი ფაქტორით განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა ეხება საგადასხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, რაც უფრო მაღალია რეალური გაცვლითი კურსი, მით უფრო ძვირია ადგილობრივი წარმოების პროდუქცია, ამდენად უფრო დაბალია წმინდა ექსპორტი და დაბალია საგადასხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო.



მიმდინარე ოპერაციების ანგარიშმა უნდა დააბალანსოს, გააწინასწოროს კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, ანუ მიმდინარე ანგარიშის სალდო დანაზოგებისა და ინვესტიციების სხვაობის ტოლია. დანაზოგებს მოხმარების ფუნქცია და საზიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, ხოლო ინვესტიციებს ინვესტიციის ფუნქცია და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრავს.


გრაფიკზე გამოსახული წმინდა ექსპორტის ფუნქცია $NX(e)$, რომლის გამომსახველი მრუდი დახრილია, რაც აჩვენებს იმას, რომ გაცვლითი კურსის ზრდა წმინდა ექსპორტის შემცირებას გამოიწვევს. იმის გამო, რომ არც დანაზოგი და არც ინვესტიცია არ არის დამოკიდებული გაცვლით კურსზე, დანაზოგებისა და ინვესტიციების სხვაობის გამომსახველი წირი $(S-I)$ ვერტიკალურია. ამ ორი წირის გადაკვეთის წერტილი გაცვლითი კურსის წინასწარული მდგომარეობაა. ანუ ამ წერტილში ჩვენს ვალუტაზე მიმდინარე

ოპერაციებისათვის მოთხოვნა და კაპიტალის მოძრაობისათვის დოლარების მიწოდება აწინასწორებს ერთმანეთს.

პოლიტიკის ზემოქმედება გაცვლით კურსზე

როგორც წინა შემთხვევაში, რეალურ გაცვლით კურსზე ზემოქმედებს როგორც ქვეყნის შიგნით განხორციელებული პოლიტიკა, ასევე ქვეყნის გარეთ (ცხადია "დიდ ქვეყნებში) განხორციელებული პოლიტიკა.


საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის შიგნით. თუ კი სახელმწიფო გადასახადებისა და ხარჯების მანიპულირების გზით ამცირებს ეროვნულ დანაზოგს, ეს შემცირება აისახება $(S-I)$ სიდიდის შემცირებაზე, და შესაბამისად წმინდა ექსპორტის (NX) შემცირებაზე.




წმინდა ექსპორტი

გრაფიკიდან ჩანს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა $(S-I)$ ვერტიკალურ წინს მარცხნივ გადაანაცვლებს და უცხოეთში ინვესტირებისათვის ლარის მიწოდებას ამცირებს. დაბალი მიწოდება ამცირებს ეროვნულ ვალუტას, რაც იწვევს სამამულო პროდუქციის გაძვირებას უცხოურ ანალოგებთან შედარებით, რაც ექსპორტის შემცირებასა და იმპორტის ზრდას იწვევს.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა საზღვარგარეთ. თუ საზღვარგარეთ სახელმწიფოების მთავრობები ზრდიან სახელმწიფო შესყიდვებს ან ამცირებენ გადასახადებს, ასეთ ქმედებებს მსოფლიო დანაზოგების შემცირება და შესაბამისად რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას იწვევს, რაც ამცირებს შიდა ინვესტიციების (I) მოცულობას და შესაბამისად ზრდის $(S-I)$ სხვაობას და წმინდა ექსპორტს NX -ს. ამრიგად, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს მიმდინარე ოპერაციითა ანგარიშის საღლოს.



საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა, თუ მცირე დია ეკონომიკაში სახელმწიფო გაატარებს ინვესტიციების წამახალისებელ პოლიტიკას, მოცემული მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ინვესტიციების მოცულობის ზრდას იწვევს. ინვესტიციების (I) მოცულობის ზრდა ($S - I$) და NX -ის შემცირებას იწვევს. ამდენად საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტს იწვევს.




გრძობაზე ნაჩვენებია, რომ საინვესტიციო მოთხოვნა ($S - I$) ვერტიკალურ წინს მარცხნივ გადაანაცვლებს, ამცირებს ეროვნული ვალუტის მიწოდებას უცხოეთში საინვესტიციოდ. რეალური გაცვლითი კურსის წინასწორული მდგომარეობა იზრდება.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ზეგავლენა. ფართო გაგებით საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა ანის პოლიტიკა, რომელიც ტარდება იმპორტირებულ და საექსპორტო საქონლისა და მომსახურების მოცულობაზე ზემოქმედებისათვის. როგორც წესი, ხშირად ტარდება პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმპორტირებული საქონლისაგან

ადგილობრივი წარმოების დასაცავად, ამ მიზნით როგორც წესი იმპორტზე გადასახადის (ტარიფის) ან იმპორტის რაოდენობის შეზღუდვა (ქვოტა) გამოიყენება.

ასეთ პოლიტიკას პროტექციონისტული პოლიტიკა ქვია. მაგალითისათვის განვიხილოთ სიტუაცია, თუ კი საქართველოში ადგილობრივი წარმოების დასაცავად მთავრობა აკრძალავს რომელიმე ტიპის საქონლის იმპორტს. რეალური გაცვლითი კურსის ნებისმიერ მოცემულ შემთხვევაში იმპორტის მოცულობა უნდა შემცირდეს, ესე იგი წმინდა ექსპორტი უნდა გაიზარდოს. შედეგად წმინდა ექსპორტის მრუდი ზემოთ გადაინაცვლებს. ახალ წენტილში გაცვლითი კურსი გაიზარდება, ხოლო წმინდა ექსპორტის მოცულობა იმავე დონეზე დარჩება.



მეცნიერული ანალიზი ადასტურებს, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა არ ზემოქმედებს საგადასხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის საღლოზე. რადგან საგადასხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი იმპორტის ექსპორტზე გადამეტებას აღნიშნავს. ჩვენ ვიგულისხმეთ რომ ზოგიერთი საქონლის იმპორტის აკრძალვა შეამცირებდა იმპორტს და გაზარდიდა წმინდა ექსპორტს. სინამდვილეში კი პროტექციონისტული პოლიტიკა მხოლოდ რეალურ გაცვლით კურსს ზრდის. რაც იწვევს ადგილობრივი წარმოების გაძვირებას, რაც საბოლოო ჯამში წმინდა ექსპორტის შემცირებას გამოიწვევს. მის გამო, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა არ ზემოქმედებს არც ინვესტიციებზე და არც დანაზოგებზე, მას არ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს როგორც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე, ასევე მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე.

თუმცა, პროტექციონისტული პოლიტიკა ზემოქმედებს საგარე ვაჭრობის მოცულობაზე. როგორც უკვე ვნახეთ, რეალური გაცვლითი კურსის ამალღება იწვევს ადგილობრივი წარმოების გაძვირებას, ამდენად მცირდება ექსპორტი. წმინდა ექსპორტის მოცულობა კი უცვლელი რჩება.

პროტექციონისტული პოლიტიკა, შესაძლოა საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მომგებიანი იყოს (მაგალითად, ისეთი საქონლის მწარმოებლებისათვის, რომელთა იმპორტიც აკრძალა), ზოგადად საზოგადოებისათვის, დანაკარგი უფრო მეტია.

ნომინალური გაცვლითი კურსის განმსაზღვრელი ფაქტორები
 გაეხსენოთ, რომ რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებს შორის დამოკიდებულება აისახება ფორმულით $e = ex(P/P')$, ანუ $e = ex(P/P')$. აქედან გამომდინარე, ნომინალური გაცვლითი კურსი რეალურ გაცვლით კურსზე და ორ ქვეყანაში ფასების დონის შეფარდებაზე დამოკიდებული. თუ ქვეყანაში ფასების დონე გაიზარდება, ეს

ნომინალურ გაცვლით კურსს შემცირებს თუ გაიზრდება ფასების დონე მეორე ქვეყანაში, მაშინ ნომინალური გაცვლით π კურსი გაიზრდება.

გაცვლითა კურსის ცვლილება შესაძლოა ჩაიწეროს ფორმულით $\Delta e = \Delta \varepsilon + \Delta P^* - \Delta P$.
 ε -ს ცვლილება (პრაქტიკულ გამოსახულებაში) რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებაა P^* -ს ცვლილება ჩვენს ქვეყანაში ინფლაციაა - π , ხოლო P ცვლილება კი მეორე ქვეყანაში ინფლაციაა - π^* , ამდენად

$$\Delta e = \Delta \varepsilon + (\pi^* - \pi)$$

აქედან გამომდინარე, თუ რომელიმე ქვეყანაში ინფლაციის ტემპი მაღალია, ვიდრე საქართველოში, დროთა განმავლობაში ლარზე იმ ქვეყნის სულ უფრო მეტი ვალუტის შექმნა გახდება შესაძლებელი. ხოლო თუ ინფლაციის ტემპები საქართველოში უფრო მცირეა, ვიდრე სხვა ქვეყანაში, ლარით ამ ქვეყნის ვალუტის სულ უფრო მცირე მოცულობის შექმნა გახდება შესაძლებელი.


მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი

ერთიანი ფასის კანონის შესაბამისად, ერთი და იგივე საქონელი არ შეიძლება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფასი ღირდეს. თუ ხორცი მცხეთაში უფრო იაფია, ვიდრე რუსთავეში, მცხეთაში ხორცის ყიდვითა და რუსთავეში გაყიდვით მოგების მიღება შესაძლებელია. რაც მცხეთაში ხორცზე მოთხოვნას და რუსთავეში ხორცის მიწოდებას გაზრდის და ფასებს გაათანაბრებს.

ერთიანი ფასის კანონმა საერთაშორისო ვაჭრობაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის სახელი მიიღო. მას შესაბამისად, თუ საერთაშორისო ბაზრებზე გადამყიდველთა ინსტიტუტი აწესებს, ამან ვალუტის (მაგალითად აშშ დოლარის, ან ლარის) ყველა ქვეყანაში თანაბარი მსყიდველობითუნარიანობა უნდა გამოიწვიოს. თუ აშშ დოლარით ამერიკაში უფრო მეტ ხონზალს იყიდი, ვიდრე საქართველოში, მაშინ გადამყიდველები ამერიკაში იყიდიან ხონზალს და საქართველოში გაყიდიან, რაც ფასებს გაათანაბრებს.

წმინდა ექსპორტი რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებისადმი ძალიან მგრძობიარეა. რეალური გაცვლითი კურსის შემცირება გადამყიდველებს აიძულებს იყიდონ საქონელი ქვეყნის შიგნით და გაყიდონ იგი საზღვარგარეთ. ანალოგიურად რეალური გაცვლითი კურსის ამაღლების შემთხვევაში გადამყიდველები იმპორტს ახორციელებენ.

ამ შემთხვევაში წმინდა ექსპორტის შრედი ბლავდია. რეალური გაცვლითი კურსის უმნიშვნელო ცვლილება წმინდა ექსპორტის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს. წმინდა ექსპორტის ეს მგრძობიარობა უზრუნველყოფს წონასწორობითი რეალური გაცვლითი კურსის იმ მდგომარეობასთან სიახლოვეს, რომელიც მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს უზრუნველყოფს.



მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტიდან გამომდინარეობს, რომ რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებზე დანიშნულებისა და ინვესტიციების მოცულობების ცვლილება

ზეგავლენას არ ახდენს და მეორე, რადგან რეალური გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, ნომინალური გაცვლითი კურსის ნებისმიერი ცვლილება ფასების დონის ცვლილებითაა გამორევეული.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მთავარი, კონცეპტუალური ლოგიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტადაა გადახრილი რეალური გაცვლითი კურსი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონცეპციით განსაზღვრულისაგან, გადამყიდველები მით უფრო აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო ბაზარზე და ნებისთ თუ უნებლიედ რეალური გაცვლითი კურსი ამ მდგომარეობამდე მიყავთ.

8. ეკონომიკური რყევების თეორია



ეკონომიკური რყევების პრობლემა ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მუდმივი ზრუნვის საგანია. GDP-ის რეალური მოცულობის ზრდის ტემპები წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად განსხვავდება. ხშირია სიტუაცია, როდესაც საქმიანი აქტივობა ეცემა - შემოსავლები მცირდება, უმუშევრობა კი იზრდება.

ეკონომისტები ასეთ რყევებს ეკონომიკურ ციკლებად მოიხსენიებენ. თუმცა ციკლი ეკონომიკის რეგულარულ და პროგნოზირებად რყევებს გულისხმობს, რასაც არათუ საერთო არ აქვს რეალობასთან.

8-1. განსხვავება მოკლევადიან და გრძელვადიან რყევებს შორის

მაკროეკონომისტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ეკონომიკის განვითარების ხასიათი ძირითადად ფასების განსხვავებულ დინამიკასთანაა დაკავშირებული. გრძელვადიან პერიოდში ფასები მნიშვნელოვანი მოქნილობით ხასიათდება, და ამდენად რეაგირებენ მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებაზე. მოკლევადიან პერიოდში კი ფასები ზოგჯერ თითო ხაზის საქონელსა და მომსახურებაზე გარკვეულ დონეზეა "გაფიქსირებული". იმის გამო, რომ ფასების ქცევის ხასიათი მოკლევადიან პერიოდში გრძელვადიანი პერიოდში ქცევისაგან განსხვავდება, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები ასევე განსხვავებულია.

ამ განსხვავების გააზრებისათვის განვიხილოთ ერთი ჰიპოტეტური მაგალითი, დავეუბნოთ ერთგულმა ბანკმა მოულოდნელად შეამცირა ფულის მიწოდება 5%-ით. კლასიკური მოდელის შესაბამისად, რომელიც სარწმუნოდ აღწერს გრძელვადიან პერიოდს, ფულის მიწოდების რაოდენობა რეაგირებს ნომინალურ მაჩვენებლებზე, რასაც კლასიკური დიქტორთა ქვია. ამდენად გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკაში ყველა ნომინალური ფასი (მაგ. ხელფასი) 5 %-ით შემცირდება, მაშინ როდესაც რეალური მაჩვენებლები უცვლელი დარჩება.

მოკლევადიან პერიოდში ფასები ფულის მიწოდების ცვლილებაზე არ რეაგირებენ. წარმოუდგენელია დაევიწყოთ, რომ ფირმები უცხად გადაწყვეტენ და გააიფხვენ თავის პროდუქციას, შეამცირებენ ხელფასს, დაბეჭდავენ ახალ კატალოგებსა და მენიუებს. პირიქით, ფასების დიდი ნაწილი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვლება. სწორედ ფასების ამ მოუქნელობის გამო მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის მიღწევის მიზნით უნდა ხდებოდეს წარმოების მოცულობის რყევა.

კლასიკურ მოდელში ფასების მოქნილობაა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის საფუძველი. კლასიკურ მოდელში წარმოებული პროდუქციის მოცულობა შრომისა და კაპიტალის დანახარჯებზეა დამოკიდებული. ფასების მოუქნელობის პირობებში ასევე მოთხოვნა განაპირობებს წარმოებულ პროდუქციის მოცულობას. მოთხოვნა კი, თავის მხრივ ფულად-საკრედიტო, საბუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკებისა და სხვა ფაქტორების მიერ განისაზღვრება. ამდენად ფულად-საკრედიტო და საბუჯეტო პოლიტიკებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

8-2. ერთობლივი მოთხოვნა

ერთობლივი მოთხოვნა - ესაა დამოკიდებულება მოთხოვნილი წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ფასების დონეს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთობლივი მოთხოვნის მრეულ საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას გვიჩვენებს, რომლებიც ფასების კონკრეტული დონის პირობებში გაიყიდება.

ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობა, როგორც ერთობლივი მოთხოვნის მოდელი. გავიხსენოთ, რომ $MV = PY$. აქედან,


$$M/P = (M/P)^d = kY$$

სადაც $k = 1/V$, ამ იგივეობიდან ჩანს, რომ რეალური ფულის მიწოდება (M/P), მასზე მოთხოვნის (M/P)^d ტოლია და წარმოებული პროდუქციის Y პროპორციულია.

ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობიდან გამომდინარე, ფულის მიწოდების მუდმივობის პირობებში, ფასების დონესა (P) და წარმოებული პროდუქციის მოცულობას (Y) შორის დამოკიდებულება უანკოფითაა. გრაფიკზე მოცემულია მათ შორის დამოკიდებულება, რაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდის სახელითაა ცნობილი, რომელიც კლებადია.


ვინაიდან ფულის მოძრაობის სიჩქარე მიღებულია მუდმივად, ვარიაციების ფულის მოცულობა ფულის მოცულობითაა განპირობებული. ამდენად ფასების დონის ზრდა შეძენილი საქონლისა და მომსახურების მოცულობას ამცირებს.

ასევე წარმოების მოცულობის ზრდა ვარიაციების რაოდენობის ზრდას იწვევს, საჭირო ხდება უფრო მეტი რეალური ფულის (M/P) მანაგები. ფულის ფიქსირებული რაოდენობის პირობებში დამატებითი ვარიაციები მხოლოდ ფასების უფრო დაბალი დონის პირობებშია შესაძლებელი.




ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადანაცვლება

ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ივება ფულის მიწოდების მოცემული ფიქსირებული რაოდენობის გათვალისწინებით. ანუ, გრაფიკზე P -სა და Y -ის შესაძლო ვარიანტები M -ის მოცემულ მოცულობაზე, თუ კი ფულის მოცულობა იზრდება, მაშინ შესაბამისად იზრდება P -სა და Y -ის მოცულობებიც. ანუ ხდება მრუდის გადანაცვლება.



დაგეზუნდეთ იმ ვარიანტს, როდესაც ერთეული ზანკი ამცინებს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას. ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შემცირება წარმოებული პროდუქციის ნომინალური ღირებულების (PY) შემცირებას იწვევს. ანუ ხდება მრუდის მარცხნივ გადაანაცვლება. საპირისპირო მოვლენას გამოიწვევს ერთეული ზანკის მიერ ფულის მიწოდების გაზრდა ხდება PY-ის ზრდა. ანუ მრუდი გადაანაცვლდება მარჯვნივ.



ცხადია ერთობლივი მოთხოვნის შეცვლის ერთადერთ მიზეზს არ წარმოადგენს ფულის მიწოდების ცვლილება. შესაძლოა იგივე ეფექტი ფულის მოძრაობის სიჩქარის ცვლილებამ გამოიწვიოს.

მ-3 ერთობლივი მიწოდება


მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნა ფასების ღირეს და წარმოებული პროდუქციის მოცულობას ვერ განსაზღვრავს. ერთობლივი მოთხოვნა მხოლოდ ამ ორ ცვლადს, ფასების ღირესა და მეტყინალი პროდუქციის მოცულობას შორის დამოკიდებულებას ასახავს. სრული სურათის ასახვისათვის P-სა და Y-ს შორის კიდევ ერთი დამოკიდებულება - ერთობლივი მიწოდების მრუდი უნდა შევისწავლოთ. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდები ფასების ღირესა და პროდუქციის გამომეგების გასაზღვრის საშუალებას იძლევა.

ერთობლივი მიწოდება - ეს არის დამოკიდებულება გამყიდველების მიერ შეთავაზებულ საქონლისა და მომსახურების რაოდენობასა და ფასების ღირეს შორის. ერთობლივი მიწოდების მრუდის ორ სახეს განასხვავებენ, იმისდა მიხედვით, თუ დროის როგორ მუალებში განვიხილავთ ერთობლივ მიწოდებას.

გრძელვადიანი პერიოდი: ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია იმის გამო, რომ გრძელვადიანი პერიოდში ეკონომიკის ფუნქციონირება კლასიკური მოდელით აღიწერება. ერთობლივი მიწოდების მრუდი მისი მეშვეობით აიგება. გრძელვადიან პერიოდში წარმოებული პროდუქციის მოცულობა მხოლოდ დახარჯული შრომისა და კაპიტალის რაოდენობით განისაზღვრება, არსებული ტექნოლოგიების ბაზაზე.

$$Y = F(\bar{K}, \bar{L}) = \bar{Y}$$


ამდენად წარმოებული პროდუქციის მოცულობა, კლასიკური მოდელის მიხედვით არ არის დამოკიდებული ფასების ღირესზე. აქედან გამომდინარე, როგორც ეს გრაფიკში ნაჩვენებში, ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია.



ერთობლივი მოთხოვნის მრუდის და ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდის გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს ფასების დონეს.

ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გამოიწვევს ფასების დონის და არა წარმოების მოცულობის ცვლილებას.

ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდი აკმაყოფილებს კლასიკური დიქტომიის მოთხოვნას, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ წარმოებული პროდუქციის მოცულობა არ არის დამოკიდებული ერთობლივი მოთხოვნისა და, შესაბამისად, ფასების დონეზე.




ამ შემთხვევაში რესურსები სრულადაა გამოყენებული, ან უფრო რეალისტურად რომ შევხედოთ სიტუაციას, უმუშევრობა ბუნებრივ დონეზეა.


მოკლევადიანი პერიოდი: ერთობლივი მიწოდების მრუდი ჰორიზონტალური ხაზია კლასიკური მოდელი და ვერტიკალური მრუდი მხოლოდ გრძელვადიანი პერიოდის ანალიზისათვის გამოიყენება. მოკლევადიან პერიოდში კი ფასები არ ხასიათდება მოქნილობით და ამიტომ მოთხოვნის ცვლილებებს ვერ ვგუებთ. ფასების მოუქნელობის გამო მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი არ არის ვერტიკალური.

განვიხილოთ ექსტრემალური მაგალითი და დავუშვათ, რომ ყველა ფირმა ამდრინად გამოსცა კატალოგები, მენიუები და მათი შეცვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამდენად ფასები ძველ დონეზე დარჩება. ფირმები ცდილობენ არსებული ფასების პირობებში

სრულად დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნილება. ამდენად ფინანსები ათვართოვზენ წარმოებას, ისე რომ არ იცვლებს ფასები. მივიღებთ, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდს ჰორიზონტალური სახე ექნება.



მოკლევადიან პერიოდში ბაზარზე წონასწორული იქნება წერტილი, რომელიც ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და ერთობლივი მიწოდების ჰორიზონტალური მრუდის გადაკვეთის წერტილზე იქნება. ერთობლივი მოთხოვნის მოცულობის ცვლილება წარმოების მოცულობის ცვლილებას გამოიწვევს. თუ ერთვებული ბანკი ფულის მიწოდებას შეამცირებს, ეკონომიკაში E_1 წერტილიდან E_2 -ში გადაინაცვლებს



ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილი. რადგან ფასების დონე უცვლელია, ამიტომ წარმოების მოცულობა შემცირდება.


ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრად შემცირების პირობებში ფინანსები არ ამცირებენ ფასებს, მაგრამ შემდგომში ამცირებენ წარმოების მოცულობას და დასაქმებულთა რიცხვს.

მოკლევადიან რყევათა ანალიზიდან გრძელვადიან პერიოდამდე


ზემოთაქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოკლევადიან პერიოდში ფასები არ არის მოქნილი და ამდენად ერთობლივი მიწოდების მრუდი ჰორიზონტალურია, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ცვლილება წარმოების მოცულობის ცვლილებას იწვევს. გრძელვადიან პერიოდში კი ფასები მოქნილია, ერთობლივი მიწოდების მრუდი კი ვერტიკალური, ანუ ერთობლივი მოთხოვნის ცვლება ზემოქმედებს არა წარმოების მოცულობაზე, არამედ

მხოლოდ ფასების დონეზე. ამდენად ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები დროის სხვადასხვა მონაკვეთზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს.

დავუშვათ, ეკონომიკა გრძელვადიანი წონასწორობის წერტილში იმყოფება. გრაფიკზე სამი მრუდია გამოსახული. ერთობლივი მოთხოვნის, მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდებისა და გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდები. წონასწორობა გრძელვადიანი პერიოდში მიიღწევა იმ წერტილში სადაც ერთობლივი მოთხოვნისა და გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდები გადაიკვეთებიან. ფასები იცვლება ისე, რომ ეს წონასწორობა იქნეს მიღწეული. ამიტომ გრძელვადიანი წონასწორობის წერტილში მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდიც გაივლის.



დავუშვათ, ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა შეამცირა. მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასები არ არის მოქნილი, ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაკვეთის წერტილი *A* წერტილიდან *B* წერტილამდე გადაინაცვლებს. წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე ბუნებრივ დონეზე დაბლა დაიწევს, რაც რყევების არსებობას ადასტურებს. დროთა განმავლობაში ფასები და ხელფასები მცირდება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ ხდება გადაინაცვლება და ეკონომიკაში ახალი გრძელვადიანი წონასწორობა *C* წერტილში ყალიბდება.



წონასწორობის ამ ახალ წერტილში წარმოების მოცულობა და დასაქმება ახალ ბუნებრივ დონეზე აღმოჩნდება, თუმცა ფასების გაცილებით დაბალ დონეზე.

მ-4. სტაბილიზაციის პოლიტიკა


ეკონომიკაში რყევები ერთობლივი მოთხოვნის ან ერთობლივი მიწოდების ცვლილებიდან იწყება. ეკონომისტები შესაბამისი მრუდების გარე ზემოქმედებით ვადადვილებას ეკონომიკური რყევების, ან შოკის სახელით მოიხსენიებენ. შოკის ეკონომიკაზე ზემოქმედება ეკონომიკაში წარმოების მოცულობისა და დასაქმების ზუნებრივი დონიდან გადახრაში გამოიხატება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია რყევების ნეიტრალიზაციისაკენ, იგი წარმოების მოცულობისა და დასაქმების ზუნებრივ დონეზე შენარჩუნებისაკენაა მიმართული და სტაბილიზაციის პოლიტიკა ეწოდება.

ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ცვლილებები განვიხილოთ შოკის (ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ცვლილების) ერთი მაგალითი, როგორც იყო ბანკომატების გამოგონება. ბანკომატებმა ფულის ნიშნების მიღება გააადვილეს, რამაც ნაღდ ფულზე მოსახლეობის მოთხოვნა შეამცირა. თუ დავუშვებთ, რომ ბანკომატის გამოგონებამდე ადამიანი საშუალოდ კვირაში ერთხელ მიდიოდა ბანკში და იქიდან 100 ლარი გამოიქონდა, რასაც ერთი კვირის განმავლობაში ხარჯავდა. ხელზე არსებული ნაღდი ფული 50 ლარი იქნება. ბანკომატის დანერგვის შემთხვევაში კი ადამიანებს კვირაში ორჯერ მოუწევთ ბანკომატთან მისვლა და საშუალოდ 50 ლარის გამოტანა, ხელთანსებული თანხა კი 25 ლარი იქნება. ნაღდი ფულის მარაგებზე მოთხოვნა ორჯერ შემცირდება.

ფულის მარაგებზე მოთხოვნის ეს ცვლილება ფულის მოძრაობის სიჩქარის ტოლია. ვაეისხნოთ. რომ $M/P = kY$, სადაც $k = 1/V$. ნაღდი ფულის მარაგების შემცირება წარმოების მოცულობის მოცულობის პირობებში k -ს შემცირებასა და V -ს ზრდას გამოიწვევს. ბანკომატების გამოგონებამ ნაღდი ფულის მარაგების შემცირება და ფულის ბრუნვის სიჩქარის ზრდა გამოიწვია.

თუ ფულის მასა უცვლელია და იზრდება ფულის მიმოქცევის სიჩქარე ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ.



მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ზრდა წარმოების მოცულობის ზრდას, ანუ ეკონომიკურ აღმავლობას იწვევს. თინემები ძველი ფასებით უფრო მეტ საქონელს ყიდიან, უფრო მეტ მუშახელს დაიქირავენ და უფრო ინტენსიურად გამოიყენებენ საწარმოო საშუალებებს.

დროთა განმავლობაში მაღალი ერთობლივი მოთხოვნა ფასების (მ.შ. ხელფასების) ზრდას იწვევს, რასაც თავის მხრივ საქონელზე მოთხოვნის შემცირება მოჰყვება, წარმოების მოცულობა და დასაქმება კი უახლოვდება ზუნებრივ დონეს. მაგრამ გარდასავალ პერიოდში მათი მოცულობა აღემატება ზუნებრივ დონეს.

ერთოვლელ ბანკს ფულის მიწოდების კონტროლის მეშვეობით შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაცია, რითაც შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური რყევები.


ერთობლივი მიწოდების მკვეთრი ცვლილებები

ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება ეკონომიკური რყევების ერთადერთი მიზეზი არაა. ეკონომიკური რყევა შესაძლოა თავის მხრივ ერთობლივი მიწოდების ცვლილებამაც გამოიწვიოს. მიწოდებით გამოჩვეული რყევა - ეს ეკონომიკური პირობების მკვეთრი ცვლილებაა, რომელიც შეეხება წარმოების დანახარჯებს, და შესაბამისად ფასებს. ფასისმიერი შოკების მაგალითებია:

- გვალვა. სასოფლო სამეურნეო მოსავლის განადგურება - იწვევს სურსათის მიწოდების მკვეთრ შემცირებას და როგორც შედეგი ფასების ზრდას;
- ახალი კანონმდებლობა გარემოსდაცვით სფეროში, რომელიც გარემოში გაფრქვევის ახალ გამაკრებულ სტანდარტებს ამტკიცებს - ფირმები ეწევიან დამატებით დანახარჯს და ამიტომ აძვირებენ პროდუქციას;
- პროფკავშირების გაქტიურება - ხელფასების ზრდასა და შესაბამისად ფასების ზრდას იწვევს;
- ოპეკი - ნავთობის იმპორტიორთა გაერთიანება ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი ფასი ნავთობზე, რასაც ღირსის პრინციპით ბევრი ფასის ზრდა მოჰყვება.

ეს მაგალითები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ერთობლივ მიწოდებაზე და აძვირებს პროდუქციას, მაშინ როდესაც შესაძლოა მოხდეს ერთობლივი მიწოდების წახალისება, მაგალითად ახალი ტექნოლოგიური აღმოჩენა, ნავთობის გათხეობა, გადასახადების შემცირება.


მიწოდების არასასურველი ცვლილების დროს მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი ზემოთ აინაცვლებს. თუ ერთობლივი მოთხოვნა უცვლელია, A წერტილიდან ხდება B წერტილში გადასვლა, იზრდება ფასების დონე, ხოლო წარმოების მოცულობა მცირდება ბუნებრივად ქვემოთ. ასეთი სიტუაცია სტაგფლაციაა. ამ დროს სტაგნაცია და ინფლაცია ერთდროულად ხდება.



ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში არჩევანის გაკეთება უწევს ორგვარ ქმედებას შორის. პირველი ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო უნდა შეეცადოს ერთობლივი მოთხოვნის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში წარმოების მოცულობა და დასაქმება ბუნებრივ დონეზე დაბალია და ადრე თუ გვიან ფასები დაეცემა ძველ დონემდე და აღდგება სრული დასაქმება თუმცა ეს ყველაფერი წარმოების მოცულობის შემცირების ხარჯზე ხდება.

მეორე ვარიანტის შესაბამისად, წარმოების ბუნებრივი მოცულობის აღსადგენად სახელმწიფო ცდილობს ერთობლივი მოთხოვნა წახალისოს. თუ ერთობლივი მოთხოვნის ზრდის სიდიდე ერთობლივი მიწოდების შოკის სიდიდის ტოლია, ხდება A წერტილიდან C

წერტილში გადანაცვლება. ამ შემთხვევაში ამზომენ, რომ ეროვნულმა ბანკმა შესძლო შოკის შედეგების შენელება. ანეთი გადაწყვეტილების ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალში ფასების შეღარებით მაღალი დონე შენარჩუნდება. არ არსებობს ერთობლივი მოთხოვნის ისეთ დონეზე უზრუნველყოფა, რომ ერთდროულად ფასების სტაბილურობა და სრული დასაქმება უზრუნველყოს.



9. ერთობლივი მოთხოვნა (I)

ჯონ მენარდ კეინზი წერდა "მე მოვიყვანო მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ კლასიკური თეორიის პოსტულატები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არა საზოგადოების მიმართ, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში... უფრო მეტიც, ამ განსაკუთრებული შემთხვევის დამახასიათებელი თვისებები არ ემთხვევა იმ ეკონომიკურ საზოგადოების თვისებებს, რომელშიც ცხხოვნობთ, და ამიტომ მათი სწავლება გზიდან გადაგვიყვანს და თეორიის პრაქტიკაში გამოყენების მცდელობისას საბედისწერო შედეგებამდე მიგვიყვანს".


ამჟამის ისტორიაში ყველაზე დიდი ეკონომიკური კრიზისი დიდი დეპრესია იყო. 1933 წლისათვის ამერიკის მოსახლეობის მეოთხედი უმუშევარი იყო, რეალური GDP კი 30 პროცენტით დაბალი იყო, ვიდრე 1929 წელს. ამ კრიზისმა მრავალ ეკონომისტს კლასიკური ეკონომიკური თეორიის გამოყენების შესაძლებლობის მართლობიერების შესახებ კითხვები გაუჩინა. როგორც დიდმა დეპრესიამ აჩვენა კლასიკური ეკონომიკური თეორია. რომელსაც აქამდე ვიხილავდით, ვერ ხსნიდა დეპრესიის მიზეზებს.

გავისწავლოთ, რომ კლასიკური ეკონომიკური თეორიის შესაბამისად ერთვული შემოსავალი წარმოების ფაქტორებზე და არსებულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებული, მაგრამ 1929-33 წლებში არც წარმოების ფაქტორებს და არც ტექნოლოგიურ დონეს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

კეინზმა თავის წიგნში "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია" დაუშვა, რომ შემოსავლის დაბალი და უმუშევრობის მაღალი დონის მიზეზი შესაძლოა ერთობლივი მოთხოვნის შემცირება იყოს. იგი აკრიტიკებდა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას და სეის კანონს, რომლის თანახმადაც ერთობლივი მიწოდება განსაზღვრავდა ერთვული შემოსავლის მოცულობას. სეის კანონის თანახმადაც მიწოდება წარმოქმნის მოთხოვნას.

ერთობლივი მოთხოვნის მოდელი IS - LM მოდელის სახელითაა ცნობილი, სწორედ ეს მოდელია კეინზის თეორიის ყველაზე გაბატონებული ინტერპრეტაცია. მასში ფასების დონე აღებულია როგორც ეგზოგენური პარამეტრი და ნაჩვენებია, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ ენაგენული შემოსავლის მოცულობას

IS - LM მოდელი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოკლევადიან პერიოდში, ფასების ფიქსირებული დონის პირობებში შევისწავლოთ აუ რას იწვევს შემოსავლების ცვლილება ან ან რა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. ამ ორი მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ IS - LM მოდელი, როგორც ეს ვნაფიკება ნაჩვენებია, მოკლევადიან პერიოდში ფიქსირებული ფასების პირობებში, შემოსავლის დონის ცვლილება ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაინაცვლებს.



$IS - LM$ მოდელი ორი ნაწილისაგან შედგება IS (*Investment - Saving*) - ინვესტიციები და დანაზოგი და LM (*Liquidity - Money*) ლიკვიდურობა და ფული.

IS საქონლისა და მომსახურების ბაზარზე სიტუაციის აღწერს, ხოლო LM გვიჩვენებს ფულის მარაგებზე მოთხოვნასა და ფულის მიწოდებას. მოდელი ამ ორი ბაზრის ურთიერთქმედების ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებას აღწერს და იგი პერველად ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჯონ ჰიკსმა აღწერა.

9-1. საქონლის ბაზარი და IS მრუდი

IS მრუდი პროცენტის განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის დამოკიდებულებას ასახავს, რომელიც საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩნდება.

კეინზიანური ჯვარი

კეინზიანური ჯვარი ეროვნული შემოსავლის კეინზიანური თეორიის ყველაზე მარტივი ინტერპრეტაციაა.

დაგვემილი დანახარჯები. კეინზიანური ჯვრის მისაღებად განვიხილოთ ფაქტორები, რომლებიც დაგვემილი დანახარჯების განსაზღვრაზე ზემოქმედებენ. დაგვემილი დანახარჯები არის თანხა, რომლის დახარჯვასაც საქონლისა და მომსახურების შესაძენად ამირებენ საოჯახო მეურნეობები, ფირმები და სახელმწიფო. ფაქტიური დანახარჯები გვემუნისაგან განსხვავდება, როდესაც ფირმები იძულებულნი არიან დაუგვემავი ინვესტიციები მოახდინონ მარაგებში, ანუ როდესაც ფირმები ზრდიან ან ამცირებენ მარაგებს მათ საქონელზე მოულოდნელად მაღალი ან დაბალი მოთხოვნის გამო.

გავამარტივოთ ჩვენი მსჯელობა და დავუშვათ, რომ ჩაკეტილ ეკონომიკასთან გვაქვს საქმე ანუ წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია. დაგვემილი დანახარჯები E შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც მოხმარების (C), დაგვემილი ინვესტიციებისა (I) და სახელმწიფო ხარჯების (G) ჯამი

$$E = C + I + G,$$

გავიხსენოთ, აგრეთვე, რომ მოხმარებას მოხმარების ფუნქცია განსაზღვრავს


$$C = C(Y - T)$$

რომლის თანახმადაც მოხმარების მოცულობა C განკარგავს შემოსავალზე $(Y - T)$ -ზე დამოკიდებული განკარგავდი შემოსავალი კი ერთობლივი შემოსავლის (Y) და გადასახადების (T) სხვაობაა დავუშვათ აგრეთვე, რომ დაგვემილი ინვესტიციების მოცულობა ფიქსირებულია $I = \bar{I}$ და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა უცვლელია (G და T). თუ ამ იგივეობებს გავაერთიანებთ, მივიღებთ

$$E = C(Y - \bar{T}) + \bar{I} + \bar{G}.$$

ამ იგივეობიდან გამომდინარეობს, რომ დაგვემილი დანახარჯები შემოსავლის (Y) ფუნქციაა, ეგზოგენური დაგვემილი ინვესტიციების მოცულობისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენური ცვლადების G და T პირობებში.


გრათუიკე დაგვემილი დანახარჯებია გამოსახული. იმის გამო, რომ შემოსავლების მაღალი დონე მოხმარების უფრო მაღალ დონეს განაპირობებს, გრათუიკი აღმავალია. გრათუიკის დახრის კუთხე მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებაა MPC , რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენით გაიზრდება დაგვემილი დანახარჯები შემოსავლის ერთი ლარით გაზრდის შემთხვევაში.




ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობაში. ჩვენ დავეუშვათ, რომ ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობაშია, როდესაც რეალური დანახარჯები დაგვეგმილის ტოლია. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ GDP -ს ორმაგი ბუნება აქვს, ეკონომიკური აგენტების შემოსავალს და წარმოებული პროდუქციის შექმნაზე გაწეულ დანახარჯებს აღწერს. ამდენად Y ანა მართო ერთობლივ შემოსავალს, არამედ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ რეალურ დანახარჯებსაც ასახავს, ანუ ფაქტიური დანახარჯები და დაგვეგმილი დანახარჯები ტოლია

$$Y = E$$

გრაფიკზე გამოსახული კუთხის მდებარეობა იმ წერტილს ასახავს, სადაც ეს პირობა სრულდება. თუ მდებარეობს შივემატებო დაგვეგმილი დანახარჯების გრაფიკს, კვინზიანურ ჯვარს შივიღებო. ეკონომიკის წონასწორობა შიიღწევა იმ წერტილში, სადაც ეს ორი გრაფიკი გადაიკვეთება.



ლოგიკურია, რომ თუ ფირმები აწარმოებენ უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე მომხმარებლები შეიძენენ, მაშინ გაიზრდება მარაგები და პირიქით, თუ კი მოხმარება აღემატება წარმოებას, მაშინ მარაგები დაუგეგმავად შემცირდება. მარაგების რაოდენობის შემცირება ფირმებს წარმოებს მოცულობის ზრდისაკენ უბიძგებს.




დავუშვათ GDP არის ისეთ წერტილში, რომელიც წონასწორულს აღემატება. ასეთი წერტილია Y_1 , ამ შემთხვევაში დანახარჯები E_1 ნაკლებია Y_1 -ზე. ამდენად, ფირმები ახერხებენ უფრო ნაკლები პროდუქციის გაყიდვას, ვიდრე აწარმოებენ. მარაგები იზრდება, რაც აიძულებს ფირმებს შეამცირონ წარმოების მოცულობა, დაითხოვოს თანამშრომლები. ეს პროცესი გაგრძელდება, ვიდრე შემოსავალი (GDP) წონასწორულ მდგომარეობამდე არ შემცირდება.

ანალოგიურად, თუ წარმოვიდგინოთ, რომ GDP არის ისეთ წერტილში, რომელიც წონასწორულზე ნაკლებია, მაშინ დაგეგმილი დანახარჯი Y_2 -ს უდრის, იმის გამო, რომ დანახარჯები წარმოების მოცულობას აღემატება, ფირმებს უმცირდებათ მარაგები და ისინი აუარსებენ წარმოებას, ქინაობენ დამატებით მუშახელს. ამგვარად ხდება GDP -ს ზრდა, მანამ ვიდრე არ მოხდება შემოსავლისა და დაგეგმილი დანახარჯების ვატოლეზა.

ზოგადად კენზიანური ჯვარი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება შემოსავალი გეგმიური ინვესტიციების მოცემული დონისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის პირობებში.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა და მულტიპლიკატორი: სახელმწიფო ხარჯები. იმის გამო, რომ სახელმწიფო ხარჯები ერთობლივი დანახარჯების ერთ-ერთი კომპონენტია, ცხადია, მათი ზრდა შემოსავლის მოცემულ პირობებში ზრდის ერთობლივ დანახარჯებს. თუ სახელმწიფო ხარჯები ΔG მოცულობით გაიზრდება, მაშინ დაგეგმილი დანახარჯების მრუდი ანალოგიური მოცულობით, ანუ ΔG -ით



გადაინაცვლებს ზემოთ. ეკონომიკაში კი წონასწორობის წერტილი A-დან B-ში გადაინაცვლებს.

აღნიშნული გრაფიკი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხარჯის გაზრდა ეკონომიკაში შემოსავლების უფრო მეტ ზრდას იწვევს. ანუ ΔY (შემოსავლების ზრდა) უფრო მეტია, ვიდრე თავდაპირველი იმპულსი, ΔG . შეფარდება $\frac{\Delta Y}{\Delta G}$ -ზე სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორის სახელითაა ცნობილი. ანუ სახელმწიფო ხარჯების 1 ლარით გაზრდა რამდენი ლარით ზრდის ერთობლივ შემოსავალს. კეინზიანური ჯვრის თანახმად ეგი ერთზე მეტია.

მოსმარების ფუნქციის შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სახელმწიფო ხარჯი ზრდის შემოსავალს, უფრო მაღალი შემოსავალი ზრდის დანახარჯს, თავის მხრივ დანახარჯი ზრდის შემოსავალს და ა.შ.

სახელმწიფო ხარჯის ΔG სიდიდით ზრდა მოსმარების $MPC \times \Delta G$ სიდიდით ზრდას იწვევს, სადაც MPC მოსმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებაა. შესაბამისად ამდენითვე იზრდება შემოსავალი და დანახარჯი, "შეიწიწე" დანახარჯი მოსმარებაზე ისევ ზემოქმედებს, ამჯერად უკვე $MPC \times (MPC \times \Delta G)$ სიდიდით, და ა.შ. უსასრულოდ. ერთობლივი ეფექტი კი

$$\Delta Y = (1 + MPC + MPC \times MPC + MPC \times MPC \times MPC + \dots) \times \Delta G$$

ანუ

$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = (1 + MPC + MPC \times MPC + MPC \times MPC \times MPC + \dots)$$

ეს იგივეა უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესიის სახელითაა ცნობილი და მარტივი ალგებრული გარდაქმნებით მივიღებთ, რომ


$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = \frac{1}{1 - MPC}$$

მაგალითად, თუ მოსმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება 0,6-ის ტოლია, მაშინ $\frac{\Delta Y}{\Delta G} = \frac{1}{1 - 0,6} = 2,5$, ანუ სახელმწიფო დანახარჯების 1 ლარით ზრდა წონასწორულ შემოსავალს 2,5 ლარით ზრდის.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა და მულტიპლიკატორი: გადასახადები. გადასახადების ΔT სიდიდით შემცირება ანალოგიური სიდიდით ზრდის განვირგვად შემოსავალს $(Y - T)$ და შესაბამისად მოსმარებასაც $MPC \times \Delta T$ სიდიდით ზრდის. ანალოგიურად დაგეგმილი დანახარჯების გაზრდა უფრო მეტად გადაინაცვლებს ზუსტად $MPC \times \Delta T$ სიდიდით. ისევე როგორც სახელმწიფო დანახარჯების ზრდის შემთხვევაში, გადასახადების შემცირებასაც ანალოგიური შედეგი მოჰყვება, $\frac{\Delta Y}{\Delta T}$ მულტიპლიკატორი, რომელსაც საგადასახადო მულტიპლიკატორია. როგორც წინა შემთხვევაში დანახარჯების თავდაპირველი ცვლილება მულტიპლიცირდება $\frac{1}{1 - MPC}$ სიდიდით. შესაბამისად, გადასახადის ცვლილების ეფექტი შემოსავალზე არის

$$\frac{\Delta Y}{\Delta T} = -MPC / (1 - MPC)$$

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენად იცვლება ერთობლივი შემოსავალი, გადასახადების ერთი ლარით ცვლილების შემთხვევაში.




თუ მოხმარებისადმი ზღვრული დანაზოგი 0,6-ის ტოლია, სავადასახადო მულტიპლიკატორი $\Delta Y / \Delta T = -0,6 / (1 - 0,6) = -1,5$, ანუ გადასახადების ერთი ლარით შეცვლა ერთობლივ შემოსავალს 1,5 ლარით ზრდის.


პროცენტის განაკვეთი, ინვესტიციები და IS მრუდი

კეინზიანური ჯვარი IS-LM მოდელის აგების პირველი ნაბიჯია. გავიხსენოთ, რომ დაგეგმილი ინვესტიციები პროცენტის განაკვეთზე დამოკიდებულია, ანუ $I = I(r)$. რადგან საპროცენტო განაკვეთი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის კრედიტის მიღების დანახარჯია, საპროცენტო განაკვეთის ზრდა დაგეგმილ ინვესტიციებს ამცირებს.


B. სპონდორული კვლა



A. ძეგბრების ეფექტი



C. IS მრუდი




საპროცენტო განაკვეთის r_1 -დან r_2 -მდე გაზრდა $I(r_1)$ -დან $I(r_2)$ -მდე ამცირებს IS მრუდს ასახავს დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის. რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია დაგეგმილი ინვესტიციები და შესაბამისად შემოსავლის დონე ამდენად IS მრუდი კლებადია.

IS მრუდზე საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ზემოქმედება.


IS მრუდის ნებისმიერი წერტილი პროცენტის მოცემულ განაკვეთზე შემოსავლის დონეს გვიჩვენებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შემოსავალი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე დამოკიდებული, IS მრუდის აგებისას ჩვენ დავუშვიეთ, რომ სახელმწიფო შესყიდვა (G) და გადასახადების მოცულობა (T) ფიქსირებულია. ვასაგებია, რომ მათი ცვლილება მრუდის გადაადგილებას გამოიწვევს.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო შესყიდვების G_1 -დან G_2 -მდე ზრდა პროცენტის მოცემული განაკვეთის პირობებში გადაადგილებს IS მრუდს.

A. კონსოლიდირებული ბიუჯეტი



B. IS მრუდი



სახელმწიფო შესყიდვების ზრდა გამოიწვევს შემოსავლის Y_1 -დან Y_2 -მდე ზრდას, რაც თავის მხრივ IS მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას გამოიწვევს. ანალოგიურად, მარჯვნივ

გადაადგილება IS მრუდი თუ შემცირდება გადასახადები, ხოლო მარცხნივ, თუ შემცირდება სახელმწიფო ხარჯები, ან გაიზრდება გადასახადები.

IS მრუდის ანალიზი სახესხობ საშუალებების ზარის მოდელის გამოყენებით ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საქონლისა და მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებას და სახესხობ საშუალებების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის კავშირი არსებობს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ



$$Y - C - G = I \text{ და } S = I$$

$$\text{ანუ } Y - (C + T) - (T + G) = I$$

ერთნაირი დანაზოგი (კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი) და ინვესტიციები ტოლია, ანუ ერთნაირი დანაზოგი სახესხობ საშუალებების მიწოდებაა, ხოლო ინვესტიციები მათზე მოთხოვნა

$$Y - C(Y - T) - G = I(r)$$

იგივეობის მარცხენა ნაწილი გვიჩვენებს, რომ სახესხობ საშუალებების მიწოდება დამოკიდებულია შემოსავალზე და საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკაზე, ხოლო მარჯვენა ნაწილი კი გვიჩვენებს, რომ მათზე მოთხოვნა საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული. საპროცენტო განაკვეთი იცვლება ისე, რომ სახესხობ საშუალებებზე მოთხოვნა და მიწოდება გაათანაბროს



როგორც გრაფიკიდან ჩანს, როდესაც შემოსავალი Y_1 -დან Y_2 -მდე იზრდება, ერთნაირი დანაზოგი, რომელიც $(Y - C - G)$ -ს ტოლია, ასევე იზრდება, რადგან შემოსავალი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მოხმარება (გავიხსენოთ, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება). სახესხობ საშუალებების მიწოდების ზრდა საპროცენტო განაკვეთს r_1 -დან r_2 -მდე ამცირებს. IS მრუდი ამ დამოკიდებულებას უყრის თავს. შემოსავლის უფრო მაღალი დონე დანაზოგების უფრო მაღალ დონეს და დაბალ საპროცენტო განაკვეთს განაპირობებს, ამდენად IS მრუდი კლებადია.

IS მრუდის ამგვარი ალტერნატიული ახსნა იმის საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ თუ როგორ მოქმედებს საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკა მასზე. სახელმწიფო ხარჯების ზრდა ან ვადასახადების შემცირება მოცემული შემოსავლის პირობებში ამცირებს ერთნაირ დანაზოგს, რაც იწვევს სახესხობ საშუალებების მიწოდების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის ზრდას. საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკის მასტიმულირებელ ცვლილებაზე IS მრუდი გადაადგილდება ზემოთ.

IS მრუდის ალგებრა

IS მრუდის ერთ-ერთი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შემოსავლისა (Y) და პროცენტის (r) კომბინაციებს ასახავს, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას

$$Y = C(Y - T) + I(r) + G$$

ეს განტოლება აერთიანებს ერთნულ ანგარიშთა ძირითად იგივეობას, მოხმარების ფუნქციასა და საინვესტიციო ფუნქციას.

ამ განტოლების შესაბამისად ეკონომიკაში წარმოებული საქონლის რაოდენობა (Y) უნდა იყოს მასზე არსებული მოთხოვნის ($C + I + G$) ტოლი.

სიმარტივისათვის დავეუშვათ, რომ მოხმარებისა და საინვესტიციო ფუნქციები წრფივია.

$$Y = C + I + G.$$

დავეუშვათ მოხმარების ფუნქციას აქვს სახე

$$C = a + b(Y - T),$$

სადაც a და b დადებითი პარამეტრებია. a არის ავტონომიური მოხმარება, რომლის სიდიდეც არ არის დამოკიდებული შემოსავალზე, ხოლო b -კი მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებაა, ამდენად იგი ნულსა და ერთს შორის მდებარეობს.

საინვესტიციო ფუნქციას კი აქვს

$$I = c - dr$$

სახე, სადაც d ასახავს ინვესტიციების დამოკიდებულებას პროცენტის განაკვეთზე, ვინაიდან მათ შორის უარყოფითი დამოკიდებულებაა, d -ს წინ მინუს ნიშანია. c ასევე დადებითი სიდიდეა.

ამ განმარტებებს თუ ჩავსვავთ შემოსავლების იგივეობაში, მივიღებთ, რომ

$$Y = [a + b(Y - T)] + (c - dr) + G$$

ამის გათვალისწინებით, რომ Y განტოლების ორივე მხარესაა, დავაჯგუფოთ ისინი და ამოვხსნათ განტოლება Y -ის მიმართ:

$$Y - bY = (a + c) + (G - bT) - dr \text{ და}$$

$$Y = \frac{a + c}{1 - b} + \frac{1}{1 - b} G + \frac{-b}{1 - b} T + \frac{-d}{1 - b} r$$

ეს განტოლება IS მრუდის ალგებრული სახეა. იგი შემოსავლის პარამეტრს (Y) გვიჩვენებს ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთისა (r) და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების (G და T) პარამეტრში.

ჩვენა წინა დასკვნები შეგვიძლია გავიმეოროთ, კერძოდ, რადგან საპროცენტო განაკვეთთან კოეფიციენტი უარყოფითია. IS მრუდი კლვირულია. ამასთან სახელმწიფო შესყიდვების კოეფიციენტი დადებითია, ამდენად მისი ზრდა მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს. ხოლო ვინაიდან გადასახადების კოეფიციენტი უარყოფითია, გადასახადების ზრდა მრუდს მარცხნივ გადაადგილებს.

საპროცენტო განაკვეთის კოეფიციენტი $-d/(1 - b)$ გვიჩვენებს რამდენადაა IS მრუდი გლუვი ან ჩაზნექილი, თუ d დიდია, შემოსავალი მგრძობიანრეა საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ, საპროცენტო განაკვეთის მცირედი ცვლილება კი შემოსავლის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს, და ამდენად IS მრუდი შედარებით ზღაგვია, და პირიქით, როდესაც d მცირეა, შემოსავალი პროცენტის მიმართ არაა დიდად მგრძობიანრე, IS მრუდი შედარებით ჩაზნექილია.

ასევე, IS მრუდის დახრილობა დამოკიდებულია მოხმარების ზღვრული მიდრეკილებისადმი (b), რაც მეტია იგი, მით უფრო მეტია შემოსავლის ცვლილება, რომელიც საპროცენტო განაკვეთის მოცემული ცვლილებითაა გამოწვეული. ამდენად რაც მაღალია მულტიპლიკატორი, მით უფრო გლუვია მრუდი ამასთან მასზე დამოკიდებული თუ გადასახადების ცვლილება რამდენად გადაადგილებს მრუდს.

კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, რომ IS მრუდი არ განსაზღვრავს არც შემოსავალს (Y) და არც პროცენტს (r). იგი მხოლოდ მათ კომბინაციებს ასახავს, რომელიც საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩანს.

9-2. ფულის ბაზარი და LM მრუდი


ფულის ბაზარზე შემოსავლის დონესა და საპროცენტო განაკვეთს შორის დამოკიდებულებას LM მრუდი ასახავს.

ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია
 ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია საპროცენტო განაკვეთის კინზბიანური თეორიის ყველაზე მარტივი ინტერპრეტაციაა, იგი LM მრუდის აგების საფუძველს იძლევა. ეს თეორია ხსნის თუ როგორ განაპირობებენ ფულადი სახსრების რეალური მარაგების მოთხოვნა და მიწოდება პროცენტის განაკვეთს.

თუ M - ფულის მიწოდებაა, ხოლო P - ფასების დონეა, მაშინ M/P არის ფულის მარაგები რეალურ გამოხატულებაში. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის თანახმად ფულის მიწოდება ფიქსირებულია, ანუ

$$(M/P)^s = \bar{M} / \bar{P}$$

M ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ფულის მიწოდების დონეა, ხოლო \bar{P} კი ფასების დონე. თნივე ეს ცვლადი ეგზოგენური მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე ფულის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია და ფულის მიწოდება არაა დამოკიდებული პროცენტის განაკვეთზე.




აღამიანები ნაღდ ფულს ხელზე იმის გამო ინახავენ, რომ ფული ლიკვიდურია, ფული მარტივად გამოიყენება გარიგებების დასადგად. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის თანახმად ფულზე მოთხოვნა საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული. პროცენტის განაკვეთი ნაღდი ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯია, ანუ ესაა ის თანხა, რომელზე უარის თქმაც გვიწევს, თუ ფული ხელზე გვაქვს და არა ბანკში. თუ პროცენტი მაღალია, აღამიანებს აღარ სურთ ნაღდი ფულის ხელზე ფლობა.


ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნა ჩაეწერთ შემდეგი სახით:

$$(M/P)^d = L(r)$$

სადაც $L(r)$ არის მოთხოვნა ლიკვიდურ აქტივზე - ფულზე, ამ ფუნქციის თანახმად ფულზე მოთხოვნა პროცენტს განაკვეთის ფუნქციაა. ფულზე მოთხოვნის გრაფიკი დახრილია, რადგან მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ფულზე მოთხოვნას.




ფულზე მოთხოვნა და ფულის მიწოდება გავაერთიანოთ. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ფულის ბაზარი წონასწორულ მდგომარეობაში მოჰყავს.



თუ საპროცენტო განაკვეთი მაღალია, ადამიანები ცდილობენ მათ ხელთ არსებული ფული გადააქციონ საბანკო დეპოზიტებად, რომლებსაც პროცენტი შოაქვთ. ფულის მიწოდების ამგვარ ზრდას საბანკო დაწესებულებები საპროცენტო განაკვეთის დაბალი დონის შეთავაზებით უპასუხებენ. და პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთი დაბალია, ადამიანები შეეცდებიან ხელზე დაიტოვონ ფული, რაც საპროცენტო განაკვეთს მაღლა ასწევს. წონასწორული პროცენტის პირობებში პორტფელი, რომელიც ფულად და არაფულად აქტივებს მოიცავს, ოპტიმალურია.

ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია გამოდის იქიდან, რომ ფულის მიწოდების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, ხოლო ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს.

დავუშვათ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა შეამციროს ფულის მიწოდება M , ეს უკანასკნელი ცხადია შეამცირებს M/P , რადგან P ფიქსირებულია. ფულის მიწოდების ვერტიკალური მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, ხოლო საპროცენტო განაკვეთი r_1 -დან r_2 -მდე გაიზრდება. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი კი აიძულებს ადამიანებს შეამცირონ მათ ხელთ არსებული რეალური ფულადი მარაგები.



შემოსავალი, ფულზე მოთხოვნა და LM მრუდი
 წონასწორული საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ფულზე მოთხოვნა და ფულის მიწოდება წონასწორულ მდგომარეობაში მოჰყავს. წონასწორული საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება გამოისახება LM მრუდით.



განდა პროცენტისა, ფულზე მოთხოვნაზე ზემოქმედებს შემოსავალიც (Y). მაღალი შემოსავალი ზრდის ფულზე მოთხოვნას. ფულზე მოთხოვნის ფუნქცია ჩავენერთ შემდეგი სახით:

$$(M/P)^d = L(r, Y)$$

ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნა შემოსავლების პირდაპირპროპორციული და პროცენტის განაკვეთის უკუპროპორციულია.

A. რეალური ფულადი საპროცენტო ბაზარი

B. LM მრუდი




ლიკვიდრობის უპირატესობის თეორიის გამოყენებით, შეგვიძლია ვნახოთ, თუ რა მოხდის პროცენტს, თუ შემოსავალი Y_1 -დან Y_2 -მდე იზრდება. შემოსავლის ეს ზრდა ფულზე მოთხოვნის მრუდს წაანაცვლებს მარჯვნივ. იმისათვის, რათა წონასწორობაში დარჩეს ფულის ბაზარი, საპროცენტო განაკვეთი r_1 -დან r_2 -მდე გაიზრდება. LM მრუდი ამ დამოკიდებულებას ასახავს.


ფულად-საყრდითო პოლიტიკის ზეგავლენა LM მრუდზე

LM მრუდი ვეიზენებს საპროცენტო განაკვეთის დონეს, რომელსაც წონასწორულ მდგომარეობაში მოჰყავს ფულის ბაზარი, შემოსავლის თითოეული მოცემული დონის პირობებში. LM მრუდი რეალური ფულადი სახსრების მოცემული მიწოდების პირობებში გამოისახება, მოსახლეობის ხელთ არსებული ფულადი სახსრების რაოდენობის ცვლილება LM მრუდის გადაადგილებას იწვევს.

დავუშვათ, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ფულის მიწოდება M_1 -დან M_2 -მდე შეამციროს ეს იწვევს ფულის რეალური მიწოდების შემცირებას M_1/P -დან M_2/P -მდე. როგორც გრაფიკიდან ჩანს, იმ პირობებში, თუ ფულზე მოთხოვნა უცვლელია, ეს იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას. ამდენად ფულის მოცულობის შეკვეცა LM მრუდის ზემოთ და მარცხნივ გადაადგილებას იწვევს, ხოლო ფულის მიწოდების ზრდა კი საპროცენტო განაკვეთს შეამცირებს და LM მრუდი ქვემოთ გადაადგილდება.



B. LM მრუდი



LM მრუდის განმარტება ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად

ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობა ჩვენ ჩავეწერეთ $MV = PY$ და დავეუბნოთ რომ ფულის ზრუნვის სიჩქარე V მუდმივია. ამ დაშვების შესაბამისად, ფასების მოცულობის დონის პირობებში მხოლოდ ფულის მიწოდება განსაზღვრავს შემოსავლის მოცულობას. რადგან ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად შემოსავლის მოცულობა არაა დამოკიდებული პროცენტის განაკვეთზე, LM მრუდი ვერტიკალური იქნება.

"ნონმალური" LM მრუდი ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად შეგვიძლია მივიღოთ, თუ დავეუბნებთ, რომ ფულის ზრუნვის სიჩქარე არ არის მუდმივი.

რასაკვირველია ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია როგორც შემოსავალზე, ისევე პროცენტის განაკვეთზე. ჩვენ ზემოთ უკვე ვგვიჩინდა საუბარი იმაზე, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ადამიანთა სტიმულს ხელზე ნაღდი ფული შეინახონ. ეს კი თავის მხრივ აჩქარებს ფულის ზრუნვის სიჩქარეს, ანუ ეკონომიკაში თითოეული ლარი ხელიდან ხელში უფრო სწრაფად გადადის.

$$MV(r) = PY$$

ფულის ზრუნვის სიჩქარის ფუნქცია $V(r)$ გვიჩვენებს, რომ ფულის ზრუნვის სიჩქარესა და საპროცენტო განაკვეთს შორის დადებითი დამოკიდებულებაა. ანუ LM მრუდი აღმავალია.

მოცემული პროცენტისა და ფასების დონის პირობებში ფულის მიწოდების ზრდა იწვევს შემოსავლის ზრდას, ანუ LM მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება, ხოლო ფულის მიწოდების შემცირება კი LM მრუდის მარცხნივ გადაადგილებას გამოიწვევს.

LM მრუდის მარტივი ალგებრა

LM მრუდის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შემოსავლისა (Y) და საპროცენტო განაკვეთის (r) კომბინაციებს ასახავს, რომლებიც აკმაყოფილებენ ფულის ბაზრის წონასწორობის პირობას.

$$M/P = L(r, Y)$$

აღნიშნული იგივეობა მხოლოდ ფულის მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობას ასახავს.

სიმარტივისათვის დავეუბნათ, რომ ფულზე მოთხოვნის ფუნქცია წრფივია, ე. ი.

$$L(r, Y) = eY - fr,$$

სადაც e და f ნულზე მეტი სიდიდებია f გვიჩვენებს, თუ საპროცენტო განაკვეთის ზრდის ზეგავლენით რამდენად მცირდება ფულზე მოთხოვნა. მის წინ მინუს ნიშანი იმას გვიჩვენებს, რომ პროცენტის განაკვეთისა და ფულზე მოთხოვნას შორის უარყოფითი დამოკიდებულებაა.

აქედან გამომდინარე წონასწორობა ფულის ბაზარზე აღიწერება იგივეობით

$$M/P = eY - fr$$

მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ, რომ

$$r = (e/f) \times Y - (1/f) \times M/P$$

აღნიშნული იგივეობა აღწერს პროცენტის განაკვეთს, რომელსაც წონასწორობაში მოყავს ფულის ბაზარი შემოსავლისა და ფულის რეალური მიწოდების მოცემული პარამეტრების პირობებში.

ვინაიდან შემოსავლის კოეფიციენტი დადებითია, LM მრუდი აღმავალია. მაღალი შემოსავალი პროცენტის გაზრდას და დაბალი შემოსავალი, მის შემცირებას იწვევს. რადგან ფულის რეალური მარაგების კოეფიციენტი უარყოფითია, ფულის რეალური მარაგების შემცირება LM მრუდის ზემოთ გადაადგილებას იწვევს, ზრდა კი ქვემოთ გადაადგილებს.

e/f კოეფიციენტი განსაზღვრავს მრუდის კაზნექტილობას. თუ ფულზე მოთხოვნა შემოსავლის მიმართ ნაკლებად მგრძობიარეა, e/f მცირეა. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის მხოლოდ მცირედი შეცვლა საკმარისი რაობა წონასწორობა დამყარდეს შემოსავლის ცვლილების შემდეგ. ამ შემთხვევაში მრუდი უფრო ბლაგავია. ანალოგიურად, თუ ფულზე მოთხოვნა მცირედია დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ მრუდი უფრო მყარადაა ჩაზნექილი.

და ბოლოს, თავად LM მრუდი არ განსაზღვრავს არც შემოსავალს Y და არც საპროცენტო განაკვეთს - r იგი უზრალოდ მათ კომბინაციებს იძლევა.

ეკონომიკაში წონასწორობა კი ორივე მრუდის (როგორც IS , ასევე LM) ერთობლიობით განისაზღვრება.

9-3. დასკვნა: წონასწორობა მოკლევადიან პერიოდში

ჩვენ უკვე გვაქვს როგორც IS , ასევე LM მრუდები და მათი მოდელები


$$Y = C(Y - T) + I(r) + G \quad (IS)$$

$$M/P = L(r, Y) \quad (LM)$$

საბიუჯეტო-საგადასახადო (G და T) და ფულად-საკრედიტო (M, P) პოლიტიკა მიჩნეულია ეგზოგენურად. მოცემული ეგზოგენური ცვლადების პირობებში IS მრუდი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, ხოლო LM მრუდი ფულის ბაზარზე r და Y -ის ისეთ კომბინაციას გვიჩვენებს, რომლებიც შესაბამის ბაზრებზე წონასწორობას უზრუნველყოფენ.

$IS - LM$ მოდელში წონასწორობა მიიღწევა იმ წერტილში სადაც ეს ორი მრუდი გადაიკვეთება. ანუ იმ წერტილში, სადაც r და Y -ის ისეთი კომბინაციაა, რომელიც როგორც სასაქონლო, ისე ფულად ბაზრებზე წონასწორობას უზრუნველყოფს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ორი მრუდის გადაკვეთის წერტილში დაგვემიღოს დანახაჯები რეალურის, ხოლო რეალურ ფულად სახსრებზე მოთხოვნა კი მისი მიწოდების ტოლია.

ეკონომისტები $IS - LM$ მოდელს მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნულ შემოსავალზე ზეგავლენის დასადგენად იყენებენ.



10. ერთობლივი მოთხოვნა (2)

როგორც წინა თავში ვნახეთ, $IS-LM$ მოდელში IS საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, ხოლო LM ფულის ბაზარზე წონასწორობას აღწერს.

10-1. $IS-LM$ მოდელის მემკვიდრეობით ეკონომიკური აქტივობის რყევების ასხნა

IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილი ეროვნული შემოსავლის წონასწორულ დონეს ასახავს. ამ ორიდან ერთ-ერთი მრუდის გადაინაცვლება ეკონომიკის მოკლევადიან პერიოდში წონასწორობის შეცვლას და ეროვნული შემოსავლის ცვლილებას იწვევს.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა


გავიხსენოთ, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა IS მრუდის გადაადგილებას იწვევს.

განვიხილოთ სახელმწიფო ხარჯების ΔG სიდიდით ზრდის ზეგავლენა. გავიხსენოთ, რომ მულტიპლიკატორის ეფექტის თანახმად სახელმწიფო ხარჯების ΔG სიდიდით ზრდა


პროცენტის ნებისმიერი მოცემული განაკვეთის პირობებში, $\frac{\Delta G}{1-MPC}$ სიდიდით გაზრდის

ეროვნულ შემოსავალს. IS მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ ზუსტად $\frac{\Delta G}{1-MPC}$ სიდიდით.

ეკონომიკაში წონასწორობა A -დან B წერტილში გადაინაცვლებს, სახელმწიფო ხარჯების ზრდა კი როგორც ეროვნული შემოსავლების ისე საპროცენტო განაკვეთის ზრდას გამოიწვევს




ახლა კი გადასახადების ΔT სიდიდით შემცირების ზემოქმედება განვიხილოთ. კეინზიანურ მოდელში ΔT სიდიდით გადასახადების შემცირება ეროვნული შემოსავლის მოცულობას $\Delta T \times \frac{MPC}{1-MPC}$ სიდიდით გაზრდის. IS მრუდი ზუსტად ამ სიდიდით გადაინაცვლებს მარჯვნივ. ეკონომიკაში წონასწორობა A -დან B წერტილში გადაინაცვლებს, გადასახადების შემცირება კი როგორც ეროვნული შემოსავლების ისე საპროცენტო განაკვეთის ზრდას გამოიწვევს.



უნდა აღინიშნოს, მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგი $IS-LM$ მოდელში უფრო ნაკლებია, ვიდრე კეინზიანური ჯვანის მოდელში. ზემოთ მოყვანილი გრაფიკებიდან ნათლად ჩანს, რომ წონასწორული შემოსავლის ზრდა IS მრუდის პორიზონტალურ გადანაცვლებაზე მცირეა. ეს გამოწვეულია იმით, რომ კეინზიანური ჯვანის მოდელში ინვესტიციები აღიარებულია როგორც მუდმივი, მაშინ, როდესაც $IS-LM$ მოდელში ინვესტიციები მცირდება პროცენტის ზრდასთან ერთად.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება LM მრუდზე აისახება. განვიხილოთ ფულის მიწოდების ზრდა. ფულის მასის (M) ზრდა ფასების დონის (P) მუდმივობის პირობებში M/P -ს ზრდას იწვევს. რაც იწვევს პროცენტის განაკვეთის შემცირებას, ამდენად LM მრუდი ქვევით ჩაინაცვლებს. წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს.




ამდენად $IS-LM$ მოდელის თანახმად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება ეროვნული შემოსავლის ცვლილებას საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით იწვევს. ფულის

მიწოდების ზრდა ფულადი ტრანსმისიის შექანის მიხედვით ზრდის საქონელსა და მომსახურებაზე დანახარჯებს.

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკების ურთიერთქმედება როდესაც ვაკვირდებით ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგებს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ მოქმედებენ და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. დავეუვათ, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ბიუჯეტის დეფიციტის შესამცივრებლად გადასახადები გაზარდოს. შესაძლოა, აღნიშნული ქმედების შედეგის საში ვარიანტი გვექონდეს, რომლივც ნახაზზე ასახულია. აღნიშნული ნახაზებიდან ჩანს, რომ გადასახადების ზრდა IS მრუდს მარცხნივ გადაინაცვლებს, რაც ამცირებს ეროვნულ შემოსავალს და საპროცენტო განაკვეთს, თუ ეროვნული ბანკი შეეცდება საპროცენტო განაკვეთი შეინარჩუნოს ძველ ნიშნულზე, ეროვნულმა ბანკმა უნდა შეამციროს ფულის მიწოდება, რათა LM მრუდი გადაადგილდეს ზემოთ. იმ შემთხვევაში თუ ეროვნული ბანკი ფულის მიწოდების ზრდით შეეცდება წინ აღუდგეს გადასახადების ზრდით გამოწვეულ შემოსავლის შემცირებას, იგი ზრდის ფულის მიწოდებას, თუმცა ეს გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვან შემცირებას. ამდენად საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები მთლიანადაა დამოკიდებული ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაზე და უფრო სწორედ კი მის წინაშე არსებულ ამოცანაზე სტაბილური იყოს საპროცენტო განაკვეთი, ფულის მასა თუ შემოსავლის დონე


ა. ეროვნული ბანკი

ფულის მიწოდების ინარჩუნებს უცვლელ დონეზე




ბ. ეროვნული ბანკი

ინარჩუნებს საპროცენტო განაკვეთს უცვლელ დონეზე



გ. ეროვნული ბანკი უცვლელ ტოვებს შესავალს



ეკონომიკური რყევები IS - LM მოდელის ფარგლებში

რადგან IS - LM მოდელი მოკლევადიან პერიოდში ეროვნული შემოსავლის დონეს განსაზღვრავს, მისი გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია GDP-ის მოცულობაზე ეკონომიკური მოვლენების ზემოქმედება შევაფასოთ. ვარე შოკები ჩვენ შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ, პირველ ჯგუფში გავაერთიანოთ შოკები, რომლებიც IS მრუდზე ზემოქმედებენ. ხოლო მეორეში კი LM მრუდზე მოქმედი შოკები.

IS მრუდზე მოქმედი შოკები საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ეგზოგენურ ცვლადებად იწოდება. ზოგიერთი ეკონომისტი (მ.შ. კენზი) ამგვარ შოკებს ოპტიმიზმისა და პესიმიზმის თვითწარმოშობას ანუ "ინვესტორთა ჯოგურ ინსტიტუტ" უწოდებდა. თუ ფინანსებს გაუწვდებოდა პესიმიზტური ვრძობა, მაშინ ისინი შეამცირებენ საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნას, რაც IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას გამოიწვევს ასეთივე ზემოქმედება შეიძლება გამოიწვიოს სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ცვლილებამ. თუ აღაშინებინებ "შავი დღისათვის" უფრო მეტ ფულს გადადებენ, ეს მოხმარების შემცირებას და IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას გამოიწვევს.

LM მრუდთან დაკავშირებული შოკები შესაძლოა იყოს ფულზე მოთხოვნის ზრდა, რაც პროცენტის ზრდას და LM მრუდის მარცხნივ გადაადგილებას და შემოსავლის შემცირებას გამოიწვევს.

თუ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებანი სწორადაა შერჩეული IS და LM მრუდებზე მოქმედი შოკები არ გამოიწვევს დასაქმებისა და შემოსავლის რყევებს.

10-2 IS - LM როგორც ენაობლივი მოთხოვნის თეორია



აქამდე მსჯელობაში ჩვენი ამოსავალი წერტილი იყო, რომ ფასების დონე უცვლელია.

IS - LM მოდელიდან ერთობლივი მოთხოვნის მრუდამდე

ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ეკონომიკაში ფასების დონესა და შემოსავალს შორის დამოკიდებულებას ასახავს. ფულის ფიქსირებული მიწოდების პირობებში ფასების დონის ზრდა შემოსავლის შემცირებას იწვევს. ფულის მარტივების გაზრდა ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ, ხოლო შემცირება კი მარცხნივ გადააინაცვლებს. განვიხილოთ ფასების დონის ცვლილების ზეგავლენა IS - LM მოდელზე. ფულის მოცემული მიწოდების (M) პირობებში, ფასების უფრო მაღალი დონე (P) ამცირებს ფულის რეალურ მარაგებს (M/P) როგორც ნახაზზე ჩანს. ფულის მიწოდების შემცირება შემოსავლის წინასწორულ მოცულობას ამცირებს, ანუ LM მრუდი გადაადგილდება მარცხნივ და ზემოთ. როცა ფასების დონე P₁-დან P₂-მდე იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი Y₁-დან Y₂-მდე მცირდება, ანუ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ეროვნული შემოსავლის დონესა და ფასების დონეს შორის არსებულ უკუდამოკიდებულებას ასახავს, რასაც IS - LM მოდელიც ადასტურებს.

IS-LM მოდელი

ერთობლივი მოთხოვნის მრუდი



მასტიმულირებელი კულად-საკრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებები ზრდის შემოსავალს და მაშასადამე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაანაცვლებს მარჯვნივ და პირიქით, თუ ქვეყანაში შემკავებელი ფულად-საკრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ტარდება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარცხნივ გადაინაცვლებს.

ჩვენ შევვიძლია განვაზოგადოთ, რომ IS-LM მოდელში ფასების ღონის ცვლილებით გამოწვეული შემოსავლის ღონის ცვლილება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ არსებული მოძრაობაა. IS-LM მოდელში შემოსავლის მოცულობის ცვლილება უქიზნობელი ფასების ღონის პირობებში ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაანაცვლებას გამოიწვევს.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ალგებრა



გავიხსენოთ, რომ ნოდესაც მოხმარების, ინვესტიციებისა და ფულზე მოთხოვნის მრუდები არის წრფივი, ანუ

$$C = a + b(Y - T),$$



$$I = c - dr,$$

$$L(r, Y) = eY - fr$$

მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა



მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა



ჩვენ მივიღით დასკვნამდე, რომ IS მრუდი არის

$$Y = \frac{a+c}{1-b} + \frac{1}{1-b}G + \frac{-b}{1-b}T + \frac{-d}{1-b}r,$$

ბილალ IM 30

$$r = (e/f)Y - (1/f)M/P.$$

სადაც a, b, c, d, e, f დღეებით სიდიდეებია.

იმისათვის რათა გავარკვიოთ შემოსავლის ის მოცულობა, რომელიც აკმაყოფილებს როგორც IS , ასევე LM იგივეობებს, IS მრუდში, საპროცენტო განაკვეთი r ჩავსვით LM მრუდიდან.

$$Y = \frac{a+c}{1-b} + \frac{1}{1-b}G + \frac{-b}{1-b}T + \frac{-d}{1-b}[(e/f)Y - (l/f)M/P].$$

შესაძლებელია მარტივი გარდაქმვებით ამ განტოლების ამოხსნა Y -ის მიმართ. ეს განტოლება ასეთ სახეს მიიღებს

$$Y = z \frac{a+c}{1-b} + \frac{z}{1-b}G + (-z) \frac{b}{1-b}T + \frac{d}{\{(1-b)[f + de/(1-b)]\}} M/P.$$

სადაც $z = f/[f + de/(1-b)]$, და იგი ნულსა და ერთს შორისა განლაგებული.

სწორედ ეს განტოლება ახახავს ერთობლივ მოთხოვნას ალგებრულად და გვიჩვენებს, რომ ერთგული შემოსავალი დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე, რომლებიც ახასიათებს ფულად-საკრედიტო (M) და საბიუჯეტო-სავალდახანადო (G, T) პოლიტიკებს. ფასების დონეს (P). ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გრაფიკულად გვიჩვენებს Y -ისა და P -ს ყველა შესაძლო კომბინაციას ფიქსირებული G, T და M -ის პირობებში.



ამ ფორმულიდან ნათლად ჩანს, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი კლებადია, რადგან ფასების დონის (P) ზრდა იწვევს M/P -ს და შესაბამისად Y -ის შემცირებას. ამასთან ფულის მიწოდების ზრდა ზრდის შემოსავალს და გადაანაცვლებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ, ამავე დროს სახელმწიფო ხარჯების ზრდა ან გადახანადების შემცირებამ, ასევე იწვევს შემოსავლის ზრდას და ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას.

$IS - LM$ მოდელი მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში

$IS - LM$ მოდელი მოკლევადიანი პერიოდის ანალიზისათვის გამოიყენება, რომლის დროსაც ფასები ფიქსირებულია, თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფასების დონის ცვლილება მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე მოქმედებს. $IS - LM$ მოდელის შესაბამისად ჩვენ დავინახავთ, რომ კლასიკური და კინზიანური მოდელები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი პერიოდების ერთდროული ანალიზისათვის სამი სახის მრუდი გვჭირდება, ესაა IS , LM მრუდები და ვერტიკალური Y . რომელიც წარმოების პოტენციურ მოცულობას გვიჩვენებს. LM მრუდი აგებულია იმ პირობით რომ ეკონომიკაში ფასების დონე მოცემულია Y , წერტილზე. მოკლევადიანი წონასწორობა მიიღწევა K წერტილში, სადაც IS და LM მრუდები ერთმანეთს კვეთენ.

ამასთან ანალოგიური მდგომარეობაა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელშიც. ფასების P , დონეზე საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა წარმოების პოტენციურ მოცულობაზე ნაკლებია. ანუ მოთხოვნა საკმარისი არაა, რათა წარმოების მოცულობა პოტენციურ დონეზე იქნეს შენარჩუნებული.



ამ ორი გრაფიკიდან შეიძლება შევისწავლოთ დროის ყოველი მოცემული მომენტისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი წონასწორობა, რომლისკენაც ეკონომიკა მიისწრაფის. K წერტილი ასახავს მოკლევადიან წონასწორობას, რადგან ფასები ამ დროს P_1 დონეზეა ფიქსირებული. თუმცა საქონლეზე დაბალი მოთხოვნა ფასებს დაბლა დასწევს და ეკონომიკა დაიწყებს პოტენციურ GDP -მდე ზრდას. როდესაც ფასების დონე P_2 -მდე შემცირდება, ეკონომიკა C წერტილში, გრძელვადიანი წონასწორობის წერტილში აღმოჩნდება. ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების გრაფიკი გვიჩვენებს, რომ C წერტილში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა წარმოების პოტენციური მოცულობის ტოლია. ეს უკანასკნელი $IS-LM$ მოდელში LM მრუდის გადანაცვლებით მიიღება, ფასების დონის შემცირება ზრდის ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნას და LM მრუდის ქვემოთ გადანაცვლებას იწვევს.

კეინზიანური მოძღვრების შესაბამისად ფასების დონე ფიქსირებულია და ფულად-საკრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის, აგრეთვე სხვა ფაქტორების ერთობლივი მოთხოვნაზე ზეგავლენის შესაბამისად შესაძლოა გადაიხაროს წარმოების ზუნებრივი დონიდან. კლასიკური თეორიის შესაბამისად, კი ფასების დონე მოქნილია და ფასების დონე იმკვარად იცვლება, რომ უზრუნველყოს ეკონომიკაში გამომშვების ზუნებრივი დონე

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკა სამი განტოლებით აღიწერება, რომელთაგან პირველი და მეორე IS და LM მრუდებია:

$$\begin{aligned} Y &= C(Y-T) + I(r) + G && IS \\ M/P &= L(r, Y) && LM \end{aligned}$$

ეს ორი განტოლება სამ, ჩვენთვის საინტერესო ცვლადს (Y, P, r) შეიცავს. კეინზიანური მოძღვრების თანახმად ფიქსირებული ფასებია, ანუ $P = P_1$. ამ დაშვების შესაბამისად (Y, r) ისე უნდა იცვლებოდეს, რომ IS და LM ერთდროულად ამოიხსნას.

კლასიკური მოძღვრების შესაბამისად შესაძვე განტოლება $Y = \bar{Y}$ არის. ანუ პოტენციური გამოშვება მიიღწევა.

ბოლო ორი განტოლებიდან მართებულია ის, რომლის შესაბამის დროით მონაკვეთსაც განვიხილავთ.

წელი	უმუშევრობის დონე	რეალური GDP	მოსხარება	ინვესტიციები	სახელმწიფო შესყიდვები	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ფულის მიწოდება	ფასების დონე	ინფლაციის ტემპი	რეალური ფულადი მანკები
1929	3,2	203,6	139,6	40,4	22,0	5,9	26,6	50,6	-	52,6
1930	8,9	183,5	130,4	27,4	24,3	3,6	25,8	49,3	-2,6	52,3
1931	16,3	169,5	126,1	16,8	25,4	2,6	24,1	44,8	-10,1	54,5
1932	24,1	144,2	114,8	4,7	24,2	2,7	21,1	40,2	-9,3	52,5
1933	25,2	141,5	112,8	5,3	23,3	1,7	19,9	39,3	-2,2	50,7
1934	22,0	154,3	118,1	9,4	26,6	1,0	21,9	42,2	7,4	51,8
1935	20,3	169,5	125,5	18,0	27,0	0,8	25,9	42,6	0,9	60,8
1936	17,0	193,2	138,4	24,0	31,8	0,8	29,6	42,7	0,2	62,9
1937	14,3	203,2	143,1	29,9	30,8	0,9	30,9	44,5	4,2	69,5
1938	19,1	192,9	140,2	17,0	33,9	0,8	30,5	43,9	-1,3	69,5
1939	17,2	209,4	148,2	24,7	35,2	0,6	34,2	43,2	-1,6	79,1
1940	14,6	227,2	155,7	33,0	36,4	0,6	39,7	43,9	1,6	90,3

წყარო: Historical Statistics of the United States, Colonial Times to 1970, Parts I and II.

ეს სტატისტიკური ინფორმაცია ის ემპირიული მასალაა, რომელსაც დიდი დეპრესიის ზუნების შესწავლისათვის გამოვიყენებენ. ანის რამდენიმე პიპოტება.

დანახარჯების პიპოტება: შოკები, რომლებიც IS მრუდს უკავშირდება

იმის გამო, რომ შემოსავლის შემცირება დროში პროცენტის განაკვეთის შემცირებას ემთხვევა. ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით დეპრესია IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას უკავშირდება. ეს მოსაზრება ზოგჯერ დანახარჯების პიპოტების სახელითაა ცნობილი.

ერთი მოსაზრებით ეს შესაძლოა 1929 წელს საფონდო ბირჟის კრახით ყოფილიყო გამოწვეული, ადამიანებმა, შემდგომში გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად უფრო მეტის დაზოგვა დაიწყეს.

მეორე მოსაზრებით, დანახარჯების შემცირება ბინათმშენებლობაში არსებულმა შემცირებებმა გამოიწვია კერძოდ შემცირდა იმიგრანტთა რაოდენობა, შესაბამისად მოსახლეობის ზრდა და როგორც შედეგი მოთხოვნა ბინებზე, ანუ "ბინათმშენებლობის ბუმი" რომელიც მანამდე იყო ქვეყანაში, გაუმართლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად ინვესტიციები ბინათმშენებლობაში შემცირდა.

დეპრესიის შედეგი იყო ბანკების გაკოტრება, რასაც შედეგად ასევე მოხმარების შემცირება მოჰყვა. ინვესტიციები ვეღარ ღებულობდნენ ინვესტირებისათვის საჭირო სახსრებს, რასაც IS მრუდის კიდევ უფრო მარცხნივ გადაადგილება მოჰყვა.

ეკონომიკის სტიმულირების ნაცვლად სახელმწიფომ დაიწყო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე ზრუნვა, რასაც ასევე მოთხოვნის შემცირება მოჰყვა. გადასახადების ზრდა შეეხო არა მარტო მდიდარ, არამედ საშუალო და ღარიბ ამერიკელებს რაც ასევე ამცირებდა ერთობლივ მოთხოვნას.

ფულის პიპოტება: LM მრუდთან დაკავშირებული შოკი

ცხრილიდან ჩანს, რომ 1929-33 წლებში ფულის მიწოდება 25%-ით შემცირდა. ამის გამო შეიქმნა ე.წ. ფულის პიპოტება, რომელიც დეპრესიის გამო ძირითად ბრალდებულად ამჟამად ფედერალურ სარეზერვო სისტემას ასახელებს რომელმაც დაუშვა ფულის მიწოდების ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება - ამ მოსაზრებას იზიარებს მილტონ ფრიდმანი.

ფულის მიწოდების შემცირებას ფასების დონის უფრო მეტად შემცირება მოჰყვება, ამიტომ ფულის რეალური მარაგები არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ. ამასთან შემცირდა საპროცენტო განაკვეთი. ამდენად ფულის მიწოდების ზეგავლენა კვინზიანელების თანახმად არ უნდა ყოფილიყო დეპრესიის მთავარი მიზეზი, ყოველ შემთხვევაში დეპრესიის პირველ წლებში.

იხვე ფულის შიპოთება: ფასების შემცირების ზეგავლენა

1929-33 წლებში ფასების დონე 25%-ით შემცირდა. ზოგიერთი ეკონომისტი სწორედ ასეთ დეფლაციას უკავშირებს დეპრესიის გაძლიერებას. მათი აზრით სწორედ დეფლაციამ გადაზარდა ჩვეულებრივი ეკონომიკური კრიზისი დიდ დეპრესიამ, ცხადია ფასების შემცირების სტიმული ფულის მიწოდების შემცირებაში უნდა ვეძებოთ.

დეფლაციის მასტაბილიზებელი ზემოქმედება

$IS - LM$ მოდელში ფასების შემცირება ზრდის შემოსავალს. მოცემული ფულის მიწოდების (M) პირობებში ფასების დონის შემცირება ზრდის ფულის რეალურ მარაგებს (M/P). რაც LM მრუდს მარჯვნივ გადაანაცვლებს, რაც ზრდის შემოსავალს.

ფასების დონის შემცირების შემოსავლის ზრდაზე ზემოქმედების მექანიზმი პიკუს ეფექტის სახელითაა ცნობილი. არტურ პიკუ, გასული საუკუნის 30-იანი წლების ეკონომისტ-კლასიკოსი ამბობდა, რომ ფულადი სახსრების რეალური მარაგები საოჯახო მეურნეობების სიმდიდრის ნაჩილია. როცა ფასები მცირდება, ეს მარაგები იზრდება, ადამიანები თავის თავს თვლიან უფრო მდიდრებად და მეტს ხარჯავენ. ეს კი IS მრუდს მარჯვნივ გადაანაცვლებს, რაც ზრდის შემოსავლის დონეს.

ამდენად ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ დეფლაცია შესაძლოა ეკონომიკას სრული დასაქმების დონემდე დაბრუნებაში დაეხმაროს.

დეფლაციის მადესტაბილიზებელი ზემოქმედება

ეკონომისტებმა ორი თეორია შემოგვთავაზეს, რომელიც ხსნის, რომ დეფლაცია ამცირებს შემოსავალს. პირველს ვალის დეფლაცია ეწოდება. მეორე კი მოსალოდნელ დეფლაციას უკავშირდება.

გავიხსენოთ, რომ ფასების დონის დაუგეგმავი ცვლილება სიმდიდრეს მოვალეებსა და კრედიტორებს შორის გადაანაწილებს. თუ მოვალეს კრედიტორის 100 დოლარი მართებს, ვალის რეალური სიდიდე $100/P$ იქნება, სადაც P ფასების დონეა. თუ ფასების დონე შემცირდება, მაშინ ვალის რეალური სიდიდე გაიზარდება, სიმდიდრე მოვალისაგან კრედიტორისაკენ გადაანაწილება.


ვალის დეფლაციის თეორია ამტკიცებს, რომ სიმდიდრის ამგვარი გადაანაწილება საქონელსა მომსახურებაზე გასაწევი დანახარჯების მოცულობას ცვლის. მოვალენი ნაკლებს ხარჯავენ, ხოლო კრედიტორები მეტს. თუ ეს ორი ჯგუფი ხარჯვისადმი ერთნაირი მიდრეკილებით ხასიათდებიან, მაშინ დეფლაციის ზეგავლენა ნულის ტოლი იქნება. თუმცა, ალბათ კრედიტორებს დაზოგვისადმი მიდრეკილება უფრო ახასიათებთ, ხოლო მოვალეებს კი ხარჯვისაკენ. სწორედ ამიტომ პირველნი ვასესხებენ, ხოლო მეორენი სესხულობენ ფულს. ამდენად, დეფლაციის გამო ერთობლივი მოხმარება მცირდება და IS მრუდი გადაადგილდება მარცხნივ და ერთობლივი შემოსავალი მცირდება.

ფასების მოსალოდნელი ცვლილების ზეგავლენის შესასწავლად გავიხსენოთ, რომ ინვესტიციები დამოკიდებულია პროცენტის რეალურ განაკვეთზე, ხოლო ფულზე მოთხოვნა პროცენტის ნომინალურ განაკვეთზე. თუ i პროცენტის ნომინალური განაკვეთია, ხოლო π მოსალოდნელი ინფლაციაა, პროცენტის რეალური განაკვეთი $ex ante$ იქნება $i - \pi$. შესაბამისად $IS - LM$ მოდელი შეგვიძლია ჩავეწერთ:

$$\begin{aligned} Y &= C(Y - T) + I(i - \pi) + G & IS \\ M/P &= L(i, Y) & LM \end{aligned}$$

ამგვარად მოსალოდნელი ინფლაციის ცვლილება IS მრუდს გადაანაცვლებს.

განვიხილოთ $IS - LM$ გაფართოებული მოდელი, და დავუშვათ, რომ ფასების დონე არ იცვლება. ამ დროს მოსალოდნელი ინფლაცია არ არსებობს ($\pi^e = 0$), მაშინ ზეენ მივიღებთ ნაცნობ $IS - LM$ მოდელს. ახლა კი დავუშვათ, რომ საზოგადოება ფასების შემცირებას ელოდება, ანუ π^e უარყოფითია. პროცენტის ნებისმიერი მოცემული განაკვეთის პირობებში პროცენტის ნომინალური განაკვეთი რეალურზე მეტია, ანუ ინვესტიციები მცირდება, რაც IS მრუდს მარცხნივ გადაადგილებს. ამგვარად მოსალოდნელი დეფლაცია იწვევს შემოსავლის Y_1 -დან Y_2 -მდე შემცირებას. პროცენტის ნომინალური განაკვეთი i_1 -დან i_2 -მდე, ხოლო რეალური კი r_1 -დან r_2 -მდე მცირდება.



ორივე შემთხვევაში დებსაბილიზაციის სერიოზული საფრთხე არსებობს. შესაძლებელია IS მრუდი მარცხნივ გადაადგილდეს. ამგვარად, თუ ხდება ფასების დონის შემცირება და ფულის მიწოდების შემცირება, ფულის რეალური მარაგების შემცირების გარეშე კი შესაძლებელია შემოსავლის დონე შემცირდეს.

შესაძლებელია თუ არა დეპრესიის გამოწვევა?

ეკონომისტებმა კარგად შეისწავლეს დიდი დეპრესია და ცდილობენ სახელმწიფოს გაუწიონ კონსულტაციები, ის შეცდომები, რომლებიც ფულად-საკრედიტო და სავადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკების განხორციელებისას იქნა დაშვებული, ნაკლებ სავარაუდოა, რომ განმეორდეს. მით უმეტეს, რომ დაზღვევის მექანიზმები კიდევ უფრო ამცირებს ბანკების გაკოტრების შესაძლებლობას.

11. ერთობლივი მიწოდება



11-1. ერთობლივი მიწოდების ოთხი მოდელი

იმის გამო, რომ საბაზრო მექანიზმი არასრულყოფილია, ერთობლივი მიწოდების მრუდები არ არის ვერტიკალური. ოთხივე მოდელი აღიწერება ფორმულით:

$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e), \quad \alpha > 0,$$

სადაც Y - გამოშვების რაოდენობა, \bar{Y} - გამოშვების ბუნებრივი დონე, P - ფასების დონე, ხოლო P^e - ფასების მოსალოდნელი დონეა. ეს ნიშნავს, რომ გამოშვების დონე მისი ბუნებრივი დონიდან გადახრილია მაშინ, როდესაც ფასების დონე გადაიხრება მისი მოსალოდნელი დონიდან. α კი გვიჩვენებს, თუ რამდენად მგრძობიარეა გამოშვება ფასების მოსალოდნელი დონის გადახრისაგან; $1/\alpha$ - ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრაა.

ერთობლივი მიწოდების მოდელი ხისტი ხელფასების პირობებში

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის განსხვავება ვერტიკალურისაგან, ეკონომისტთა ნაწილის მოსაზრებით ნომინალური ხელფასითაა გამოწვეული. როგორც წესი, ნომინალური ხელფასი დგინდება კონტრაქტებით, და აქედან გამომდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლაზე სწრაფად ვერ რეაგირებს. ამდენად ასეთი ტიპის ხელფასი უცვლელი, ანუ "ხისტია".

ერთობლივი მოთხოვნის მოდელი ხისტი ხელფასების პირობებში გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს ხელფასის სიხისტე ერთობლივ მიწოდებაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ

1. როცა ნომინალური ხელფასი უცვლელია, ფასების ზრდა რეალურ ხელფასს ამცირებს;
2. დაბალი რეალური ხელფასი დამქინავებლების მიერ მეტი ადამიანის დაქინავებას უწყობს ხელს;
3. მეტი დასაქმებული გამოშვების და წარმოების მოცულობის ზრდას უწყობს ხელს;

იმ დროს, როდესაც ნომინალური ხელფასი არ იცვლება, ერთობლივი მიწოდების მრუდი აღმავალია.

დაეუბნათ მუშები იწყებენ მოლაპარაკებას დამქინავებლებთან ნომინალური ხელფასის თაობაზე და მიაღწევენ შეთანხმებას მანამდე, ვიდრე ფასების მოსალოდნელი დონის შესახებ ინფორმაციას მიიღებდნენ. ამ დროს ამოსავალ წერტილად შესაძლოა ის რეალური ხელფასი იქცეს, რომელიც შრომის ბაზარზე წინასწორულ წერტილში მოიღწევა.

ნომინალური ხელფასი W დამოკიდებულია რეალურ მიზნობრივ ხელფასზე w და ფასების მოსალოდნელ დონე P^e -ზე.

$$W = w \times P^e,$$

თუმცა, როდესაც ცნობილი გახდება ფასების დონე P , რეალური ხელფასის ტოლი გახდება

$$W/P = w \times (P^e/P),$$

რეალური ხელფასი განსხვავდება დაგეგმილი მიზნობრივი ხელფასისაგან იმ შემთხვევაში თუ ფასების დონე განსხვავდება მოსალოდნელისაგან. თუ ფასების რეალური დონე მოსალოდნელზე დაბალია, მაშინ რეალური ხელფასი მიზნობრივზე დაბალია, ხოლო თუ ფასების დონე უფრო დაბალია, ვიდრე მოსალოდნელი, ამ დროს რეალური ხელფასი მიზნობრივზე მაღალია.

დაეუბნათ შრომის ბაზარზე დასაქმება მხოლოდ ფირმების მხრიდან შრომის მოთხოვნით აღიწერება, ანუ მომუშავენი მზად არიან მიაწოდონ ბაზარს შრომის ის რაოდენობა, რომელზეც იქნება მოთხოვნა მოცემული შეთანხმებული ხელფასისა და ფასების ფაქტური დონის პირობებში.

შრომაზე მოთხოვნა აღიწერება ფუნქციით

$$L = L^d(W/P),$$

რაც დაბალია რეალური ხელფასი მით უფრო მაღალია შრომაზე მოთხოვნა.

წარმოების მოცულობა კი აღიწერება საწარმოო ფუნქციით


$$Y = F(L),$$

ანუ რაც მეთია დასაქმება მით უფრო მეთია გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა.


$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e),$$

ეს ყოველივე ასახულია გრაფიკზე, რომლის თანახმადაც გამოშვების ბუნებრივი დონიდან გადახრა ფასების დონის მოსალოდნელისაგან გადახრილობა გამოწვეული.


ა. შრომა ბაზარი



ბ. სრული ფასები



გ. ციკლიკი შრომა



მომუშავეთა მცდარი შეხედულებების მოდელი

✓ ხისტი ხელფასების მოდელისაგან განსხვავებით, მომუშავეთა მცდარი შეხედულებების მოდელი ითვალისწინებს, რომ მოკლევადიან პერიოდში ხელფასი შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების გასაწინასწორებლად თავისუფლად იცვლება. ამ მოდელის ორი კომპონენტია შრომის მიწოდება და შრომაზე მოთხოვნა:

$$L^d = L^d(W/P);$$

$$L^s = L^s(W/P^e)$$


აქედან ჩანს, რომ შრომის მიწოდება დამოკიდებულია ნომინალურ ხელფასზე და მოსალოდნელ ფასების დონეზე, ანუ მოსალოდნელ რეალურ ხელფასზე. მომუშავეთათვის ცნობილია მხოლოდ ნომინალური ხელფასი, რაც შეეხება ფასების დონეს, მათთვის იგი უცნობია. მომუშავენი ელიან რომ რეალური ხელფასი ტოლი იქნება

$$\frac{W}{P^e} = \frac{W}{P} \times \frac{P}{P^e}$$

ამდენად, მოსალოდნელი რეალური ხელფასი ანსებული რეალური ხელფასისა და ფასების დონეზე მომუშავეთა მცდარი წარმოდგენის "ნაყოფია". ანუ შრომის მიწოდების ფუნქცია მიიღებს სახეს


$$L' = L' (W/P \times P/P')$$

მიწოდებული შრომის რაოდენობა დამოკიდებულია რეალური მოცულობასა და იმაზე, თუ რამდენად მცდარია მომუშავეთა წარმოდგენები.



განვიხილოთ ფასების შეცვლის ორი ვარიანტი. დავუშვათ ფასები გაიზარდა, და მომუშავენი მართლმადიდებლურად აღმოჩნდნენ თავის პროვოკაციებში, ამ შემთხვევაში P' იცვლება P -ს პროპორციულად. ამდენად რეალური ხელფასი და დასაქმების დონე არ შეიცვლება, რადგან რეალური ხელფასი და ფასების დონე თანაბრად გაიზარდა.

დავუშვათ, მეორე ვარიანტში ფასების დონე მოულოდნელად გაიზარდა, ისე რომ მომუშავეებს ამის თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონდათ, ანუ P' იგივე დარჩება. ამის გამო, რომ მომუშავეები ჩათვლიან, რომ რეალური ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე ის სინამდვილეშია, ისინი შეეცდებიან ბაზარს უფრო მეტი შრომა მიაწოდონ. P/P' შეფარდება გაიზარდება, რაც შრომის მიწოდების მრუდს მარჯვნივ და ქვემოთ გადაანაცვლებს, რაც შეამცირებს რეალურ ხელფასს და გაზრდის დასაქმებას. ნომინალური ხელფასის ზრდა მომუშავეთ შეუქმნის მცდარ წარმოდგენას, რომ რეალური ხელფასიც გაიზარდა. სინამდვილეში კი ნომინალური ხელფასი უფრო ნაკლები ტემპებით იზრდება, ვიდრე ფასების დონე. თუმცა ინფორმაციის უკეთესი წყაროები აქვთ და ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ისინი შრომაზე მოთხოვნას გაზრდიან.



ეს მოდელიც იგივე $Y = \bar{Y} + \alpha(P - P')$ ფორმულას ეყრდნობა და ამტკიცებს, რომ გამოშვების მოცულობა მისი ზუნებრივი დონისაგან ფასების მოსალოდნელი დონისაგან გადახრის პირობებში გადაიხრება.

✓ არასრული ინფორმაციის მოდელი

ერთობლივი მიწოდების მესამე, არასრული ინფორმაციის მოდელი მოკლევადიან პერიოდში ფასებზე არასრულყოფილი ინფორმაციის გამო მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში ერთობლივი მიწოდების მრუდებს შორის განსხვავებას თვალისწინებს. ამ მოდელში, წინა მოდელისაგან განსხვავებით აღარ მოქმედებს დაშვება, რომ ფირმები მომუშავეებზე უკეთ არიან ინფორმირებული.

ეს მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა მწარმოებელი უშვებს მხოლოდ ერთ პროდუქტს, მაგრამ მოიხმარს უამრავს. რადგან საქონლის რაოდენობა დიდი, მიწოდებლები ვერ ახერხებენ ყურადღება ერთდროულად მიაღწეონ მათ ფასებს. ისინი უფრო მეტ ყურადღებას იმ საქონლის ფასებს უთმობენ, რომლებსაც აწარმოებენ, მაგრამ ნაკლებს იმ საქონლის ფასებს, რომლებსაც მოიხმარენ. ისინი არასრული ინფორმაციის გამო ერთმანეთში ურევენ ფასების საერთო დონისა და ფარდობითი ფასების ცვლილებას, რასაც ფასების დონესა და გამოშვებას შორის მოკლევადიან დამოკიდებულებამდე მივყავართ.

განვიხილოთ გადაწყვეტილება რომელსაც ფერმერი იღებს მარცვლეულის წარმოებასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ შემოსავალს, რომელსაც ფერმერი მის მიერ წარმოებული მარცვლეულის რეალიზაციიდან იღებს, სხვა საქონლისა და მომსახურების შესაძენად იყენებს, წარმოებული მარცვლეულის რაოდენობა მარცვლეულის სხვა საქონლისა და მომსახურების მიმართ ფარდობით ფასზეა დამოკიდებული. რაც უფრო მაღალია ეს ფასი ფერმერი უფრო მეტი მარცვლეულის წარმოებითაა დაინტერესებული, ხოლო დაბალი ფარდობითი ფასის შემთხვევაში კი პირიქით.

მაგრამ, მარცვლეულის წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ფერმერმა ჯერ არ იცის ფარდობითი ფასი. იგი ყურადღებით აკვირდება ხორბლის ფასს და იცის მისი ნომინალური ფასი, მაგრამ არ იცის სხვა საქონლის ფასი. ამდენად ფარდობითი ფასის განსაზღვრისას მას უნევს ისარგებლოს მარცვლეულზე არსებული ნომინალური ფასითა და მისი მოლოდინით, სხვა საქონლის ფასებთან დაკავშირებით.

დავუშვათ ფერმერის მოლოდინი გამართლდა, ამდენად ფერმერის შრომაში არანაირი ცვლილებები არ ხდება.

თუ კი ფერმერი არ მოელოდა ფასების დონის ასეთ აწევას, ამდენად ფასები მარცვლეულზე თუ იზრდება, მან არ იცის გაიზარდა თუ არა ფასები სხვა საქონელზე (თუ გაიზარდებოდა, მაშინ ფარდობითი ფასი უცვლელი დარჩებოდა) თუ გაიზარდა მხოლოდ მარცვლეულის ფასი (მისი ფარდობითი ფასი უფრო მეტი გახდებოდა). რაციონალური ფერმერი იფიქრებს, რომ გაიზარდა მარცვლეულის ფარდობითი ფასი და უფრო მეტ ხორბალს მოიყვანს. ზოგადად ასე, არაწორად იქცევიან მწარმოებლები, როდესაც თვლიან, რომ მათ მიერ წარმოებული საქონლის ფარდობითი ფასები იზრდება, რაც წარმოების მოცულობის ზრდის სტიმული ხდება აქაც ეს პროცესი ცნობილი ეუნქციით აღიწერება $Y = Y + \alpha(P - P^e)$.

✓ ხისტი ფასების მოდელი

მეოთხე, ხისტი ფასების მოდელი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ფირმები მოთხოვნის ცვლილების პარალელურად მყისიერად არ ცვლიან ფასებს. ხშირად ფასები მწარმოებელსა და მყიდველს შორის გრძელვადიანი ხელშეკრულებებით განისაზღვრება. ზოგჯერ, ფირმები, მათი მუდმივი კლიენტების დაფრთხობის თვლიდან ასაცილებლად ცდილობენ არ გააძვირონ პროდუქცია.

განვიხილოთ საბაზრო ძალაუფლების (ანუ ვარკვეულად მონოპოლიური მდგომარეობის) მქონე ფირმა, რომელსაც შეუძლია ბაზარს უკანახოს ფასები. მისთვის სასურველი ფასი P ორი მაკროეკონომიკური ცვლადით განისაზღვრება, რომელთაგან პირველი ფასების საერთო დონეა P (ფასების მაღალი დონე ფირმის მაღალ დანახარჯებს გულისხმობს, რაც მის მიერ ფასების ზრდას გამოიწვევს) და ერთობლივი შემოსავალი Y (უფრო მაღალი ერთობლივი შემოსავალი ზრდის მოთხოვნას ფირმის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე და შესაბამისად ფასს). ამდენად ფირმის მიერ დადგენილი ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად

$$p = P + a(Y - \bar{Y})$$

სადაც, a ნულზე მეტია. ამ კანტოლეზის შესაბამისად, დადგენილი ფასი P ფასების საერთო დონეს (P) და ერთობლივ გამოშვებასა და მის ბუნებრივ მოცულობას შორის დამოკიდებულებით განისაზღვრება.

ახლა დავუშვათ, რომ არსებობს ორი ტიპის ფირმები, პირველი, რომელთა ფასები მოქნილია: ისინი $p = P + a(Y - \bar{Y})$ -ის შესაბამისად ცვლიან მათ, ხოლო მეორე ტიპის ფირმებს ხისტი ფასები აქვთ. ისინი ამ ფასებს წინასწარ, ეკონომიკური მდგომარეობის საკუთარი შეფასებებიდან აკეთებენ და სარგებლობენ ფორმულით

$$p = P^e + a(Y^e - \bar{Y}^e),$$

სადაც ინდექსი e ცვლადის მოსალოდნელ სიდიდეს აღნიშნავს. სიმარტივისათვის თუ დავუშვებთ, რომ ფირმები ჩათვლიან, რომ წარმოების მოცულობა მისი ბუნებრივი დონის ტოლი იქნება, მივიღებთ, რომ $a(Y^e - \bar{Y}^e) = 0$, ეს ფირმები დაადგენენ ფასს $p = P^e$, ანუ ეს ფირმები ფასებს ადგენენ სხვა ფირმების მიერ ფასების დადგენის თაობაზე საკუთარი მოლოდინის შესაბამისად.

ბაზარზე თუ ფირმებს, რომელთაც ხისტი ფასები აქვთ უკავიათ s წილი, მაშინ მოქნილი ფასების მქონე ფირმათა წილი $(1-s)$ იქნება, ფასების საერთო დონე კი

$$P = sP^e + (1-s)[P + a(Y - \bar{Y})]$$

სადაც sP^e არის ხისტი ფასების მქონე ფირმების მიერ დადგენილი ფასები, ეკონომიკაში მათი წილის შესაბამისად, ხოლო $(1-s)[P + a(Y - \bar{Y})]$ კი მოქნილი ფასების მქონე ფირმების მიერ დაწესებული ფასები, ეკონომიკაში ამგვარი ფირმების წილის შესაბამისად. თუ იგივეობის ორივე მხარეს გამოვაკლებთ $(1-s)P$ მივიღებთ

$$sP^e = sP^e + (1-s)[a(Y - \bar{Y})]$$

ამ უკანასკნელს თუ s -ზე გავყოთ, მივიღებთ

$$P = P^e + [(1-s)a/s](Y - \bar{Y})$$

აღნიშნული ფორმულის შესაბამისად, ფირმების მიერ ფასების ზრდის მოლოდინის შემთხვევაში გათვალისწინებულია დანახარჯების ზრდაც. ფირმები, რომლებიც წინასწარ ადგენენ ფასებს, მათ უფრო მაღალ დონეზე აწესებენ, რაც სხვა ფირმებსაც ფასების ზრდისაკენ უბიძგებს. ანუ მოსალოდნელი მაღალი ფასი მართლაც მაღალ ფასს იწვევს.

როცა მაღალია გამოშვება, მაღალია საქონელზე მოთხოვნაც, რაც ფასების დონის ზრდას იწვევს. გამოშვების მოცულობის ზეგავლენას ფასების დონეზე, მოქნილი ფასების მქონე ფირმათა წილი განაპირობებს, ალგებრულად ამ ყველაფერს ისევ $Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e)$ სახე აქვს. სადაც $\alpha = s/(1-s)a$. ისევე როგორც წინა სამი მოდელი, ამტკიცებს, რომ გამოშვების ბუნებრივი დონიდან გადახრა ფასების დონის მოსალოდნელი ფასებისაკენ გადახრითაა გამოწვეული.

დასკვნები და თეორიის დანართები

ერთობლივი მოთხოვნის ოთხი მოდელი არ ფუნქციონირებენ ერთმანეთისაკენ დამოუკიდებლად, ანუ ზეგან არ უნდა ვაღიაროთ ერთ-ერთი და უარვყოთ დანართები. რეალობაში ოთხივე ვარიანტი შეიძლება შეგვეხვდეს.


ბაზრები მოდიან
წონასწორობაში?

კი	<p>მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მოდელი: მშრომელები ნომინალური ხელფასის ცვლილებას რეალური ხელფასის ცვლილებასთან აიგივებენ</p>	<p>ანასრული ინფორმაციის მოდელი: მწარმოებლები ფასების საერთო დონის ცვლილებას ფარდობითი ფასების ცვლილებასთან აიგივებენ</p>
ანა	<p>ხისტი ხელფასების მოდელი</p> <p>ნომინალური ხელფასი ნელა იცვლება</p>	<p>ხისტი ფასების მოდელი</p> <p>ფასები საქონელსა და მომსახურებაზე ნელა იცვლება</p>

ოთხივე მოდელში მთავარი იდეა შეიძლება შემდეგი განტოლებით გამოისახოს:


$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^*)$$

თუ ფასების დონე მოსალოდნელზე მაღალია, გამოშვების მოცულობა ბუნებრივზე მაღალია, ხოლო თუ ნაკლებია, მაშინ გამოშვების მოცულობა ბუნებრივზე დაბალია.



მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა მოსალოდნელზე მეტად ფასების ზრდას იწვევს და შესაბამისად გამოშვების ბუნებრივზე უფრო მაღალ დონეს იწვევს.

გრძელვადიან პერიოდში ფასების მოსალოდნელი დონე იზრდება, ანუ ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაინაცვლებს ზემოთ.



ფასების მოსალოდნელო ზრდასთან ერთად ეკონომიკის წინასწორული მდგომარეობა B-დან C წერტილამდე გადაინაცვლებს. ეკონომიკა უზრუნველბა გამოშვების ზუნებრივ ღონეს, მაგრამ უფრო მაღალი ფასების ღონის პირობებში.

11-2. ინფლაცია, უმუშევრობა და ფილიპის მრუდი

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი უმუშევრობის დაბალი ღონე და დაბალი ინფლაციაა. ინფლაციასა და უმუშევრობას შორის კავშირს ფილიპის მრუდი აღწერს. ფილიპის მრუდი ერთობლივი მიწოდების ალტერნატიული ვარიანტია.

ფილიპის მრუდის შესაბამისად ინფლაციის ღონე სამ ფაქტორზეა დამოკიდებული:

- მოსალოდნელი ინფლაცია;
- ციკლური უმუშევრობა (უმუშევრობის გადახრა ზუნებრივი ღონიდან);
- მიწოდების შოკური ცვლილებები.

ეს ყოველივე შეგვიძლია შემდეგი ფორმულის სახით ჩამოვაცალიოთ:

$$\pi = \pi^e - \beta(u - u^e) + \varepsilon$$

სადაც π - ინფლაციაა, π^e - მოსალოდნელი ინფლაციაა, $(u - u^e)$ ციკლური უმუშევრობაა, ხოლო ε - მიწოდების მკვეთრი ცვლილებაა. β - კი ნულზე მეტია. მის წინ მინუს ნიშანი იმაზე მეტყველებს, რომ მაღალი უმუშევრობის პირობებში ინფლაციის ტემპების შემცირების ტენდენციაა.

ერთობლივი მიწოდებიდან ფილიპის მრუდამდე

იმის გასააზრებლად, რომ ფილიპის მრუდი და ერთობლივი მიწოდების მრუდი ერთი და იგივე დამოკიდებულებას ასახავს, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ჩავენერთო შემდეგი სახით:

$$P = P^e + (1/\alpha)(Y - \bar{Y})$$

ჩინა წლის ფასების ღონე P , გამოვაკლოთ განტოლების ორივე მხარეს:

$$(P - P_{-1}) = (P^e - P_{-1}^e) + (1/\alpha)(Y - \bar{Y})$$

$(P - P_{-1})$ არის ინფლაციის ღონე π , ხოლო $(P^e - P_{-1}^e)$ მოსალოდნელი ფასებისა და ჩინა წლის ფასების ღონის სხვაობა, ანუ მოსალოდნელი ინფლაციაა π^e . ამდენად

$$\pi = \pi^e + (1/\alpha)(Y - \bar{Y})$$

გავიხსენოთ, რომ ოუკენის კანონის შესაბამისად, როდესაც გამოშვება ზუნებრივ ღონეს აღემატება, უმუშევრობა ზუნებრივ ღონეზე დაბლაა. აქედან გამოდინარე $(1/\alpha)(Y - \bar{Y})$ შეგვიძლია $\beta(u - u^e)$ -ით შევცვალოთ. ეს განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს

$$\pi = \pi^e - \beta(u - u^e)$$

რაც შეეხება ε იგი ეკონომიკაზე ვარე შოკების (მაგალითად, ნათობის გაძვირება, მინიმალური ხელფასის შეცვლა, ფასების კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან) ზეგავლენას აღწერს, ამდენად ეს იგივეობა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\pi = \pi^e - \beta(u - u^e) + \varepsilon$$

ამდენად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდიდან ჩვენ ფილიპის მრუდი მივიღეთ.

კონტროლი და ინფლაციური ინერცია

აღამიანები თავიანთ გეგმებს ინფლაციასთან დაკავშირებით არსებულ ინფლაციაზე დაყრდნობით აკებენ. თუ დაუუშვებთ, რომ ფასები წელს ისევე გაიზრდება, როგორც შარშან, მივიღებთ, რომ

$$\pi^e = \pi_{-1}$$

თუ ამას გავითვალისწინებთ, მივიღებთ, რომ

$$\pi = \pi_{-1} - \beta(u - u^*) + \varepsilon$$

ანუ ინფლაცია გასული წლის ინფლაციაზე, უმუშევრობასა და მიწოდების შოკურ ცვლილებებზეა დამოკიდებული. ის, რომ $\pi^e = \pi_{-1}$, ნიშნავს, რომ ინფლაცია ინერციული პროცესია. თუ უმუშევრობა არ იცვლება და მიწოდების მკვეთრი ცვლილებაც არაა, მაშინ ფასები მუდმივად ტემპით გაიზრდება. ეს ინერცია იმითმ გვხვდება, რომ გასული ინფლაცია ზემოქმედებს მომავალ ინფლაციაზე.

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელში თუ ფასები იზრდება სწრაფად, მაშინ ადამიანები ჩათვლიან, რომ იგი უფრო სწრაფად გაიზრდება. ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი თანდათანობით ზემოთ გადაინაცვლებს. გადაინაცვლება მანამდე გავრძელდება, ვიდრე დაეცემა, ან მიწოდების შოკური ცვლილება ინფლაციის მიმდინარე დონეს არ შეცვლის. ამ ცვლილებასთან ერთად შეიცვლება ინფლაციის მოლოდინი.

ფასების ინფლაციური ზრდის დაჩქარებისა და შენელების ორი მიზეზი



მიუხედავად ამისა, რომ ინფლაცია ინერციულია, მაინც იზრდება ან მცირდება. მასზე უმუშევრობის ზუნებრივი ღონიდან გადახრა მოქმედებს. დაბალი უმუშევრობა იწვევს მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად ფასების ზრდას. ეს პროცესი მოთხოვნის ინფლაციის სახელითაა ცნობილი. დაბალი დასაქმების დონე, ანუ მაღალი უმუშევრობა ინფლაციის ტემპებს ამცირებს. β კი გვიჩვენებს, თუ რამდენად ზემოქმედებს ციკლური უმუშევრობა ინფლაციაზე.

∴ შოკური ცვლილების ზეგავლენას ასახავს, მაგალითად ნავთობის გაძვირება, დანახარჯების ზრდას და ფასების დონის ზრდას იწვევს, ეს პროცესი დანახარჯების ინფლაციის სახელითაა ცნობილი. ნავთობის ფასის შემცირება კი ინფლაციის შენელებას შეუწყობს ხელს.

მოკლევადიან პერიოდში ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის პრობლემა.

ნებისმიერ მოცემულ პერიოდში ინფლაციის ტემპი და მიწოდების შოკური ცვლილება სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი კონტროლის გარეშეა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკების მეშვეობით ზემოქმედებს ეკონომიკაზე. შეუძლია ერთობლივ მოთხოვნაზე მასტიმულირებელი ეფექტი მოახდინოს ინფლაციის ზრდასა და უმუშევრობის შემცირების მიზნით, ან პირიქით, შეამციროს ერთობლივი მოთხოვნა, რაც გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას და ინფლაციის შემცირებას.

სახელმწიფოს შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის მანიპულირებით მიადგინოს ინფლაციისა და უმუშევრობის გარკვეულ კომპინაცია. სწორედ ესაა ფილიპსის მრუდი მოკლევადიან პერიოდში. მოკლევადიან პერიოდში ფილიპსის მრუდის მდებარეობა ინფლაციის მოსალოდნელი ტემპებთან განპირობებული, რაც უფრო მაღალია ინფლაციის მოსალოდნელი ტემპები, მით უფრო მაღლა მდებარეობს იგი და ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანი გაძნელებულია: ინფლაციის ტემპები ასეთ შემთხვევაში უმუშევრობის ნებისმიერი დონისათვის უფრო მაღალი იქნება.



იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები თავის მთლიან ინფლაციასთან დაკავშირებით ცვლიან, ამდენად არჩევანი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში არსებობს. გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობა თავის ბუნებრივ დონეს უბრუნდება და ამდენად არჩევანის სამუალებია ისობა.

ინფლაციის მოთხოვნა და დანაკარგების შედარლება

რა მოუვა ეკონომიკაში უმუშევრობას და საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობას, თუ ერთნეული ბანკი გაატარებს პოლიტიკას, რომელიც ინფლაციის დაუშვად 6%-დან 2%-მდე შემცირებისაკენა მიმართული.

ვიდრე პოლიტიკოსები გადაწყვიტენ უნდა შეამცირონ თუ არა ინფლაცია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთნეული შემოსავლის რა ნაწილი დაიკარგება ინფლაციის შემცირებით ეს დანაკარგი უნდა შედარდეს იმ უპირატესობებთან, რასაც დაბალი ინფლაციის მიღწევით მივიღებთ.

ბევრ გამოკვლევაში მოტანილია სტატისტიკური ინფორმაცია, რომელსაც ინფლაციასთან ზრდის პროცესში დანაკარგების ფარდობა ქვია. იგი გვიჩვენებს, რეალური GDP-ის რამდენი პროცენტი უნდა შეეწიროთ ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირებას. შეფარდება როგორც წესი ხუთი ერთანაა, ანუ ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირებას (მაგალითად 7-დან 6 პროცენტამდე) წლიური რეალური GDP-ის 5 პროცენტი შეეწინება.

დანაკარგებს შორის შეფარდება შესაძლოა უმუშევრობის შემცირებითაც გამოვხატოთ, თუკენის კანონის შესაბამისად უმუშევრობის დონის ერთი პროცენტული პუნქტით ცვლილება GDP-ის ორი პროცენტული პუნქტით ცვლილებას იწვევს აქედან გამომდინარე ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირება წლიურად ციკლური უმუშევრობის დაახლოებით 2,5 პროცენტის მოთხოვს.

თუ ინფლაცია 4%-ით უნდა შეამციროთ, ეს GDP-ის 20 პროცენტით შემცირებას და უმუშევრობის დაახლოებით 10 პროცენტული პუნქტით ზრდას გამოიწვევს.

ამგვარი დეფლაციური პოლიტიკა სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. ინფლაციის მკვეთრი მოთხოვნა ორი წლის განმავლობაში რეალური GDP-ის 10%-ით შემცირებას გამოიწვევს ამგვარ პოლიტიკას "შოკური თერაპია" შევია. თუ ინფლაცია შედარებით ნელა, რამდენიმე წლის განმავლობაში მოითხოვება, რასაც ყოველწლიურად GDP-ის შედარებით ნაკლები წილი შეეწინება. გრადუალისტურ პოლიტიკასთან გვექნება საკმე.

რაციონალური მოლოდინი და ინფლაციის უმტკივნეულო მოთხოვნა

რაციონალური მოლოდინის სახელით ცნობილი მიდგომა ეყრდნობა იმას, რომ რომ ადამიანები მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას, მათ შორის მომავლის პროგნოზირებისათვის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას, მაქსიმალურად ოპტიმალურად იყენებენ. რადგან ეკონომიკური პოლიტიკა ასევე ზემოქმედებს ინფლაციის ტემპებზე, მოსალოდნელი ინფლაცია ასევე განხორციელდებულ ფულად-საქრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას უნდა ეყრდნობოდეს. ამგვარი მიდგომა ასაბუთებს, რომ ინფლაცია ნაკლებადაა ინერციული და მისი დაძლევა უფრო მალე შეიძლება სახელმწიფო პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალოს.

ამგვარად რაციონალური მოლოდინის თეორიის შესაბამისად, ფილიპის მრუდი მოკლევადიანი პერიოდისათვის ყველა შესაძლო კომბინაციას არ ასახავს. ამასთან, ინფლაციის ტემპების შემცირებით გამოწვეული დანაკარგები უფრო ნაკლები შეიძლება იყოს, ვიდრე ეს დანაკარგების შედარების ანალიზით იქნება პროგნოზირებული.

შესაძლებელია ანტიინფლაციურ პოლიტიკას არ მოჰყვას ეკონომიკური დაცემა, თუ ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელების თაობაზე ინფორმაცია გავრცელდება მოლოდინის ჩამოყალიბებამდე და ადამიანები ირწმუნებენ მას. ეს ქვემოთ მკვეთრად ჩამოიწვეს მრუდს და არჩევანის დროს ინფლაციის დაბალი ტემპებისათვის უმუშევრობის შედარებით დაბალი ზრდა მოხდება.



ეკონომიკური რყევების ახსნასა ეკონომისტები დღემდე ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე. დღეისათვის ორი დომინანტური მიმართულება არსებობს. ახალი კლასიკური და ნეოკვინზიანური თეორიები

ნეოკლასიკოსები ხელმძღვანელობენ მოდელით. რომელიც ფასებისა და ხელფასების სწრაფი ცვლადობით ბაზრებზე წონასწორობას უზრუნველყოფს. საბაზრო წონასწორობის მოდელით, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ (მომუშავეთა მცდარი შეხედულებებისა და არასრული ინფორმაციის) გასული საუკუნის 70-იან წლებში ძალიან პოპულარული იყო მათ შორის, გასული საუკუნის ბოლოს კი ისინი ისევ რაღელური ეკონომიკური ციკლის თეორიას დაუბრუნდნენ.

ნეოკვინზიანელები კი თვლიან, რომ წონასწორული ბაზრების მოდელი ვერ ხსნის მიმდინარე ეკონომიკურ რყევებს და მხარს ხისტი ფასებისა და ხელფასების მოდელს უჭერენ. კვინზი მოუწოდებდა ეკონომისტებს უარი ეთქვათ იდეაზე, რომ ფასები და ხელფასები მუდმივად იცვლება და ბაზრი წონასწორობაში მოყავს. ეროვნული შემოსავლის მიმდინარე დონეს კი ერთობლივი მოთხოვნა განსაზღვრავს, ანუ ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში არ არის ვერტიკალური.

ფასები და ხელფასები რომ არ არის მოქნილი, ამას კვინზიანელები რამდენიმე ფაქტორით ასაბუთებენ.

"მენიუს დანახარჯები" და ინფორმაციის მითხოვნის გარე ფაქტორები

მიზეზი იმისა, რომ ფასები მყისიერად არ იცვლება, მდგომარეობს იმაში, რომ მათ შესაცვლელად გარკვეული დანახარჯია საჭირო. ესაა ახალი კატალოგების, მენიუების დაბეჭდვა და ა.შ. ანუ ფირმა მენიუს დანახარჯებს წინაშე დგას ამიტომ ფასები იზრდება არა თანდათანობით, არამედ გარკვეულწილად "ნახტომისებურად".

სეკტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მენიუს დანახარჯი იმდენად მცირეა, რომ იგი ფასების ცვლილებაზე ვერ იმოქმედებს. თუმცა მომხრეები ამბობენ, რომ ის რაც ერთი ფირმისათვის მცირეა, ზოგადად ეკონომიკაში საკმაოდ დიდ თანხებს აღწევს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი ფირმის მიერ ფასების ზნდა, შესაძლოა აწყობდეს მორე ფირმას.

რაც შეეხება ფირმის მიერ ფასების შემცირებას, ეს გამოიწვევს ფასების დონის თუნდაც მცირედ ცვლილებას. რაც თავის მხრივ გაზრდის ფულის რეალურ მარაგს, ერთობლივ მოთხოვნას და საბოლოოდ კი სხვა ფირმების საქონელზე მოთხოვნასაც, ამგვარ ფაქტს მაკროეკონომისტები ერთობლივი მოთხოვნის გარე ფაქტორს უწოდებენ. ამ ფაქტის არსებობის პირობებში მენიუს მცირე დანახარჯებიც კი ფასებს ხისტობისაკენ უბიძგებს.

ფასების და ხელფასების შეფონება

ეკონომიკური აგენტები ფასებსა და ხელფასებს ერთდროულად არ ადგენენ. მათი კორექტირება ეკონომიკაში გარკვეული შეფონებით, საფეხურებრივად ხდება. თუ მოთხოვნა საქონელზე გაიზრდება თვის შუა რიცხვებში, ფასები მოწესრიგდება მხოლოდ მომდევნო თვის დასაწყისში.

ხელფასი კიდევ უფრო გვიან შეიცვლება მით უფრო.

ხელფასების შემცირებას, შესაძლოა ყველა შემთხვევაში თანახმა იყოს, რომ სხვების პროპორციულად შემცირდეთ ხელფასი, მაგრამ ხელფასების შემცირების საკუთარი ხელფასიდან დაწყებას ყველა წინ აღუდგება. ამდენად ზოგადად ხელფასის რეაგირება შეცვლილ გარემოზე ასევე დაგვიანდება. კონკრეტული ხელფასების ცვლილებაში შეფონება ზოგადად ხელფასების ცვლილების დაგვიანებასაც იწვევს.

დაცემა, როგორც კოორდინაციის კრახი

ზოგაერთი ეკონომისტი თვლის, რომ დაცემა საზოგადოებაში კოორდინაციის კრახითაა გამოწვეული. ეს პრობლემა ფასებისა და ხელფასების განსაზღვრის დროს შეიძლება გაიზარდოს ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვა აგენტების ქცევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფირმები აკვირდებიან ბაზარზე ფასების დინამიკას, თუ კონკურენტმა

დაწია თვისები, და მეორე ფორმამ ანა, ეს გამოიწვევს ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნის ეფექტით სხვა ფორმის რენტაბელობის გაზრდას.



ჰისტორიის და ბუნებრივი დონის ჰიპოტეზის გამოწვევა

ბუნებრივი დონის ჰიპოტეზის თანახმად წყვევები ეკონომიკაში მხოლოდ მოკლევადიან პერიოდებში ხდება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობას - ბუნებრივ დონეს უბრუნდება.

ზოგიერთმა ეკონომისტმა ეს ჰიპოტეზა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. მათ მიუთითეს რამდენიმე ფაქტორზე, რომლებმაც შესაძლოა ეკონომიკას აუნაზღაურებელი ზარალი მიაციენონ. ჰისტორიის - გამოიყენება მომხდარი მოვლენების ეკონომიკურ ცვლადებზე გრძელვადიანი ზემოქმედების აღსაწერად.

თუ ეკონომიკურმა დაცემამ ადამიანების ფსიქოლოგიური და პირადი თვისებები შეცვალა, მაშინ ეს ზეგავლენა დიდხანს გაგრძელდება. უმუშევარმა თუ კვალიფიკაცია დაკარგა, მაშინ მას სამსახურის პოვნა გაუჭირდება.

ჰისტორიის საკამათო თემაა.



ეკონომისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე კამათს მოჰყვება.

ეკონომისტთა ნაწილს არასტაბილურობა ეკონომიკის იმანენტურ თვისებად მიაჩნია. მათი აზრით ეკონომიკა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სფეროებში მუდმივად განიცდის რყევებს და სათანადო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო სავადასახადო პოლიტიკის გარეშე, რომელიც ეკონომიკის სტაბილიზაციასაკენ იქნება მიმართული, ამ რყევებში არასახურეოდ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს, რასაც წარმოების მოცულობის შემცირება უმუშევრობისა და ინფლაციის პრობლემების გაღრმავება შეიძლება მოჰყვეს. საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად მაკროეკონომიკური პოლიტიკა "დინების წინააღმდეგ ცურვას" უნდა გულისხმობდეს, რაც დაცემის დროს მის სტიმულირებაში, ხოლო "გადახურების" დროს მის შეკავებას მოიაზრებს.

სხვა ეკონომისტთა მოსაზრებით, კი ეკონომიკა შინაგანად სტაბილურია, ხოლო ძლიერი და სამომხი რყევები, რომლებიც ეკონომიკაში დროთა განმავლობაში ჩნდება, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის დამსახურებაა. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების დროს კი მთავარი ამოცანაა უნდა იყოს ის, რომ მან ეკონომიკა ან დააზარალოს.

12-1. როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა: აქტიური თუ პასიური?

ეკონომიკის სტაბილიზაცია ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი მისი პრაქტიკულად ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ყურადღების ცენტრში არის საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს პოლიტიკა ინფლაციაზე, უმუშევრობაზე, უნდა გაიზარდოს თუ შემცირდეს ერთობლივი მოთხოვნა.

მიუხედავად იმისა, რომ ფულად-საკრედიტო და სავადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება ტრადიციული ფუნქციებია, წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ამ გზით სახელმწიფომ შესაძლოა ეკონომიკის სტაბილიზაციაზე იმოქმედოს, არც თუ ისე დიდი ხნის წინ წარმოიქმნა და ძირითადად დიდ დეპრესიას უკავშირდება თუ მხედველობაში ან მსივლემთ სასტოთა კავშირის გამოცდილებას. რაც ცხადია შონს იყო მაკროეკონომიკური პოლიტიკისაგან, პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა იკისრა, 1946 წელს აშშ-ში მიღებული დასაქმების კანონი იყო მისი ავტორები, გამოდიოდნენ რა დიდი დეპრესიის გამოცდილებიდან, აღიარებდნენ, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, რათა არ განმეორდეს მსგავსი პროცესები.

ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტების გამოყენება, ეკონომისტთა ამ ნაწილის აზრით დაუშვებელია.

ეკონომისტთა სხვა ნაწილი ფიქრობს, რომ სახელმწიფო შონს უნდა იყოს მაკროეკონომიკური პოლიტიკისაგან.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა რეალიზაციის პროცესში არსებული დროითი ლაგები

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკა ეკონომიკაზე მყისიერ ზემოქმედებას ვერ ახდენს. ზემოქმედებას სხვადასხვა დროითი ლაგები აქვს სწორედ ეს დროითი ლაგები ართულებს ეკონომიკური სტაბილიზაციის ამოცანებს.

მასტაბილიზებელი პოლიტიკის ორი სახეობის ლაგს: შინაგან და გარეგან ლაგებს განარჩევენ.

შინაგანი ლაგი - ესაა დრო ეკონომიკური შოკის მომენტიდან ეკონომიკური პოლიტიკის საპასუხო ღონისძიებების მიღებამდე. იმის ვააზრება, რომ შოკი მოხდა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება დროს მოითხოვს.

გარეგანი ლაგი კი დროს ის მონაკვეთია, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებიდან და დაწყებიდან შედეგების მიღებამდეა. პოლიტიკის შეცვლა მყისიერად ვერ შეცვლის დანახარჯებისა და შემოსავლების დონეს და დასაქმებას.

სამიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკას ხანგრძლივი დროითი ლაგები ახასიათებს. სამიუჯეტო ხარჯების ვადას, სწავა ხანგრძლივი პროცესია და მთავრობის, პარლამენტისა და პრეზიდენტის კონსენსუსს მითხოვს, ანალოგიურად სავადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებებში ხანგრძლივი განხილვის საკითხია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკას კი გრძელი ვარეგანი ლაგი ახასიათებს. იგი ინვესტიციებზე საპროცენტო განაკვეთით ზემოქმედებს, მაგრამ ფინანსები ინვესტიციებში წინასწარ გეგმივან. ამიტომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემეგვობით რეალური GDP-ის შეცვლა მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგაა შესაძლებელი.

ამდენად ამგვარი დროითი ლაგები ართულებს ფულად-საკრედიტო და სამიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტების ეკონომიკის სტაბილიზაციის, პროცესში გამოყენებას. პასიური ეკონომიკური პოლიტიკის მოხრეგები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციაზე ზრუნვა ხშირად დესტაბილიზაციის მიზევი ხდება. იმ დროით ლაგში შესაძლოა ეკონომიკური გარემო შეიცვალოს და ეკონომიკურმა პოლიტიკამ შესაძლოა უკვე შეცვლილ პროცესებზე უფრო უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს.

დროითი ლაგების შესამცირებლად მოფიქრებულა მასტაბილიზებელი ეკონომიკური პოლიტიკის ე.წ. "ავტომატური (ან ჩაშენებული) სტაბილიზატორები". ისინი პოლიტიკური კურსის სპეციალური ცვლილებების გარეშე ახერხებენ ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ან შეფერხებას. ასეთ სტაბილიზატორებს განეკუთვნება სამეგობავლო ვადასახადების სისტემა ზევრ ქვეყანაში, რომელიც დაიცემის პერიოდში ამცირებს ვადასახადებს და ამით ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო აღმავლობის პერიოდში გაზრდილი ვადასახადებით ამუხრუჭებს შემდგომ ზრდას. ანალოგიური ფეფქტი აქვს უმუშევრობისაგან დაზღვევას. ამ შემთხვევაში შინაგანი ლაგი პრაქტიკულად არ გვაქვს.

ეკონომიკური პროგნოზირება

ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები დროის ვარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება აშკარა. ამიტომ ხშირად მათი პროგნოზირებაა საჭირო. იმისი ცოდნის გარეშე რა მდგომარეობაში იქნება ქვეყნის ეკონომიკა თუნდაც ერთი წლის შემდეგ, შეუძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. სამწუხაროდ ხშირად ეკონომიკაში პროცესების პროგნოზირება შეუძლებელია.

პროგნოზირების ერთ-ერთი მეთოდი წინმსწრები მაჩვენებლების ინდექსის სახელითაა ცნობილი. იგი სტატისტიკური მონაცემების თერთმეტი მწკრივისაგან შედეგა და მოიცავს აქციების ფასებს, მშენებლობაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობას, ახალი საწარმოებისა და დანადგარების შექმნის განაცხადების რაოდენობას, ფულის მიწოდებას და სხვა, როგორც წესი ამ ინდექსის შემადგენელი ნაწილების ცვლილება წინ უსწრებს ეკონომიკის ცვლილებას და მათი შემცირება შესაძლოა დაცემის მოახლოების სიგნალი იყოს.

სხვა მეთოდი ეკონომიკური მოდელებების გამოყენებას უკავშირდება. ეს ურთულესი მოდელებია, რომლებსაც როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურები აკეთებენ. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცალკეული სფეროს აღმწერ უამრავ ვანტოლებას მოიცავს (მაგალითად, ფულად-საკრედიტო და სავადასახადო-სამიუჯეტო პოლიტიკის მოსალოდნელი ცვლილება, ფასები ნავთობზე და სხვა), ეს მოდელები, იმის მიხედვით რამდენად ხარისხიანად არის შედგენილი შესაძლოა ფრიალ მნიშვნელოვან პროგნოზებს დაედოს საფუძვლად.

ცოდნის ნაკლი, მოლოდინი და ლუკასის კრიტიკა

ცნობილი ეკონომისტი რობერტ ლუკასი წერდა: "როგორც კონსულტანტები, ჩვენ ვარკვეულწილად ვცდილობთ ვადავახტეთ ჩვენს თავს". ზევრი კონსულტანტი ფიანსმება ამ აზრს, ეკონომიკა ახალგაზრდა მეცნიერებაა და ზევრი რამ მასში დღემდე უცნობია. არასრული ცოდნის გამო, პოლიტიკოსებისათვის რჩევების მიცემის დროს ეკონომისტებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ.

მუხედავად იმისა, რომ ეკონომისტთა წარმოდგენები ზევრ სფეროში შემოფარვლულია, ლუკასი მათში მოლოდინის ფორმირების პრობლემას გამოყოფდა. მოლოდინი ეკონომიკაში მნიშვნელოვანია, რადგან იგი ზემოქმედებს როგორც

მომხმარებელზე, ასევე ინვესტირებზე და სხვა აგენტებზე. მოლოდინი თავის მხრივ ზევრ ფაქტორზე, მათ შორის სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე და მოკიდებული. იგი თვლის პოლიტიკის მოლოდინის ფორმირებაზე ზემოქმედება კარგად არ აწარმოებს. ანის გათვალისწინებული. ამ ტრადიციული მეთოდების კრიტიკამ "ლუკასის კრიტიკის" სახელი მიიღო.

ლუკასის კრიტიკის ერთ-ერთი მაგალითი ჩვენ უკვე განვიხილეთ. როდესაც საუბარი ინფლაციის ტემპების შემცირების დანახარჯებს შეეხებოდა. ტრადიციული მეთოდი ინფლაციის მოსალოდნელი ტემპებს წინა მონაცემებზე დამოკიდებულებას ეყრდნობა, მაშინ როდესაც რაციონალური მოლოდინის თეორიის მომხრეები თვლიან, რომ მოლოდინის ცვლილებამ, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლო ცვლილებას უკავშირდება შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ინფლაციასთან ბრძოლის დანახარჯები.

ისტორიის ანალიზი

აქტიურ და პასიურ ეკონომიკურ პოლიტიკებს შორის არჩევანი ხშირად იმაზეა დამოკიდებული, როგორ ვაფასებთ ისტორიას. თუ ცნობილი იქნებოდა, რომ აქტიური პოლიტიკით თავიდან ავიცილებდით ეკონომიკაში მოკუნი რყევების შედეგებს, მაშინ ასეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაც ნათელი იქნებოდა.

ანუ თითოეული ადამიანის შეხედულება მასტაბილიზებულ პოლიტიკაზე დამყარებულია მის შეხედულებაზე, რა როლი შეასრულა მან: მასტაბილიზირებელი და მადესტაბილიზირებელი, ანუ კამათი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ ხშირად მაკროეკონომიკური ისტორიის შესახებ კამათში გადაიზრდება. თუმცა თავად ისტორიაც ხშირად არაკალასახად განმარტავს პროცესებს. ამისი მაგალითი დიდი დეპრესიაა, ერთნი დიდ დეპრესიაში ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას და შესაბამისად არასწორ საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკის ადანაშაულებენ, ხოლო მეორენი კი ფულის მიწოდების შემცირებას და შესაბამისად არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. დიდი დეპრესიის მაგალითი ერთის მხრივ სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობას ადასტურებს, ხოლო მეორეს მხრივ კი მისი საშემოების კარგი მაგალითია.

12-2. როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა: უნდა მისდოს თუ არა წინასწარ დაგეგმილ გზებს, თუ იყოს თავისუფალი

ეკონომისტთა შორის კამათის კიდევ ერთი სავანი ეკონომიკური პოლიტიკის მყარი კურსის აუცილებლობაა. მისი განხორციელება ამა-თუ იმ ეკონომიკურ სიტუაციაში გარკვეული ტიპის ღონისძიებების განხორციელების წინასწარ გაცხადებასა და შემდგომ მათ განუხრელ დაცვაში მდგომარეობს. მოქმედების თავისუფლება კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას უჭერს მხანს.

ეს არ უნდა გაუავიჯოთ აქტიურ ან პასიურ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის არჩევანთან. რადგან ორივე მათგანს მიესადაგება.

მაგალითისათვის, მყარი პოლიტიკის პასიური კურსი შეიძლება გამოვლინდეს ფულის მიწოდების ყოველწლიურად 3%-ით ზრდაში. აქტიურ ვარიანტში კი იგივე შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი წესით:

$$\text{ფულის მიწოდების ზრდა} = 3\% + (\text{უმუშევრობის დონე} - 6\%)$$

ეს წესი პროცენტების ანალიზს და მისი შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას ითვალისწინებს.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესი და უნდობლობა პოლიტიკოსებისადმი

ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მისი მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის ნდობა. ხალხს მიმოხს, რომ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკის მძლავრი ინსტრუმენტები არაკომპეტენტურ და ოპორტუნისტულად განწყობილ პოლიტიკოსთა ხელში არ აღმოჩნდეს.

ანაკომპეტენტურობა რამდენიმე მიზეზით აიხსნება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა უწყისრივოდ, სხვადასხვა ჯგუფების სპეციფიური ინტერესების ზემოქმედებით ფორმირდება. ამასთან მაკროეკონომიკა რთული მეცნიერებაა და პოლიტიკოსებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რათა დასაბუთებული გადაწყვეტილებები მიიღონ. პოლიტიკოსთა არაპროფესიონალიზმი მარლატანთა საქმიანობას უწყობს ხელს, რომლებიც მაცდურ, მაგრამ არასწორ რჩევებს იძლევიან. მარლატანთა და პროფესიონალ ეკონომისტთა წინააღმდეგობის ფაქტევა რთულია.

ოპორტუნიზმი კი მაშინ ჩნდება, როდესაც პოლიტიკოსთა მიზნები და საზოგადოების კეთილდღეობის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ხშირად მაკროეკონომიკური პოლიტიკა პოლიტიკოსთა მიერ არჩევნებზე საკუთარი პოზიციების გამყარებისათვის გამოიყენება.

მაგალითად, არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა ხელი შეუწყო რეცესიას, ხოლო არჩევნების მოახლოებამასთან ერთად ემზადდნენ ინფლაციას და უშუალოდ არჩევნების დროისათვის მდგომარეობა გამოსწორდება და არჩევნებში მმართველი გუნდის გამარჯვების შანსი იზრდება. არჩევნებში გამარჯვების მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ამგვარი მანიპულირება "საქმიანი აქტივობის პოლიტიკური ციკლის" სახელითაა ცნობილი და ფართოდ შეისწავლება ეკონომიკისა და პოლიტიკის სპეციალისტების მიერ.

პოლიტიკური პროცესებისადმი უნდობლობის გამო, ხშირად ეკონომისტები ცდილობენ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება პოლიტიკური პროცესების ზეგავლენისაგან გაანთავისუფლონ. აშშ-ში იმის მცდელობაც კი იყო, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ბიუჯეტი მუდმივად დაბალანსებული უნდა იყოს.

დისკრეტული პოლიტიკის არათანმიმდევრულობა ეკონომიკური პოლიტიკის მყარი კურსის წინააღმდეგ შესაძლოა არათანმიმდევრულობა დაეასახელოთ. ხშირად პოლიტიკოსები წინასწარ აცხადებენ მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე, რათა მოლოდინის ფორმირებაზე მოახდინონ ზეგავლენა. თუმცა მას მერე, რაც აღმანიშნები მოსალოდნელ ცვლილებებს შეეჯუებიან და ეკონომიკურ ქცევას შეცვლიან, შესაძლოა პოლიტიკოსებისათვის დიდი იყოს ცდუნება, რომ აღარ განახორციელონ წინასწარ გააცხადებული პოლიტიკა. რასაც შემდგომ უნდობლობა მოჰყვება.

აღმოჩნდა, რომ რაც უფრო ნაკლები თავისუფლება აქვთ პოლიტიკოსებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში, მით უკეთესად წყდება ეკონომიკური პრობლემები.

არათანმიმდევრულობის მაგალითი შესაძლოა იყოს მთავრობის მიერ ინვესტირებისათვის მიცემული პირობა შეღავათების შესახებ. ხოლო ინვესტირების შემდეგ მიცემული პირობის დარღვევა, ან შეცვლა გაფრთხილება, რომ გადასახადის დამალვისათვის მკაცრად დაისჯება ყველა, მაგრამ შემდგომ მთავრობა შესაძლოა გარიგებაზე წავიდეს და საგადასახადო ამნისტია გამოაცხადოს და ა.შ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებათა წინასწარ დაგეგმილი წესები მაკროეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე კამათი მყარი კურსის დისკრეტულ პოლიტიკასთან უპირატესობის მტკიცებით არ ამოიწურება.

მონეტარისტთა აზრით ეროვნული ბანკის ამოცანა ფულის მიწოდების ზრდის მუდმივი ტემპების შენარჩუნება უნდა იყოს. მონეტარისტები ყველა დიდი ეკონომიკური რყევის მიზის ფულის მიწოდების რყევებში ხედავენ.

ამ აზრს ეკონომისტთა დიდი ნაწილი არ მიიხვევს საუკეთესო ვარიანტად და მიიჩნიათ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის მდგომარეობის შესაბამისად უნდა ცვლილებდეს ეკონომიკის საჭირო ფულის მასის უზრუნველყოფას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მერე, მნიშვნელოვანი ამოცანა ნომინალური GDP-ის ზრდის განსაზღვრული ტემპების შენარჩუნებაა. წინასწარ უნდა იყოს ცნობილი ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი ტემპები და შემდეგ, იმის და მიხედვით, თუ როგორ სრულდება პროგნოზი, თუ ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება უნდა მოხდეს

ზრდის შეფერხება, ხოლო თუ ნაკლები ტემპებით, მაშინ უნდა მოხდეს მასტიმულირებელი პოლიტიკის განხორციელება, ანუ ერთობლივი მიწოდების მოცულობაზე ზემოქმედება.

შესაძებ წესი ფასების დონეზე კონტროლს გულისხმობს. ამ წესის შესაბამისად ერთფუნქტა ბანკმა უნდა წინასწარ გამოაცხადოს ფასების მოსალოდნელი დონე და შემდეგ ფასებზე მონიტორინგის გზით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები მიზნობრივად იქნება გამოყენებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საბივე წესი ორიენტირებულია ამა თუ იმ ნომინალურ მაჩვენებელზე: ფულის მიწოდებაზე, GDP-ის ნომინალურ მოცულობაზე, ფასების დონეზე ან ზოგიერთ რეალურ ცვლადზე (მაგალითად უმუშევრობის დონეზე) ზემოქმედებაზე.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის წესები

მიუხედავად იმისა, რომ კამათი ძირითადად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წესებს შეეხება, ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა შორის კამათს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტის წესებზე იწვევს.

განსაკუთრებულ ყურადღებას დაბალანსებული ბიუჯეტის წესი იწვევს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ხარჯები მისი შემოსავლების ტოლი უნდა იყოს.

ეკონომისტთა უმეტესობა ამ წესის წინააღმდეგია. ისინი თვლიან, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, დადებითი ან უარყოფითი სალდოს არსებობაა მიზანშეწინილი.

ბიუჯეტის დაუბალანსებლობა შესაძლოა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნებს ემსახურებოდეს. მისი მუდმივად დაბალანსებულობის იდეას ნულამდე დაყავს ავტომატური სტაბილიზატორების ეფექტი. ეკონომიკის სტაბილიზაცია ბიუჯეტის დეფიციტით მიიღწევა.

ბიუჯეტის დადებითი ან უარყოფითი სალდო შესაძლებელია გადასახადების ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების მინიმალური გზით გამოიყენებოდეს. მაღალი გადასახადები აფერხებენ ეკონომიკურ აქტივობას. რაც უფრო მაღალია გადასახადები, მით უფრო ძვირი უჯდება იგი საზოგადოებას. ამიტომ სახელმწიფო გადასახადების ერთ დონეზე დაფიქსირებას ცდილობს და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის ან პროფიციტის შემცველობით ხდება ამ ტვირთის მინიმუმამდე შემცირდება. ასეთ პოლიტიკას გადასახადების ვთანაბრება შეეძლება და იგი დაბალი შემოსავლებსა (დაცემა) და მაღალი დანახარჯების (ომი) დროს ბიუჯეტის დეფიციტის არსებობას გულისხმობს.

გარდა ამისა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ამოცანა შესაძლოა საგადასახადო ტვირთის ნაწილის მომავალ თაობებზე გადაკისრებას გულისხმობს. თუ საქართველო დღეს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, ლოგიკურია რომ დამოუკიდებლობით მომავალი თაობები ისარგებლებენ და ამიტომ მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ გადასახადების გადახდაში. ანუ დღეს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება სესხით ხდება, რომელიც მომავალი თაობების გადასახდელია.

ამდენად, ეკონომისტთა ნაწილი მყარი დაბალანსებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგია.

13. ღია ეკონომიკის მოკლევადიანი მოდელი



მეცნიერებანი აქამდე მხოლოდ შიდა ბაზარზე არსებული ინსტრუმენტების ზეგავლენას ვიხილავდით, თუმცა ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობა და საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობები. მით უფრო, რომ მსოფლიოს ეკონომიკების უმრავლესობა ღია ეკონომიკებია.

ღია ეკონომიკაში ფულად-საკრედიტო და საფინანსო-სამიწევეტო პოლიტიკების ზეგავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე მანდელ-ფლემინგის მოდელი ასახავს, რომელიც ღია ეკონომიკაში IS - LM მოდელის ნაირსახეობაა. მანდელ-ფლემინგის მოდელი ასახავს მცირე ღია ეკონომიკას, მაშინ როდესაც IS - LM მოდელი ასახავს ჩაკეტილ ეკონომიკას.

13-1. მანდელ-ფლემინგის მოდელი

ეს მოდელი შემუშავებულია მანდელის მიერ გასული საუკუნის 60-იან წლებში და შემდგომ სრულყოფილ იქნა ფლემინგის მიერ.

მანდელ-ფლემინგის მოდელი ეყრდნობა იგივე კომპონენტებს, რომლებსაც უკვე შევხვდით, უპირველეს ყოვლისა ესაა:

$$Y = C(Y - T) + I(r) + G + NX(e) \quad IS$$

$$M/P = L(r, Y) \quad LM$$

$$r = r^*$$

ამ იგივეობებიდან პირველი საქონლისა და მომსახურების ბაზარს აღწერს, რომლის თანახმადაც ერთობლივი მოთხოვნა ღია ეკონომიკაში მოხმარების (C), ინვესტიციების (I), სახელმწიფო შესყიდვებისა (G) და წმინდა ექსპორტის (NX) ტოლია. ამასთან მოხმარების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული წმინდა შემოსავალზე (Y - T), ინვესტიციები უკუდამოკიდებულებაშია საპროცენტო განაკვეთზე (r), ხოლო წმინდა ექსპორტი კი გაცვლით კურსზე (e) უკუდამოკიდებულებაშია.

გაცვლითი კურსი e-ის უცხოური ვალუტის ის რაოდენობა, რომელიც ერთი ერთეული ეროვნული ვალუტის მისაღებადაა საჭირო. მაგალითად, იმისათვის, რათა 1 ლარი იქნეს შეძენილი საჭიროა 0.56 აშშ დოლარი. ნომინალურ და რეალურ გაცვლით კურსებს შორის სხვაობას მოდელი არ განიხილავს.


მეორე იგივეობა ფულის ბაზარს აღწერს, რომლის თანახმადაც ფულის მიწოდება, გამოსახული რეალურ მაჩვენებლებში (M/P) ფულზე მოთხოვნის (L(r, Y)) ტოლია. მოთხოვნა პირდაპირაა დამოკიდებული შემოსავალზე და უკუდამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. ფულის მიწოდება M ეგზოგენური მაჩვენებელია, რომელსაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს. ფასების დონე P ეგზოგენური მაჩვენებელია.

მესამე განტოლება გვიჩვენებს, რომ შიდა საპროცენტო განაკვეთი r დამოკიდებულია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე - r*. ეს ნიშნავს, რომ განსახილველი ქვეყანა (მ.შ. საქართველო) იმდენად პატარაა, რომ მას შეუძლია მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე მიიღოს, ან გასცეს ნებისმიერი რაოდენობის კრედიტი, ისე, რომ ვერანაირ ზემოქმედებას ვერ მოახდენს საპროცენტო განაკვეთზე.

სწორედ ეს სამი იგივეობა ასახავს მანდელ-ფლემინგის მოდელს. მოდელი სამ ენოგენურ ცვლადს (Y, r, e) მოიცავს, ამიტომ ერთი გრაფიკი მოდელს სრულად ვერ ასახავს.

მოდელი Y - r გრაფიკზე


გრაფიკის შორიზონტალურ ღერძზე განლაგებულია შემოსავალი - Y, ხოლო ვერტიკალურზე საპროცენტო განაკვეთი r. გრაფიკი ჰკავს IS - LM მოდელის გრაფიკს, განსხვავება მხოლოდ შორიზონტალური ხაზია, რომელიც მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს (r*) ასახავს.




ორი მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც გრაფიკს ახასიათებს. უბინველეს ყოვლისა IS მრუდის მდებარეობა დამოკიდებულია გაცვლით კურსზე (დავუშვათ 0,56 აშშ დოლარი ერთ ლარში), რადგან ეს უკანსკენელი ზეგავლენას ახდენს საქონლის მოთხოვნაზე. კურსის ზრდა (დავუშვათ 1 აშშ დოლარი ერთ ლარში) გამოიწვევს საქართველოში წარმოებული საქონლის ფარდობითი ფასების ზრდას და შემცირებს წმინდა ექსპორტს²⁵. შესაბამისად, კურსის ზრდა IS მრუდს გადაინაცვლებს მარცხნივ.

გრაფიკის მეორე თვისებებზე ის ვახლავთ. რომ სამივე წირი ერთ წერტილში გადაიკვეთება, რაც გაცვლითი კურსის კონვექტირებით მიიღწევა.

A მდგომარეობა - ეკვილიბრიუმი



B მდგომარეობა - ეკვილიბრიუმი



²⁵ 2004 წლის გაზაფხულზე 1 აშშ დოლარი ღირდა 2,2 ლარი, ანუ გაცვლითი კურსი შეადგენდა 0,45 აშშ დოლარს, დღეისათვის კურსი აიწია 1 აშშ დოლარი ღირს 1,8 ლარი. ანუ კურსი შეადგენს 0,56 აშშ დოლარს, რამაც ადგილობრივი წარმოების საქონელი გააძვირა იმპორტირებულთან შედარებით.


განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ეს სამი წირი ერთ წერტილში არ გადაიკვეთება. თუ კი შიდა საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი, ანუ IS და LM მრუდების განაკვეთის წერტილი უფრო მაღლაა, ვიდრე მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი, უცხოელი ინვესტორების დაინტერესება კაპიტალის ინვესტირების თაობაზე გაიზრდება, რადგან ინვესტირების უკუგება უფრო მაღალი იქნება. მაგრამ იმისათვის, რათა მოხდეს სახსრების ინვესტირება, უნდა მოხდეს უცხოური ვალუტის კონვერტირება ადგილობრივ ვალუტაში, ანუ გაიზრდება მოთხოვნა ლანზე, რაც ლანის გაცვლით კურსს გაზრდის, ანუ IS მრუდი გადაინაცვლდება მარცხნივ, ვიდრე შიდა საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო განაკვეთს არ გაუტოლდება.

ანალოგიურად, თუ კი IS და LM მრუდები გადაიკვეთება წერტილში, რომელიც მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე დაბლა მდებარეობს, ადგილობრივი ინვესტირები ნაცვლად საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებისა, სახსრების უცხოეთში დამანდებს გადაწყვეტენ, გაიზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე და გაცვლითი კურსი დაეცემა, შედეგად IS მრუდი გადაინაცვლდება მარჯვნივ, ვიდრე შიდა საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო განაკვეთს არ გაუტოლდება.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ სამივე წირი ერთ წერტილში გადაიკვეთება.

მანდელ-ფლემინგის მოდელი $e-Y$ გრაფიკზე

მანდელ-ფლემინგის მოდელის გრაფიკულად გამოსახვის მეორე ხერხის შესაბამისად ვერტიკალურ ღერძზე გაცვლითი კურსის მნიშვნელობა აისახება, ხოლო ჰორიზონტალურზე კი შემოსავალი. ამასთან საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და მსოფლიო განაკვეთის ტოლია.



გრაფიკზე ორი ივნივობა გამოისახება:



$$Y = C(Y - T) + I(r^*) + G + NX(e) \quad IS^*$$

$$M/P = L(r^*, Y) \quad LM^*$$

მრუდები სპეციალურადაა აღნიშნული ვანსკვლავით, რადგან ჩვენ დავუშვით, რომ საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და იგი მსოფლიო განაკვეთის ტოლია.

ეკონომიკა წონასწორობას აღწევს მრუდების გადაკვეთის წერტილში. ეს წერტილი განსაზღვრავს შემოსავლისა და გაცვლითი კურსის წონასწორულ დონეებს.


LM^* ვერტიკალურია, ვინაიდან მასში გაცვლითი კურსი არ შედის. თუ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი მოცემულია, მაშინ სწორედ LM^* გაცვლითი კურსისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს ერთობლივ მოცულობას.




IS^* მრული დახრილია ქვემოთ, რადგან გაცვლითი კურსის ზრდა იწვევს წმინდა ექსპორტის და შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკისა და კეინზიანური ჯვარის შემვეობით ჩანს, რომ გაცვლითი კურსის e_1 -დან e_2 -მდე ზრდა წმინდა ექსპორტის $NX(e_1)$ -დან $NX(e_2)$ -მდე შემცირებას იწვევს. რასაც დაგეგმილი დანახარჯებისა და შესაბამისად შემოსავლების შემცირება მოყვება.


A. წმინდა ექსპორტის ფუნქციის ენოტი



B. კეინზიანური ჯვარი



C. IS^* მრული




13-2. მცირე ღია ეკონომიკა "მცურავი" გაცვლითი კურსის პირობებში

ქვეყანათა უმრავლესობა დღეისათვის "მცურავი" გაცვლითი კურსის პოლიტიკას ატარებს, რაც ეკონომიკის ცვლილებების შესაბამისად გაცვლითი კურსის თავისუფალ ცვლილებას ნიშნავს.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა


დავუშვათ, სახელმწიფოს პოლიტიკა დანახარჯების ზრდის, ან გადასახადების შემცირების მეშვეობით შიდა დანახარჯების სტიმულირებისაკენაა მიმართული. ამგვარი პოლიტიკის ზემოქმედებით IS^* მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს. გაცვლითი კურსი გაიზრდება, შემოსავლის მოცულობა კი არ შეიცვლება.



გავიხსენოთ, რომ $IS-LM$ მოდელის პირობებში, ჩაკეტილ ეკონომიკაში მასტიმულირებელი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა იწვევდა საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის ზრდას. მცირე ღია ეკონომიკაში მცურავი კურსის პირობებში კი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა შემოსავალზე არ მოქმედებს. საჩქმე ის ვახლავთ, რომ ღია ეკონომიკის პირობებში პროცენტის ზრდის მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი იწვევს უცხოური კაპიტალის შემოდინებას, სანაცვლოდ იზრდება მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე, იზრდება გაცვლითი კურსი, მცირდება წმინდა ექსპორტი და შემოსავლის წონასწორული მოცულობა არ იცვლება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ახლა კი დავუშვათ, რომ ეროვნული ბანკი ზრდის მიმოქცევაში არსებული ფულის ნაოდენობას თუ ამ დროს ფასები არ იცვლება, ფულის მასის ზრდა იწვევს ფულის რეალური მანაგების ზრდას. ამდენად LM^* მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. ფულის მიწოდების ზრდა შემოსავლის ზრდასა და გაცვლითი კურსის შემცირებას გამოიწვევს.



ამ შემთხვევაშიც შემოსავალზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მექანიზმების ზეგავლენა ღია ეკონომიკაში განსხვავდება ჩაკეტილ ეკონომიკაში ზეგავლენისაგან. თუ ჩაკეტილ ეკონომიკაში ფულის მიწოდების ზრდა საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და ინვესტიციების ზრდას იწვევდა, მცირე ღია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული. თუ შიმოჭყვევაში არსებულ ფულის ნაოდნობის ზრდა იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და როგორც შედეგი კაპიტალის გადინებას იმ ქვეყნებში სადაც საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია. შესაბამისად იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, გაცვლითი კურსი მცირდება და წმინდა ექსპორტი იზრდება. ამდენად მცირე ღია ეკონომიკაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზეგავლენა ეკონომიკაზე გამოვლინდება არა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, არამედ გაცვლითი კურსის ცვლილებით.


საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა

დავუშვათ, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია კვოტებისა და საიმპორტო ტარიფების დაწესების მეშვეობით იმპორტირებულ საქონელზე მოთხოვნის შემცირებისაკენ.


იმპორტის შემცირება იწვევს წმინდა ექსპორტის ზრდას, ამდენად მისი გრაფიკი მარჯვნივ გადაადგილდება. შესაბამისად მარჯვნივ გადაადგილდება IS^* მრუდიც, რაც იწვევს გაცვლითი კურსის ზრდას, მაგრამ არ ზემოქმედებს შემოსავალზე.

ამგავრი პოლიტიკის მიზანი, როგორც წესი მდგომარეობს იმაში, რომ NX -ის მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობაზე იზრუნოს. თუმცა მანდელ-ფელემინგის მოდელი ამტკიცებს, რომ წმინდა ექსპორტის ზრდა ერთობლივ შემოსავლებს არ ზრდის, რადგან დადებითი ეფექტი გაბათილდება გაცვლითი კურსის ზრდის გამო.

A. რუსია-აშშ-ის ურთიერთ ვაჭრობის ეკონომიკა



B. ეკონომიკის წინსვლისთვის წერტილად გადაადგილება



$AV(c) Y C(Y T) - I(r) G$ იგივეობა ნათლად ადასტურებს ზემოთქმულ მოსაზრებას, ანუ საგარეო საბაზრო შეზღუდვები არ ზემოქმედებს არც შემოსავალზე, არც მოხმარებაზე, ინვესტიციებზე და სახელმწიფო შემოსავლებზე.

13-3. მცირე და ეკონომიკა ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ქვეყნებს შორის ურთიერთობები ბრეტონ-ვუდის სისტემაზე - ფიქსირებულ გაცვლით კურსზე იყო დაფუძნებული, ეს სისტემა 70-იან წლებამდე მოქმედებდა. თუმცა საუკუნის ბოლოს ევროპული სახელმწიფოები ისევ დაუბრუნდნენ ურთიერთობის ამგვარ ფორმას.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი


ფიქსირებული გაცვლითი კურსის არსებობის პირობებში ქვეყნის ცენტრალური ბანკი პირობას იძლევა, რომ უცხოურ ვალუტას შეიძენს და გაყიდოს გარკვეულ, ფიქსირებულ კურსად. მაგალითად, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი გამოაცხადებდა, რომ იგი ნებისმიერ შემთხვევაში ერთ აშშ დოლარს 1,8 ლარად შეიძენდა, ხოლო ერთ ლარს 0,56 დოლარად გაყიდდა. ამგვარი პოლიტიკის განხორციელებისათვის ბანკს უცხოური ვალუტის საკმაოდ დიდი რეზერვი უნდა ჰქონდეს.

ფიქსირებული კურსის დადგენის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა კურსის გამოცხადებულ დონეზე შენარჩუნებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკის ამოცანაა ფულის მიწოდების იმ დონეზე რეგულირება, ისე რომ წონასწორული გაცვლითი კურსი დაემთხვეს გამოცხადებულს. თუ ეროვნულ ბანკს შეუძლია უცხოური ვალუტის დადგენილი კურსით შეძენა და გაყიდვა, ფულის მიწოდება აუცილებელ დონემდე ავტომატურად ხდება.


თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ ეროვნულმა ბანკმა დაადგინა ერთ აშშ დოლარის მიმართ გაცვლითი კურსი 0,5 დოლარი ერთ ლარში. თუ კი წონასწორული კურსი შეადგენს 0,60 დოლარს, ეს ქმნის სპეკულაციური განიგებების კარგ შესაძლებლობას, ანუ აღამიანთა ჯგუფს შეუძლია ბაზარზე 100 ლარში მიიღოს 60 დოლარი, მაშინ როდესაც 100 ლარის ეროვნულ ბანკში შესაძენად 50 დოლარი დასჭირდება, ანუ ყოველ 100 ლარში მათი მოგება 10 დოლარი იქნება.

თუმცა ეროვნული ბანკის მიერ სპეკულიანტაგან დოლარების შეძენა ფულის მიწოდებას გაზრდის და LM^* მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, წონასწორული გაცვლითი კურსი შემცირდება. ფულის მიწოდება გაიზრდება მანამდე, ვიდრე წონასწორული და დადგენილი გაცვლითი კურსები არ გათანაბრდება.

ა. უბალანსო გაცვლითი კურსი ერთ დოლარს კარგ ფიქსირებულ კურსს



ბ. უბალანსო გაცვლითი კურსი ერთ დოლარს კარგ ფიქსირებულ გაცვლით კურსს




ანალოგიურად, თუ წონასწორული კურსი უფრო მაღალია ვიდრე ფიქსირებული, მოგების მიღება შესაძლებელია, თუ სპეკულიანტი ეროვნული ბანკისაგან უცხოურ ვალუტას შეიძენს. ამით იზრდება უცხოური ვალუტის მიწოდება, ანუ LM^* მრუდი მარცხნივ გადაინაცვლებს. გაცვლითი კურსი ამაღლდება ვიდრე წონასწორული და ფიქსირებული კურსები არ გათანაბრდება.

გასათვალისწინებელია, რომ ეს მექანიზმი მხოლოდ ნომინალურ გაცვლით კურსზე ვრცელდება, რაც შეეხება რეალურ გაცვლით კურსს, მის მიმართ მხოლოდ დროის მოკლე

პერიოდებში ვრცელდება. ფასების ცვალებადობა მაშინაც კი, როდესაც ნომინალური
გაცვლითი კურსი არ იცვლება, რეალური გაცვლითი კურსის ცვალებადობას იწვევს.

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა


თუ სახელმწიფოში წამახალისებელი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა ტარდება,
რომელიც ითვალისწინებს გადასახადების შემცირებას ან/და სახელმწიფო შესყიდვების
ზრდას, ეს IS^* მრუდის მარჯვნივ გადაანაცვლებას და გაცვლითი კურსის ამადლებას იწვევს.
რადგან ეროვნული ბანკის ამოცანა გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებაა,
ამიტომ საჭირო გახდება ფულის მიწოდების ზრდა, ანუ LM^* მრუდის მარჯვნივ
გადაანაცვლება.



ამგვარად, მცურავი კურსის არსებობისაგან განსხვავებით ფიქსირებული გაცვლითი
კურსის პირობებში სახელმწიფოს მიერ წამახალისებელი პოლიტიკის განხორციელება იწვევს
ერთობლივი შემოსავლის ზრდას, რამეთუ წამახალისებელი საგადასახადო-საბიუჯეტო
პოლიტიკა იწვევს ფულად-საკრედიტო ექსპანსიას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

თუ ეროვნული ბანკი ფულის მიწოდებას გაზრდის, ეს თავიდან LM^* მრუდის მარჯვნივ
გადაანაცვლებას გამოიწვევს და საბაზრო გაცვლითი კურსი შემცირდება. იმის გამო, რომ
ოფიციალური გაცვლითი კურსი არ შეცვლილა, სპეკულაციური მექანიზმით, რომელიც
ზემოთ უკვე განვიხილეთ ფულის მიწოდება შემცირდება და LM^* მრუდი უკან დაბრუნდება.




ამდენად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, მისი ჩვეულებრივი შინაარსით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ფიქსირებული კურსის არსებობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი კარგავს ფულის მიწოდებაზე კონტროლს.

ქვეყანაში, სადაც ფიქსირებული კურსი არსებობს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მხოლოდ ერთი ტიპი არსებობს, ესაა ფიქსირებული კურსის ახალი ფიქსირებული კურსით შეცვლა. თუ ხდება კურსის შეზღუდვა ან ამაღლება, რომ ხდება დეველუაცია, კურსის ზრდა კი რეველუაციაა. მანდელ-ფლემინგის მოდელში დეველუაცია თავისი არსით მცურავი კურსის პირობებში ფულის მიწოდების ზრდის იდენტურია, ანუ LM^* მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

დეველუაციის დროს იზრდება წმინდა ექსპორტი და ერთობლივი შემოსავალი. რეველუაციის დროს კი LM^* მრუდი მარცხნივ გადაადგილდება, წმინდა ექსპორტი და ერთობლივი შემოსავალი მცირდება.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა

დავეუბათ იმპორტის შესამცირებლად სახელმწიფო იყენებს ტარიფს და კვოტებს. წმინდა ექსპორტის გრაფიკი და შესაბამისად IS^* მრუდი გადაინაცვლებენ მარჯვნივ და ზემოთ. IS^* მრუდის გადაინაცვლება გამოიწვევს გაცვლითი კურსის ამადლების ტენდენციას. მისი შენარჩუნებისათვის ფულის მიწოდების ზრდაა საჭირო, რაც LM^* მრუდის მარჯვნივ გადაინაცვლებაში აისახება.



იმის გამო, რომ გაცვლითი კურსი არ იცვლება, ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა იწვევს ერთობლივი შემოსავლის ზრდას, ვარდა ამისა იზრდება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო NX . რადგან $NX = S - I$, ეროვნული შემოსავლის ზრდა იწვევს დანაზოგის ზრდას და შესაბამისად იზრდება წმინდა ექსპორტის მოცულობა.

მანდელ-ფლემინგის მოდელის დასკვნები

მთავარი დასკვნა, რომელიც მანდელ-ფლემინგის მოდელის ანალიზიდან მიიღება მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები მცირე დია ეკონომიკაში დამოკიდებულია იმაზე, გაცვლითი კურსი არის მცურავი თუ ფიქსირებული. სწორედ მის ტიპზეა დამოკიდებული ფულად-საკრედიტო, საგადასახადო-საბიუჯეტო და საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ზეგავლენა შემოსავლის და გაცვლითი კურსის დინამიკაზე, აგრეთვე მიმდინარე ანგარიშზე.

მანდელ-ფლემინგის მოდელის შესაბამისად მცურავი კურსის პირობებში შემოსავალზე მხოლოდ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოქმედებს. მასტიმულირებელი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ზეგავლენა კი გაცვლითი კურსის ზრდის გამო ნულამდე დადის. ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში კი შემოსავალზე ზეგავლენის-ახდენს მხოლოდ



	გაცვლითი კურსი					
	მცურავი			ფიქსირებული		
	ზემოქმედება					
	Y	e	NX	Y	e	NX
მასტიმულირებელი სავადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა	0	↑	↓	↑	0	0
მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	↑		↑	0	0	0
დემონტის შეზღუდვა	0	↓	0	↑	0	↑

13-4. როგორი უნდა იყოს გაცვლითი კურსი: მცურავი თუ ფიქსირებული

საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმა ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ხშირად კამათის საგანი ხდება. თუ კი ვასული საუკუნის დასაწყისში ბევრი მათგანი მხარს მცურავი კურსის არსებობას უჭერდა, საუკუნის ბოლოსათვის იზრდება მათი რიცხვი, ვინც ფიქსირებულ გაცვლით კურსს უჭერს მხარს.

მცურავი კურსის მომხრეთა მთავარი არგუმენტი ისაა, რომ სწორედ მცურავი კურსი ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების საშუალებას იძლევა, მაშინ როდესაც ფიქსირებული კურსის დროს მისი ერთადერთი ფუნქცია კურსის შენარჩუნებაა. გაცვლითი კურსი უამრავი ინდიკატორიდან, უამრავი მაჩვენებლიდან მხოლოდ ერთია. მცურავი კურსი საშუალებას იძლევა აქცენტი ვადატანილ იქნეს ისეთი მიზნების მიღწევაზე, როგორებიცაა მაკროეკონომიკური და ფასების დონის სტაბილურობა.

ფიქსირებული კურსის მომხრენი კი მიიჩნევენ, რომ კურსის არასტაბილურობა ხელს უშლის სავალუტო ვაჭრობას, თუმცა სავალუტო ვაჭრობის მოცულობა განუხრევლად იზრდება მცურავი კურსის პირობებშიც.

ფიქსირებული კურსის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტია აგრეთვე ფულის მიწოდების გაუმართლებელი ზრდის ადკვეთა, თუმცა როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ ფიქსირებული კურსის პირობებში ხდება ფულის მიწოდების ზრდა ავტომატურ რეჟიმში, რასაც შესაძლოა სულ სხვა გართულებები მოჰყვეს.

თუმცა ცალსახა არჩევანი ფიქსირებული ან მცურავი კურსის თაობაზე არ კეთდება. ფიქსირებული კურსის პირობებშიც შესაძლებელია კურსის შეცვლა ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით და მცურავი კურსის პირობებშიც ფულის მიწოდების ცვლილება ირიბათ, მაგრამ მაინც ითვალისწინებს ფულის მოცულობის იმგვარად რეგულირებას, რომ გაცვლითი კურსი არ შეიცვალოს.

F15-023
4